ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

ყველა გაზეთი ერთ გაზეთში

№ 28 (221) ◆ 12-18 ივლისი. 1999 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

### „რატომ გაიაფდა ჰეროინი პანკისის ხეობაში"



...მოსკოველი „ქორები" უკვე სანგრებს თხრიან სამანაბლოში...

...ყველა ბანდიტი და ყაჩაღი, ვისაც არ ეზარება, იტაცებს ჩვენს მოქალაქეებს და გადაჰყავს კავკასიონის გადაღმა. გვ. 3

...დღემდე ერთი გრამი ჰეროინი 100 დოლარი ღირდა, ახლა – 70-100 ლარი... იმიტომ, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩავიდეს პანკისის ხეობაში!

**ეს ყველაფერი სამართალდამცავი ორგანოების ცხვირწინ ხდება!**

### დახმარება გაკოტრების მიზნით...



გვ. 17

ქართული ბანკების მევალე მათივე სერიოზული კონკურენტი ხდება.

პიტერ შოუ იწყებს „აგრობიზნესბანკის" ჩამოყალიბებას, რომლის საწესდებო კაპიტალი (5 მლნ ლარი) 12 ქართული ბანკის მიერ დაბრუნებული კრედიტებისგან უნდა შედგეს.

### აფხაზების ტყვეობაში მყოფი ქართველი მებრძოლის წერილი...

*„მინდა ყველამ იცოდეს, რომ მე მორიგეობის დროს ამიყვანეს ტყვედ... ჩემგან არაფერი თქმულა, არავინ გამიცია... თუ საქმემ მოითხოვა, ჩემი ხალხის და ოჯახის სიყვარულით მოვკვდები"...*

სამ ქართველ მებრძოლს აფხაზებმა 13-13 წელი მიუსაჯეს... ტყვე-პატიმართა ტანჯვა-წამებაზე ენგურგამოღმელები ათასგვარ ამბავს ჰყვებიან... ეს ბიჭები ჯერ კიდევ სჭირდება ქვეყანას... გვ. 7

### ყველაზე მეტად აფხაზეთის დაბრუნება გვაოცებს გვ. 27

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

### შევარდნაძის წარმომადგენელს არძინბასთვის ღვინო მიჰქონდა?!



...არსებობს არაოფიციალური ხმები, რომ აფხაზ ბოევიკებსა და ქართველ პარტიზანებს ერთობლივი შავი ბიზნესი აქვთ... გვ. 7

...ვინ არის ხსენებული პრეზიდენტის წარმომადგენელი, რომელსაც არძინბასთვის ღვინო მიჰქონდა? მოგვიანებით არძინბას ეს საქონელი ტყვია-წამალზე გადაუცვლია...

### ვერსია: ლისის ზღვის საიდუმლო საიდუმლოდ რჩება

– მკითხავმა გვითხრა, – იგორ გიორგაძეს ჩემი სახელი უხსენეთ და ის და შოთა კვირაია დაგეხმარებიანო... გვ. 10

– კუსას 13 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი და ექსპერტიზამ მის ნივთებზე წვეთი სისხლიც ვერ აღმოაჩინა...

**ჯ.ჩ.** — ძმაო, გივი, რამე რომ იყვეს, არჩევნების შემდეგ „თეთრ ბაირაღებში" ტიგრანას როლს ხომ მომცემ? გვ. 27

**გ.ყ.** — ვერა, ძმაო, ზურაბ ჟვანიამ კაი ხანია იყიდა.

**ფოტოპალიტრა**

### დეპუტატები „მდიდრდებიან"

*მიუხედავად: ამისა, იმისა, „იმისა" და „ამისა"...*

დეპუტატებმა მოახერხეს და 1999 წლის ივლისიდან ხელფასები დაახლოებით 100-100 ლარის ოდენობით გაიზარდეს. გვ. 4

### ბრაუნმა წყალში გადახტომისთვის 500-500$-ით დააჯილდოვა...



– ჯეიმს ბრაუნის ჩამოყვანა თბილისში წამგებიანი აღმოჩნდა... გვ. 17

– შემოსულმა თანხამ ვერ დაფარა აღებული სესხიც...

– მომავალში თავს შევიკავებთ ასეთი გრანდიოზული პროექტების განხორციელებისაგან.

**შოუ-ბიზნესის კრახი საქართველოში**

### სავემები სხვები იყვნენ, კერძოდ, პარლამენტის უმრავლესობის წარმომადგენლები გვ. 5

...კოდორის ხეობიდან ლონდერ ცაავას დაემუქრნენ, არც ეფიქრა კოდორში ჩასვლაზე... მუქარა ბუსრულეს და გატაცებულს (ნაჭყებიასა და ლაცუზბაიასთან ერთად) სასტიკად სცემეს...



„თქვენ მსოფლიო სასამართლოში მიჩივლეთ, რომ მე ვარ ქართული ეროვნული განძის დამტაცებელი, მე ალბათ სიკვდილს მომისჯიან, მაგრამ ეს არაფერია, მთავარია, რომ განძი საქართველოს დაუბრუნდეს". გვ. 6

*ექვთიმე თაყაიშვილი*

### რატომ მიჰყო ხელი ამ უცნაურ ბიზნესს...

ვიცი, უზნეობას და თუ გინდა, დანაშაულსაც ჩავდივარ, ფულის გულისთვის ჩავყვინთე ან სიბინძურეში ამოყვინთვას ვეღარ ვახერხებ... ისიც არ ვიცი, მსხვერპლი ვარ თუ არა... ალბათ ეს ყველაფერი დრომ მოიტანა... გვ. 8

**ქართველი ალფონსები ამერიკაში**

შექმნილია აინშტაინის ვირტუალური ორეული... ის ჭკვიანს ჭკვიანურად ელაპარაკება, სულელს – სულელურად... გენიოსთან საუბრის სეანსი 50 დოლარი დაგიჯდებათ... გვ. 23

### შეავსეთ სპორტპროგნოზი „მესამე ტაიმი" და მოიგეთ

ვინც არ თამაშობს, ის ვერც იგებს

### ჰოლიფილდს 10.000.000$ სთხოვენ...



გვ. 22

მსოფლიოს უძლიერეს მოკრივეს ცოლი ეყრება...

ჰოლიფილდისგან, უამრავი ღალატის საკომპენსაციოდ, მეუღლე გაყრას და 10 000 000 დოლარის გადახდას ითხოვს... ამბობენ, საწადელს მიაღწევსო...

### საკვირაო

ტელე-კინო-აფიშა 12-18 ივლისი

გვ. 14-15



**„სიტყვა და საქმე" — ყოველ ნომერში 4.000-მდე განცხადებაა!**

Неделя

КОММАНДОС

ЧАСТНАЯ ЖИЗНЬ

Я ТЕЛОХРАНИТЕЛЬ

За РУБЕЖОМ

МОСКОВСКИЕ НОВОСТИ

Newsweek

FOCUS

Общая газета

DER SPIEGEL

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

МК

stern

СЕГОДНЯ

Клюква

ИЗВЕСТИЯ

Труд

СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

Иностранец

LE FIGARO magazine

PARIS MATCH

ТВ ПАРК

ЛИЦА

ОГОНЁК

daily

le nouvel Observateur

Итоги

## კოდორის ხეობის ტყვეები

გასული კვირის მიწურულს ცემა-ტყეპა არ დაჰკლებიათ კოდორის ხეობაში ჰუმანიტარული მისიით ჩასულ აფხაზეთის ლეგიტიმური მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ლონდერ ცაავას, შს მინისტრს მამუკა ნაჭყებიას და პროკურორ ანზორ ლაცუზბაიას. თავდამსხმელებმა ისინი დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად, დაშვებულ შვეულმფრენშივე აიყვანეს მძევლებად (იქ მყოფი ავთო ჯორბენაძე და ჟურნალისტები გაათავისუფლეს) და ტყეში უკრეს თავი. ნიღბიანმა თავდამსხმელებმა მობილურ ტელეფონებსა და სხვა „საჭირო“ ნივთებსაც გაუკეთეს კონფისკაცია და, რა თქმა უნდა, „პოლიტიკური განცხადებებიც“ გააცნეს ცემით დაოსებულ ტყვეებს.

აი, მათი „კონკრეტული“ მოთხოვნები: „კოდორის ხეობა თავისუფალი სვანეთია, აფხაზეთის ლეგიტიმურ მთავრობას აქ არაფერი ესაქმება(!!!).“ ალბათ ძიება დაადგენს გამტაცებლებსაც და შემკვეთთაც, მაგრამ როგორც ხელისუფლების კულუარებში აცხადებენ, — ინციდენტი პირდაპირი შედეგია კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებულის ინსტიტუტსა და აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას შორის არსებული დაპირისპირებისა (ვრცლად იხ. გვ. 5).

## ასლან აბაშიძე ბრალს სდებს

ასლან აბაშიძე კვლავ კატეგორიულად უარყოფს ოფიციალური თბილისის წარმომადგენელთა ბრალდებას, აჭარის ხელისუფლების მიერ საქართველოს სანაოსნოს თანხების მითვისების თაობაზე. ტრადიციულ პრესკონფერენციაზე აბაშიძემ ეს ბრალდებები „საპნის ბუშტს“ შეადარა და განაცხადა, რომ ამ ბრალდებებისა და დეზინფორმაციისთვის მოვა დრო და ყველას მოეთხოვება პასუხი. აჭარის ლიდერმა ცენტრალური ხელისუფლება კომუნისტური პროპაგანდისტული მეთოდების ურცხვად და იმავდროულად, უნიჭოდ გამოყენებაშიც დაადანაშაულა...

პრეზიდენტმა შევარდნაძემ ასევე ტრადიციულ ბრიფინგზე, სამართალდამცავ ორგანოებს კატეგორიულად მოსთხოვა საქართველოს სანაოსნოს საქმის ბოლომდე გამოძიება და „ავისმომასწავებლად“ დაიმუქრა, რომ ვინც არ უნდა იყვნენ დიდძალი თანხების უმიზნოდ ხარჯვაში მხილებულნი, ცენტრისა თუ რეგიონის წარმომადგენელი, მათი საქმე დღის სინათლეზე უნდა გამოვიტანოთ!

მაგრამ პრეზიდენტის მუქარა-მოწოდება, ჯერჯერობით, რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“... ჯერ იყო და, თბილისიდან ბათუმში ჩასული საგადასახადო-საგამოძიებო ჯგუფი სანაოსნოში არ შეუშვეს და არც საბანკო დოკუმენტაციას გააკარეს, ხოლო ბათუმში ასევე საგანგებოდ ჩასულ საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეს, რევაზ ყიფიანს, აჭარის ხელმძღვანელობამ უარი უთხრა აჭარის პროკურატურის ხელთ არსებული საგამოძიებო მასალების გადაცემაზე, რომელიც სანაოსნოს გაფლანგულ თანხებს ეხება.

შეგახსენებთ, რომ ჯამლეთ ბაბილაშვილი, კანონის თანახმად, კატეგორიულად მოითხოვს, სანაოსნოს საქმე საქართველოს გენერალურ პროკურატურაში იქნეს გამოძიებული და არა აჭარის პროკურატურაში...

## „აბრეშუმის პერსპექტივა“

აშშ კონგრესმა მიიღო კანონი „დიდი აბრეშუმის გზის“ მხარდაჭერის სტრატეგიის შესახებ“, რასაც პრეზიდენტმა შევარდნაძემ ისტორიული მოვლენა უწოდა. ამ კანონის მიღებით აბრეშუმის გზის პროექტს უფრო დიდი პერსპექტივა გაუჩნდა. ეს პროექტი საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ევროპისა და აზიის ქვეყნების დამაკავშირებელი სავაჭრო გზის ამოქმედებას ითვალისწინებს. პროექტში, რომლის ავტორიც ევროკავშირია, ახლახან ჩაერთო იაპონიაც, რომელმაც პროექტის მხარდამჭერი საკუთარი სპეციალური პროგრამა შეიმუშავა. ამ ფონზე, მით უფრო ამაზრზენად მოჩანს საქართველოს გაძარცული სანაოსნოს ფაქტი და გაუმაძღარ ჩინოვნიკთა დანაშაულებრივი გულგრილობა!

## თოფაძე „თოფის“ აღებას აპირებს

ლუდი „ყაზბეგის“ მამამ გოგი თოფაძემ „დიდი ომი“ დაიწყო საგადასახადო სამსახურის წინააღმდეგ, რომელიც ახლახან დაეცა „ყაზბეგის“ ქარხანას და რევიზიის შედეგად თოფაძის ფირმას ხუთ მილიონამდე დოლარის გადახდა დააკისრა. შესაბამისად, როგორც წესი, „ყაზბეგის“ შეფი საგადასახადო სამსახურს არ ემორჩილება და მოსალოდნელი სასამართლო პროცესისათვის ემზადება... საგადასახადო ყველას გასაგონად გაიძახის, რომ „ყაზბეგი“ გადასახადებს მალავს და კონკრეტულ მაგალითად ასახელებს იმას, რომ ყველა სახის, ჩამოსასხმელი, კასრებითა და ბოთლებით რეალიზებული ლუდი „ყაზბეგის“ დოკუმენტაციით დღეში 400 ლ-ია(!), საგადასახადოს მტკიცებით, კი დღეში საშუალოდ 1.400-1.500 ლ ლუდი იყიდება. თოფაძე კი ამასაც უარყოფს და საპირისპიროს ამტკიცებს, თუმცა ძნელი დასაჯერებელია, რომ პაპანაქება სიცხეში დღეში მხოლოდ 400 ლ ლუდს მიირთმევდეს, თუნდაც მხოლოდ სანაპიროზე მისული „ყაზბეგის“ ლუდისმოყვარულთა საზოგადოება...

თოფაძე კი „ყაზბეგის“ გაუთავებელ შემოწმებებს პოლიტიკურ სარჩულს უდებს და პრეზიდენტთან შეხვედრას ითხოვს, რადგან დარწმუნებულია, რომ პრეზიდენტს დეზინფორმაციას აწვდიან „ყაზბეგისა“ და მისი შეფის შესახებ.

## დოკუმენტი შემოდგომაზე იქნება მზად

დოკუმენტს ეროვნული საგანძურის მოვლა-პატრონობის შესახებ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისია 1999 წლის შემოდგომაზე წარუდგენს პრეზიდენტ შევარდნაძეს, — განაცხადა კულტურის მინისტრმა ვალერი ასათიანმა. მისი თქმით, აღნიშნულ დოკუმენტში, ყველა სამართლებრივი ნორმის გათვალისწინებით, განსაზღვრული იქნება საგამოფენო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები. გარდა ამისა, განისაზღვრება ქართული ეროვნული საგანძურის მცველი დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ძირითადი საკითხები. მინისტრის თქმითვე, ამავე დოკუმენტით ასევე განისაზღვრება ყველა საეკლესიო ექსპონატის ქართული მართლმადიდებელი ეკლესიებისათვის გადაცემის ძირითადი პრინციპები...

## შესაძლოა, პაპი გვეწვიოს

გასულ კვირას, იტალიაში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ვატიკანში, თავის რეზიდენციაში, მიიღო რომის პაპმა იოანე-პავლე II-მ. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა გაიმართა და მხოლოდ ის გახდა ცნობილი, რომ პაპმა კვლავ დაადასტურა თავისი სურვილი და განზრახვა, ეწვიოს საქართველოს. სავარაუდოდ, ვიზიტი შემოდგომაზე უნდა შედგეს...

## ახლა გაახსენდათ სალარიძის მილიციელობა

სახალხო დამცველის დავით სალარიძის განზრახვამ, დატოვოს საქართველოს №1 ომბუდსმენის პოსტი და კენჭი იყაროს არჩევნებში, გაალიზიანა რიგი პოლიტიკოსი და პარტია. მათ არაორაზროვნად დაგმეს სალარიძის განზრახვა და მისი, როგორც პოლიციის გენერალ-მაიორის, დანიშვნა ამ პოსტზე პრეზიდენტის დიდ შეცდომად და ანომალიურ მოვლენად მონათლეს. ქრისტიან-ლიბერალურმა პარტიამ თავის განცხადებაში პარლამენტისგან მოითხოვა სახალხო დამცველის საყოველთაო არჩევნების შესახებ კანონის მიღება! მათი აზრით, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი ქვეყანაში ადამიანის უფლებათა ჭეშმარიტი დაცვა, რომ ამჟამად არსებული ადამიანის უფლებების დამცველი სტრუქტურები პრეზიდენტისა და მმართველი პარტიის მითითებებით მოქმედებენ!

## ნანეიშვილსაც რუსეთი ელანდება

ე.წ. მეორე პოლიტიკურ ცენტრს, ანუ ბათუმურ ალიანსს, „მოულოდნელად“ კიდევ ერთი ცნობილი პოლიტიკოსი „დაესხა თავს“. საქართველოს ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მიხეილ ნანეიშვილის თქმით, აღორძინების კავშირი, სოციალისტური პარტია, ტრადიციონალისტები და ბლოკი 21-ე საუკუნე, ერთ წინასაარჩევნო ბლოკში გაერთიანებისას რუსეთის სპეცსამსახურების დავალებას ასრულებდნენ! ნანეიშვილის აზრით, ამ ალიანსის შექმნის ხელოვნურობაზე ისიც მეტყველებს, რომ მასში შემავალ პარტიებს საერთო იდეოლოგია არ გააჩნიათ, ზოგი მემარჯვენეა, ზოგი — მემარცხენე, შესაბამისად კი არჩევნებში ამ ანტიდასავლურად ორიენტირებული ბლოკის შესაძლო გამარჯვების შემთხვევაში, დიდი საფრთხე შეექმნება ქართულ სახელმწიფოებრიობას...

## ქართველი კარდიოლოგების წარმატება

ქართველმა ექიმებმა: ა. ალადაშვილმა, ნ. ემუხვარმა, პ. მაჭავარიანმა, გ. მათეშვილმა და დ. ჩორგოლიანმა მონაწილეობა მიიღეს ა/წ 17-19 ივნისს თურქეთის კარდიოლოგთა ასოციაციის სამეცნიერო კონგრესის მუშაობაში, რომელიც ჩატარდა ქ. სტამბულში და მიეძღვნა ინტერვენციული კარდიოლოგიის — კორონარული არტერიების ბალონური ანგიოპლასტიკისა და სტენტირების საკითხებს. ამ კონგრესზე ქართველი ექიმების მიწვევის ინიციატორები და ორგანიზატორები იყვნენ თურქეთის კარდიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი ბატონი სერვეტ ოზთურქი და კოსიოლუ, გულის ჰოსპიტლის მთავარი კარდიოლოგი ბატონი ისმეთ დინდარი. ქართველი კარდიოლოგების თურქეთში ვიზიტი დააფინანსა სამედიცინო ფირმა „FORMED“-მა.

თურქეთში ინტერვენციული კარდიოლოგია კარგად არის განვითარებული და კლინიკურ პრაქტიკაში გულის იშემიური დაავადებით ავადმყოფთა სამკურნალოდ ფართოდ გამოიყენება კორონარული ანგიოპლასტიკა და სტენტირება.

დღესდღეობით, საქართველოში გულის იშემიური დაავადებით ავადმყოფების მკურნალობა კორონარული ანგიოპლასტიკისა და სტენტირების მეთოდის გამოყენებით ტარდება მხოლოდ ერთ სამედიცინო დაწესებულებაში — გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში, რომელსაც ხელმძღვანელობს აკადემიკოსი გ. ჩაფიძე. ამ ცენტრში ანგიოპლასტიკასა და სტენტირებას ატარებს პროფ. ა. ალადაშვილი.

საქართველოში პირველად კორონარული ანგიოპლასტიკა და სტენტირება ჩატარდა 1998 წლის ბოლოს, ა. ალადაშვილისა და ი. დინდარის მიერ.

ქართველი ექიმები ინტერესით გაეცნენ თურქ კოლეგების მიღწევებს ინტერვენციული კარდიოლოგიის დარგში.

გაიმართა მოლაპარაკებები ორი ქვეყნის ექიმებს შორის თანამშრომლობის განვითარების შესახებ.

## ასტრა-დილომი „ბმვ“-ს ფირმასთან კონტრაქტს კარგავს

ამ კვირას საოლქო სასამართლოში დაიწყება „ასტრა-დილომის“ გენერალური დირექტორის, თამაზ შაფათავასა და მისი სამი თანამშრომლის — გიორგი ნინიძის, ვაჟა შანიძისა და ვიქტორ რურუას პროცესი. უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახური მათ კონტრაბანდაში ადანაშაულებს. თამაზ შაფათავას ადვოკატის, ზვიად კორძაძის განცხადებით, 12 ტომიანი სისხლის სამართლის საქმე ძირითადად მაკულატურაა, სადაც არანაირი მტკიცებულება არ არსებობს, რომელიც კონტრაბანდას დაადასტურებს. ადვოკატი ზვიად კორძაძე და „ასტრა-დილომის“ ყოფილი კომერციული დირექტორი, თავდებში გამოშვებული გიორგი ნინიძე მიიჩნევენ, რომ ამ ყველაფრის უკან კონკრეტული პიროვნება დგას, ვის გვარსაც ისინი არ ასახელებენ. გიორგი ნინიძის განცხადებით, თავის დროზე, როცა მან გვარი დაასახელა, მოწმედ დაკითხეს. მეორედ დასახელებისას, ბრალი წაუყენეს და მესამედ ასეთ შეცდომას აღარ დაუშვებს, თუნდაც იმიტომ, რომ დაპატიმრებისა ეშინია.

მიუხედავად ამისა, გიორგი ნინიძე მოსამართლე დადეგელაშვილს და აღმასრულებელ აფციაურს ქრთამის აღებაში ადანაშაულებს. ჩივილის შემთხვევაში, იგი დარწმუნებულია, რომ დოკუმენტებზე დაყრდნობით, მათ ქრთამის აღებას დაუმტკიცებს. ზვიად კორძაძის განცხადებით, თუ ისინი თავიანთ სიმართლეს ვერ დაამტკიცებენ, საქმეს სტრასბურგში გაასაჩივრებენ. გავრცელებული ინფორმაცია, რომ საქართველოში „ბმვ“-ს დისტრიბუტორ ფირმად, შესაძლოა უკვე, სხვა ფირმა გამოცხადდეს, გიორგი ნინიძემაც დაადასტურა. მისი თქმით, გერმანიაში „ბმვ“-სთან უკვე კონტრაქტი გააფორმა ერთ-ერთმა ცნობილმა სიგარეტის ფირმამ, რომელიც პრეზენტაციას დეკემბრის თვეში იზეიმებს. ასე რომ, თუ „ბმვ“ მართლაც ახალ ექსკლუზიურ დისტრიბუტორს აირჩევს, თამაზ შაფათავას, გიორგი ნინიძეს, გია კიკაბიძესა და მარიკა ჯინჭარაძეს მხოლოდ „ტკბილი მოგონებებილა“ შერჩებათ ხელთ.

## პასუხს დიდი ხანია, არავინ აგებს...

იმ შემთხვევაში თუ ხელისუფლება არ გაითვალისწინებს კოლხურ კოშკში მოშიმშილეთა მოთხოვნებს, აქცია მასობრივ ხასიათს მიიღებს და გამორიცხული არ არის... 9 აპრილის მსგავსი ტრაგედიის გამეორება, — ნათქვამია ეროვნული იდეოლოგიის პარტიის განცხადებაში. პარტიის ლიდერი ზურაბ გაგნიძე აცხადებს, რომ მთელი პასუხისმგებლობა, თუ 9 აპრილი განმეორდა(!), ხელისუფლებას დაეკისრება...

მოშიმშილეთა მთავარი მოთხოვნა უცვლელია — გადადგეს ედუარდ შევარდნაძე და ხუნტა(!) მოშიმშილეთა რაოდენობა უკვე 200 კაცს აღწევს და მოელიან, რომ მათი რიცხვი კვლავაც გაიზრდება!

შეგახსენებთ, რომ 1989 წლის აპრილში მიმდინარე აქციის ორგანიზატორები შესაძლო ტრაგიკული მოვლენების განვითარებისათვის წინასწარ აკისრებდნენ იმდროინდელ ხელისუფლებას პასუხისმგებლობას... საბოლოო ჯამში კი დატრიალებული ტრაგედიისთვის პასუხი არავინ არ აგო!

საერთოდ, როგორც არაერთხელ გვითქვამს, საქართველოში დიდი ხანია პასუხს არავინ არაფერზე არ აგებს და ყველა ყველაფერში მართალია...

## უხელფასობა და თავგანწირვა

ს/ს „თბილსრესის“ ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის თანამშრომლებს 11 თვეა, ხელფასი არ მიუღიათ. 5 მაისს მათ სასარჩელო განცხადება შეიტანეს საწარმოს დირექციის და „საქენერგოს“ წინააღმდეგ ხელფასების მოთხოვნით. გასულ კვირაში ერთ-ერთმა მეხანძრემ — დავით ყაჩმაზაშვილმა ვენები გადაიჭრა. სავადმყოფოში წაყვანისას მას ხალხისთვის უთქვამს — იქნებ ახლა მაინც დაგირიგონ ხელფასებიო... ამჟამად მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

## ვისია გაზი?

როგორც ჩანს, რუსთაველებისთვის ბუნებრივ აირზე მინიმალური გადასახადი (სულზე 3 ლარი) „მიუწვდომელი“ აღმოჩნდა. ჯერჯერობით, მოსახლეობის მხოლოდ 20%-მა (15-20 ათასი სული) გადაიხადა გაზის საფასური. არავინ იცის, გაზი მერიის „ჰუმანიტარული დახმარება“ იქნება, თუ უახლოეს მომავალში მის შეწყვეტას უნდა ველოდოთ?

## ეშველა ტყიბულის თბოელექტროსადგურს?

უახლოეს მომავალში ამოქმედდება ტყიბულის თბოელექტროსადგური. მას გამოუჩნდა ინვესტორი, რომელიც სამი წლის განმავლობაში 300 მლნ აშშ დოლარს დააბანდებს და 12 ათას ადგილობრივ მოსახლეს დაასაქმებს. ტყიბულის ტეცი ადგილობრივ ქვანახშირზე იმუშავებს და ყოველწლიურად 700 ათას ტ ქვანახშირს მოიხმარს. ასე რომ, ტეცის ამუშავებით ტყიბულის მაღაროსაც „ეშველება“.

## დაკრძალეს გარეგინ I

ეჩმიაძინის მიწას მიაბარეს ყოველთა სომეხთა კათალიკოსი გარეგინ I. გრანდიოზულ სამგლოვიარო ცერემონიალზე პრეზიდენტ ქოჩარიანის შემდეგ სიტყვით გამოვიდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე. საქართველოს საერო დელეგაციას პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია ხელმძღვანელობდა.

## „მთვარის მესამე ადამიანი“ კატასტროფაში დაიღუპა...

**(ბლექსი პრესი — „რია ნოვოსტი“)** ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ამერიკელი ასტრონავტი ჩარლზ კონრადი გარდაიცვალა ჰოსპიტალში, კალიფორნიის მთიან გზაზე მომხდარი კატასტროფის შედეგად მიღებული ჭრილობების გამო, იტყობინება აშშ-ის აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველო. მისი მონაცემებით, 69 წლის კონრადს დიდი სიჩქარით მიჰყავდა „ჰარლეი დევიდსონის“ მარკის საკუთარი მოტოციკლი. ერთ-ერთ მკვეთრ მოსახვევში დაუდგენელი მიზეზების გამო მოტოციკლი გზიდან გადავარდა. საავადმყოფოში მიყვანილი ასტრონავტი გარდაიცვალა მკერდისა და მუცლის არეში მიღებული ჭრილობებიდან სისხლდენის გამო.

ჩარლზ კონრადი 2-ჯერ გავიდა ორბიტაზე 60-იან წლებში, 1973 წელს მეთაურობდა ამერიკის კოსმოსური სადგურის „სკაილების“ პირველ ეკიპაჟს. 1968 წლის ნოემბერში, როცა იგი მეთაურობდა კოსმოსურ ხომალდ „აპოლონ-12“-ს, კონრადი გახდა მესამე ადამიანი, რომელმაც ფეხი დაადგა მთვარის ზედაპირს, სადაც მან რვა საათი დაჰყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ᲘᲪᲘᲗ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲐᲘᲘᲐᲤᲓᲐ ᲰᲔᲠᲝᲘᲜᲘ ᲞᲐᲜᲙᲘᲡᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ?..“

ნატოს მიერ კოსოვოში განხორციელებული სამხედრო ოპერაციების მიმდინარეობას რომ გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს კავკასიაშიც, ფაქტია, რადგან რეგიონის სახელმწიფოების პოლიტიკურ წრეებში კოსოვოს ამბებს ხშირად ადარებენ აქ შექმნილ ვითარებას და მსჯელობენ სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტების ძალისმიერი გზით გადაჭრის მიზნით ნატოს შესაძლო ჩარევის შესახებ. ამ მხრივ, განსაკუთრებით აქტიურობენ აზერბაიჯანი და საქართველო, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქვეყნის ხელმძღვანელებს, დიპლომატებსა და სამხედროებს კარგად ესმით, რომ დღეს სამხრეთ კავკასიაში ნატოს შემოსვლაზე საუბარი არარეალურია, არარეალური იქნება ხვალაც, მაგრამ იმავდროულად, დარწმუნებულნი არიან, რომ პერსპექ-

**დღემდე ერთი გრამი ჰეროინი 100 დოლარი ღირდა, ახლა კი 70-100 ლარია. რაშია საქმე? რატომ დაეცა ფასი? იმიტომ, რომ რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა შეიძინოს და მეტი ხალხი ჩავიდეს პანკისის ხეობაში! ეს ყველაფერი კი, ხდება სამართალდამცავი ორგანოების ცხვირწინ.**

ტივაში ეს აუცილებლად მოხდება...

ზემოთქმულში, როგორც ჩანს, ეჭვი აღარ ეპარება ოფიციალურ მოსკოვსაც, რომლის „გულისნადებიც“ ახლახან, ერთ-ერთ ინტერვიუში პირდაპირ გაამჟღავნა ცხინვალის რეგიონში განლაგებული რუსეთის „სამშვიდობო ძალების“ ერთმა სალდაფონმა, კითხვაზე, თუ რატომ თხრიან რუსი მშვიდობისმყოფელები სანგრებს ქართული სოფლების ირგვლივ, როცა რეგიონში მშვიდობაა და ამის საჭიროება სულაც არ არისო, მან დაუფიქრებლად მიუგო: „საქართველოში ნატო შემოდის და რუსეთ-საქართველოს შესაძლო ომისთვის ვემზადებით!“

რუსის ჯარში ნამსახურები ნებისმიერი ადამიანი მიხვდება, რომ რიგითი სალდაფონი მსგავს რამეს თავისი ჭკუით და ინიციატივით ვერ იტყოდა და რომ, ეს პირდაპირი შედეგია იმ იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული პოლიტიკისა, რომელსაც რუსი „პოლიტმუშაკები“ ანარმოებენ საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებულ თავიანთ სამხედრო ქვედანაყოფებში... მაგრამ ეს გახლავთ მხოლოდ ერთი ასპექტი საქართველოში და მის ირგვლივ მიმდინარე ურთულესი და აშკარად მტრული პროცესებისა, რომელთა შესახებ ვესაუბრები პარლამენტის კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარეს **მამუკა არეშიძეს**. ბუნებრივია, ვერც კოდორის ხეობაში მომხდარ ინციდენტს ავუარეთ გვერდი... მოვუსმინოთ მას:

— კოდორის ხეობაში მომხდარ ინციდენტს, ალბათ, აქვს სერიოზული მიზეზები, მაგრამ თავისთავად ადამიანთა გატაცების ფაქტია უაღრესად დამაფიქრებელი, მიუხედავად იმისა, რომ ეს არ იყო მძევლების აყვანის „კლასიკური“ შემთხვევა, ანუ აქ გამოსასყიდი არ მოუთხოვიათ, ადგილი ჰქონდა სასტიკ ფიზიკურ ანგარიშსწორებას... უნდა ითქვას, რომ თავისთავად ასეთი პრეცედენტის დაშვება იწვევს დაუდევრობის სინდრომის გაჩენას. თუ დღეს აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის წარმომადგენლები მოიტაცეს და სცემეს, ხვალ შეიძლება უკვე გამოსასყიდისთვის მოიტაცოს ქართველმა ქართველი...

**— ადამიანთა მოტაცების ფაქტებს შემდეგაც დავუბრუნდებით (იხ გვ.5), ახლა კი ერთი საგანგაშო პროცესის შესახებ გთხოვთ კომენტარს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად მოსკოვმა თავისი სამშვიდობო ძალების შემადგენლობა ცხინვალის რეგიონში მთლიანად შეცვალა ჩრდილო კავკასიაში დისლოცირებული რუსეთის არმიის ქვედანაყოფებით, ამასაც არ დასჯერდა და მათ სანგრებისა და ბლინდაჟების თხრა დააწყებინა სამაჩაბლოში. დამეთანხმებით, რომ ეს მით უფრო დამაფიქრებელია, რადგან ამ ფორმირებებში ძირითადად ჩრდილოკავკასიელები მსახურობენ... რისი თქმა სურს ამით მოსკოვს ან რისი მიღწევა?**

— საქართველოს მიერ დეკლარირებულ მისწრაფებას ნატოში გაწევრებისთვის უკიდურესად აგრესიული რეაქცია მოჰყვა რუსეთის ხელისუფალთა მხრიდან. ამასთან, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს „ქორები“ მიიჩნევენ, რომ მათ გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს კოსოვოში და დღეს საკმაოდ დიდ გულზე არიან. აქედან გამომდინარე, მათ გადაწყვიტეს ნატოსთან დაპირისპირების გაგრძელება ისეთ პერიფერიულ რეგიონში, როგორიც კავკასიაა, მით უმეტეს, რომ აზერბაიჯანი და საქართველო არაორაზროვნად აცხადებენ თავიანთ განზრახვას, ადრე თუ გვიან, გახდნენ ნატოს წევრები... ამიტომ თუ, ვთქვათ, დღეს აფხაზეთში ბლინდაჟებიცა და ტრანშეებიცაა გათხრილი, დანაღმულია ველები და ყველაფერი მომზადებულია ომისათვის, სამაჩაბლოში ახლა აკეთებენ ამას და ამით მოსკოვს სურს აჩვენოს, თუ ვინ არის ვითარების ბატონ-პატრონი.

რაც შეეხება ჩრდილო კავკასიაში დისლოცირებული რუსეთის 58-ე არმიის ქვედანაყოფების შემოყვანას სამაჩაბლოში, აქ ერთი გარემოებაა საგულისხმო: ცნობილია, რომ ჯავახეთში არსებული რუსეთის სამხედრო ბაზის პირადი შემადგენლობის უდიდეს ნაწილს ადგილობრივი სომეხი მოსახლეობის წარმომადგენლები შეადგენენ. ასეთივე საარმიო ნაწილი არსებობს მაიკოპში, რომელიც ასევე დაკომპლექტებულია ადგილობრივი მოსახლეობით, ანუ ადიღეელებით. არადა ეს ის კონტინგენტია, რომელიც აფხაზეთში ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა ჩრდილო კავკასიის კონფედერაციის ჯარების შემადგენლობაში. ზუსტად იგივე სიტუაციაა ამჟამად სამაჩაბლოშიც. იქაც 58-ე არმიის ნაწილია ჩასული, რომლის პირადი შემადგენლობის უდიდესი ნაწილი ჩრდილოკავკასიელებითაა დაკომპლექტებული...

**— ოსი ეროვნების სამხედრო მოსამსახურეთა რა პროცენტია ამ ქვედანაყოფში?**

— ოსების პროცენტი მაღალი არ არის, მაგრამ ძალიან დიდია ოსების რაოდენობა ამ არმიის პრაპორშჩიკთა, ანუ უმცროს მეთაურთა შემადგენლობაში. ამასთან, ამ პრაპორშჩიკ ოსებში ძალიან ბევრია სამხრეთ ოსეთიდან ნასული ადამიანი, რომლებმაც სხვა საქმე ვერ ნახეს. პრაპორშჩიკობა კი ძალიან მიმზიდველია მათთვის, რადგან, მოგეხსენებათ, ეს სამხედრო მოსამსახურეები ძირითადად სამეურნეო საქმიანობით არიან დაკავებულნი... ამიტომაც, ოსები მასობრივად მოეწყვნენ ამ პოსტებზე. აი, ასეთი ვითარებაა და სამაჩაბლოში ბლინდაჟების თხრა არის მორიგი დემარში მოსკოვის მხრიდან, რაზეც, სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში დაგვიანებით ვაძლევთ რეაგირებას.

**— და ეს დაგვიანებული რეაგირებაც, რაც ამა თუ იმ საპროტესტო ნოტით გამოიხატება, მაპატიეთ და, როგორც წესი, ფეხებზე ჰკიდია მოსკოვს, პასუხის ღირსადაც არა გვთვლის...**

— ეტყობა, ჯერ არ არის საჭირო მკაცრად აფიშირება შექმნილი ვითარებისა. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ სამაჩაბლოში შემოსული კონტინგენტი არ არის სამშვიდობო ჯარის შესაბამისი ფორმირება. მათ არავითარი გამოცდილება არა აქვთ სამშვიდობო პროცესისა და მეტიც, ამ ჯარში არის განსაკუთრებული დანიშნულების ფორმირება, რომელიც უკეთ არის მომზადებული. ცოტა „სხვა ფუნქციების“ შესასრულებლად, ვიდრე სამშვიდობო მისიისთვის...

**— და ეს „სხვა ფუნქცია“, რა თქმა უნდა, ომია!**

— რასაკვირველია... ამ ჯარს, პროპაგანდისტული მოსაზრებიდან გამომდინარე, ისეთი ამოცანა დაუსახეს, რომ პირადი შემადგენლობა დარწმუნებულია — საქართველოში ნატოს სვლის შეჩერების საზღვარი არის... ცხინვალის მისადგომები(!). ეს იმას ნიშნავს, რომ უაღრესად სერიოზულ ვითარებასთან გვაქვს საქმე, მით უმეტეს, რომ ნატოს საკითხის პარალელურად მოსკოველ „ქორებს“ ასევე აღიზიანებთ ქართულ-ოსური ურთიერთობების გაუმჯობესების სასიკეთო პროცესი, რის შეჩერებასაც ცდილობენ. ამიტომ, საქართველომ უნდა აამოქმედოს მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი, უწინარესად, მესამე ქვეყნების ფაქტორი, რათა მათი საშუალებით მოხდეს ძლიერი ზეწოლა მოსკოვზე. წინააღმდეგ შემთხვევაში საბოლოოდ „დაგვაჯდებიან თავზე“...

**— ზემოთქმულის ფონზე, მოდით იმ პრობლემებსაც შევეხოთ, სადაც, მართლაც რომ მაგრად „დაგვაჯდნენ თავზე“, ვგულისხმობ, ადამიანთა მოტაცების ამაზრზენ მოვლენას. ფაქტობრივად, რაღაც ლეკიანობის მსგავს სინდრომთან გვაქვს საქმე. აგერ, უკვე გორშიც იტაცებენ ხალხს...**

— მარტო გორში კი არა, თბილისშიც იტაცებენ ადამიანებს და ჩრდილო კავკასიაში გადაჰყავთ! ეს არის უდიდესი ტრაგედია. თუ ცხინვალის რეგიონში შექმნილი ვითარებისადმი ჩვენი ხელისუფლების ფრთხილი პოზიცია გასაგებია ჩემთვის, ადამიანთა მოტაცებისადმი მათ და სამართალდამცავთა პასიური დამოკიდებულება, სრულიად გაუგებარია. თუ გასულ წელს 2-3 კაცი გვყავდა გატაცებულ-დაკარგული, თანაც ისეთი ადამიანები, რომლებსაც რაღაც ვალი ჰქონდათ გასასტუმრებელი, დღეს უკვე 25 კაცამდეა გატაცებული. ეს ის ხალხია, რომელთა ახლობლებმა ოფიციალურად გვაცნობეს, მაგრამ ის გატაცებულები ცალკე არიან დასათვლელნი, რომელთა შესახებ არ განუცხადებიათ. გატაცებულთა შორის არიან გიგა ზაალიშვილის მსგავსი კატეგორიის მძევლებიც, ბენზინმზიდების მძღოლებიც, ხელოსნებიც და ერთი ყოფილი რაიკომის მდივანიცაა. მათ გამოსასყიდად დიდ თანხებს ითხოვენ. იყო შემთხვევა, როცა ერთი ინგუში, რომელსაც ჩეჩნების ვალი ჰქონდა, ადგა და ამ ვალის „გასასტუმრებლად“ თავისი მეგობარი ქართველი ჩააბარა ჩეჩნებს! თითქმის ყველა გატაცებულის კვალი ჩეჩნეთში მიდის, „შუამავლობას“ ინგუშები სწევენ. საოცარი კი ის არის, რომ ეს გამტაცებლები გროზნოდან რეკავენ თბილისში, მძევლების ოჯახებში გამოსასყიდ თანხაზე სავაჭროდ და რეკავენ ერთი და იმავე ტელეფონიდან. ნუთუ რთულია ჩვენი სამართალდამცავებისათვის დაამყარონ კონტაქტი ჩეჩენ სამართალდამცავებთან, რათა მათ მიმართონ რაღაც ზომებს!

**— რამდენადაც ცნობილია, ეს საქმე თქვენს კომპეტენციაშიც შედის?**

— მე მაქვს ინტენსიური კონტაქტები ინგუშეთისა და ჩეჩნეთის სამართალდამცავებთან, ვცდილობ და ვაკეთებ კიდეც რაღაცას, მაგრამ, ვითარება რადიკალურად არ იცვლება. არ მრცხვენია ამის თქმა, მაგრამ როგორც ჩანს, ამ პრობლემის აღმოფხვრას არ ყოფნის ჩემი დონე. უნდა ჩაერიონ მაღალი ეშელონების წარმომადგენლები. განგაშია ასატეხი, რომ ამდენი ადამიანი იკარგება და ხელისუფლება ვერაფერს ვერ აკეთებს. ამასთან, როცა რაიმე კრიტიკულს ვამბობ, მიკიჟინებენ — არეშიძე ქულებს იწერსო...



**— ვინ გიკიჟინებთ, სამართალდამცავები?**

— დიახ. არადა რა ქულები უნდა დავიწერო? მაგალითად, პანკისის ხეობაში, კერძოდ, დუისში რომ ჩეჩნური წარმოების დაბალი ხარისხის ჰეროინი იყიდება, გრამი 70 ლარად, ხოლო მაღალი ხარისხისა 100 ლარად, ეს იცის ბავშვმაც, ამ ფონზე კი სამართალდამცავები არაფერს აკეთებენ, რა უნდა ვიფიქრო? კი ბატონო, შეიძლება ვთქვათ, რომ ვერ შედიან პანკისის ხეობაში, მაგრამ თბილისიდან რომ მანქანების ქარავანი მოძრაობს დუისისკენ და უკან, ანუ იქ ყიდულობენ ჰეროინს დიდი პარტიებით და დაუბრკოლებლად ბრუნდებიან დედაქალაქში, რას ნიშნავს ეს? აღნიშნული მანქანები ხომ იმ ტრასაზე მოძრაობენ, რომელსაც სამართალდამცავი ორგანოები აკონტროლებენ? ე.ი. ზოგიერთი სამართალდამცავი, როგორც ამ ნარკობიზნესის მფარველი, ჩართულია ამ საქმეში და იმდენად სერიოზულად, რომ მათი კვალი თბილისში მოდის! დღემდე ერთი გრამი ჰეროინი 100 დოლარი ღირდა, ახლა კი 70-100 ლარია. რაშია საქმე? რატომ დაეცა ფასი? იმიტომ, რომ რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა შეიძინოს და მეტი ხალხი ჩავიდეს პანკისის ხეობაში! ეს ყველაფერი კი, ხდება სამართალდამცავი ორგანოების ცხვირწინ. ხოლო, როცა ხმას ვიღებ ამის შესახებ, გამოხტება ვიღაც ჟურნალისტი ან თანამდებობის პირი და გაიძახის — არეშიძე განგებ ქმნის პანიკას ქულების დასაწერადო! იგივე ეხება ადამიანთა გატაცებასაც. ყველაფერი ეს კი, მიანიშნებს იმაზე, რომ სახელმწიფო არის სუსტი, მე კი არ მინდა სუსტი იყოს. ამიტომ, როცა გაიძახიან, მოტაცებული გიგა ზაალიშვილი თვითონ არის დამნაშავეო, არა აქვს ამას მნიშვნელობა, რადგან შენ, როგორც სახელმწიფოს, უკვე ჩაგაფურთხეს სულში, ხოლო თუ სახელმწიფო ხარ, ზაალიშვილს მთელი ჩეჩნეთის ვალიც რომ ჰქონდეს, ყველაფერი უნდა გააკეთო მის გასათავისუფლებლად, რადიკალური ზომები უნდა მიიღო ნარკომაფიის აღმოსაფხვრელად. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო არა ხარ და არც მე არა ვარ ღირსი, ვიყო პარლამენტის დეპუტატი!

**— საკმაოდ მწვავე განცხადებებს აკეთებთ როგორც საკუთარი თავის, ისე ხელისუფლების მისამართით და, როგორც ჩანს, მართლაც ვერ არის საქმე კარგად, ამ შემთხვევაში იმ სფეროშიც, რომელშიც თქვენ მოღვაწეობთ...**

— სახელმწიფო ვერ იცავს თავისი მოქალაქეების თავისუფლებასა და ღირსებას! გატაცებული ადამიანების მშობლებს ერთ-ერთი ძალოვანი სტრუქტურიდან აგზავნიან ჩემთან და ეუბნებიან — მამუკა არეშიძე მოგხედავთო... კი ბატონო, რაც შემიძლია ვაკეთებ და გავაკეთებ. შემიძლია ტელეფონით ვრეკო, ჩავიდე ჩრდილო კავკასიაში, დავადგე თავზე, ნამუსზე შევაგდო და კავკასიური ძმობა-მეგობრობა შევახსენო, რაც, სხვათა შორის, ამას წინათ მოხდა კიდეც, როცა ქართველი მძევლების გათავისუფლების ოპერაციას ხუთი ჩეჩენი შეეწირა. მეტი რა ვქნა? ამიტომ, ჩემს ოპონენტებს, რომლებიც „ქულების დაგროვებას“ მიკიჟინებენ, ვუცხადებ შემდეგს: ხედავთ, რომ მოსკოველი „ქორები“ უკვე სანგრებს თხრიან სამაჩაბლოში; ხედავთ, რომ საქართველო ნარკომაფიის სატრანზიტო ქვეყნად გადაიქცა; ხედავთ, რომ ყველა ბანდიტი და ყაჩაღი, ვისაც არ ეზარება, ჩვენს მოქალაქეებს ისე იტაცებს და გადაჰყავს კავკასიონის გადაღმა, რომ ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ ვუწევთ და რაც მთავარია, საქართველოში გახსნილ თურქულ სკოლებში ისეთ რამეს ასწავლიან, რომლის აზრზედაც არა ხართ და ა.შ. ეს კი ან თქვენს აბსოლუტურ უუნარობაზე მიუთითებს, ან ინფორმაციის არქონაზე, რაც უწინარესად, თქვენი პრობლემა უნდა იყოს...

**ხედავთ, რომ მოსკოველი „ქორები“ უკვე სანგრებს თხრიან სამაჩაბლოში; ხედავთ, რომ საქართველო ნარკომაფიის სატრანზიტო ქვეყნად გადაიქცა; ხედავთ, რომ ყველა ბანდიტი და ყაჩაღი, ვისაც არ ეზარება, ჩვენს მოქალაქეებს ისე იტაცებს და გადაჰყავს კავკასიონის გადაღმა, რომ ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ ვუწევთ და რაც მთავარია, საქართველოში გახსნილ თურქულ სკოლებში ისეთ რამეს ასწავლიან, რომლის აზრზედაც არა ხართ.**

**— თურქული სკოლები ახსენეთ, რომელთა ირგვლივ ბევრ ქვეყანაში დიდი აჟიოტაჟი ატყდა... საქართველოს გარდა! ეს ფაქტიც დამაფიქრებელი და მრავლისმეტყველია...**

— საქართველოში ოთხი თურქული სკოლაა, რაც თავისთავად, არ არის ცუდი, თუ იქ სასწავლო პროცესს სახელმწიფო გააკონტროლებს. ასეთი სკოლები ათასობითაა მსოფლიოში თურქი მილიონერის ფაჰთი გიულამის ძალისხმევით, რომელიც დღემდე ითვლებოდა თურქული საგანმანათლებლო პოლიტიკის აპოლოგეტად, ათათურქის მიერ დამკვიდრებული ფასეულობების გამტარებლად. ეს ის კაცია, რომელიც ლობირებდა თურქული უნივერსიტეტის გახსნას ბაზალეთზე... და აი, 20 ივნისს თურქეთის ტელევიზიით უჩვენეს ვიდეომასალა, სადაც ჩანს, რომ გიულამი არის ისლამისტური ფუნდამენტალიზმის ერთ-ერთი მამამთავარი თურქეთში. ამან შოკი გამოიწვია ქვეყანაში და გენერალიტეტის რისხვაც! გაირკვა, რომ გიულამის საგანმანათლებლო სისტემის სკოლები არა მარტო საგანმანათლებლო დაწესებულებებია, არამედ ეს არის ისლამური ფუნდამენტალიზმის მომავალი გავრცელების სავარაუდო საყრდენი. აი, ამ ფონზე, 25 ივნისს, პრეზიდენტმა ქარიმოვმა უზბეკეთში 12 თურქული სკოლა დახურა, ხოლო საკუთრივ თურქეთში სისხლის სამართლის საქმე აღძრეს გიულამისა და მისი „საგანმანათლებლო სისტემის“ წინააღმდეგ. საქართველოში კი არხეინად ვართ?! გიულამის ერთი სკოლა აფხაზეთშიც მოქმედებს.

**— „არხეინად ყოფნა“, ალბათ, დამადასტურებელია თავის დროზე მოარული ხმებისა, რომ თურქული სკოლების გახსნის ლობირებაში ქართველმა ჩინოვნიკებმა დიდი ქრთამი აიღესო...**

— არ ვიცი, ვის რა აქვს აღებული, მაგრამ თუ ქრთამი აქვთ აღებული, ჩუმად იქნებიან, აბა, სხვა რა გზა აქვთ? ძალიან მიკვირს გურამ მამულიასი, რომელიც დღემდე თავგამოდებით იცავს თურქული უნივერსიტეტის გახსნის იდეას... არადა, არავინ არ იცის, რომ ეს თურქული უნივერსიტეტი უკვე შეიქმნა გლდანში, ხუთოთახიან „აპარტამენტში“ და „შესანიშნავად“ ფუნქციონირებს... ვიმეორებ, უნდა დაარსდეს სკოლებიც და უნივერსიტეტებიც, მაგრამ სასწავლო პროცესს ჩვენ უნდა ვაკონტროლებდეთ. ამ საქმეშიც, ისევე როგორც, ზემოთ ხსენებული პრობლემების გადაწყვეტაში, სახელმწიფო უნდა იყოს თავის სიმაღლეზე.

**— გმადლობთ.**

*ზურაბ მჭედლიშვილი*

GWC
GoodWillComm გუდვილკომი
სიახლე! 8-14...
გუდვილკომი გთავაზობთ საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო მომსახურების ახალ სერვისს ახალი ფასებით:

| | ჩვეულებრივი | ფასდაკლება |
|---|---|---|
| რუსეთი | 0.60 | 0.50 |
| დსთ-ის ქვეყნები | 1.20 | 1.00 |
| აშშ-ევროპა | 1.35 | 1.15 |
| ლათინური ამერიკა | 1.70 | 1.40 |
| აზია-აფრიკა | 2.20 | 2.00 |
| ინმარსატი | 19.0 | 17.0 |

ფასები მოცემულია ლარებში დღგ-ს ჩათვლით
ფასდაკლება მოქმედებს ყოველდღე 20:00-დან 8:00-მდე, შაბათ-კვირას და უქმე დღეებში
დაინტერესდით?!
*8-14+ქვეყნის კოდი+ქალაქის კოდი+აბონენტის ნომერი
ისარგებლეთ
მის: ვაჟა-ფშაველას №41 თბილისი 370077
ტელ: (995-32) 536-625 ფაქსი: (995-32) 536-624

# წმინდა მოციქულთა თავთა პეტრეს და პავლეს ხსენების დღე


12 ივლისი, ორშაბათი

წმინდა მართლმადიდებელი ეკლესია წელიწადში ოთხგზის აღნიშნავს მრავალდღიან მარხვას, რომელთა შორის ერთ-ერთი არის პეტრეპავლობა.

მაცხოვარს ამაღლების შემდეგ მრავალი მიმდევარი და აღმსარებელი გამოუჩნდა, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ წმინდა პეტრე და პავლე მოციქულები: პეტრე, სარწმუნოების სიმტკიცით, ხოლო პავლე – ზღვა სიყვარულით. ეს არის ის ორი სათნოება, რომელზეც დამყარებულია ქრისტიანული სჯული, წმინდა ეკლესია და იგი საფუძველია ადამიანის ცხონებისა.

წმინდა პეტრე მოციქული, წარმოშობით ებრაელი, იყო ძმა ანდრია პირველწოდებულისა, რომელიც მაცხოვრის ერთ-ერთი უსაყვარლეს მოწაფედ ითვლებოდა. ერთხელ ქრისტემ მოწაფეებს ჰკითხა: „თქუენ ვინ გგონიე მე ყოფად?“ პეტრემ უთხრა: „შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისაი“. ამ სიტყვებზე უფალმა მიუგო: „შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაი ჩემი, ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას.“

მაცხოვრის ჯვარცმამდე, ადამიანური სისუსტის გამო, პეტრემ სამგზის უარყო იგი, მაგრამ მოგვიანებით ღვთის სიტყვის მხურვალე მქადაგებელი და ხალხის ერთგული მწყემსი შეიქნა. მან იქადაგა ქრისტიანობა რომში, მცირე აზიაში, ეგვიპტეში, საბერძნეთში, ესპანეთსა და ბრიტანეთში. პეტრე მოციქული, იმის გამო, რომ არ თვლიდა თავს ღირსად მაცხოვრის მსგავსად წამებულიყო, თავდაყირა აცვეს ჯვარს რომში, იმპერატორ ნერონის დროს.

წმინდა მოციქული პავლეც ეროვნებით ებრაელი იყო, რომის მოქალაქე. თავდაპირველად, ძლიერ სძულდა ქრისტიანობა და თანაუგრძნობდა მათ მტანჯველებს. ერთხელ, ქრისტიანთა დასატყვევებლად მიმავალმა ზეცად სინათლე იხილა და მოესმა ხმა: „საულ, საულ, რაისა მდევნე მე?“ მან ჰკითხა: „შენ ვინ ხარ, უფალო?“ ხმამ უპასუხა, – „მე ვარ იესუ, რომელსა შენ მდევნი“.

ამის შემდეგ ქრისტიანთა სასტიკი მდევნელი საელე უფლის მტკიცე აღმსარებელ პავლედ იქცა და სხვა მოწაფეებისგან გამოირჩეოდა მრავალი ტანჯვა-წამების ატანის უნარით. პავლე მოციქულს თავი მოჰკვეთეს რომში 67 წელს.

უფლის სათნომყოფელ პეტრეს და პავლეს წმინდა ეკლესიამ „თავნი მოციქულთანი“ უწოდა.

*ანა ჩხეიძე*

TIELI თელისი TIELI
აცხადებს საქველმოქმედო (უფასო) მიღებას დღისა და დაუსწრებელი სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:
1. სამართალმცოდნეობა;
2. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები;
3. ჟურნალისტიკა;
4. უცხო ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული).
საბუთები მიიღება ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 11-17 სთ-მდე
მის: თბილისი, ფალიაშვილის №42 (57-ე საშ. სკოლა)
☎: 25-15-61; 32-55-86; 899-57-91-74
რუსთავი, მაჩაბლის №3, (№7 საშ. სკოლა)
☎: 12-51-13; 12-94-83; 899-57-91-74

# დეპუტატებმა ხელფასები მოიმატეს...

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ხელისუფალნი ბიუჯეტის დეფიციტზე განუწყვეტლივ წუწუნებენ და ამას წინათ ბიუჯეტი 16 მლნ ლარით შეკვეცეს...

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობას თვეობით ხელფასებს არ აძლევენ და პენსიონერებიც 12 ლარიან პენსიას მოუთმენლად ელიან...

მიუხედავად იმისა, რომ ქუჩაში მათხოვრების რიცხვი დღითი დღე იზრდება...

ჩვენმა ღვაწლმოსილმა პარლამენტარებმა მაინც გამონახეს საშუალება საკუთარი ხელფასების გასაზრდელად. როგორც „კვირის პალიტრისთვის“ გახდა ცნობილი, 1999 წლის 1 ივლისიდან დეპუტატები დაახლოებით 100 ლარით მეტ ხელფასს აიღებენ, ანუ ივნისის ბოლოს, პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს პარლამენტის წევრის შრომის ანაზღაურების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლის მიხედვით, პარლამენტარების ხელფასების განაკვეთები შემდეგნაირად განისაზღვრა:

1. პარლამენტის თავმჯდომარე — 290 ლარი;
2. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი — 270 ლარი;
3. პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარე, საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე — 250 ლარი;
4. პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, საპარლამენტო ფრაქციის მდივანი — 235 ლარი;
5. პარლამენტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე — 230 ლარი;
6. პარლამენტის წევრი — 220 ლარი.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ხელფასის მიხედვით განისაზღვრება პრემიები და დეპუტატთა ხელფასის ყოველთვიური დანამატები, ჩვენი კანონმდებლები ანაზღაურებას არ უნდა უჩიოდნენ. როგორც ამბობენ, მათ სიბერეზეც იზრუნეს: მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც საქართველოს ყველა მოქალაქე, რომელიც ერთხელ მაინც იყო ან იქნება პარლამენტის დეპუტატი (თუნდაც ექვსი თვის განმავლობაში), მიიღებს პარლამენტის წევრის ხელფასის ოდენობის პენსიას.

*მარინა მამისაშვილი*

WWW.MANTEX.CAUCASUS.NET
MANTEX Computers მანტექსი
კომპიუტერული ტექნიკა
პროფესიული ხარისხის კომპიუტერული სისტემები
პორტატული კომპიუტერები (Notebooks)
პროფესიული ვიდეო და აუდიო პლატები
პრინტერები, სკანერები და ასლგადამღებები
კომპიუტერული ტექნიკის რემონტი და მომსახურება
საბუღალტრო პროგრამები ინდივიდუალური შეკვეთით
კომპიუტერული გრაფიკა და ანიმაცია
ლაზერული პრინტერები და ფაქსები
brother
Intel
AMD
ASUSTeK
3Dlabs
MATROX
Diamond
nVidia
LG
brother
HP
SONY
miro
DPS
Event
MOTU



თბილისი, ჭავჭავაძის 5. ტელ: 252848; ფაქსი: 233510

brother
HL P2000
Multifunction Printer
კომბაინი



ბრაზერის ერთადერთი ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში გთავაზობთ: Brother HL P2000-ს
ლაზერულ პრინტერს, კოპიერს, სკანერს ერთად
PRINT
Up to 10ppm
True 600x600 dpi
Windows and DOS
Network option
Starting Paper Path Technol.
Low Runing costs
COPY SCAN
Photo/ text copy mode
Auto doc. feed
50-200% Zoom functions
Up to 600 dpi interpolated
Xerox OCR software
Twain compatible
ფასი 470 — ლარი
კომპიუტერები, პრინტერები და მრავალი სხვა...
ვაჟა-ფშაველას 16-ში: ტელ: 939103; 370235

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რა „უჭირავს" ღარიბაშვილს?!

გამართლდა „კვირის პალიტრის" წინა ნომერში გამოთქმული ჩვენი ვარაუდი — ვაკე-საბურთალოს რ-ნის სასამართლომ ადვოკატ ქართლოს ღარიბაშვილის სასარჩელო განცხადება უსაფუძვლოდ მიიჩნია.

შეგახსენებთ, რომ ადვოკატმა ქართლოს ღარიბაშვილმა 1999 წლის 25 ივნისს სარჩელი შეიტანა ვაკე-საბურთალოს რ-ნის სასამართლოში. მისი აზრით, „კვირის პალიტრის" №22-ში გამოქვეყნებული პუბლიკაცია, „ტერაქტის თანამონაწილედ ქართლოს ღარიბაშვილიც დასახელდა", საგანგებოდ მომზადდა მისი, როგორც მოქალაქის, ადვოკატის, პატივისა და ღირსების განზრახ დასამცირებლად. ყოველივე ამის გამო იგი ითხოვდა ჟურნალისტ მარინა მამისაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას 261-ე მუხლით და 138-ე მუხლით პასუხისგებაში მიცემას.

ვაკე-საბურთალოს რ-ნის მოსამართლე ლელა კალიჩენკომ აღნიშნულთან დაკავშირებით გამოიტანა დადგენილება, რომელშიც აღნიშნულია: „შევისწავლე რა ქ. ღარიბაშვილის განცხადება ჟურნალისტ მ. მამისაშვილის განმარტება და გაზეთ „კვირის პალიტრის" 1999 წლის 31 მაისის 6 ივნისის 22/215 ნომერში გამოქვეყნებული პუბლიკაცია სათაურით, „ტერაქტის თანამონაწილედ ქართლოს ღარიბაშვილიც დასახელდა", მიმაჩნია, რომ გამომდინარე საქართველოს სსსკ 28-ე მუხლის პუნქტიდან, სისხლის სამართლის საქმე არ უნდა აღიძრას დანაშაულის შემთხვევის არარსებობის გამო.

საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ სტატიის ავტორის, ჟურნალისტ მ. მამისაშვილის ქმედება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ 138-ე მუხლით, ვინაიდან არ არსებობს შეურაცხყოფა, ე.ი. პიროვნების პატივისა და ღირსების განზრახ დამცირება, გამოხატული უწესო ფორმით.

**დავადგინე:**

*არ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე ჟურნალისტ მარინა მამისაშვილის მიმართ, საქართველოს სსკ 138-ე მუხლით, მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო".*

# ...არ მესროლო, ბიჭო...

29 ივნისს, რესტორან „თამარიონის" ეზოში, დაახლოებით ღამის 1 სთ-ზე ცეცხლსასროლი იარაღით ყველას თვალწინ მოკლული ნიკა უჩანეიშვილის მკვლელის ვინაობა გამოძიებას ჯერ კიდევ არა აქვს დადგენილი. განზრახ მკვლელობის ბრალდება, რომელიც მთავარმა სამხედრო პროკურატურამ „ანგლო-ოილის" პრეზიდენტის ლევან პირველის პირადი დაცვის თანამშრომელს, 28 წლის გიორგი რჩეულიშვილს წაუყენა, შესაძლოა, თავდაყირა დადგეს. კვირის ბოლოს დაზარალებულის ოჯახის ადვოკატმა გულიკო გაბაიძემ სკანდალური განცხადება გააკეთა — მისი თქმით, მკვლელი თავად ლევან პირველია.

... იმ საღამოს ნიკა უჩანეიშვილი და მისი თანაკურსელები რესტორან „თამარიონში" სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრებას აღნიშნავდნენ. რესტორნის ეზოს ღია სალონში ლევან პირველი ქეიფობდა — მას ახლდნენ: ორი ავსტრიელი გოგონა, „თბილკრედიტბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე თედო ჟორჟოლიანი, ბანკის გამგეობის თავმჯდომარე დავით ბუაძე, ნიკოლოზ კვანჭიკაძე, გიორგი ფალავა და პირადი მცველი გიორგი რჩეულიშვილი. ორივე მხარე ნასვამი იყო. „თამარიონის" ეზოში ორკესტრი უკრავდა. როგორც ამბობენ, ნიკა უჩანეიშვილი და მისი ერთი მეგობარი მომღერლებთან ერთად მღეროდნენ. გამომძიებელ ირაკლი შელიას თქმით, ჩხუბის საბაბი ავსტრიელ გოგონებზე თვალის გაყოლება გახდა. თუმცა, მკვლელობაში ბრალდებულის, გიორგი რჩეულიშვილის ადვოკატი თემურ გოქსაძე ამ ამბავს სხვაგვარად ყვება: „როგორც ირკვევა, იქ ავსტრიელი გოგონას გაუპატიურების მცდელობას ჰქონდა ადგილი. მე როგორც ვიცი, ერთ-ერთს ტუალეტისკენ ექაჩებოდნენ. შეიძლება მეორე მხარეს ეს ნათქვამი არ მოეწონოს, მაგრამ... აი, ამან გამოიწვია დანარჩენი..."

ტრაგედიის დროს „თამარიონის" ეზოში ნიკა უჩანეიშვილის ორი თვის ფეხმძიმე ცოლი იჯდა. გარდაცვლილი მარცხენა ხელით ინვალიდი იყო. რესტორნის თანამშრომლის თქმით, ერთ-ერთმა ახალგაზრდამ, გვერდით ჩავლისას, ავსტრიელ გოგონას საჯდომზე ხელი წამოარტყა, რაც ჩხუბის მიზეზი შეიქნა. ძიძგილაობა 2-3 წუთს გაგრძელდა. ჩხუბი კი თავად ლევან პირველმა წამოიწყო, რასაც ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება მოჰყვა. მეორე მხარემ გაქცევა სცადა, მაგრამ...

**მაია ნიკოლეიშვილი** (დამოუკიდებელი ექსპერტი): „ჩემი ჩარევის მიზეზი ექსპერტების არაერთგვაროვანი აზრი გახდა. როგორც ჭირისუფალმა მითხრა, ერთნი ამბობდნენ, ტყვია ზურგიდან არის ნასროლიო, მეორენი კი პირიქით ამტკიცებდნენ. ამის გარკვევას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან წინიდან ნასროლი შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც აუცილებელი მოგერიება. ექსჰუმაციის შემდეგ კი ეს ინფორმაცია დაიკარგებოდა. შევისწავლე კანის პრეპარატი. ზურგის მიდამოში აღენიშნება ცეცხლნასროლი დაზიანება, რომელიც ატარებს შემავალი ხვრელის მორფოლოგიურ ნიშნებს, ანუ ზურგიდან არის ნასროლი. ნიკაპზე არის კანის ნახეთქი, რომელიც არ წარმოადგენს არც შესავალ და არც გამოსავალ ხვრელს. რა შეიძლება იყოს, მე ამ საკითხზე პასუხის გაცემა არ მინდა. ეს უნდა თქვას გამომძიებელმა და შემდეგ ან დავუდასტურებ, ან გამოვრიცხავ."

როგორც ირკვევა, ერთი ცეცხლნასროლი დაზიანება აქვს ნიკა უჩანეიშვილის ერთ-ერთ მეგობარსაც მხარის მიდამოში, მეორეს — მარჯვენა თვალის ირგვლივ, ამ უკანასკნელს უთქვამს, ლითონის საგანი (იარაღის ტარი) დამარტყესო. გაქცევის მომენტში უჩანეიშვილს უყვირია, — არ მესროლო, ბიჭო, ფეხმძიმე ცოლი მყავსო... ნიკა უჩანეიშვილი ადგილზე გარდაიცვალა.

შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ერთი ტყვიის გულა და მასრები.

ექსპერტიზის პასუხი — რა ტიპის იარაღიდან იყო ნასროლი, ჯერჯერობით, დადგენილი არ არის, თუმცა, გავრცელდა ხმები, რომ ეს „ზიგ-ზაუერის" ტიპის იარაღი იყო.

საქმეზე თავდაპირველად, სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) გიორგი რჩეულიშვილი დააპატიმრეს. იგი ჩვენებებს არ იძლევა და დუმილის უფლებას იყენებს.

ადვოკატი **თემურ გოქსაძე**: „მე არ ვიცი, ვისი იარაღით არის მოკლული, მაგრამ ფაქტია, რომ რჩეულიშვილმა ჰაერში ისროლა და ეს დაფიქსირებულია. ბრალდება რჩეულიშვილის მიმართ უსაფუძვლოა და მოსამართლემ მისი დაპატიმრების სანქცია არასწორად გასცა. რჩეულიშვილი იარაღის გამოყენების მომენტში თავის მოვალეობას ასრულებდა — იგი ლევან პირველის პირადი მცველი იყო..." აღსანიშნავია, რომ რჩეულიშვილის მიერ უჩანეიშვილის მოკვლას თვითმხილველებიც უარყოფენ.

პირველსავე დღეებში მოწმის სახით დაიკითხა გავლენიანი ბიზნესმენი, „ანგლო-ოილის" პრეზიდენტი ლევან პირველიც. იგი ხულიგნობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით დააკავეს. თუმცა, ისნის რაიონის სასამართლომ მისი დაპატიმრების სანქცია არ გასცა და ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილით გაათავისუფლა.

გამომძიებელმა **ირაკლი შელიამ** „კვირის პალიტრას" განუცხადა, — მოსამართლის ეს გადაწყვეტილება საოლქო სასამართლოში გავასაჩივრეთ, მაგრამ ჯერ არ განუხილავთო.

ამასობაში კი მოვლენები ლევან პირველის საწინააღმდეგოდ განვითარდა. გარდაცვლილის მეუღლემ, ვიკა უჩანეიშვილმა ტელევიზიით ნაჩვენებ კადრებში ქმრის მკვლელი ამოიცნო — მისი განცხადებით, ეს იყო ლევან პირველი. ადვოკატ გულიკო გაბაიძის თქმით, ვიკამ თვითონ დაინახა, ლევან პირველმა როგორ დახარა ოდნავ ქვევით ხელი და პისტოლეტის ლულა დაუმიზნა მის ქმარს.

როგორც „კვირის პალიტრისთვის" ცნობილი გახდა, გამოძიებამ ხელახლა დაკითხა დაზარალებული მხარე. ნიკა უჩანეიშვილის მამის, თენგიზ უჩანეიშვილის განცხადებით, გამოძიებას მათ ხელთ არსებული ყველა დეტალი წარუდგინეს. მისი თქმით, უკვე სურათი ნათელია, რომ იქ სასაკლაო იყო მოწყობილი, ფიგურირებდა რამდენიმე იარაღი და გამოძიება მხოლოდ საპროცესუალო საკითხებსღა აგვარებს.

სავარაუდოა, რომ ამ დღეებში ლევან პირველს და მის რამდენიმე მეგობარს დააპატიმრებენ.

*მარინა მამისაშვილი*

# საცემები სხვები იყვნენ...

***პრეზიდენტი ერთხელაც არ ჩასულა კოდორის ხეობაში!***

9 ივლისს კოდორის ხეობაში მომხდარი ინციდენტი, როცა ნიღბიანმა და შეიარაღებულმა ხალხმა მძევლად აიყვანა ხეობაში ჰუმანიტარული დახმარების გაწევის მისიით თბილისიდან ჩასული დელეგაცია, მრავალმხრივი განსჯისა და დაფიქრების საბაბს იძლევა. გამოძიება, ალბათ, დაადგენს, თუ რა მიზანს ისახავდა ეს აქცია და ვინ იყვნენ თავდამსხმელები, მაგრამ ამთავითვე ერთი გარემოება ნათელია: ინციდენტის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებულის ინსტიტუტსა და აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას შორის არსებული დაძაბული ურთიერთობა. ხელისუფლებასთან დაახლოებული წყაროს ცნობით, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ კოდორის ხეობიდან ხშირად გაისმოდა მუქარა. უკანასკნელად მსგავსი განცხადება გაისმა ახლახან აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ლონდერ ცაავას მისამართით, როცა ამ უკანასკნელმა ტელევიზიით გამოსვლისას საკმაოდ მწვავედ ილაპარაკა იმის თაობაზე, რომ აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას არ აძლევენ საშუალებას, მონაწილეობა მიიღოს კოდორის ხეობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში, ანუ ხდება მათი იგნორირება და ა.შ. ამ გამოსვლის შემდეგ ცაავას დაემუქრნენ, რომ კოდორში ჩასვლაზე აღარც კი ეფიქრა, წინააღმდეგ შემთხვევაში „ცუდად იქნებოდა მისი საქმე"...

ეს ცუდი საქმე კი რეალურად განხორციელდა. თავდამსხმელებმა ყველა მძევალი გაათავისუფლეს, ხოლო ლონდერ ცაავა, აფხაზეთის გენერალური პროკურორი ანზორ ლაცუზბაია და შინაგან საქმეთა მინისტრი მამუკა ნაჭყებია გაიტაცეს და სასტიკად სცემეს. ამასთან, გატაცებულია ხეობაში ხელფასების დასარიგებლად ჩატანილი 30 ათასი ლარი, მობილური ტელეფონები.



მომხდარი ინციდენტის შესახებ, ექსკლუზიურ ინტერვიუებში ვესაუბრე **ავთანდილ მარგიანსა** და **თამაზ ნადარეიშვილს.**

**— ბატონო ავთო, თქვენი მონაცემებით, როდის დაიწყო ზემოაღნიშნული დაპირისპირება?**

— ძალიან მრცხვენია, რომ ტრადიციულად სტუმართმოყვარე ჩემს კუთხეში ასეთი ინციდენტი მოხდა. ყველაფრის თავიდათავი კი ის არის, რომ პრეზიდენტი ამ 6 წლის მანძილზე ერთხელაც არ ყოფილა კოდორის ხეობაში, მაშინ, როცა აჭარაში 100-ჯერ მაინცაა ნამყოფი, სადაც ცხოვრება ყვავის და ვითარდება. კოდორის ხეობა, რომელიც ჩვენთვის სტრატეგიულ პლაცდარმს წარმოადგენს აფხაზეთში, უპატრონოდაა მიგდებული. ამიტომ მომხდარ ინციდენტში პრეზიდენტის პოლიტიკაა დამნაშავე... ამასთან, თუ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება გვყავს, ეს ხელისუფლება უნდა დაგვესვა კოდორის ხეობაში. არავითარი სხვა ინსტიტუტი იქ არ უნდა შეგვექმნა, ხოლო თუ შექმნეს პრეზიდენტის რწმუნებულის ინსტიტუტი, კეთილი უნდა ენებათ და რწმუნებულის თანამდებობა უნდა შეეთავსებინათ აფხაზეთის ლეგიტიმური მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოსტთან! ეს არ გააკეთეს და მივიღეთ ორხელისუფლებიანობა კოდორის ხეობაში. დავიჯერო, არ იცოდნენ, რომ ეს ორხელისუფლებიანობა, ადრე თუ გვიან, ცუდად იჩენდა თავს? მომხდარი ინციდენტი სერიოზულად უნდა გაირჩეს და გაანალიზდეს. გამოვლინდნენ კონკრეტული დამნაშავეები, მაგრამ მთავარი დამნაშავე ცნობილია — ცენტრალური ხელისუფლების არასწორი პოლიტიკა! ამ პოლიტიკის მიმართ კი თავის დროზე გამოთქვა უკმაყოფილება კოდორის ხეობის უხუცესთა საბჭომ, მაგრამ ცენტრში ყურიც არ შეიბერტყეს...

**— დაპირისპირება არ არის ჩვენთვის უცხო ხილი, მაგრამ როგორ აფასებთ იმ ფაქტს, რომ ცაავა, ნაჭყებია და ლაცუზბაია სასტიკად სცემეს?**

— ვიმეორებ, რომ ძალიან მრცხვენია... მას შემდეგ, რაც ძალიან გაიბერა აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების შტატები, კოდორის ხეობის მოსახლეობამ ალბათ, შეამჩნია, მათ წარმომადგენლებს რაღაც არასასურველი ტენდენციები, თუმცა ეს არ ამართლებს ცაავას, ნაჭყებიასა და ლაცუზბაიას ცემას. საცემები სხვები იყვნენ, კერძოდ, პარლამენტის უმრავლესობის წარმომადგენლები ბარამიძის თავკაცობით, რომლებიც ამ ორიოდე წლის წინ ჩავიდნენ ხეობაში და იმდენი სისულელე მოჩმახეს, რომ ადგილობრივი მოსახლეობის დიდი გულისწყრომა დაიმსახურეს.

**— სამწუხაროდ, ისეთი ხმებიც გაისმა, რომ რამდენიმე თავდამსხმელი ემზარ კვიციანის (კოდორის ხეობის რწმუნებულის მოადგილე) ხალხიაო...**

— თუ ეს ასეა, მაშინ, ეტყობა, რაღაც კატასტროფა მომხდარა, დედამიწა გადაბრუნებულა... მსგავსი ქმედება ემზარის მხრიდან გამორიცხულია. ვფიქრობ, ინციდენტში ხელი ურევია იმას, ვინც შარშან გალში პროვოკაცია მოაწყო და სხვათა შორის, ეს არ არის რუსეთი. მსგავსი ინციდენტები არის ჩვენი რეგვენული საერთო პოლიტიკის შედეგი. დარწმუნებული ვარ, რომ გარკვეულ ძალებს აქ დიდი ცოდვები აქვთ ჩადენილი, რასაც ნოყიერ ნიადაგს უქმნის როგორც ხელისუფლების მხრიდან ხეობის პრობლემების სრული იგნორირება, ასევე ამავე ხელისუფლების მიერ დამკვიდრებული ორხელისუფლებიანობა! ცხადია, ბევრს ჰგონია, რომ კოდორის ხეობას ბევრი რამ სჭირდება, არა, ბატონო, წელიწადში 400 ტონა ფქვილი, მედიკამენტები და სახელმძღვანელოები. მეტს არ თხოულობენ. არც იარაღი სჭირდებათ. როცა ადრე დიდძალი იარაღი შეიტანეს, ამან ის გამოიწვია, რომ თუ აფხაზებისგან ხეობის დასაცავად 2 წლიან ბრძოლებში 18 კაცი დაიღუპა, შემდეგ შიდა კონფლიქტითა და გაუგებრობებით 50-მდე ადამიანი მოკლეს...

**— რა უნდა გაკეთდეს, რომ მსგავს ინციდენტებს ბოლო მოეღოს?**

— ჯერ კიდევ მაშინ, როცა მე გახლდით კოდორის ხეობაში სამთავრობო შტაბის ხელმძღვანელი, გარკვეული ძალები მუშაობდნენ, რომ ერთმანეთისთვის დაეტაკებინათ ზანები და სვანები, ანუ ერთი ძუძუთი გაზრდილი ძმები, რაც ძირშივე აღმოვფხვერი. შემდეგ იყო დივერსიული აქტები, ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ ამჟამინდელი ინციდენტიც პროვოცირებული იყოს ცენტრალური ხელისუფლების რომელიმე შტოს მიერ... საერთოდ კი კოდორის ხეობის ირგვლივ შექმნილი ვითარება არის დიდი წყლული, რომელიც უნდა ამოშრეს ამ ფაქტის საფუძვლიანად გარკვევა-გარჩევის შედეგად.



**— გმადლობთ.**

ახლა კი **თამაზ ნადარეიშვილს** მოვუსმინოთ:

— ჩვენი დელეგაცია სრული შემადგენლობით დაბრუნდა. არიან ნაცემნი და შეურაცხყოფილნი, რომლებიც 8 საათის მანძილზე ტერორის ქვეშ იმყოფებოდნენ. რაც შეეხება ტერორისტებს, შემკვეთებს, არის სხვადასხვა ვერსია და ეს ძიების საქმეა...

**— თქვენ ვისზე გაქვთ ეჭვი?**

— მე მაქვს ჩემი ვერსიები, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს... ჩვენ ვერ მოვასწარით ყველაფრის გაანალიზება, ამიტომ უფლება არა მაქვს, ვინმე დავადანაშაულო. ვიტყვი, რომ გამტაცებლების „არგუმენტები" შემდეგი გახლდათ: კოდორის ხეობა არ არის აფხაზეთი, რომ უნდა იყოს თავისუფალი სვანეთი! და რომ აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას აქ არაფერი ესაქმება.

**— ამას უკვე რამდენი ხანია ამბობენ...**

— დიახ, ადრე მალულად ლაპარაკობდნენ, ახლა კი ულტიმატუმის სახით დააყენეს ეს საკითხი. ისინი არც ჩვენს ლეგიტიმურ ხელისუფლებას სცნობენ, არც კოდორის ხეობას აფხაზეთის შემადგენლობაში.

**— ამ შემთხვევამ დაგვანახა, რომ მძაფრი დაპირისპირებაა თქვენს ხელისუფლებასა და კოდორის ხეობის რწმუნებულის ინსტიტუტს შორის. როდემდე გაგრძელდება ასე?**

— მართალი ბრძანდებით, ეს დაპირისპირება რეალურია და მისი მოგვარება რთული საკითხია, მეტიც, ამას დიდი დრო დასჭირდება.

**— გმადლობთ.**

*ზურაბ მჭედლიშვილი*

რკინის კარები, გისოსები, ჟალუზები, ავტოფარეხები ნებისმიერი ანგარიშგებით
899-50-92-92
899-57-92-92
38-83-87
37-07-78
37-46-55

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით. მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, ელ. სტიმულატორ „ინტრატონით", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არა აქვს.
მეცნიერებათა აკადემიის პოლიკლინიკა, კაბ. №20-ე (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.

იაფად და ხარისხიანად!
დაგიმზადებთ:
ფარდა-ჟალუზს; ლითონის კარს — 350 ლარი; „გარმოშკას", 1კვ.მ — 80 ლარი; ჟალუზებს, 1კვ.მ — 80 ლარი; ფანჯრის უძრავ გისოსებს, 1კვ.მ — 50 ლარი. აგრეთვე, ნებისმიერ სართულზე დაგიმონტაჟებთ აივანს, 1კვ.მ — 250 ლარი; ავტოფარეხს.
მის: მუხიანი, მე-4ა მ/რ მე-4 კორპ.
ტელ: 63-67-52; 63-53-05; 877-41-87-75

დამცავი ჟალუზები
ვიტრინები
რკინის კარები
გისოსები
ვახუშტი ბაგრატიონის ქ. №5
☎34-33-24

მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული
მუყაოს კოლოფები
გამომცემლობა «კოლორი»
☎70-76-45

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „დედა-შვილობას, ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო“...

როგორც ფართო საზოგადოებისათვის არის ცნობილი, 1921 წელს საფრანგეთში ემიგრირებულმა მენშევიკურმა მთავრობამ თან წაიყოლა ქართული განძი, რომელსაც უცხოეთში არაერთხელ დაემუქრა დაკარგვის საფრთხე. გამართლდა იმ მამულიშვილთა ეჭვები, რომელნიც წინასწარმეტყველებდნენ, რომ საფრანგეთის მთავრობა, რაიმე საბაბით შეეცდებოდა განძის მფლობელი გამხდარიყო. მალე ასეთი მოტივიც გამოინახა: „ქონება, მოთავსებული ბანკში, საქართველოს სახელმწიფოს — ე. ი. მეანაბრის მიერ, რომელიც აღარ არსებობს, შეადგენს საფრანგეთში უპატრონოდ მიტოვებულ რუსულ ქონებას“.


კოლია მელაძე

1934 წლის 8 მაისის განაჩენით, საფრანგეთის ბანკის „მარსელის“ განყოფილებაში მოთავსებული ქართული განძეულობა ფრანგი მოხელის — პიერ ჟოდონის „დროებით მმართველობას“ დაექვემდებარა, რითაც „ფაქტობრივად“ ემიგრაციულმა მთავრობამ დაკარგა ქართული განძის მესაკუთრის იურიდიული სტატუსი. ამის შემდგომ თითქმის უკვე დაკარგული განძის განმგებლად მენშევიკურმა მთავრობამ ექვთიმე თაყაიშვილი დანიშნა და მთელი პასუხისმგებლობა მისი დაკარგვის შემთხვევაში ბატონ ექვთიმეს დააკისრა. თაყაიშვილის ყოველგვარი ცდა, დაებრუნებინა საბჭოთა საქართველოსთვის ქართული განძი, ამაო გამოდგა. დიდი სამამულო ომის წლებში კი, საგანძური, რომ იტყვიან, ბეწვზე — ქართველი მამულიშვილების სიცოცხლის რისკის საფასურად გადაურჩა ფაშისტების ხელში ჩავარდნას. ალბათ საგანძურის, მთლიანად თუ არა, დიდი ნაწილი მაინც, იქნებ სამუდამოდ დაკარგული იქნებოდა საქართველოსთვის, რომ ამ საქმეში უშუალოდ იოსებ სტალინი არ ჩარეულიყო. სტალინს მეორე მსოფლიო ომის მიწურულს უდიდესი ზეგავლენა ჰქონდა მთელ მსოფლიოზე და უშუალოდ საფრანგეთის ხსნა გერმანელი ოკუპანტებისაგან მნიშვნელოვანწილად მასზეც იყო დამოკიდებული. 1944 წლის დეკემბრის თვეში თანმხლები პირებითურთ მოსკოვში ჩავიდა გენერალი დე გოლი. მისი შეხვედრები სტალინთან და მთავრობის სხვა ხელმძღვანელებთან დაგვირგვინდა საფრანგეთსა და საქართველოს შორის დადებული ორმხრივი ურთიერთდახმარების ხელშეკრულებით. სწორედ ამ შეხვედრას უკავშირებს ჩვენამდე მოღწეული სხვადასხვა მოგონებები ქართული განძის ბედს. თუმცა 1944 წლის ნოემბრის დამდეგს საბჭოთა მთავრობას უკვე მიღებული ჰქონდა დადგენილება საფრანგეთის მთავრობისაგან განძეულის გამოთხოვის თაობაზე. დე გოლს საჭიროდ ჩაუთვლია საბჭოთა მთავრობის მოთხოვნის დაკმაყოფილება და მაშინვე წაუწერია ექვთიმეს განცხადებაზე: „დაუყოვნებლივ დაუბრუნდეს!“. 1944 წლის 23 ნოემბერს კი განძის დაბრუნების თაობაზე დე გოლის მიერ გაიცა განკარგულება, რითაც მან ხელსაყრელი პირობები შეიქმნა სტალინთან მომავალი მოლაპარაკებისათვის. განძის გადმობარება საბჭოთა წარმომადგენლებისათვის მოუხდენია კომისიას, რომელიც თავისი შემადგენლობით შერეული იყო. მასში შედიოდა 3 ფრანგი და 5 საბჭოთა წარმომადგენელი. საბჭოთა მხრიდან ესენი იყვნენ: გენერალური კონსულის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე გუზოვსკი, ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი გეგელია, აკაკი ნიჟარაძე და კოლია მელაძე. საფრანგეთის რესპუბლიკის მხრიდან: პიერ ჟოდონი, ანრი ლამპერიიერი და ლიზერე. მალევე, კომისიის ამ წევრებმა უზრუნველყვეს განძის მშვიდობიანი ჩამოტანა საქართველოში, რომელთა შორისაც ერთ-ერთი, იმ დროისათვის სრულიად ახალგაზრდა, დღეს 82 წლის **კოლია მელაძე** თბილისში ცხოვრობს და ასაკის მიუხედავად თავს არცთუ ცუდად გრძნობს. გადავწყვიტე, დავკავშირებოდი და გავსაუბრებოდი კოლია მელაძეს (მის შესახებ ინფორმაცია მომაწოდა ლითონმცოდნე ჯანსუღ ჭყონიამ, რისთვისაც მადლობას ვუხდი). ბატონი კოლია ინტერვიუზე დიდი სიამოვნებით დამთანხმდა. სახლში სტუმრად მისულს კი თავისივე მოკრეფილი მინდვრის ყვავილები მომართვა და „დილა მშვიდობისა“ მისურვა. ნაწყვეტებს კეთილ მასპინძელთან გამართული გულითადი დიალოგიდან მკითხველსაც შევთავაზებ.

**— ბატონო კოლია, როგორ მოხვდით იმ კომისიაში, რომელსაც საფრანგეთიდან საქართველოში 1921 წელს ჩვენი ქვეყნიდან წაღებული განძის ჩამოტანა ჰქონდა დავალებული?**

— საბჭოთა გენერალურ კონსულს — გუზოვსკის ჩემი თავი წარუდგინა და რეკომენდაცია მომცა საფრანგეთში მცხოვრებმა ქართველმა, ბატონმა აკაკი ნიჟარაძემ, რომელიც გიორგი გეგელიასთან ერთად ძალიან მონადინებული იყო განძის საქართველოში დაბრუნებისათვის და ადრეც არაერთხელ ცდილა ამას.

**— რა გევალებოდათ თქვენ ამ კომისიაში?**

— კომისია ყოველდღე იკრიბებოდა და ვმუშაობდით ვერსალში, ნაციონალური ბიბლიოთეკის შენობის ქვედა სართულის დარბაზში, სადაც საფრანგეთის ოკუპაციის წლებში, გადამალული იყო დიდი ყუთები ქართული განძით. კომისია ამოწმებდა ნივთებს 1934 წლის სექტემბერ-ოქტომბრის თვეებში, ლენზელერის მიერ შედგენილი აღმნუსხავი ოქმისა და სიის საფუძველზე. ამისათვის ვიღებდით ნივთებს ყუთებიდან, მათ სიაში აღნიშნავდა აკაკი ნიჟარაძე და შემდეგ კვლავ ვაწყობდით ყუთებში. როდესაც დავამთავრეთ ნივთების შეჯერება პარიზულ 1934 წლის სიასთან, ნივთებით დატვირთული ყუთები გენერალური საკონსულოს თანამშრომლების დახმარებით გადავზიდეთ პარიზში, საბჭოთა საელჩოს შენობაში. 9 დეკემბერს უკანასკნელად შეიკრიბა კომისია, რომელმაც შეადგინა „ქართული განძის ჩაბარების ოქმი“. ერთ დღეს მახსოვს, როდესაც ვერსალიდან პარიზში საბჭოთა საელჩოში გადამქონდა ნივთები, პოლიციამ დამაკავა. რა მიგაქვსო? — მკითხა. მე მაშინვე დავრეკე საკონსულოში და სასწრაფოდ მოვიდა ჩემთან გუზოვსკი, რომელმაც როგორც კი აჩვენა გენერალურ კონსულს ვინაობის აღმნიშვნელი წიგნაკი, მაშინვე გამომიშვეს.

**— ბატონო კოლია, თქვენ ალბათ კომისიის წევრობამდეც იცნობდით ექვთიმე თაყაიშვილს. თუ შეიძლება, გვიამბეთ რა დამოკიდებულება გქონდათ მასთან?**

— ექვთიმეს მანამდე არ ვიცნობდი, მაგრამ კომისიის მუშაობის დროსაც მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა მქონდა მასთან. ექვთიმე უკვე მოხუცი იყო, მოტეხილი. როგორც ჩანს, გარშემო მყოფებს მთლად არ ენდობოდა თუ ამგვარი თვისების გახლდათ, ძალიან ცოტას საუბრობდა, ისიც მხოლოდ საჭიროებიდან გამომდინარე. ნივთების აღწერამ საკმაოდ იმოქმედა მის შერყეულ ჯანმრთელობაზე და ცუდად გახდა. მძიმედ დაავადებული საბჭოთა გენერალურ საკონსულოში გადავიყვანეთ, სადაც ავადმყოფის მოვლა თავად ალექსანდრე გუზოვსკიმ და მისმა მეუღლემ იკისრეს. ეს კეთილშობილი ხალხი არაფერს აკლებდა ბატონ ექვთიმეს, ოღონდ გამოჯანმრთელდესო. ჩვენც, კომისიის წევრებსაც, გვთხოვდნენ, ხშირად მოგვენახულებინა. გუზოვსკი ამბობდა, — რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ცოცხალი უნდა ჩავიყვანოთ საქართველოშიო. ექვთიმეს ძალიან სურდა, რომ მისი ძვლები საქართველოში დამარხულიყო. თუმცა, როცა უხარებიათ ამის თაობაზე, მოხუცებულს სხვების არგასაგონად ჩუმად უთქვამს პეტრე შარიასათვის, — შვილო, ტიტველი ვარ, ასე როგორ ჩავიდე სამშობლოშიო. პეტრეს თხოვნით საბჭოთა ელჩს გამოუყვია ფული, რითაც ექვთიმესთვის კაიროში ტანსაცმელი შეუძენიათ.


თამარის ჯვარი

**— როგორ მოხდა განძის სამშობლოში გამომგზავრება?**

— რამდენიმე დღით ადრე განძის გამომგზავრებამდე დანიშნეს განძის მცველები, ვინაიდან განძი ორი თვითმფრინავით მოჰქონდათ, მცველიც შესაბამისად ორი დაინიშნა, თეიმურაზ შავდია და მე. პირველ თვითმფრინავში, სადაც ეწყო თბილისის მუზეუმებისა და საქართველოს ეკლესია-მონასტრების განძეულობა, ისხდნენ: ა. გუზოვსკი, ექვთიმე თაყაიშვილი, შალვა ამირანაშვილი და პეტრე შარია. მეორე თვითმფრინავში, სადაც მოთავსებული იყო ზუგდიდის სასახლის ვერცხლეული, ვიყავით მე და ორი რუსი პოლკოვნიკი.


ექვთიმე თაყაიშვილი

80 წელს გადაცილებულმა ექვთიმემ, რომელიც პირველად იჯდა თვითმფრინავში, საკმაოდ კარგად იმგზავრა. თბილისში რომ ჩამოვედით, პეტრე შარიასაგან მივიღე განკარგულება, ექვთიმე თაყაიშვილი სასტუმრო „თბილისში“ მიმეყვანა. აეროდრომს ცოტა რომ გამოვცდით, ექვთიმემ მანქანის გაჩერება ითხოვა.


ეკატერინე დადიანის დიადემა

გადმოვიდა მანქანიდან. ბლუჯით აიღო ქართული მიწა, ეამბორა, ხელი გაშალა და აკაკის სიტყვებით მიმართა მეოთხედი საუკუნის უნახავ სამშობლოს:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო.
დედა-შვილობას ბევრს არ გთხოვ,
შენს მიწას მიმაბარეო...“

თვალზე ცრემლი მომერია, მაგრამ შევეცადე ექვთიმეს ეს არ შეემჩნია. ექვთიმე რომ დავაბინავე, მერე ისევ აეროდრომში დავბრუნდი, დავტვირთე მანქანები განძით და ამჯერად საქართველოს ხელოვნების მუზეუმისაკენ გამოვეშურე. იქ უკვე მანქანა თვითონვე გადმოტვირთეს, მუზეუმში მე აღარ შემიშვეს.

**— ბატონო კოლია, შემდგომ როგორ აეწყო თქვენი ცხოვრება? თუ გქონდათ რაიმე ურთიერთობა ექვთიმე თაყაიშვილთან? გასვენებას თუ დაესწარით?**

— რას ამბობ, შვილო? მაგას როგორ გავბედავდი? თაყაიშვილი იმის მერე აღარ მინახავს, აღარც გასვენებაში ვყოფილვარ. უშიშროების უფროსი რუხაძე მყავდა შეჩენილი და მალ-მალე მიბარებდა. სულ დაჭერის შიში მქონდა, მეკითხებოდა, ჟორდანიამ და გეგეჭკორმა რა დაგავალესო? როგორც ირკვევა, ექვთიმესგანაც არაერთხელ ცდილა ჩემს საწინააღმდეგოდ ჩვენება მიეცა, რაზეც ექვთიმეს ღირსეულად აურიდებია თავი და ხაზი გაუსვამს, რომ გეგელია, ნიჟარაძე და მელაძე მასთან საქმიან ურთიერთობაში შევიდნენ არა სხვა ორგანოების, არამედ საბჭოთა საელჩოს მეშვეობით. ოჯახის ამბავს თუ მეკითხებით, ჩამოსვლის შემდგომ ცოლი მოვიყვანე და ახლა ქალიშვილთან და სიძესთან ერთად ვცხოვრობ, ვიწროდ ვართ. მოხუცებულობაში ჩემთვის მშვიდად მინდა ყოფნა, მაგრამ რომელ მთავრობას სცალია ახლა, რომ შენს სიმშვიდეზეც იზრუნოს?..

გამოცილებისას ბატონმა კოლიამ მინდვრის ყვავილები მომაწოდა, არ დაგავიწყდეს წაღებაო. მოვდიოდი და ვფიქრობდი, ასეთ ხალხს საზღვარგარეთ ხელისგულზე თუ არ ატარებენ, ყურადღებას მაინც აქცევენ. ჩვენთან კი, ახლა პო, მიზეზად ლტოლვილები გვყავს, უწინ რად უნდა გასჭირვებოდა მთავრობას ერთი ოთახის გამოყოფა დამსახურებული მოხუცისათვის?

# „ბატონ ექვთიმეს — აკაკი შანიძისაგან...“

საქართველოს კეთილდღეობისთვის ბევრ წმინდა ადამიანს უმოღვაწია. გამორჩეულთა შორის გამორჩეულნი არიან ექვთიმე თაყაიშვილი და აკაკი შანიძე. საზოგადოებას აინტერესებს მათ [illegible]ელებთან დაკავშირებული ყოველი ახალი დეტალი. გთავაზობთ თავად-აზნაურთა საკრებულოს წინამძღოლის **კოტე ჩოლოყაშვილის** ნაამბობს, რომელიც ამ ორი მართალი ადამიანის პორტრეტს მეტად კეთილი თვალით დაგვანახებს: „როგორც გადმოგვცემენ, საფრანგეთიდან ბატონ ექვთიმეს იოსებ სტალინისთვის მოუწერია: „თქვენ მსოფლიო სასამართლოში მიჩივლეთ, რომ მე ვარ ქართული ეროვნული განძის დამტაცებელი, მე ალბათ სიკვდილს მომისჯიან, მაგრამ ეს არაფერია, მთავარია, რომ განძი საქართველოს დაუბრუნდეს“. 1944 წელს სტალინისა და დე გოლის შეთანხმებით, ნივთები საქართველოში დაბრუნდა. ღრმად მოხუცებული ექვთიმე თაყაიშვილიც ჩამოჰყვა მათ თავის სამშობლოში, თუმცა სიხარულით არ შეხვედრიან. სიცოცხლის ბოლო წელიწადს კი განსაკუთრებით ავიწროებდნენ. მხოლოდ ორი პიროვნება იყო, რომელთაც თავისუფლად შეეძლოთ მასთან მისვლა. ერთი ბატონი ექვთიმეს მოწაფე, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საგანძურის განყოფილების მცველი იროდიონ სონღულაშვილი (სხვათა შორის, ის დაკრძალული იყო ექვთიმეს გვერდით ვაკის სასაფლაოზე, ვიდრე თაყაიშვილის ნეშტს დიდუბის პანთეონში გადაასვენებდნენ) და მეორე გოგი ლომთათიძე, ცნობილი არქეოლოგი. მისი მამა იყო მენშევიკური მთავრობის წევრი. 1953 წლის 21 თებერვალს ბატონი ექვთიმე გარდაიცვალა. გამოასვენეს ვაშლოვანის ქუჩიდან, სადაც ცხოვრობდა და ხალხს იმის უფლებაც არ მისცეს, რომ ათიოდე მეტრი დღევანდელი კოსტავას ქუჩამდე, კუბო ხელით წაეღოთ. იქვე დადეს საბარგო მანქანაზე. დავითვალე, 47 კაცი ესწრებოდა გასვენებას. მათ შორის იყვნენ ცნობილი ინტელიგენტები: ბორის კუსტინი — თრიალეთის არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელი, აკაკი შანიძე, კონსტანტინე გამსახურდია და ქრისტინე-ჩიტო შარაშიძე, რომელიც იყო ერთადერთი ქალბატონი ყოფილ მენშევიკურ მთავრობაში. აღსანიშნავია, რომ ექვთიმეს გასვენებაზე გვირგვინები მხოლოდ ოფიციალური საზოგადოებებიდან იყო. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისგან (ექვთიმე მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გახლდათ), ისტორიის ინსტიტუტიდან და საქართველოს მუზეუმიდან. ერთადერთი პერსონალური გვირგვინი იყო აკაკი შანიძისა წარწერით: „ბატონ ექვთიმეს — აკაკი შანიძისგან“.


აკაკი შანიძე

დავიძარით. ხალხი გზადაგზა კი ჩერდებოდა, მაგრამ პროცესიას არავინ შეჰმატებია. უნივერსიტეტს რომ მივუახლოვდით, მძღოლს მანქანა გაუფუჭდა, ვფიქრობ, წინასწარ განზრახულად და გააჩერა. გადაცმულმა სუკის აგენტებმა დაუცაცხანეს, — რატომ არ მიდიხარო? მძღოლმა მიუგო, — რა ვქნა, კაცო, მანქანა გაფუჭდაო. უნივერსიტეტთან ბევრ ხალხს მოეყარა თავი — სტუდენტებს და ლექტორებს, მაშინდელი რექტორის ნიკო კეცხოველის მეთაურობით, მაგრამ გამოსათხოვარი სიტყვის თქმა ვერავინ გაბედა. მხოლოდ ნერვიულობდნენ და სასოწარკვეთილებისა თუ სირცხვილისგან ხელებს იფშვნეტდნენ. ბატონი ექვთიმეს დისწულმა ერთი-ორჯერ მწარედ წამოიძახა: ბიძაჩემს გამოსათხოვარ სიტყვას არავინ ეუბნებაო?

უნივერსიტეტიდან ვაკის სასაფლაოსკენ დავიძარით. მთელი გზა უხმოდ, ჩუმად მივდიოდით. სასაფლაოზე სიტყვები წარმოთქვეს: კონსტანტინე გამსახურდიამ, ქრისტინე შარაშიძემ და აკაკი შანიძემ, რომელსაც ის-ის იყო, გამოეტანა სტამბიდან ექვთიმე თაყაიშვილის წიგნი (სტამბის მუშებისთვის ეთხოვა, როგორმე ერთი ეგზემპლარი მოესწროთ ექვთიმეს გასვენებისთვის) და თან ჩაატანა. ცოტა ხანში ბატონ ექვთიმეს საფლავი უპატრონო მიცვალებულივით, უწარწეროდ მივატოვეთ.

მეორე დღეს, დილას, გარდამეცვალა ნათესავი. დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე მოინდომეს. მესაფლავეს კარგად ვიცნობდი, ამიტომ სასაფლაოზე კარგი ადგილის მოსანიშნად ნათესავებმა გაყოლა მთხოვეს. ეს ის დროა, 5 წთ-ის დაგვიანებისთვის ადამიანს სამსახურიდან რომ ხსნიდნენ, ამიტომ დილაადრიან საჩქაროდ წავედით. ალბათ 9-ის რაღაც წუთებისთვის იქ ვიყავით. უცებ დავინახე სასაფლაოზე ნაცრისფერი მანქანა შემოვიდა და ბატონი ექვთიმეს საფლავთან გაჩერდა. მანქანიდან ბატონი აკაკი შანიძე გადმოვიდა, ხელთ ეჭირა რაღაც ფირფიტა და ჩაქუჩი. კარგა ხანს აკაკუნა და წავიდა. ბატონი აკაკი რომ „გავისტუმრე“, ექვთიმეს საფლავს მივუახლოვდი. საფლავზე დაფა იყო დამაგრებული, რომელზეც ეწერა: „ექვთიმე თაყაიშვილი. 1863-1953“.

9 საათისთვის უკვე ჯანაშიას სახელობის მუზეუმში მივედი, სადაც ვმუშაობდი. ბატონი აკაკი შანიძე, კეცხოველის ქუჩიდან შესასვლელთან მელოდებოდა. ექვთიმეს რამდენიმე ოჯახური სურათი და ნაწერი მოეტანა. ახლა ეს უკვე მუზეუმის კუთვნილებაა, მე აღარ მეკუთვნისო, — თქვა და გადმომცა. შევბედე, — ბატონო აკაკი, ამ დილით ვაკის სასაფლაოზე რა გინდოდათ-მეთქი? თქვენ რა გინდოდათო? — კითხვა შემომიბრუნა და ხელები გაასავსავა. ცუდი დრო იყო და ამ ფაქტის გახმაურება ბატონ აკაკის კარგს არაფერს მოუტანდა. მივხვდი ამას და ამიტომაც არსად მითქვამს. დღეს, რა ვიცი, სხვა დროა, სიტყვამ მოიტანა და პირველად ვყვები (ბატონი აკაკი შანიძე ექვთიმე თაყაიშვილის ნეშტის ვაკის სასაფლაოდან დიდუბის პანთეონში გადმოსვენებასაც ესწრებოდა. კარგა ხანს დაკვირვებით დასცქეროდა თურმე ბატონი ექვთიმეს ნეშტს. ვიღაცას მორიდებით დაუძახია: ბატონო აკაკი, ბატონო აკაკიო. „მაცადეთ, საქართველოს მამას ვესაუბრებიო“ — მიუგია ბატონ აკაკის.)

— ბატონო კოტე, როგორ ფიქრობთ, სხვებმა რატომ ვერ გაბედეს ბატონ ექვთიმესთან გამოთხოვება-მეთქი? — ვკითხე.

ჩოლოყაშვილმა თავადურად ჩაიცინა და მითხრა, — შვილო, ყველა დროში არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც იმდენად მართლები არიან, რაგინდ ცუდი მთავრობაც უნდა იყოს, გარკვეულ დრომდე, მათი რიდი და პატივისცემა აქვთ. რაც შანიძეს და გამსახურდიას აპატიეს, სხვებს არ აპატიებდნენო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სულები, ბატონი ექვთიმეს სულთან ერთადო.

ჭეშმარიტად, „ნეტარ არიან მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ.“

„ნეტარ არიან წმიდანნი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ!“

ნინო ტარყაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მებრძოლი პატიმრების მშობლებმა აფხაზი ტყვეები არავის დაუთმეს...

სამწუხაროდ, თვალი და გული უკვე შეეჩვია ენგურის ხიდის თავში გამალიზიანებლად მოფრიალე მშვიდობისმყოფელთა დროშებს, ზურგზე ტომარამოგდებულ ბავშვებს, რამაც არასრულფასოვნების კომპლექსი დაგვიმკვიდრა...

სწორედ ამ კომპლექსს აუჯანყდნენ შარშან, გალის მოვლენების დროს აფხაზების მიერ დატყვევებული 3 ქართველი მეომრის ახლობლები და საპროტესტო აქცია მოაწყვეს, რომელიც 24 დღე გაგრძელდა. გალის რაიონის მცხოვრებლებს — მურმან ეხვაიას, გია ქარდავას და ზაურ ლაშხიას აფხაზებმა 13-13 წელი მიუსაჯეს. „მსაჯულთათვის" სულაც არ ჰქონია მნიშვნელობა იმას, თუ რა დააშავეს მათ.

ქართველი ტყვეები წელიწადი და ორი თვეა, სოხუმის ციხეში იმყოფებიან. მათ არაადამიანურ ყოფაზე, ტანჯვა-წამებაზე ენგურგამოღმა ათასნაირ ამბავს ყვებიან. ამ ხნის მანძილზე მოხუცმა მშობლებმა როგორღაც მოახერხეს სოხუმში დატყვევებული შვილების მონახულება. ტყვეებმა წერილების მიწერაც მოახერხეს.

მურმან ეხვაიამ მეუღლეს სიგარეტის ქაღალდზე დაწერილი წერილი გამოუგზავნა: „სვეტა, არ ვიცი, ამ წერილს ვინ მოგიტანს... მინდა ყველამ იცოდეს, რომ მე მორიგეობის დროს (იგულისხმება გალის შარშანდელი მოვლენების პერიოდი, — რ.მ.) ამიყვანეს ტყვედ. მე არაფერი ვიცოდი ამ მოძრაობისა და არც არავის ვიცნობდი, ვინ ვინ იყო. ასე რომ, ჩემგან არაფერი თქმულა, არავინ გამიცია და არავინ გამიყიდია. მაინც ვინ უნდა გამეცა? ასე რომ, იცოდე, მე ჩემს საქმეში ალალმართალი და სპეტაკი ვარ და თუ საქმემ მოითხოვა, ჩემი ხალხის და ოჯახის სიყვარულით მოვკვდები. მე რომ ვმუშაობ, ყველამ იცოდეს, ეს ჩემი სურვილი არ არის, და როცა ჩამოვალ, ყველაფერს გაიგებ"...

**იმიტომ კი არ ვდუმვართ, რომ გვეშინია. არ გვინდა, ჩვენი ბიჭების ჩავარდნის მიზეზი გავამხილოთ. ტყვეები მთავრობას უჩვენოდ უნდა გაეთავისუფლებინა. დასახსნელია აფხაზეთი, ეს ბიჭები ჯერ კიდევ სჭირდება ქვეყანას და ხომ უნდა დავიხსნათ?!**

ამ წერილის გამოგზავნის შემდეგ, სულ რამდენიმე კვირის წინ, მურმან ეხვაიამ ვენები გადაიჭრა, გადარჩა, მაგრამ მიზეზი უცნობი დარჩა...

მათმა ახლობლებმა ერთი წლის მანძილზე ფეხდაფეხ მოიარეს პრეზიდენტის, სახელმწიფო მინისტრის, მაღალჩინოსნების ინსტანციები. დატყვევებული ეხვაია, ლაშხია, ქარდავა სინამდვილეში სპეცრაზმსა და სხვა დაჯგუფებებში არ ყოფილან, ისინი შარშან, სხვა აქაურებთან ერთად, იბრძოდნენ საკუთარ მიწაზე და მეომრებად ჩავარდნენ ტყვედ. ახლობლები, რახან ვერაფერს მიაღწიეს, იძულებულნი გახდნენ, თავადაც ხელში ჩაეგდოთ სამი აფხაზი ტყვე — ჭანტურია, გამგია, მურავცევი, მათ შორის ერთი აფხაზეთის გმირია. სამივენი აფხაზებისთვის ღირებული ბოევიკები არიან. მოხდა ძალთა გათანაბრება და, ბოლოს და ბოლოს, ქართველი ტყვეების ახლობლებს ოფიციალური ქართულ-აფხაზური მხარეების ჩაურევლადაც შეეძლოთ ეწარმოებინათ მოლაპარაკება. თუმცა, ასე არ მოხდა და ტყვეთა გაცვლის კომისიის მუშაობის შედეგად მარტში ოქმიც გაფორმდა, 3X3 გაცვლის შესახებ, მხოლოდ გაცვლის დღის დანიშვნაღა აკლდა. სწორედ ამ დროს ფოთის სეინერი ათი მებადურით აფხაზეთის ტერიტორიაზე „შეიჭრა" და აფხაზებმა ისინი საზღვრის გადალახვისა და „Другое государство"-ში თევზაობისთვის დააკავეს. ამის შემდეგ კი მარტის ოქმი და 3 ქართველი ტყვის სოხუმის ციხეში ყოფნის ამბავი ყველას დაავიწყდა და მთელი საქართველო და მაღალი რანგის ჩინოსნები მებადურებზე ალაპარაკდნენ. რა რას სჯობს, სხვა თემაა, ყოველ შემთხვევაში, მეთევზე ქალის გათავისუფლების შემდეგ დღის წესრიგში დანარჩენი ცხრის საკითხი დაისვა. ბუნებრივია, ტყვე-მეომრებთან შედარებით, მებადურებისადმი ინტერესი აფხაზური მხარისა, ნაკლებია და ამიტომ თავიანთ ტყვეებში თუნდაც 100 მეთევზეს მოგცემენ.

აფხაზურ მხარეს არანაირად არ აძლევს ხელს ეხვაია-ლაშხია-ქარდავას გათავისუფლება. გარდა იმისა, რომ ისინი შარშანდელი მოვლენების ცოცხალი „ნივთმტკიცებანი" არიან, ამ საქმეს წლობით გააჯანჯლებენ და ავადმყოფურად დატკბებიან ქართველების ხვეწნა-მუდარით, ოღონდ ჩვენები გაათავისუფლეთ და, ვისაც გნებავთ, იმას დაგიბრუნებთო... აქედან გამომდინარე, შეიძლება ფოთის სეინერის დაკავება შემთხვევითი არც იყოს ამ საქმის მიწურულს. ეს ვერსია, სხვათა შორის, გამართლდა — დღემდე 3X9 (3 აფხაზი ტყვე, 9 მებადური) პრინციპია ძალაში. 3 ქართველი მებრძოლი კი სოხუმის ციხეშია!

მებადურებზე გაცვლა არ მომხდარა, ამაზე ქართველი ტყვეების მშობლები აგებენ პასუხს. უფრო სწორად, ქარდავა-ლაშხია-ეხვაიას მშობლებმა მათ ხელში მყოფი აფხაზი ბოევიკები არავის დაუთმეს. ისინი გაოცებულნი არიან, რადგან 9 მეთევზის პატრონებმა, კერძოდ, ერთ-ერთმა, ფოთის ვიცე-მერმა დვალიშვილმა, მათ ფული შესთავაზა აფხაზი ტყვეების საყიდლად.



რუზგენ გოგოხია

ამაო ლოდინმა, იმედის გადაწურვამ, ხელისუფლების უგულობამ ქართველ ტყვეთა ახლობლებს არც ისე სასიამოვნო გზა აარჩევინა — ენგურის ხიდის გადაკეტვა!

23 დღის მანძილზე აქედან ხიდზე არავინ გაუტარებიათ, მით უმეტეს, მანქანები, თუმცა რუსებს და სხვა უცხოელებს ეს დიდად არ მოხვედრიათ გულზე. აქციიდან აქციამდე მშვენივრად დაამულამეს „ჩორნი ხოდები" და ისე ოსტატურად გაძვრებიან და გამოძვრებიან, სიოს არ შეარხევენ. უფრო მეტიც, როცა გამწარებული მშობლები, 23 დღის მანძილზე ცხელ ასფალტზე რომელიმე გულწასულს ასულიერებდნენ, რუსი „მიროტვორცები" იქვე ხმის ჩახლეჩამდე აყვირებდნენ რუსული ესტრადის ვარსკვლავებს.

აქციის მონაწილეები დაახლოებით მე-20 დღეს ტყვეთა გაცვლის კომისიის თავმჯდომარეს, ავთო იოსელიანს შეხვდნენ. მანამდე მათთან არავინ მისულა. იოსელიანმა მათ აღუთქვა, — აქცია შეწყვიტეთ, რადგან ბიჭებს იქ არ დავტოვებთო. აქციის მონაწილეებმა ეს საკმარისად არ მიიჩნიეს და აქცია გაგრძელდა.

23-ე დღეს საქმეში რუზგენ გოგოხია ჩაერია. მისი ინიციატივით ენგურის ხიდზე საგანგებოდ ჩამოვიდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით გვაძაბია.

**რუზგენ გოგოხია** — ტყვეობიდან მე სახელმწიფოს ჩარევის შემდეგ გამომიშვეს („კვირის პალიტრის" მკითხველს ახსოვს, ალბათ, ბატონ რუზგენთან ექსკლუზიური ინტერვიუ). ტყვეთა დახსნის მრავალი ნაცადი გზა არსებობს და უთუოდ უნდა გამოვიყენოთ. ეს ტალღა პოლიტიკურ ასპექტში უნდა იქნას აყვანილი, იმგვარად უნდა მოვიქცეთ, როგორც ეს ქართველ ერს, ჩვენს ისტორიას ეკადრება... გამორიცხულია, იქ ქართველი მეომრები ციხეში მეგულებოდეს და ჩემი აფხაზი ტყვეები მეთევზეებზე გავცვალო!

აქციის მონაწილეებს დავით გვაძაბიამ გულწრფელად ურჩია დაშლა და დაჰპირდა, — ორშაბათს ამ საკითხს საკმაოდ ხმამაღლა გავიტან სხდომაზეო.

ზოგი აქციის ჩაშლას საქმის მიჩუმათებად მიიჩნევდა. 23 დღის შემდეგ პასუხად რა მიგვაქვსო, — კითხულობდნენ. ბოლოს, აქციის მონაწილენი ავთო იოსელიანის სიტყვას მაინც ენდნენ და პარასკევს, საღამოს დაიშალნენ.

თავად სიტყვის გატეხას არ აპირებენ და შედეგს ელიან. აქცია 10 დღით შეწყდა.

მურმან ეხვაიას მეუღლემ, **სვეტა ეხვაიამ** რუზგენ გოგოხიასა და დავით გვაძაბიას უთხრა: — ჩვენ არ გვიყვარს მიტინგები, მაგრამ ჩვენი ბიჭები, რომლებზეც შარშან, მაისის ცხელ დღეებში შევარდნაძე — ჩემი გმირი ლაშქარიო, — ამბობდა, ნაწამებნი, ბანდიტებად, ტერორისტებად შერაცხულნი, ციხეში იტანჯებიან. მათ 13 წელი აქვთ მისჯილი.

ვთხოვთ პრეზიდენტს, სახელმწიფო მინისტრს, მათ, ვისაც აფხაზეთის მდგომარეობის მოწესრიგება ევალება, მიხედონ ამ საქმეს, რადგან ყოველი წუთი შეიძლება საბედისწერო გახდეს.

შარშან გალში რაც მოხდა, ეს ბავშვმაც კარგად იცის და ახლა შეგნებულად აღარაფერს ვამბობთ. იმიტომ კი არ ვდუმვართ, რომ გვეშინია. არ გვინდა, ჩვენი ბიჭების ჩავარდნის მიზეზი გავამხილოთ. ტყვეები მთავრობას უჩვენოდ უნდა გაეთავისუფლებინა. დასახსნელია აფხაზეთი, ეს ბიჭები ჯერ კიდევ სჭირდება ქვეყანას და ხომ უნდა დავიხსნათ?!"

ამ ათ დღეში ნაკლებმოსალოდნელია, ტყვეები სოხუმის ციხიდან გამოუშვან, თუნდაც იმიტომ, რომ ყველაზე უკეთეს შემთხვევაში ახალი პროტოკოლის შედგენას თუ ძველის აღდგენას აუცილებლად დრო სჭირდება. სხვა რა უნდა შეიცვალოს ისეთი ხელშესახები, რომ ენგურის ხიდი ისევ არ გადაიკეტოს...

„ავთო იოსელიანმა ხატზე დაგვიფიცა და გვჯერა მისი", — ამბობენ აქციის მონაწილეები. მათ იმედი აქვთ, რომ იოსელიანი 3 მეომარ ქართველ ტყვეს არ გასწირავს. წინააღმდეგ შემთხვევაში, 10 დღეში აქციის სხვა ფორმით გაგრძელებას აპირებენ.

*რუსუდან მიქენაია*

# ვინ არის ის პრეზიდენტის წარმომადგენელი, ვისაც არძინბასთვის ღვინო მიჰქონდა?!



რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, კორუფციის კვალს ხან პირდაპირ და ხან ფარულად, პარლამენტში ეძებენ. პარადოქსულად — იმიტომ, რომ პარლამენტი საკანონმდებლო ორგანოა და, წესით, ქვეყნის აღმასრულებელ საქმიანობაში არ უნდა ერეოდეს.

საზოგადოებისთვის კარგა ხანია ცნობილია, რომ ენგურიდან (აფხაზეთიდან) ტონობით კონტრაბანდული საქონელი მოედინება და — პირიქით. კონტრაბანდული საქონლის მფარველებს კი საპარლამენტო სავარძლებში მოკალათებულთა შორის ეძებენ. როგორც ამბობენ, ენგურის გასწვრივ 60 კმ მონაკვეთზე — შავი ზღვიდან დაბა ჯვარამდე — აკრძალული ტვირთის შეუვალ მოძრაობას დეპუტატის მანდატი იცავსო. სხვა ჩინოსნებსაც ასახელებენ...

თავის დროზე, 1996 წლის იანვარში დსთ სამიტმა აფხაზეთს ეკონომიკური ბლოკადა გამოუცხადა და სანქციებიც დააწესა. ამ ნაბიჯს აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლებისთვის წარბიც არ შეუხრია, არც ეკონომიკური მახინაციების ქართველი ოსტატები დაშფრთხალან. მით უმეტეს, არ შეშინებულან ის საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც დღეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მათ შორის აფხაზეთშიც მოქმედებენ. შარშან წითელმა ჯვარმა აფხაზეთში 10 მლნ დოლარის საქონელი შეიტანა მაშინ, როდესაც მთლიანად აფხაზეთის ბიუჯეტი 7 მლნ-ს არ აღემატება. როგორც ხედავთ, ეკონომიკურმა ბლოკადამ კარგა ხანია, ბუტაფორიის როლი იკისრა და დღეს მისი არსებობა ალბათ არც ქართველებს და არც აფხაზებს, არც დსთ-ის წევრებს აღარ ახსოვთ.

ოფიციალური წყაროს ცნობით, ბოლო თვეების განმავლობაში კონტრაბანდულმა ტვირთმა საგრძნობლად იმატა. მეტიც, ენგური იარაღისა და ნარკოტიკების სატრანზიტო დერეფნად იქცა. ყველანაირი გზით ზუგდიდიდან გადის ხის მასალა, ჩაი, სპირტი, ღვინო... იქიდან შემოდის ფერადი ლითონი, იარაღი, ნარკოტიკი და, რა თქმა უნდა, უაქციზო სიგარეტი. სიგარეტის ყველაზე მარტივი მარშრუტი ასეთია — იგი გემებს თურქეთიდან სოხუმში შეაქვთ, სოხუმიდან ზუგდიდში, ზუგდიდიდან კი საქართველოს ყველა კუთხეში გაედინება. როგორც ამბობენ, სიგარეტის ბიზნესს აფხაზეთში ვიღაც არაბი ეწევა. ტვირთის კონცენტრაცია სოფ. ჭუბურხინჯში, აფხაზურ საგუშაგოსთან ხდება. თუ ერთი ყუთი სიგარეტის ფასი ჭუბურხინჯში 150 დოლარია, ზუგდიდში მას 160-170 დოლარად ყიდულობენ. 16 აპრილს სოფელ ფახულანთან 380 ყუთი სიგარეტი გადმოიტანეს, 5 ივნისს 301-ე ქართულ საგუშაგო ტერიტორიაზე 10 ყუთი „ვაისროი" ამოაჩინეს. გაირკვა — საქონელი საქართველოს სამშვიდობო ძალების ერთ-ერთ დამკვირვებელს ეკუთვნოდა.

**ვინ იყო ტვირთის მფლობელი, ვისთან მიდიოდა საქონელი და რა მიზნით?.. ძალოვანი სტრუქტურები ამ კითხვებზე მრავალმნიშვნელოვნად სდუმან. თუმცა, არსებობს არაოფიციალური ხმები, რომ აფხაზ ბოევიკებსა და ქართველ პარტიზანებსაც ერთობლივი შავი ბიზნესი აქვთ... ვინ არის ზემოხსენებული პრეზიდენტის წარმომადგენელი, რომელსაც არძინბასთვის ღვინო მიჰქონდა? იცის თუ არა ამის შესახებ თავად პრეზიდენტმა?**

განსაკუთრებით საყურადღებოა ერთი ფაქტი: 1996 წლის 30 იანვარს, საქართველოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის სახელით (ზუსტად ასეა ნათქვამი ოფიციალურ წყაროებში) რუხის საგუშაგოზე 20 ტ ღვინის მასალა გადაიტანეს. წარმომადგენელს უთქვამს, ეს შეთანხმებულია საქართველოს ხელისუფლების ყველა ინსტანციასთანო. რაც მთავარია, ტვირთი, თურმე, პირადად აფხაზეთის თვითმარქვია ხელმძღვანელის, არძინბასთვის იყო განკუთვნილი, ალბათ ძღვნად! მოგვიანებით ეს საქონელი რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში ტყვია-წამალში გადაცვალეს. როგორც ჩანს, არძინბამ ღვინოს ტყვია-წამალი არჩია!

აფხაზეთის დროებითი კომისიის აზრით, ენგურის გაყოლებაზე გაჩაღებული კონტრაბანდული საქმიანობა, თავისი პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ საზოგადოებრივი ასპექტებით, შემაშფოთებელია. ცნობილია, რომ ჟენევის მოლაპარაკებისას აფხაზები აცხადებდნენ, — ქართული მხარე მერკანტილურ მიზნებს ახორციელებსო, ანუ ბლოკადის საფარქვეშ ეწევა შავ ბიზნესს მაშინ, როდესაც დახურულია ფსოუ. ჩვენ ვიცავთ სამიტის გადაწყვეტილებებს ენგურზე, ალებ-მიცემობანა ქართველების ინიციატივითაა გაჩაღებულიო.

ენგურის კონტრაბანდულ საქმიანობას ცხინვალთან მიმდინარე პროცესებთან ზოგიერთი საინტერესო მსგავსება გააჩნია. როგორც ამბობენ, ცხინვალიდან შემოსული საქონელი (კონტრაბანდული) 10-ჯერ მაინც აღემატება აფხაზეთიდან შემოსულს. კომპეტენტური ექსპერტების ვარაუდით, არ არის გამორიცხული, ხვალ-ზეგ იგივე სურათი იყოს ენგურზეც. იქიდან შემოსული საქონელი, რომელიც განუბაჟებელია, ბუნებრივია, რეგიონის (აფხაზეთის) გაძლიერებას მოხმარდება. მოძლიერებული აფხაზეთი კი, ცხადია, კიდევ უფრო შორს წავა ჩვენგან. ოფიციალური სამსახურები ახალი ტენდენციით არიან შეშფოთებულნი — შემოსულ კონტრაბანდას შორის ნარკოტიკი და იარაღი სჭარბობს. ყველაფერ ამის დანიშნულების ადგილამდე მიტანას მრავალი საგუშაგოს გამოვლა სჭირდება. ასეთი საგუშაგოები კი ყოველ 10-15 კმ-შია, სადაც ტვირთს, გარკვეული მიზეზების გამო, არ აკავებენ.

ზემოთ ოფიციალური წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია მოგაწოდეთ და, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, — რატომ დაფიქსირდა ეს ყველაფერი ფაქტის შემდეგ? ანუ ლაპარაკი არის პროცესზე, მაგრამ ფარდის მიღმა რჩება პროცესის მთავარი გმირების ვინაობა. ვინ იყო ტვირთის მფლობელი, ვისთან მიდიოდა საქონელი და რა მიზნით, ძალოვანი სტრუქტურები ამ კითხვებზე მრავალმნიშვნელოვნად სდუმან. თუმცა, არსებობს არაოფიციალური ხმები, რომ აფხაზ ბოევიკებსა და ქართველ პარტიზანებსაც ერთობლივი შავი ბიზნესი აქვთ. და ისევ კითხვების კორიანტელი: რაკი ამბობენ, მაშასადამე, იციან და უნდათ, რომ დასახელდეს, ვინ არიან ეს პარტიზანები, ვინ არის, თუნდაც იგივე ზემოხსენებული პრეზიდენტის წარმომადგენელი, რომელსაც არძინბასთვის ღვინო მიჰქონდა? იცის თუ არა ამის შესახებ თავად პრეზიდენტმა? იქნებ, ყველაფერი ფაქტის კვალდაკვალ ითქვას და არა შემდეგ?!

კონტრაბანდის მფარველად მიჩნეულ პარლამენტარებზე „კვირის პალიტრამ" კომენტარი სთხოვა შსს მინისტრის მოადგილეს, თემურ მურღულიას. მან მფარველების კვალის პარლამენტში არსებობა გამორიცხა და მსუბუქი რისხვა ადგილობრივ ხელმძღვანელობას დაატეხა თავს. „კვალი არსებობს, ოღონდ პარლამენტში ნამდვილად არა. აქ უფრო რეგიონის ადგილობრივი სამსახურების დანაშაულებრიობა ჩანს", — გვითხრა მურღულიამ. ალბათ ძნელია დაჯერება, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ისე იმოქმედოს, ცენტრმა ვერაფერი გაიგოს; და თუ გაიგებს, ტყუილ-უბრალოდ გაჩუმდეს. ამ თავსატეხს, ვიმედოვნებთ, გამოძიება განმარტავს. ქართულ-აფხაზური პოლიტიკის შეუთანხმებლობის ფონზე კი ამავე მხარეების კონტრაბანდისტთა მუშაობა უხმაუროდ მიმდინარეობს და ერთმანეთს ხელს არ უშლიან. იქნებ, პოლიტიკის მართვის სადავეებიც მათთვის გადაგვეცა?

თუ, რა თქმა უნდა, უკვე არ ფლობენ.

**ქეთი ბერეკაშვილი**

# „ფსიქოს“ ფსიქო

## ანუ სააქციზო მარკა პორნოპროდუქციაზე

ყველას გვახსოვს ის დრო, კვირის დღეებს რომ ვითვლიდით: ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, ილუზიონი, კვირა. რა შეიცვალა? არც არაფერი. ამ მდარე დონის ამერიკული კინოპროდუქციით გადატვირთული დღეებით დაღლილი აუდიტორია სულმოუთქმელად ელის შაბათს. და აი, დგება ნანატრი შაბათი. მობრძანდით! ინეტარეთ მაღალი კლასის შედევრებით, ხელოვნების მიღწევებით. არ შეგეშალოთ, იაფფასიანი პორნოგრაფია არ გეგონოთ, კარგად უსმინეთ თანამედროვე ცივილიზაციის მეტრს, ბატონ გოგი გვახარიას. ის დიდი ვირტუოზობით გარდაქმნის ზნედაცემულ ხილვებს ხელოვნების შედევრებად. აფსუს, შუა საუკუნეების ალქიმიკოსებო! რა დროს გადაშენდით, ახლა ხომ თვალხილულად დაიჯერებდით, ჟანგმოდებული რკინიდან ოქროს მიღების შესაძლებლობას.



ამას წინათ თვით ყველაზე თავგადაკლული ოპონენტიც კი (ისეთი, „ვნებათა იმპერიის“ გაშვების წინ რომ დარეკა და დედაბუდიანად შეაჩვენა) დაიჯერებდა, რომ კაცობრიობის ბუნკერიდან ამოღებული პროდუქციაც შეიძლება შედევრად აქციოს მისმა გონმა. ბიჭობა ისაა, უვარგისი მასალისგან გააკეთო ვენერა მილოსელი, თორემ მარმარილოდან მიქელანჯელოც კარგ რამეებს აკეთებდა. აი, მაგალითად, ეს ყბადაღებული „ვნებათა იმპერია“. რით არაა, ჩემო კარგო, შედევრი? აშშ-ში არ გაუშვიათ, კანადაშიც აუკრძალავთ, ევროპაში განსაკუთრებულ კინოდარბაზებში უჩვენებიათ, ისიც ასაკობრივი ცენზით. მაგრამ, ჰოი, ბედის ირონიავ, ჩვენ კი, ახალგაევროპებულებმა, არც ვაციეთ, არც ვაცხელეთ და პირდაპირ ცისფერ ეკრანებზე გავუშვით. სწორედ ამაზე იტყვიან, — პაპზე მეტი კათოლიკეაო.

ახლა ნამდვილად გულს მოეფონება ქ-ნ ია ფარულავასაც (პირველი ქართული პორნოფილმის მთავარ გმირს) — რუსთავი-2-სთვის მიცემულ ინტერვიუში ძალიან განიცდიდა ქართველების პროვინციულ ჩამორჩენილობას. ევროპელები ვყოფილვართ, ქ-ნო ია, და თანაც ხარისხისნიშნიანი ევროპელები! სულ ტყუილად შეირცხვინეთ თავი, ქვედა საცვლით რომ ბრძანდებოდით „სასიყვარულოდ ვენახში“, ქვედა საცვალი რომ შემოგეძარცვათ, მაშინ ნამდვილად გაგიგებდნენ. გარწმუნებთ, ყველაფერი ამ ჩამორჩენილობამ გააფუჭა, მაგრამ არა უშავს რა. ეს ერთი და სხვა მრავალიო, — იტყვიან. ცოტა ხანში ფსიქოაკადემიადამთავრებული ნორჩი თაობა წამოიზრდება და მერე ნახეთ მიღწევები პორნო-ასპარეზზე. ბავშვთა ფსიქოლოგიაში ვისაც ერთხელ მაინც ჩაუხედავს, იცის, რომ ბავშვი იმას ეტანება, რასაც უკრძალავენ, ამასთან, იგი ვერ ასხვავებს რეალურს ირეალურისგან, ყველაფერს აღიქვამს, როგორც ნამდვილს. რა ლამაზ, რა ნათელ, რა კეთილ სამყაროში აცხოვრებს მათ ბ-ნი გოგი, აქ ხომ აღარაა ის მახინჯი, კომუნისტური იმპერია (რომელსაც მიუხედავად მთელი თავისი სიმახინჯისა, ასეთი შედევრებით არ მოუწამლავს ხალხი), აქ ვნების იმპერიაა, სწორედ მისი ჩვენების დროს გაეხსნათ უმაღლესი ჭეშმარიტება (ლოტოსის ქვეშ მჯდარ ბუდასავით) ბ-ნ გოგის და მის თანამოსაუბრეს: „კი მაგრამო, ვინ დაადგინაო ნორმა?“

ო, ეს ნიცშეანული ნგრევა ყოველგვარი ნორმისა და გაუფასურებულ ღირებულებათა საბრალობელი ზანზარი და ყოველივე ამის დაგვირგვინება — ღმერთის სიკვდილით. მართალია, ბ-ნ გოგიზე ერთი საუკუნით ადრე „ასე ამბობდა ზარატუსტრა“, მაგრამ ეს რა მოსატანია!

ბატონი გოგი თავის ინტერვიუში ბრძანებს, რომ იგი მართლმადიდებელია. თვითრეფლექსიით ის მართლაც მართლმადიდებელია, სძულს სექტანტიზმი, განსაკუთრებით კი, აღაფრთოვანებს ქრისტიანობაში იოანე ღვთისმეტყველის ფრაზა — „ღმერთი სიყვარულია“, მაგრამ სიყვარული, რა თქმა უნდა, ფროიდისტულად ესმის. შეუვალი სექტანტიზმია სახარების კითხვა არა იმ სულით, რა სულითაც ეს წიგნია დაწერილი. ეს წმ. წიგნი კი, სულიწმიდითაა შექმნილი, მხოლოდ ამ სულით შეიძლება მისი განმარტებაც და გაგებაც. ღმერთი სიყვარულია, მაგრამ არა ისეთი განყენებული სიყვარული, რომ ნებისმიერი სიბინძურით შეავსო, უფალმა არაერთგზის თქვა: არა იმრუშოო, ცოდვილნი და მემრუშენი ვერ ცხონდებიან სოდომელთა და გომორელთა მსგავსად, მიუხედავად ჩვენი სურვილისა, შევუქმნათ ჰომოსექსუალისტებს იურიდიული გარანტიები.

ბ-ნი გოგი სექტანტივით ანაკუწებს სახარებას, იღებს იმას, რაც მოსწონს, ანუ რასაც ფსიქოანალიზით იგებს, ხოლო რასაც ვერ იგებს, მას განაგდებს. სამაგიეროდ კი, შემოაქვს ახალი (ჩვენთვის ახალი, მაგრამ კაცობრიობისთვის კაცობრიობასავით ძველი) კულტები ფალოსის სიმბოლურ სახეში ხორცშესხმული. ძველინდურ რელიგიურ-ფილოსოფიურ მიმდინარეობაში — ტანტრიზმში სექსის გზით „ღვთაებრიობასთან“ ზიარების შესაძლებლობა ფართოდ იყო დეკლარირებული. თუ ეს თქვენ უფრო გემშობლიურებათ, ნუ შეშინდებით, ფსიქოს რეცეპტით ეს სავსებით იოლია. აიღეთ კინოშედევრები, განმარტეთ მათი სიმბოლური ენა ფროიდისტული ფსიქოანალიზის მეთოდიკით და მიიღებთ იმას, რაც უკვე განვლილი ეტაპია ცივილიზაციისთვის. რას იზამ, უყვართ განმანათლებლებს უკან — ბუნებისაკენ, მაგრამ ესმით, როგორც წინ — მაიმუნებისაკენ (შეგახსენებთ, მაიმუნები უკვე კარგა ხანია, ჩამოსულან ხეებიდან, ჩვენ რომ აგვიშვან ზედ, ცივილიზაციის გადასარჩენად). არაფერია საოცარი, თუ გინდათ მონაწილეობა მიიღოთ ძველბერძნულ მისტიკურ კულტმსახურებაში, ანდა, ძველი ვედანტური მეთოდით აპირებთ ჩაკრების გახსნას, კუნდალინის ენერგიის გამოფხიზლებას. მაგრამ მოდით, ნუ ავურევთ ყოველივე ამას ქრისტიანობაში.

„ფსიქო“ ჩემი ყველაზე საყვარელი გადაცემაა. მხოლოდ აქ შეიძლება ასე გენიალურად შეეხამოს აზრობრივი სილატაკე, ტერმინოლოგიურ სიჭრელეს. თანაც ჩვენ, იდეოლოგიურ იმპერიაში ნაცხოვრებ, აზრის ტირანიას მიჩვეულ ხალხს, როგორ გვეშობლიურება ყველაფრის მზა, გადაღეჭილი სახით ათვისება, გააზრება, ყველაფერთან სისტემური მისადაგება. ჩვენ ხომ მიჩვეულები ვიყავით მარქსისტულ ძალადობას, ახლაც სულ ადვილად მივეჩვიეთ ფროიდისტულ სექსუალურ ძალადობას კულტურაზე. პრინციპული სხვაობა არ არის, ერთი ტოტალური პრინციპით იხსნება ყოველივე. მაშინ რაც არ აიხსნებოდა, გადაგდებული იყო.

> სოკრატე მხოლოდ იქამდე მივიდა, რომ თქვა, — მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი. მათ კი არა მარტო ის იციან, რაც იციან, არამედ ისიც იციან, რაც არ იციან და მეტიც, ისიც კი იციან, რაც არ იცოდა კინორეჟისორმა.

ასე მაგალითად, კომუნისტების დროს გადააგდეს კიბერნეტიკა, გენეტიკა. ბ-ნ გოგის სურს, ყოველივე კინოხელოვნებაში, და არა მარტო კინოხელოვნებაში, დაუქვემდებაროს ფროიდის ფსიქოანალიზს. რაც არ დაექვემდებარება, მით უარესი მისთვის.

ზიგმუნდ ფროიდმა ფსიქოანალიზი სულიერად დაავადებულებზე დაკვირვებით შეიმუშავა და განსაკუთრებით ქმედითუნარიანია იგი მათი ანომალიების შესწავლისას. ბ-ნ გოგის და მის მშვენიერ მენადებს რომ უსმინო, უეჭველად დარწმუნდები ყველა კინორეჟისორის ფსიქოპათოლოგიაში. ცოტა ხანში არც საკუთარი ავადმყოფობა გაგაოცებს და აუცილებლად ფსიქოანალიზის ინექციები დაგჭირდება, რომ გაერკვე ხელოვნების შედევრს უყურებ თუ ხელოვნურ სუროგატს..

აგერ უკვე მერამდენეჯერ ვუყურებ ბ-ნ გოგის, ჩვენი დროის გმირს და ვფიქრობ, რა ბევრი დაკარგა სოკრატემ, მას და მის თანამოსაუბრეებს რომ ვერ უკავშირდება პირდაპირ ეთერში. საწყალმა ამდენი იფილოსოფოსა და მხოლოდ იქამდე მივიდა, რომ თქვა, — მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიციო. მათ კი არა მარტო ის იციან, რაც იციან, არამედ ისიც იციან, რაც არ იციან და მეტიც, ისიც კი იციან, რაც არ იცოდა კინორეჟისორმა, როცა ამა თუ იმ კადრს იღებდა. აი, საწყალმა რეჟისორმა არ იცოდა, რადგანაც ეს ქვეცნობიერში ჰქონდა, მაგრამ გოგი გვახარიამ და მისმა მისანმა თანამოსაუბრეებმა იციან, თანაც ამას ჩვენც გვაგებინებენ და განიცდი ისეთსავე ექსტაზს ამ „ღვთაებრივ“ ხელოვნებასთან ზიარებისას, როგორსაც მისტერიებში დიონისეს კულტთან ზიარებით განიცდიდნენ მენადები. დიონისე იყო ბაქუი, ხოლო საღმრთო მსახურება — ბაქანალია. „ფსიქო“ — ჩვენი დროის ექსტაზია ინტელექტუალურ ბაქანალიაში მონაწილეობისა.

ამ ბოლო დროს პერსევერაციულად დამჩემდა ძვ. ჩინური სიბრძნე ცნობილი კინოფილმიდან, მაგრამ არა უშავს, მაინც ვუყურებ შაბათს „ფსიქოს“. მე ხომ დარწმუნებული ვარ, თუმცა ბნელია ოთახი (ქვეცნობიერზე ბნელი აბა, რა უნდა იყოს) და შავი კატა იქ არც არის, მაგრამ ბ-ნი გოგი მაინც მოახერხებს მის დაჭერას. მოვუსმენ მას და მის სტუმრებს და სული შემეკვრება აღფრთოვანებით. სიამოვნებით გავიმეორებდი ჰეგელის სიტყვებს, ცხენზე ამხედრებული ნაპოლეონის ხილვისას რომ თქვა, — ვხედავ აბსოლუტურ გონს, კინოხელოვნებაზე ამხედრებულს.

**P.S.** რა ბედნიერი ვარ, რომ მაქვს ჩემი საყვარელი გადაცემა „ფსიქო“.

„მე მოვკლავ დედას,
დავახრჩობ მამას,
თუკი ფსიქოში
გვიბრძანებთ ამას“.

*ეკა ჯიქია*
*ფილოსოფოსი, თეოლოგი*

# ყველა ჯორჯიელი თუ ასეთი ვაჟკაცია, გამიბედნიერებია ამერიკელი ქალები...

## სასურველ „ულაყებს“ ადგილზე სინჯავენ...

*ამერიკაში ტრიალებს უცნაური ბიზნესი — ფირმა „დაკმაყოფილება“ ქართველ და საერთოდ, კავკასიელ მამაკაცებს ღირსეულ რეკლამირებას უწევს მთელ ამერიკაში და... დაფაცურდნენ ამერიკელი ქალებიც.*

ოთარს სევდა მოეძალა. არც იყო გასაკვირი — დილა უცხო ქვეყანაში უთენდებოდა და უცხო ხალხში უწევდა ტრიალი.

არადა, თავისი სურვილით არ ჩასულა იქ. არეულობამ, გაჭირვებამ დაატოვებინა სამშობლო. გაყიდა ბინა და ბედს აედევნა. პირველად თავი პარიზში ამოყო, მერე ვაშინგტონში გადაბარგდა. დააბიჯებდა ამ ვეებერთელა, „ცარიელ“ ქალაქში, სადაც არავის იცნობდა. ადამიანებს ცარიელი თვალები ჰქონდათ, შინაც, პატარა ოთახი უბადრუკი და ცარიელი იყო. საფუნთუშესა და კაზინოს გარდა, არსად დადიოდა. თამაშს გულს აყოლებდა, თორემ თბილისზე ფიქრს შეიძლება გაეგიჟებინა.

...კრუპიემ ბანკში დაგროვილი თანხა გამოაცხადა. დარიგდა ბანქო. აზარტის ცეცხლი წაეკიდათ მეტოქეებს. ოთარმა ზედიზედ მოიგო. პარტნიორები თვალს არ აშორებდნენ. უჩვეულო სიჩუმე ჩამოწვა.

— ბანკი! — გაისმა ზურგს უკან ქალის ხმა. ოთარს ქოჩორს ურხევდა უცნობის მთრთოლვარე სუნთქვა, — გაშალეთ, — ველარ მოითმინა ქალმა.

— თავად გაისარჯეთ, — ოთარი წამოდგა და კარტი მიაწოდა.

— ოოოო, — ერთხმად აღმოხდა ყველას.

ოთარმა ცალი თვალით დახედა ბანქოს. ცოტა ხანს დუმდა. მერე ფარეში იხმო. ლანგარი გამოართვა და ფული ზედ დაუყარა განცვიფრებულ გოგონას. წამოდგა, უკან მისდევდა გაკვირვებული ხმები:

— ამდენი ფულის გაჩუქება როგორ შეიძლება...

უცნობი ქალი გაალიზიანა და იმავდროულად მოხიბლა მისმა უხიაგმა ქცევამ.

— უცნაური ყოფილხართ, — თბილად უსაყვედურა ქალმა, — უცნაურია ჩვენი შეხვედრაც...

ქალის ნალაპარაკევით ოთარმა გაიგო, რომ ბარბარა პოლონელია, ამერიკაში მაღაზიების დიდი ქსელი აქვს, მაგრამ მაინც უკმაყოფილოა, რადგან ხეირიანი საყვარელი ვერ უშოვია!

ბარბარა მიხვდა, ოთარს მაინცდამაინც არ ეჭაშნიკებოდა მისი ლაქლაქი. ცოტა ხნის დუმილის მერე განაგრძო, — თქვენზე ნაწყენი ვარ. როცა დაგინახეთ, სიხარულით ცა გამეხსნა. თქვენ კი ჩემს ბედზე მოგებული სხვას აჩუქეთ. ორი სიტყვაც კი ვერ გაიმეტეთ...

„რას გადამეკიდა ეს ქალი“, — გაღიზიანდა ოთარი, ბარბარას თავი ნამდვილად არ ჰქონდა. უცებ ქალის სიახლოვემ და სურნელმა დაუბინდა გონება, ხელი მოხვია...

— ყველა ჯორჯიელი თუ ასეთი ვაჟკაცია, გამიბედნიერებია ამერიკელი ქალები და ეს არის! — მიეხმატკბილა ბარბარა კაცს.

— როგორ? — გაუკვირდა ოთარს.

— მერე გეტყვი, — ეშმაკურად ჩაიღიმა ბარბარამ.

მალე ოთარი ბარბარასთან გადასახლდა. მოხიბლული ქალი დიდ ფულს ახარჯავდა. ოთარს თავდაჯერებულობა დაუბრუნდა. ბარბარას წყალობით გაიცნო ბევრი მდიდარი მანდილოსანი, რომლებსაც სექსუალური დაუკმაყოფილებლობა სტანჯავდათ და მალე მიხვდა ბარბარას გადაკრულს, — ქართველი მამაკაცების მეოხებით გავაბედნიერებ ამერიკელ ქალებსო.

დატრიალდა უცნაური ბიზნესი — გაჩნდა ფირმა „დაკმაყოფილება“. დაიწყო ქართველი და საერთოდ, კავკასიელი მამაკაცების რეკლამირება მთელ ამერიკაში, გაფაციცდნენ დიდი ქონების პატრონი დედაბრებიც. ფირმა აყვავდა, უკვე მოთხოვნილებას ველარ აუდიოდა. გაჩნდა ქალთა რიგები. ბარბარამ ამას „სექსუალური შიმშილის დეფიციტი“ შეარქვა.

ქართულ გაზეთებში გამოჩნდა კომერციული განცხადებები, რომლებიც მამაკაცებს საზღვარგარეთ სამუშაოდ იწვევდნენ. სასურველ „ულაყებს“ ადგილზევე სინჯავდნენ ყველა პარამეტრის მიხედვით (სიმაღლე, წონა, ქცევა, ჰიგიენა, ჯანმრთელობა და ა. შ.), მიედინებოდა საჯიშე ახალგაზრდობა ოკეანის გაღმა... ვინ მოთვლის, ამ ექვს წელიწადში რამდენმა კაცმა დატოვა მშობლიური კერა...

ოთარი და ბარბარა დღესაც ვაშინგტონში ცხოვრობენ. მათ ახლა მხოლოდ საერთო საქმე აკავშირებთ. ბარბარა ხელთათმნებივით იცვლის ქართველ საყვარლებს, ოთარი კი სულ უფრო ხშირად ფიქრობს, — რატომ მიჰყო ხელი ამ უცნაურ ბიზნესს...

— ვიცი, უზნეობას და თუ გინდა, დანაშაულსაც ჩავდივარ, ფულის გულისთვის ჩავყვინთე ამ სიბინძურეში და ამოყვინთვას ველარ ვახერხებ... ისიც არ ვიცი, მსხვერპლი ვარ თუ არა... ალბათ ეს ყველაფერი დრომ მოიტანა და დრო წაიღებს, — გამომიტყდა ამას წინათ თბილისში ჩამოსული ოთარი.

...როცა ვკითხულობ განცხადებებს, რომლებიც ახალგაზრდებს უცხოეთში სამუშაოდ იწვევს, ყურში ოთარის ხმა ჩამესმის და ტანში მცრის...

*გალაქტიონ ტაგანაშვილი*

# ქართველი მამაკაცების უმრავლესობას

## არ სურს მარჩენალის ფუნქცია იკისროს...

მაჭანკლობის ინსტიტუტი საქართველოში ყოველთვის არსებობდა. თუკი გასულ საუკუნეში სოლომან მორბელაძეები და ხანუმები „აკვარახჭინებდნენ“ დაწყვილების საქმეს, კომუნისტებმა მაჭანკლობა ერთგვარ სამარცხვინო ფაქტად და თავადაზნაურულ ჩვევად მიიჩნიეს. ისინი აღფრთოვანებულნი შეხვდნენ კომკავშირულ ქორწინებას და თუ ოჯახური წყვილიდან ერთ-ერთს „რამე შეეშლებოდა“, არც სასამართლოების გამართვაზე იხევდნენ უკან. ეს სულ რაღაც ათიოდე წლის წინ ჩაბარდა წარსულს და კომუნისტურ-კომკავშირულ პერიოდში მიჩუმათებული მაჭანკლობა კვლავ წინა პლანზე გადმოვიდა, ოღონდ, დღეს იგი საკმაოდ თანამედროვე სტილით მოგვევლინა. „მორბელაძემაც“ და „ხანუმამაც“ თავაზიანად დაულოცეს გზა კომპიუტერს.

ახლა რაც შეეხება კომპიუტერულ მაჭანკლობას, რომელმაც საქართველოს ფარგლები არ იკმარა და საერთაშორისო ასპარეზზე გავიდა. საქმე ის გახლავთ, რომ დღევანდელმა ეკონომიკურ-ფინანსურმა მდგომარეობამ ბევრი ქართველი მიიყვანა შინაბერობისა და ბერბიჭობის ზღურბლთან, მოტივით — თავი ვერ მირჩენია და სხვისი ცოდვაც ავიკიდოო? ასე, ნელ-ნელა იკლო საქორწინო მრავალჟამიერმა და თვალხატულა გოგო-ბიჭების დაბადებამ.

ალბათ გახსოვთ, „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცის“ მთავარი გმირი, მიტუა როგორ ცდილობს, ლოგიკურად დამოძღვროს შინაბერები: „თუ მაინცდამაინც უნდა ინანო, შენც გათხოვდი და მერე ინანე, რაღა?!“. ასეთი „მიტუებით“ რჩევამიღებულმა ქალებმაც გადაწყვიტეს, გადაედგათ „საბედისწერო“ ნაბიჯი და სინანულითაც მერე ენანათ.

თანამედროვე მაჭანკლობამ მათ სიმორცხვეც დააძლევინა და რადგან ელექტრონული მიმოწერა გასაიდუმლოებულია, ჩათვალეს, რომ ცდა ბედის მონახევრეა და ჩვენმა ქალებმაც საბედოს ძებნა საზღვარგარეთ გადაწყვიტეს. ერთ-ერთ მათგანს ვთხოვეთ აზრი გამოეთქვა ამის შესახებ:

ი.თ. — რატომ გადაწყვიტე საზღვარგარეთ გათხოვება?

— იმიტომ, რომ აქ ვერა და ვერ ვიპოვე ღირსეული მამაკაცი. ისე ნუ გაიგებთ, რომ თითქოს ჩვენში არ არიან კარგი მამაკაცები, რა თქმა უნდა, არიან, მაგრამ მე ვერ შემხვდა ასეთი ან იქნებ ბედი არ გამეხსნა აქ, ჩემს სამშობლოში? მე ვთვლი, რომ ქალის უპირველესი მოვალეობა ქალობა და დედობაა, მერეა პატრიოტიზმი... ძალიან გთხოვთ, ნუ გამკილავთ, მაგრამ თუ სხვა ქვეყნის მამაკაცი „მარგუნა“ ღმერთმა და ბავშვიც გამიჩნდა, ჩემი ქვეყნის, ერისა და ენის სიყვარულით გავზრდი. მართალი რომ გითხრათ, აქ ბევრჯერ მქონდა იმედგაცრუება. ქართველი მამაკაცების უმრავლესობას არ სურს, მარჩენალის ფუნ-



ქცია იტვირთოს, მე და ჩემნაირი ქალები კი ვერ ვეგუებით „გამორჩენას“ დადარაჯებულ კაცებს, ამიტომაც ჩავერთე ამ საერთაშორისო ქსელში, თუკი სხვა ქვეყნის მამაკაცს აღმოაჩნდა ის ღირსეული თვისებები (მხედველობაში მაქვს, ფინანსურად უზრუნველყოფილი კაცი, ერთგული, მოსიყვარულე ქმარი და მამა) სიამოვნებით გავყვები ცოლად.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ღარიბი კაცი არ შეიძლება იყოს ერთგული და მოსიყვარულე ქმარი ან მამა?**

— სამწუხაროდ, ასეთი პიროვნება ჩემამდე არ მოსულა, თორემ მარტო სიღარიბის გამო არ დავიწუნებდი.

**— და ბოლოს, გაქვთ იმედი, რომ თქვენი „ოცნების რაინდს“ სხვა ქვეყანაში მაინც იპოვით?**

— იმედით ცხოვრობს ადამიანი... ახლა მიმოწერა მაქვს ერთ ამერიკელ ლექტორთან, ჩვენი შეხედულებები და ინტელექტის დონე ერთმანეთს ემთხვევა. ამას წინათ, ძალიან თბილი წერილი მივიღე მისგან და ვფიქრობ, სულ მალე დადგება ჩვენი შეხვედრის დღეც.

ქალბატონი ი.თ. აღფრთოვანებული ლაპარაკობს სამომავლო შეხვედრაზე და ისლა დამრჩენია, ჩემს თანამემამულეს შორეული გზა დავულოცო და ბედნიერი ქალობა, დედობა ვუსურვო.

*მარინა ბაბუნაშვილი*

7 ივლისს ქართველმა სამხედროებმა კიდევ ერთი პროფესიული დღე იზეიმეს. ამჯერად თავისი შექმნის დღესასწაული თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საზღვაო ძალებმა აღნიშნეს. სწორედ 1993 წლის 7 ივლისს განახორციელა პირველი საზღვაო ბრძოლა ქართულმა სამხედრო გემმა „განთიადმა“ აფხაზეთის მიმდებარე წყლებში.

ექვსი წლის წინ ქართული სამხედრო გემები, ძირითადად, თევზსაჭერ სეინერზე დადუღებულ ქვემეხებიან მცურავ საშუალებას წარმოადგენდნენ, დღეისათვის კი სიტუაცია კარდინალურად იცვლება.

# ქართული სარაკეტო „მუშტი“...

## თუ ჭკვიანად იქნებით, რაკეტებსაც ჩაგიდგამთო...

სწორედ ზეიმის დღეს შედგა უკრაინიდან ახალჩამოყვანილი სამხედრო ხომალდის „პრეზენტაცია“. დამოუკიდებელ სამხედრო ექსპერტებს შეუძლიათ თქვან, რომ ეს 206MP პროექტის სარაკეტო კატარღა დღეისათვის ყველაზე ბრძოლისუნარიან და მრისხანე იარაღს წარმოადგენს მთლიანად ორივე, როგორც თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საზღვაო ძალების, ისე სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სანაპირო დაცვის მცურავ საშუალებებში.

206MP პროექტის სარაკეტო კატარღას ჩვენთან სამხედრო ხომალდად მოიხსენიებენ იმ უბრალო მიზეზით, რომ მასზე მსხვილი და ძლიერი სამხედრო დანიშნულების გემი, ჯერჯერობით, ქართულ სამხედრო ფლოტს არ გააჩნია. ეს ხომალდი უკრაინაში, კერძოდ, სევასტოპოლში იქნა შეძენილი და არა ნაჩუქარი, როგორც ზოგიერთმა საინფორმაციო საშუალებამ გაავრცელა ხმა. იმის გამო, რომ ეს ხომალდი თავის დროზე, წლების განმავლობაში, ირიცხებოდა საბჭოთა კავშირის შავი ზღვის ფლოტის შემადგენლობაში, ბუნებრივია, მისი ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემები დიდ საიდუმლოს აღარ წარმოადგენს.

206MP პროექტის ხომალდზე დამონტაჟებულია თითო-თითო 76,2მმ კალიბრის AK-176 და 30მმ-იანი AK-630 საარტილერიო კომპლექსები.

მაგრამ, რაც მთავარია, ამ ხომალდს რაკეტების „ტერმიტების“ გასაშვები ორი დანადგარი აქვს.

**ჩვენი დოსიე:** — ერთლულიანი 76,2მმ-იანი ქვემეხი AK-176 გამოიყენება როგორც საჰაერო მიზნების ჩამოსაგდებად, ისე საზღვაო და სანაპირო ობიექტების გასანადგურებლად. მის მარაგში 152 ცალი ჭურვია, რომლებსაც ქვემეხი მაქსიმალურ სიშორეზე — 15,5 კმ-ზე ისვრის.

— 30 მმ-იან ექვსლულიან ავტომატურ ქვემეხ AK-630-ს სხვანაირად „მჭრელსაც“ უწოდებენ, მაგრამ მისი სროლის ტემპი წუთში მართლაც ფანტასტიკურ რიცხვს, თითქმის 5.000-ს უტოლდება და საზღვაო მიზანს 5 კმ-ის სიშორეზე ისე გაჭრის, როგორც დანა კარაქს.

— ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა „Термит-Р“-ს რადიოლოკაციური დამიზნების მოწყობილობა აქვს და ავტომატურად შეუძლია მოწინააღმდეგის გემს „კუდში სდიოს“. მისი მაქსიმალური ფრენის სიშორე არანაკლებ 80 კმ-ია, რაც ამ რაკეტებს მალზე სერიოზულ ძალად აქცევს.

მაგრამ, სამწუხაროდ, უკრაინაში ნაყიდ 206MP პროექტის ხომალდს, ჯერჯერობით, „ტერმიტები“ თან არ მოჰყოლია იმ მიზეზით, რომ ფოთში ამგვარი რაკეტების შესანახი და შესამოწმებელი ბაზა არ არსებობს, ხოლო ამ ტიპის რაკეტების მუდმივი შენახვა უშუალოდ ხომალდზე რეკომენდებული არ არის და გასროლამდე ცოტა ხნით ადრე უნდა ჩაიტვირთოს. თუმცა რჩება კიდევ ერთი მოსაზრებაც — „ტერმიტები“ ქართულ სამხედრო ფლოტს შავ ზღვაში საკმაოდ ანგარიშგასაწევ ძალად აქცევს არა მარტო სეპარატისტებისათვის, არამედ თავად რუსეთისა და თურქეთისთვის, რადგან „ტერმიტს“ 70-80 კმ-ის სიშორეზე ფრეგატის ჩაძირვა თუ არა, დიდხანს მწყობრიდან



№302 სარაკეტო ხომალდის შეძენამ ქართული სამხედრო ფლოტი მნიშვნელოვნად გააძლიერა.

გამოყვანა შეუძლია. ასეთი შორს მსროლელი იარაღი ყველა შავზღვისპირა ქვეყანას აქვს, გარდა საქართველოსი. იმედია, ხელისუფლება არ დაიშურებს იმ თანხას, რაც ჩვენი ფლოტის ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებით აღჭურვას სჭირდება.

სამხედრო-საზღვაო ძალების დღესასწაულზე ახალშეძენილმა სარაკეტო ხომალდმა საბორტე ნომრით №302, მასზე მყოფი სტუმრები, თავდაცვის მინისტრის „თამადობით“, თავისი ცურვის სიჩქარითაც გააოცა. მართალია, იმ დღეს №302-ს 32 კვანძი/საათში (57 კმ/სთ) მეტი სიჩქარე არ აუწევია, მაგრამ მას 42 კვანძი/სთ მაქსიმალური სიჩქარითაც შეუძლია იცუროს. ეს კი არც მეტი, არც ნაკლები 75 კმ/სთ-მდეა, რაც მას საქართველოში ყველაზე სწრაფად მოცურავე ხომალდად აქცევს. ასეთი სიჩქარის განვითარებას კი ხომალდის სამი, თითოეული 5.400 ცხ.ძ-ის სიმძლავრის ძრავები და, რაც მთავარია, დასაკეცი წყალქვეშა ფრთები იძლევა. წარმოიდგინეთ, რამდენიმე ასეთი ხომალდი რომ ჰქონოდათ ქართველ სამხედრო მეზღვაურებს თავისი პროფესიული დღის დაწყებისას — 1993 წლის 7 ივლისს, მაშინ აფხაზეთის ომის ბედი ცოტა სხვანაირად წარიმართებოდა.

**P.S.** გასულ კვირას საზღვაო თემა ამით არ ამოწურულა. შაბათს, 10 ივლისს, პრეზიდენტმა — უმაღლესმა მთავარსარდალმა ქართველი მესაზღვრეების სანაპირო დაცვის დანაყოფები მოინახულა ფოთში, რომლებმაც აშშ-ის დახმარებით დაიწყეს საქართველოს საზღვაო სანაპიროს გაკონტროლების მთელი სისტემის შექმნა, რამაც ერთი-ორ წელში გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს მთლიანად საქართველოს უსაფრთხოების საქმეში.

# მკითხველის სვეტი

**რა საბორტე შეიარაღება აქვს თბილისის საავიაციო ქარხნის მიერ გამოშვებულ Су-25 მოიერიშე და МиГ-21 გამანადგურებელ თვითმფრინავებს?**

*ლევან ცომაია*

თბილისის საავიაციო ქარხანამ თავის დროზე 2.201 ცალი ორადგილიანი, სასწავლო-საბრძოლო МиГ-21УБ გამანადგურებელი გამოუშვა. რადგანაც ეს თვითმფრინავი ნახევრად სასწავლო იყო, შეიარაღების დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩეოდა, თუმცა, მას შეეძლო ეტარებინა „ჰაერი-ჰაერი“ ტიპის ახლო მანძილზე მოქმედი საავიაციო რაკეტები K-13 და P-60, რომლებსაც სითბური დამიზნების მოწყობილობა ჰქონდათ. გარდა ამისა, მასზე უმართავი რაკეტების — УБ-32 ორი უნივერსალური ბლოკი (თითოეულში 32 ცალი 57 მმ-იანი უმართავი რაკეტა თავსდება) ან ორი 500 კგ კალიბრის საავიაციო ბომბი იკიდებოდა. რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ამ МиГ-ს საქვემეხე შეიარაღება არ გააჩნდა. თუმცა, საჭიროების შემთხვევაშიც ბირთვული სიღრმული ბომბის ან ტორპედოს ჩაგდებაც შეეძლო სანაპიროსთან ახლოს „მოპარული“ ამერიკული ატომური წყალქვეშა ნავის ზღვის სიღრმეში ასაფეთქებლად.

Су-25 მოიერიშე ნამდვილად ქართულ საბრძოლო თვითმფრინავად შეიძლება მოინათლოს. დღემდე 1.300-მდე ასეთი მოიერიშეა გამოშვებული. მისი შეიარაღება მართლაც შთამბეჭდავია და მისი მაქსიმალური წონა 4,4 ტ-ს შეადგენს. მოიერიშის წინა ნაწილში დამონტაჟებულია 30 მმ-იანი ერთი ორლულიანი საავიაციო ქვემეხი ГШ-2-30 (250 ჭურვით), რომლის სროლის ტემპი წუთში 3.000 გასროლას აღწევს. მოიერიშეს იარაღის დასაკიდი 10 პილონი აქვს და შეუძლია წაიღოს მაქსიმალური შეიარაღება — რვა 500 კგ-იანი ბომბი და ორი „ჰაერი-ჰაერი“ ტიპის რაკეტა P-60 მოწინააღმდეგის გამანადგურებლებისგან თავდასაცავად. Су-25-ს თავისი ლაზერული დამიზნების მოწყობილობის საშუალებით მართვადი რაკეტებისა და ბომბების გამოყენებაც შეუძლია (ავღანეთში Су-25-ებმა 139 მართვადი რაკეტა ესროლეს მოჯაჰედებს). საბჭოთა სტრატეგებს Су-25-ის გამოყენება არც შესაძლებელი ბირთვული ომის დაწყების




შემთხვევაში დავიწყებიათ. მის შეიარაღებაში გათვალისწინებული იყო 500 კგ წონის 50-60 კტ-ის ტროტილის აფეთქების სიმძლავრის ეკვივალენტი ბირთვული ბომბის ჩამოკიდებაც. თავისი შეიარაღებით Су-25 და განსაკუთრებით, მისი თანამედროვე მოდიფიკაცია Су-25ТМ (Су-39) მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მრისხანე საბრძოლო თვითმფრინავად ითვლება.

**თქვენი რუბრიკის საშუალებით, გთხოვთ, მოგვაწოდოთ მოკლე დახასიათება მსოფლიოში არსებული ფეთქებადი საშუალებების შესახებ. რას წარმოადგენს: ფუგასი, ჰაუბიცა, ჭურვი, ყუმბარა და ა.შ.**

*დიდი პატივისცემით*
*მერაბ გოგოლაძე*

ადვილი მისახვედრია, რომ დაახლოებით ასეთი კითხვა არა მარტო ბატონ მერაბს, არამედ ამ გვერდის მრავალ მკითხველს გაუჩნდებოდა, რადგან სამხედრო საქმე — ეს უზუსტესი მეცნიერებაა, რომელშიც პატარა შეცდომაც კი, მრავალ ადამიანს იმსხვერპლებს. ამიტომაც ქართველმა მკითხველმა რაც შეიძლება კარგად უნდა იცოდეს ელემენტარული სამხედრო საკითხები მაინც, რათა ვერავინ შეძლოს მისი ისე მწარედ მოტყუება, როგორც ეს უახლოეს წარსულში (თბილისის, ცხინვალისა თუ აფხაზეთის ომების დროს) ხდებოდა. მკითხველისთვის რომ ადვილი იყოს რთულ სამხედრო ტერმინოლოგიაში გარკვევა, ვეცდებით, მარტივად, გასაგებად ავხსნათ ყოველივე. საერთოდ, არტილერია თავის შეიარაღებაში ძირითადად მოითვლის — ქვემეხებს, ჰაუბიცებს, ნაღმსატყორცნებს და ზალპური ცეცხლის რეაქტიულ დანადგარებს. ქვემეხი — პირდაპირი დამიზნებისა და გასროლისთვის გამოიყენება, როდესაც სამიზნე მოჩანს. ჰაუბიცას კი დახურული პოზიციიდანაც შეუძლია ისროლოს ჭურვი „დაკიდებული“ ტრაექტორიით ისე, რომ სამიზნეს საერთოდ ვერ ხედავდეს. ნაღმსატყორცნების უმეტესობა კი ლულის პირიდან იტენება და მისგან გასროლილ ნაღმსაც ფრენის მაღალი ტრაექტორია აქვს. ზალპური ცეცხლის რეაქტიული დანადგარების ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი საბჭოთა БМ-13 „კატიუშა“ გახდა. ამ სისტემის იარაღს რაკეტების გასაშვები ათეულობით ლულა აქვს (მაგალითად, БМ-21 „გრადზე“ დამონტაჟებულია 40 ცალი 122 მმ-იანი ლულა), რაც მას მოწინააღმდეგის განლაგებისკენ რაკეტების ზალპად გაშვების საშუალებას აძლევს („გრადი“ 40 რაკეტას 20 წამში ისვრის); თუმცა, ამ ტიპის საარტილერიო იარაღი დიდი სიზუსტით არ გამოირჩევა და გარკვეული ფართობის ქადრაკისებურად დასაბომბად გამოიყენება. საარტილერიო ჭურვები ძირითადად ფუგასური, მსხვრევად-ფუგასური, კუმულატიური, ჯავშანგამტანი თუ სხვა სახისაა. მათ შორისაა სპეციალური ჭურვებიც — ატომური, ქიმიური და ბინარულიც. თუ ფუგასური ჭურვი აფეთქებისას მოწინააღმდეგეს ძირითადად დიდი წნევის წარმოქმნით აზიანებს, მსხვრევად-ფუგასური — დამატებით მეტალის პატარ-პატარა ნაჭრებითაც აზიანებს ქვეით ჯარს. ჯავშანგამტანი ჭურვის წაწვეტებული ქობინი, მტკიცე ლითონისგან (ძირითადად ვოლფრამის ან გალარიბებული ურანისგან) მზადდება და მის წინაშე ტანკის დინამიკური დაცვაც კი უძლურია. სამაგიეროდ, ამ უკანასკნელს ტანკსაწინააღმდეგო ჭურვის კუმულატიური მიმართული ჭავლის გაბნევა და ტანკის ჯავშნის გადარჩენა შეუძლია. სამწუხაროდ, „სამხედრო გვერდის“ მოცულობა საშუალებას არ იძლევა, უფრო დაწვრილებით და ფართოდ იქნეს ახსნილი ყოველი სამხედრო ხასიათის ნიუანსი, მაგრამ ავტორი შეეცდება, ყველა მკითხველს შეძლებისდაგვარად გასცეს პასუხი.

*გვერდი მოამზადა*
*ირაკლი ალადაშვილმა*

## არსენალი

# „სმერჩი“ შორიდან იმუქრება

სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ კი სომხეთის ტერიტორიაზე, ყოველწლიურად იზრდება თანამედროვე საბრძოლო ტექნიკის რაოდენობა და სახეობები, თანაც ისეთი, რომელიც მანამდე აქ განთავსებულ საბჭოთა არმიას შეიარაღებაში საერთოდ არ ჰქონია. გამორიცხული არ არის, რომ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ სამხრეთ კავკასიის ამ ქვეყანაში გადასროლილ თანამედროვე საბრძოლო თვითმფრინავებს — МиГ-29-სა და საზენიტო-სარაკეტო სისტემებს — С-300В-ს, უახლოეს მომავალში ასევე თანამედროვე ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები — „სმერჩებიც“ — მიემატოს.

„სმერჩი“ — „კატიუშის“, „გრადის“, „პრიმას“ და „ურაგანის“ ბოლო ძმობილია, მაგრამ მათგან განსხვავებით უზარმაზარი დამანგრეველი ძალა აქვს.



„СМЕРЧ“-ის სამხრეთ კავკასიაში შესაძლებელი გამოჩენა ახალ საფრთხეს მოასწავებს

ზალპური ცეცხლის რეაქტიულ სისტემას 9К58 „Смерч“-ს 300 მმ კალიბრის 12 გასაშვები ლულა აქვს და განსაზღვრულია მოწინააღმდეგის უახლოეს ოპერატიულ სიღრმეში ცოცხალი ძალის, აგრეთვე, შეუჯავშნავი და ჯავშნიანი ტექნიკის გასანადგურებლად.

რაკეტების გასაშვები პაკეტი ყველგანმავალ МАЗ-543А-ზეა დამონტაჟებული. მთლიანად ეს სისტემა 43 ტ-მდე იწონის. „სმერჩი“ პირველი რეაქტიული სისტემაა, რომლის რაკეტები ფრენის ტრაექტორიის აქტიურ მონაკვეთზე კორექციას განიცდის, რითაც სროლის სიზუსტე 3-ჯერ გაიზარდა იმავე „ურაგანთან“ შედარებით. „სმერჩი“ სამი სახის რაკეტას ისვრის 70 კმ-ის მანძილზე (სროლის მინიმალური სიშორე კი 20 კმ-ია) — კასეტურს, მსხვრევად-ფუგასურს და თვითდამიზნებად საბრძოლო ელემენტებიან კასეტურს. მათგან ყველაზე საინტერესოა სწორედ ბოლო სახეობის რაკეტა.

წარმოიდგინეთ, რომ დაზვერვა „სმერჩების“ დივიზიონს ატყობინებს, ფრონტის ხაზისკენ მტრის სატანკო კოლონა მოიწევსო. „სმერჩები“ ორიოდ წუთში ცეცხლს ხსნიან და მოწინააღმდეგის ზურგის საკმაო სიღრმეში (70 კმ-მდე) ისვრიან რაკეტებს. 800 კგ-იანი და 7,6 მ სიგრძის რაკეტაში მოთავსებულია 233 კგ წონის კასეტური ქობინი, რომელშიც, თავის მხრივ, 5 თვითდამიზნებადი საბრძოლო ელემენტია ჩადებული. კასეტური ქობინი ჰაერში იხსნება და ხუთივე „ჭკვიანი“ საბრძოლო ელემენტი, პატარა პარაშუტებით ცალ-ცალკე ეშვება. ამ საბრძოლო ელემენტს სითბური დამიზნების სისტემა აქვს, რომელიც სიმაღლიდან ადვილად აფიქსირებს მოძრავი ტანკის ან ჯავშანტრანსპორტიორის ძრავის ნაკვეთურიდან გამომავალ მაღალტემპერატურიან სიმხურვალეს და მისკენ მიმართავს საბრძოლო ელემენტს, რომელსაც, თავის მხრივ, პარაშუტი ავტომატურად სცილდება. მსოფლიოს ნებისმიერ ტანკს კი, კორპუსისა და კოშკურის ზედა ნაწილი ბევრად უფრო ნაკლებად აქვს შეჯავშნული, ვიდრე წინა, ამიტომაც „სმერჩის“ მიერ 70 კმ-ის სიშორიდან გაშვებული რაკეტის თვითდამიზნებადი საბრძოლო ელემენტი თავისი კუმულატიური მუხტით, ადვილად დააზიანებს დღეისთვის ცნობილ ნებისმიერ ტანკს.

სწორედ ამ გარემოებას „სმერჩი“ უზუსტესი იარაღის დონემდე აჰყავს, რაც მის კოტირებას იარაღის მსოფლიო ბაზარზე ძალზე მაღლა სწევს. ეტყობა, უკვე ამიტომაც შეიძინა „სმერჩები“ ერაყისგან დაშინებულმა ქუვეითმა, აგრეთვე ჩინეთმა, საუდის არაბეთმა, კვიპროსმა და სხვა ქვეყნებმა.

„სმერჩების“ შესაძლებელი შემოტანა რუსეთიდან სომხეთში, კიდევ უფრო დაარღვევს ისედაც არასტაბილურ სამხედრო ბალანსს სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# — მკითხავმა გვითხრა — იგორ გიორგაძეს უხსენეთ ჩემი სახელი და ის და შოთა კვირაია დაგეხმარებიანო...

ეს ამბავი „ლისის ტბის საიდუმლოების" სახელითაა ცნობილი. მას შემდეგ 4 წელი გავიდა, მაგრამ იდუმალება დღემდე არ დაუკარგავს, რადგან 18 წლის ალექსანდრე (კუსა) თოხმაიდის და 14 წლის ბექა რეხვიაშვილის გამტაცებელთა ვინაობა და გატაცების მოტივი კვლავ ბურუსითაა მოცული. უფრო მეტიც, მშობლებს დღემდე ბოლომდე არ სჯერათ, რომ 1995 წლის 14 აპრილს, მათი შვილების დაკარგვიდან ზუსტად 40 დღის შემდეგ, ლისის ტბაზე ნაპოვნი გვამები მათი შვილებისა იყო.


ბექა რეხვიაშვილი

*მივყვეთ მოვლენათა მსვლელობას:*

**თამარ გარსევანიშვილი** — 1995 წლის 4 მარტს, საღამოს 8 საათზე, ჩემი შვილი, კუსა თოხმაიდი, ეზოში ჩავიდა და აღარ დაბრუნებულა. ეზოს ბიჭებმა გვითხრეს, — კუსა და ბექა მზესუმზირის საყიდლად გავიდნენო, მაგრამ ეს არ დადასტურდა.

**მანანა რეხვიაშვილი** — იმ დღეს ბექა საღამოს რვის ნახევარზე ფეხბურთის ვარჯიშიდან დაბრუნდა. ამასობაში, ტელეფონმა დარეკა და თვითონ ბექამ უპასუხა. ლაპარაკი რომ დაამთავრა, მითხრა, — ნინო დეიდამ (თავისი მწვრთნელის მეუღლე) მთხოვა მისვლა და მალე დავბრუნდებიო. მაგრამ დღემდე არ დაბრუნებულა.

**თამარ გარსევანიშვილი** — 1994 წელს აიყვანეს ე.წ. კულინარიელთა საძმო. იგორ გიორგაძეს უბრძანებია, აეყვანათ ჩემი შვილიც, რადგან ამ ბიჭების ნაწილი კუსას თანასკოლელი და მეზობელი იყო, თუმცა, თვითონ ჩემს შვილს არანაირი საერთო არ ჰქონდა მათთან... დილით პურის საყიდლად ვიყავი გასული, ამ დროს მოსულა უშიშროების 6 თანამშრომელი. შინ იყვნენ კუსა და ჩემი ქალიშვილი, რომლებსაც ეძინათ და ჩემი და. კუსას მშობლების დაუკითხავად ჩაავლეს ხელი და წაიყვანეს. მივმართე ჩემს მეზობელს, ქალაქის უშიშროების სამმართველოს უფროსის მოადგილეს თამაზ სალუქვაძეს, რომელსაც მაშინ მიჰყავდა ეს საქმე. თუ რამე არ დაუშავებია, გამოვუშვებთო — დამამშვიდა. გამიკვირდა, რა უნდა დაეშავებინა ჩემს შვილს-მეთქი. თურმე, 16 წლის ბავშვს იძულებით დააწერინეს განცხადება „ვერბოვკაზე" და მეორე საღამოს გამოუშვეს... ვფიქრობ, მხოლოდ ამიტომ წაიყვანეს. იმ დღიდან მთელი ერთი თვის განმავლობაში ტელეფონის რეკვა არ შეწყვეტილა — ემუქრებოდნენ, — თუ ჩვენთან არ იმუშავებ, უბანში ხმას დაგიყრით, რომ „ჩამშვები" ხარო და ა.შ. კუსა სხვანაირი ბიჭი იყო. ამაზე არაფრით დასთანხმდებოდა და ერთ ჩვენს მეზობელს, მაღალი თანამდებობის პირს სთხოვა, რამე მიშველეო. ამ კაცმა მოუსმინა, ვილაცას დაურეკა და მეორე დღიდან შეწყდა სატელეფონო ზარები. ერთი წლის შემდეგ კუსა დაიკარგა.

როდესაც კუსა და მასთან ერთად 12 კულინარიელი აიყვანეს, ყველას დააწერინეს ჩვენება. ერთი წლის შემდეგ ყველას ჩვენება ადგილზე იყო, გარდა კუსასი. გარდა ამისა, სახლში აყვანისას შედგენილი ოქმი, რომლის ერთი პირი, წესით, ჩვენ უნდა დაგვრჩენოდა და განცხადება „ვერბოვკაზე", სამივე საბუთი, დაკარგული აღმოჩნდა...

ჩვენს მიერ ჩატარებული ჟურნალისტური მოკვლევით, ალექსანდრე თოხმაიდის შევიწროების ფაქტი, რაც სატელეფონო ზარებს ეხება, დასტურდება. თუ ქალბატონი თამარის საუბარს დავეყრდნობით და ამას სხვა გარემოებაც ადასტურებს, უშიშროების სამსახურის მიერ ალექსანდრე თოხმაიდის დაყოლიების და გადაბირების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, იბადება ორი კითხვა: 1) ხომ არ აასრულა დანაპირები მუქარა განბილებულმა უშიშროების სამსახურმა, რაც კუსასთვის ე.წ. ჩამშვების იარლიყის მიწებებას გულისხმობდა? და 2) პირიქით, უშედეგო მცდელობით განაწყენებულმა უშიშროების თანამშრომლებმა ხომ არ გამოიყენეს, ამჯერად უკვე სხვა საქმისთვის, ურჩი თოხმაიდი? ორივე ვარიანტი, ცხადია, ვარაუდის დონეზეა. პირველ ვარიანტს, „კულინარიელთა" მიერ კუსას განადგურების შესაძლო ვერსიისკენ მივყავართ. ამ მოსაზრებას იმ პერიოდში ბევრი ავრცელებდა. თუმცა, ქ-ნი თამარი, სხვადასხვა მიზეზის გამო, გამორიცხავს ამ ვერსიას. მისი თქმით, მასსა და „კულინარიელთა" ერთ-ერთ ლიდერთან დაპირისპირებაც შემდგარა და ამან საბოლოოდ დაარწმუნა, რომ მისი შვილის გატაცებასა და მკვლელობაში „კულინარიელები" უდანაშაულონი არიან. ჩვენ დამოუკიდებლად შევხვდით ყოფილ „კულინარიელთა" საძმოს ერთ-ერთ წევრს, რომელმაც ასევე კატეგორიულად უარყო მათსა და კუსას შორის რაიმე დაპირისპირება — კუსას ვიცნობდით, როგორც ჩვენს უბნელსა და სკოლელს. ჩვეულებრივი ბიჭი იყო... ამ ხმებს ჩვენს წინააღმდეგ ავრცელებდნენ და ვიცი, ვინც ავრცელებდა... იქამდე ამოგვიყვანეს ყელში ეს ტყუილები და ჭორები, რომ ჩვენ თვითონვე დავინტერესდით, გაგვეგო, ვინ გაიტაცა ისინი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფერი დავადგინეთ, რადგან ეს საქმე უბრალო ბიჭების გაკეთებული არ იყო...

**მანანა რეხვიაშვილი** — „კულინარიელების" ვერსია ვიცით, საიდანაც მოდის და ქა კეთდებოდა ჩვენს დასაბნევად. „კულინარიელებს" ჩემს 14 წლის შვილთან რა საქმე ჰქონდათ?..

მშობლების თქმით, „კულინარიელებთან" დაკავშირებული ვერსიის გავრცელების რამდენიმე მცდელობა ყოფილა. კერძოდ კი სხვადასხვა დროს მათთან ორჯერ მისულა მათთვის ნაცნობი სხვადასხვა პირი, რომლებიც ამტკიცებდნენ თოხმაიდისა და რეხვიაშვილის „კულინარიელების" მიერ მკვლელობას. მშობლებისა და კიდევ სხვათა დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ, ელიარებინათ ამ ბიჭებს, თუ ვინ გამოაგზავნა ისინი ამის სათქმელად, ორივემ ერთსა და იმავე პიროვნებაზე მიუთითა.

**მანანა რეხვიაშვილი** — ამის შემდეგ უფრო დავრწმუნდით, რომ ეს ყველაფერი შეგნებულად და გზის ასაბნევად კეთდებოდა და ვინც ეს ბიჭები გამოაგზავნა, ისინიც კუსას და ბექას გატაცების მონაწილენი არიან.

## შეხვედრები იგორ გიორგაძესთან

**მანანა რეხვიაშვილი** — ამ საქმის გამო უამრავ თანამდებობის პირს მივმართეთ. მათ შორის სამჯერ შევხვდი მაშინდელ უშიშროების მინისტრს იგორ გიორგაძეს, რომელიც ჩვენი მეზობელია. პირველი შეხვედრა მასთან ბავშვების დაკარგვის დღიდან მეოთხე დღეს, მისსავე სახლში შედგა... იცოდა ჩვენი მდგომარეობა. მივიდა ტელეფონთან, მაგრამ ეს ჩვეულებრივი აპარატი არ იყო, ნომრებიც არ აუკრეფია, ისე დაელაპარაკა ვილაცას და დემურ მიქაძე იკითხა. ცხადია, არ მესმოდა, იქიდან რას პასუხობდნენ. მაგრამ, როგორც ჩანს, არ ვიცით, სად არისო, უთხრეს. გიორგაძემ უყვირა: როგორ მელაპარაკებით, მე იგორი ვარ, გიორგაძე, კარგად დაიმახსოვრეთო და — დადო ყურმილი. ცოტა ხანში ისევ აიღო და, როგორც ჩანს, ამჯერად მოხვდა დემურ მიქაძის ბინაში, მაგრამ როგორ დაუკავშირდა იმავე ტელეფონით ნომრის აუკრეფავად, არ ვიცი-ქ-ნ მანანას, დემურის მეუღლეს, ეკითხება, — სად არის დემურიო... ეტყობა, დემური მივიდა ტელეფონთან. იგორი ეუბნება, — დემურ, იგორი ვარ, ხვალ, დილის 6 საათზე, მე — ჩემი ბიჭებით, შენ — შენი ბიჭებით, სპორტის სასახლის უკან უნდა შევხვდეთ ერთმანეთს და ლისის ტბა შტურმით ავიღოთო... და ამას მინისტრი ჩემი თანდასწრებით ლაპარაკობს! მეორედ, დაახლოებით 4 დღის შემდეგ კიდევ ავედი გიორგაძესთან, მასთან ხაჩიშვილი დამხვდა. მითხრა, — თუ დარეკონ და ფული მოგთხოვონ, მე აქ ვარ, არაფრის პრობლემა არა გაქვსო. მესამედ უკვე გვამების პოვნის და დაკრძალვის შემდეგ, 4 მაისს შევხვდი. მითხრა, — არსად გახვიდე, არც პოლიციაში, არც პროკურატურაში; იჯექი შინ და ნახავ, როგორ გავაქრობ მაგას ფიზიკურადო. ვერაფრით მივხვდი, ვის უპირებდა გაქრობას. იმ პიროვნებას ორივენი ხომ არ ვიცნობთ-მეთქი, გავიფიქრე. ამ შეხვედრებმა ძალზე დამაეჭვა. მიუხედავად ამისა, ვენდობოდი და მჯეროდა მისი პროფესიონალიზმისა, ვფიქრობდი, მეზობელია, თან ჩემი მეუღლე მისი თანამშრომელია და დაგვეხმარება-მეთქი. მწარედ შევცდი... როდესაც ეჭვი გამიძლიერდა, დემურ მიქაძეს ვკითხე იმ პირველი საუბრის თაობაზე. გაოცდა... მითხრა, — სადაც დაგჭირდებათ, თუნდაც სასამართლოზე, მზად ვარ, ჩემი მეუღლითურთ მოვიდე და ამ საუბრის არსებობა უარვყოო. რაც შეეხება მეორე შეხვედრას, გიორგაძემ კარგად იცოდა, რა შეძლების ოჯახები გვქონდა მე და თოხმაიდებს, — ფულის გულისთვის ჩვენს შვილებს არავინ მოიტაცებდა, მაგრამ ამით გზას მიბნევდა. რაც შეეხება მესამე შეხვედრას, როდესაც მან მე შინიდან გასვლა ამიკრძალა, იმისთვის დასჭირდა, რომ მე, ფაქტობრივად, 5 თვის განმავლობაში მოვწყვეტოდი გამოძიების მსვლელობას და არ მცოდნოდა იმ დარღვევების შესახებ, რომლებიც გამოძიების დროს თანდათანობით იკვეთებოდა.

გარდა ამისა, 17 აპრილს გვამების პოვნიდან მესამე დღეს საქმე მცხეთიდან გადმოტანილ იქნა რესპუბლიკურ პროკურატურაში. ვინ გადმოიტანაო, რომ ვკითხეთ, გვიპასუხეს — უშიშროებამო. გიორგაძე კი ხარ, ბატონო, მაგრამ ხომ შეიძლება მშობელს შეუთანხმო, რომ საქმის გადმოტანა გვინდა და შენ რას გვეტყვი. მაგრამ მას ასე აწყობდა და გააკეთა კიდევაც. დავუშვათ, ვილაც დამნაშავეებს დააფარა ხელი, მაგრამ პროფესიონალი ამას ისე გააკეთებდა, რომ თვითონ თანამონაწილე არ გახდებოდა. მას შეეძლო ეს დაევალებინა ვილაცისთვის და საქმე ისეთი მიმართულებით წაეყვანა, რომ ჩვენ ვერაფერი გაგვეგო. საბოლოო ჯამში კი უშიშროებიდან ასეთი პასუხი მივიღე: ჩვენ არაოფიციალურად ვიყავით ჩართული ამ საქმეში და არაფერი ვიცითო.

## შეტყობინება გვამების პოვნის თაობაზე

**თამარ გარსევანიშვილი** — 1995 წლის 14 აპრილს, ღამის 12.05 სთ-ზე მოვიდა მცხეთის პროკურორის თანაშემწე მესხი და გვითხრა, — ლისის ტბის მიდამოებში ნაპოვნია ორი გვამი, ერთ-ერთი, პირადობის მოწმობის მიხედვით, თქვენი შვილიაო.

**მანანა რეხვიაშვილი** — რადგან ერთი იყო კუსა, მეორე, თავისთავად ვიფიქრეთ, ბექა იქნებოდა. გვამები ხუთშაბათს, 13 აპრილს აღმოაჩინეს, მაგრამ რატომღაც დროულად ვერ მოგვაწვდინეს ხმა და მხოლოდ პარასკევს, ღამით შეგვატყობინეს...

## გვამების პოვნის ადგილი

**მანანა რეხვიაშვილი** — პარასკევს, გვამების პოვნის ადგილას 11 კაცის თანხლებით მისულ მესხს დაუთვალიერებია ტერიტორია, შეუდგენია ოქმი, დაუთვალიერებია შემთხვევის ადგილი 1 კმ რადიუსში. ოქმში წერია, რომ აღმოჩენილ იქნა ორი გვამი. მიწაყრილიდან ამოშვერილი ერთ-ერთის ფეხი მეცხვარეს შეუნიშნავს. გვამის ბეჭებს ქვემოთ ამოდებულ ქუდში ელაგა კუსას საათი, ცხვირსახოცი, ძეწკვი, გატეხილი ჯვარი. ამის მეტი სხვა არაფერი ნივთმტკიცება არ არის დაფიქსირებული.


კუსა თოხმაიდი

მეორე დღეს უშიშროების თანამშრომლებმა ხელმეორედ შეამოწმეს იქაურობა. როგორც ჩანს, არ ენდვნენ მესხის ჯგუფს... მათ ოქმში, რომელსაც ხელს აწერს ქალაქის უშიშროების საგამოძიებო სამსახურის უფროსი სალაყაია, წერია, რომ შემთხვევის ადგილზე, სამარხთან, ნაპოვნი იქნა 7 მასრა. სამარხიდან მოშორებით, ამაღლებულ ადგილას კიდევ ნაპოვნი იქნა 4 ცარიელი მასრა. მესხის 11-კაციანმა ჯგუფმა ეს მასრები ვერ აღმოაჩინა და უშიშროების თანამშრომლებმა კი მეორე დღეს იპოვეს?

## როგორ მზადდებოდა ლისის ტბის ამბავი

**თამარ გარსევანიშვილი** — ერთი ჩვენი ნაცნობის რჩევით, მკითხავთან წავედით. ამ ქალმა გვითხრა, — ლისის ტბასთან მოძებნეთ თქვენი შვილებიო. გამოსვლისას მოგვაძახა, — იგორს უხსენეთ ჩემი სახელი და ის და შოთა კვირაია დაგეხმარებიანო.

**მანანა რეხვიაშვილი** — სწორედ ეს უძღოდა წინ ჩემს პირველ ასვლას გიორგაძესთან, მკითხავის სახელი დამთავრებულიც არ მქონდა, რომ წამოხტა გიორგაძე, ეცა ტელეფონს, მაგრამ რატომღაც, მიქაძეს დაურეკა და არა კვირაიას. ამის შემდეგ აგორდა ჭორები ლისის ტბის თაობაზე. ამით მზადდებოდა გვამების გამოჩენა... დარწმუნებული ვარ, ვინც მკითხავთან გაგვგზავნა, გარკვეული ფორმით მონაწილეა ჩვენი ბავშვების გატაცებისა.

## გვამების მდგომარეობა

ალექსანდრე თოხმაიდის გვამს 13 ტყვია აქვს მოხვედრილი. აქედან 7 — მარცხენა ძუძუს დვრილში. ეს ის ადგილია, სადაც ხალათის ჯიბეში საბუთი ედო კუსას. მაგრამ უცნაურია, რომ ექსპერტიზამ ვერც ერთ ნივთზე სისხლის ერთი წვეთიც კი ვერ აღმოაჩინა, მათ შორის, პირადობის მოწმობაზეც.

**თამარ გარსევანიშვილი** — მორგის ჟურნალში ეწერა: „სისხლი აღებულია ამდენი და ამდენი მლგრ". მაგრამ უჯრა, სადაც უნდა ეწეროს სისხლის ჯგუფი და რეზუსი, ცარიელი იყო. დავეჭვდი. ნაცნობის დახმარებით გავიგე, რომ მორგის არქივში სისხლი ინახება 5 წელი. ჩუმად გავაკეთებინე ანალიზი. კუსას აღმოაჩნდა I დადებითი, არადა, სინამდვილეში ჩემს შვილს ჰქონდა უარყოფითი III, ხოლო ბექას — II დადებითი, იქ დაფიქსირდა დადებითი I. გვამებთან დაკავშირებით სხვა ბევრი შეუსაბამობა არის აღმოჩენილი. პირველი ექსპერტიზის მიხედვით ორივე გვამი ერთი ზომის იყო, სინამდვილეში კი კუსას სიმაღლე 1,81 სმ იყო, ხოლო ბექასი 1,70 სმ. გარდა ამისა, კუსას ბავშვობაში ლავიწის ძვალი ჰქონდა მოტეხილი, მაგრამ ექსპერტიზამ მოტეხილობის ვერანაირი კვალი ვერ აღმოაჩინა, წესით კი ეს უნდა აღმოჩენილიყო. და კიდევ ერთი დეტალი, არ ჩანს კუსას ბეჭედი, რომელსაც იგი სიმჭიდროვის გამო მარცხენა ხელის ნეკა თითიდან საერთოდ ვერ იხსნიდა.

## უცნაური ფაქტი

**მანანა რეხვიაშვილი** — სანამ გვამებს აღმოაჩენდნენ, დაახლოებით ერთი თვით ადრე, ერთ-ერთ მეზობელ ბიჭს ეზოში უთქვამს: დღეს ლისის ტბაზე ნახეს ბექას და კუსას გვამები, აიტანეს არამიანცის მორგშიო. ბავშვს ისიც კი მიუთითებია, სად ჰქონდათ ტყვიები მოხვედრილი. ზუსტად ერთი თვის შემდეგ იგივე აცხადდა. საიდან იცოდა ამ ბავშვმა ეს ყველაფერი?! ერთი რამ დანამდვილებით შემიძლია განვაცხადო, რომ გატაცების და გვამების გამოჩენის ფაქტები წინასწარ მზადდებოდა. ასევე წინასწარ იცოდა ყველამ, ვის რა როლი უნდა ეთამაშა ამ საქმეში. იყო კიდევ ერთი ვერსია, რომელიც ტრანსპლანტაციის მიზნით ბავშვების გატაცებას გულისხმობდა. ამის ეჭვს ბადებს უცნობი ქირურგის ანონიმური სატელეფონო ზარი თოხმაიდების ოჯახში, რომლითაც გამოძიება თითქმის არ დაინტერესებულა.

**ადვოკატი თემურ გოქსაძე** — ეს არის საკმაოდ რთული და სერიოზული საქმე, რომელიც გადის რამდენიმე სხვადასხვა ქვედინებაზე. საპროცესო კანონით, საშუალება მომეცა, დამოუკიდებლად ვაწარმოო გამოძიება და მისი გახმაურების არანაირი საფუძველი არა მაქვს, რადგან ამით წააგებს საქმე. რაც შეეხება იმ აზრს, რომ ბიჭები ცოცხლები არიან, ეს გამოწვეულია არასწორი გამოძიებით და ექსპერტიზის შეუსაბამობით, თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ ეს ეჭვი რეალობასთან ახლოს იყოს. კონკრეტულად ვინმეზე ხელის დადება მიჭირს. ისე კი ფაქტია, რომ ვილაცები არ არიან დაინტერესებულნი ამ საქმის გახსნით. ეს ფაქტი მოხდა იმ პერიოდში, როდესაც საქართველოში პოლიტიკური დესტაბილიზაცია იყო და ამიტომ, შესაძლებელია, ამ საქმეში ჩართულნი იყვნენ ხელისუფლების და მმართველობითი სტრუქტურების წარმომადგენლებიც და, გარკვეულწილად, ის კლანურ მდგომარეობაში მყოფი პიროვნებები, რომლებსაც ერთგვარი ბიზნესი ჰქონდათ სხვადასხვა საქმიანობაში და შესაძლებელია, ამ ბიზნესს ემსხვერპლნენ ეს ბიჭები, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ სხვა რამეც იყოს.

დღეს ამ ფაქტთან დაკავშირებით ბევრი დუმილს ამჯობინებს. დუმს ასევე გამოძიება, რომელიც, როგორც შევიტყვეთ, ჯერჯერობით, შეჩერებულია. თბილისის პროკურორის საგამოძიებო აპარატის განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელმა **მერაბ გოგლიძემ** კომენტარზე ცივი უარი გამოგვიცხადა: — თქვენ ისეთ კითხვებს მაძლევთ, რომელზეც მე მხოლოდ ჩემს ზემდგომებს უნდა ვუპასუხოო. ჩვენ შეგნებულად ავარიდეთ თავი იმ პირების დასახელებას, რომლებსაც, მშობლების თქმით, გარკვეული ფორმით მონაწილეობა აქვთ მიღებული ამ საქმეში. არც იმის უფლებას ვაძლევთ თავს, რომ ვინმეს ბრალი დავდოთ და ამ ბურუსით მოცული ამბის მონაწილედ თუ შემსრულებლად მოვიხსენიოთ. ეს მხოლოდ გამოძიების პრეროგატივაა. საინტერესოა, კიდევ რამდენი წელია საჭირო, რომ ამ სერიოზულ და ჩახლართულ ისტორიას ნათელი მოეფინოს (ჩვენი მხრიდან კი შევეცდებით საქმის ირგვლივ მიმდინარე პროცესების ობიექტურად გაშუქებას. მ.ხ.)?

*მალხაზ ხურციძე*
*მიხეილ ჩერქეზია*

# ცხოვრებისეული კურიოზები

## „კვირის პალიტრის" მსხვერპლი, ანუ მადლობის ნაცვლად — საყვედური



თქვენი გაზეთი ძალიან საინტერესოა, ამიტომაცაა პოპულარული მკითხველთა შორის. ლტოლვილებს, ცოტა არ იყოს, გვიჭირს მისი შეძენა და ამიტომ ასეთი რამ მოვიფიქრეთ, — კოლექტიურად ვყიდულობთ ხოლმე. შემდეგ გაზეთი ხელიდან ხელში გადადის, ზოგჯერ მოაღწევს შენამდე, ზოგჯერ — ვერა.

ერთხელ ბაზარში ნაცნობ ქალს ახალი ნომერი ვათხოვე. შემდეგ მივაკითხე, ბოდიში მომიხადა და მითხრა: „ჩემს გვერდით ახალგაზრდა ქალი ვაჭრობს, იმას მივეცი და ხვალ მომიტანს". მივედი მეორე დღეს, ჩემმა ნაცნობმა დაიმორცხვა და, — ახლავე მოვალო, თქვა და წავიდა. მოიყვანა ვილაც ქალი და მიმართა, გაზეთი ამ კაცის არის და გაეცი ახლა პასუხიო.

ქალმა შეიცხადა, — დიდუუ! დიდუუუ... იმ გაზეთმა კინალამ დაგვღუპა, კინალამ ცოცხლად დავიწვითო. მე გაკვირვებული მივჩერებოდი უცნობ ქალს. შემდეგ გავიგე, რაც მომხდარა:

მისი ქმარი საღამოს ნასვამი დაბრუნებულა, საწოლზე წამოწოლილა და სანთლის შუქზე გაზეთის კითხვა დაუწყია, ჩასძინებია, გაზეთს ცეცხლი მოდებია და... იქიდან ლოგინზე გადასულა. მძინარე კაცი კინალამ ჩამწვარა შიგ.

მე კი, ბოდიშისა და მადლობის ნაცვლად საყვედურიც მივიღე და თქვენი საინტერესო გაზეთის ერთი ნომერიც დავკარგე. ასეა, ნათქვამია — კარგის მქნელსო...

*ავთანდილ კუპრეიშვილი*

## ყველაზე მაღალი სახლი...



ლექტორი გვყავდა სამხატვრო აკადემიაში, ძვირფასი კაცი იყო, მაგრამ ტრაბახი უყვარდა. ამერიკაში მივდივარო, თქვა ერთხელ. მაშინ ისეთი დრო იყო, ამერიკაში წასვლა დიდ საქმედ ითვლებოდა. ველით, როდის დაბრუნდება და მოგვიყვება ათასნაირ ამბავს.

დადგა ნანატრი დღე. მთელი ჯგუფი აუდიტორიაში შევიყარეთ. შემოვიდა ჩვენი ლექტორი, კითხვები დავაყარეთ. მაცალეთ, ყველაფერს გაჩვენებთო, — გვითხრა, — ჩანთა გახსნა და სურათები ამოალაგა. ახლა, მე გაჩვენებთ ისეთ რამეს, ჩვენში თვალით რომ არავის უნახავს და რომელიც მე გადავიღეო. სურათი ააფრიალა, ეტყობოდა, ჟურნალიდან ჰქონდა გადაღებული (ხაზები ემჩნეოდა), ესო, — ბრძანა, — ყველაზე მაღალი სახლია მთელ ამერიკაშიო. ერთმანეთს გადავხედეთ, მაგრამ ვინ გაბედავდა ხმის ამოღებას. ერთმა მაინც ვერ მოითმინა და, საიდან გადაიღეთო, — ჰკითხა. — საიდან და უფრო მაღალი სახლიდანო, — ამაყად უპასუხა მან.

*მინდია გურული*

## გურულების ქორწილში



გურიაში ვიყავი ახლობლის ქორწილში. პურმარილიც მშვენიერი იყო და ღვინოც შესანიშნავი, მაგრამ მწვადი აგვიანებდა.

კარგად რომ შევთვერით, ჩემმა მეგობარმა, თავადაც გურულმა დიომიდემ მწვადი მოითხოვა. უპასუხეს, — მალე იქნებაო. ცოტა ხანში კიდევ მოიკითხა, — შიშხინებს, ძამაო.

მესამედ რომ მოიკითხა და იგივე პასუხი მისცეს, გაცეცხლდა:

— ძამა, შენ მაი შიშხინი მაგნიტოფონზე ხომ არა გაქვს ჩაწერილი?

*გია ვარძიაშვილი*

## „მამიკო, არ ადექით!"



შალიკოს რუსი რძალი ჰყავს, კრასნოდარიდან, რომელიც შვილივით უყვარს. რძლის თხოვნა და სიტყვა მისთვის კანონია.

ერთ დღეს შალიკო კარგად შექეიფიანებული მივიდა შინ, არც წვება, არც ჯდება, მოკლედ, მაგრად ურევს. შინაურები ეხვეწებიან, — შალიკო, ან დაჯექი, ან დაწექიო, მაგრამ შალიკოს არაფერი ესმის. ბოლოს რძალი მიუგზავნეს, მისი ხათრი აქვს და იქნებ დაუჯეროსო. მივიდა რძალი და ეუბნება: „მამიკო, გთხოვთ დაისვენოთ". შალიკო ჩამოჯდა: „არა, მამიკო, დაცეკით", დაწვა შალიკო, მაგრამ ისევ ადგა. „არა, მამიკო, მასე არა, დაცეკით და აღარ ადეკით" — სთხოვა რძალმა. „არ აგიდგათ რუსებს გვერდები" — მიაძახა შალიკომ საყვარელ რძალს.

*ვაჟა ჭყონია, ქუთაისი*

## „ელემენტი" სასიძო



თამრიკომ თავისი შეყვარებული ვაჟა სადილზე დაპატიჟა და მშობლებს წარუდგინა:

— გაიცანით, ჩემი საქმრო! პროფესიით ფიზიკოსია, უმაღლესი წითელ დიპლომზე დაამთავრა. აქვს: ვაკეში ოროთახიანი ბინა, ავტომანქანა, აგარაკი წყნეთში, პრესტიჟული სამსახური და, რაც მთავარია, დედისერთაა! არ სვამს და არ ეწევა! მოკლედ, მიყვარს!

— მხედველობას ხომ არ უჩივით, შვილო? — ჰკითხა დაკვირვებულმა სასიდედრომ სასიძოს.

— ცოტას კი. მარცხენა თვალში პლუსი მაქვს, მარჯვენაში — მინუსი! — მიუგო დარცხვენილმა, თავჩაღუნულმა სასიძომ.

— შენ, შვილო, სასიძო კი არა, „ელემენტი" (ანუ „ბატარეა") ყოფილხარო, — მიუგო ავად სასიმამრომ.

*მიშიკო კვანტალიანი*

## „რუსული სულ არ იცით?"



სვანი რესტორანში შევიდა, კარგად იქეიფა და მუსიკის მოსმენის გუნებაზე დადგა. დამკვრელებს მიაშურა: „აბა, ის დაუკარით, დედას შვილი რომ ეწვოდა". „მუზიკანტები" დაიბნენ და ჰკითხეს: „ეგ რომელია"? — აი, ბიჭი რომ იწვოდაო. მერე ჩაფიქრდა და გაიხსენა, — ეი, ბიჭო, თქვენ რა, რუსული სულ არ იცით? „სინგარელა, სინგარელა" დაუკარითო.

ამ ანეკდოტს ვუძღვნი ჩემს ძმას „პროფესორას".

*კნიაზ დილომსკი*

## მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



ცოლი:

დედაჩემმა მითხრა, — ლამის სიცილით მოვკვდი, შენმა ქმარმა ისეთი რამ მიამბოო.

ქმარი:

— სად არის ახლა? სასწრაფოდ დაუძახე, კიდევ ვიცი მასეთი ამბები და მოვუყვები!

*ფრიდონ თათრიშვილი*



მარო მიხოს:

— იცი, მიხო, მუხას, რომლის ქვეშაც ჩვენ ერთმანეთი გავიცანით და სიყვარული შევფიცეთ, მეხი დასცემია და დამწვარა!

მიხო:

— ღმერთი მაღალია, ყველაფერსა ხედამს, ვენაცვალე მაგის მადლსა!

*ფრიდონ თათრიშვილი*

მასწავლებელი მოსწავლეს:

— მთელიდან ოთხჯერ რომ მეოთხედი ავილოთ, რამდენი დარჩება?

მოსწავლე დუმს.

— კარგი, მე მოგეხმარები, აბა, შეხედე, ქლიავს ვჭრი ოთხ ნაწილად და მერე ოთხივე ნაწილს ვილებ, რა რჩება?

— კურკა, ბატონო მასწავლებელო, — წამოიძახა სახეგაბრწყინებულმა მოსწავლემ.

*შავი ლაზი, სოხუმი*





„ოპტიკის" მაღაზიაში მყიდველი შევიდა.

— გამარჯობათ, — მიესალმა გამყიდველი — მინუს 9 ნომერი სათვალე გნებავთ, არა?

— როგორ მიხვდით, რომ ახლომხედველი ვარ?

— სრულიად უბრალოდ, კარების ნაცვლად ფანჯრიდან შემოხვედით.

*შავი ლაზი, სოხუმი*

რობინზონ კრუზომ ოქრო იპოვა და თავის ქოხში დამალა. ცოტა ხანში კარზე ბრახუნი მოესმა:

— პარასკევა, შენა ხარ?

— პარასკევა კი არა, კვირაია ვარ, დროზე გააღე კარი, თორემ დედას გიტირებ! — იყო პასუხი.

*კნიაზ დილომსკი, იგივე ნოშრე (ოღონდ ქალაქის სიამაყე)*

ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს.

ეს მასალა ერთ საინტერესო რესპონდენტთან საუბრის შემდეგ იშვა, თუმცა, რესპონდენტი არც შეიძლება ეწოდოს კაცს, რომელიც უარს ამბობს ყოველგვარ ინტერვიუზე. არა იმიტომ, რომ მას აზრი და პოზიცია არ გააჩნია, პირიქით, ეს არის სწორედ მისი აზრიც და პოზიციაც. მხოლოდ იმის გამო, რომ ამ ადამიანის შეფასებები საკმაოდ ორიგინალური და არაორაზროვანია, გადავწყვიტე, მაინც მომემზადებინა ინტერვიუ, სადაც მოპასუხის როლში მყოფის გვარს არ დავასახელებ და მას მხოლოდ მრავალმნიშვნელოვან, მრავალგანზომილებიანსა და მრავალტანჯულ სახელს — მემატიანეს დავარქმევ.

მემატიანე, როგორც ასეთებს შეშვენის, ენაწყლიანი მოსაუბრეა, თუმცა საკმაოდ ფრთხილი: არ ენდობა მასმედიასო — ვერ ვიტყვით — შეუძლია საათობით დრო არ დაინანოს, მაგრამ უფრთხის ჩამწერ აპარატურას და აკი, არც ტყუილად: მიუხედავად დაპირებისა, ვერ შევძელი, სიტყვა ბოლომდე შემენახა, თუმცა, არც ბოლომდე გამიტეხია — ცოცხალი თავით არ ვიტყვი, ვინ არის ქვემოთ გამოთქმული აზრების ავტორი, არა იმიტომ, რომ მას ეშინია, თუმცა, მრავალსიტყვაობას სჯობს, საქმეზე გადავიდეთ:

— **ბატონო ჩემო, მიკვირს ამდენი დუმილი მაშინ, როცა ირგვლივ ყველა ლაპარაკობს. გაზეთებისა და ტელეეკრანის დაპყრობა არც თქვენ უნდა გიჭირდეთ...**

— მერე, რა გამოვა ამ საქმიდან?

— **რა და, გაიგებს ქვეყანა თქვენს აზრსაც.**

— მერე?

— **რალა მერე, ბატონო, თუ ჩემი დაბნევა გინდათ, არ ვიცი, მაგრამ არა მგონია, პრესის როლი და მნიშვნელობა ჩემგან გესწავლებოდეთ (თავი მოვიწონე).**

— (ეშმაკურად გაიცინა) რომელ მნიშვნელობაზე მეუბნებით? — მითხრა და გაოცება შემატყო თუ არა, მაშინვე განაგრძო, — ძველ დროს გაგახსენებთ: განსხვავებული აზროვნების ხალხის — დისიდენტების — ბედზე არაფერს ვიტყვი და უბრალოდ, ჟურნალისტიკაზე მოგახსენებთ. კომუნისტების დროს პრესას და ტელევიზიას სასტიკი ცენზურა ჰქონდა დაწესებული. ერთ სიტყვას ვერ დაწერდი, ათასი შემმოწმებელი რომ არ ჰყოლოდა. წვრილმანსაც კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საკმარისი იყო ერთი კრიტიკული შენიშვნაც კი ვინმეს დაემსახურებინა, რომ ატყდებოდა ამბავი: გაკრიტიკებული კაცი ვალდებული იყო, პასუხი წერილობით მოეხსენებინა რედაქციისათვის და სულ პუნქტების მიხედვით დაესაბუთებინა, რა იყო და როგორ, თუმცა მარტო ეს საქმეს მაინც არ შველოდა: კომპარტიის ბიუროს სხდომაზე წყდებოდა შემდეგ კანონის დამრღვევის ბედი. საამისოდ შეიძლებოდა, ბიუროს სპეციალური სხდომაც მოეწვიათ. ან სასტიკ საყვედურს მიაჭედებდნენ, ან მოხსნიდნენ. მინდა, ისიც შეგახსენოთ, რომ „სასტიკი საყვედური" გაფუჭებულ კარიერას ნიშნავდა... დღეს კი, რა ხდება? რაც პრესაში იწერება, ადგილზე აღარ უნდა იჯდეს თანამდებობის არც ერთი პირი და ციხეებიც სავსე უნდა იყოს.

— **გამოდის, რომ კომუნისტები უკეთესები იყვნენ?**

— უკეთესები კი არა, ჭკვიანები იყვნენ, ხალხის მართვა იცოდნენ და მასის ფსიქოლოგიაშიც კარგად ერკვეოდნენ. სტალინმა მათ ბევრი რამ ასწავლა იდეოლოგიის სფეროში და მოწაფეებიც კარგები გამოდგნენ. სხვა საქმეა, რამდენად მისაღები იყო კომუნისტური იდეოლოგია, მაგრამ, რასაც მათ ვერ დაუკარგავ, ეს მასის მოთვინიერება და იმისი ილუზიის შექმნა იყო, თითქოსდა, კანონი ქვეყანაში უზენაესი ცნება გახლდათ.

— **მერე, რა გამოვიდა მაგ საქმიდან? მასებმა ითმინეს, იძინეს და ერთ დღესაც გამოერკვნენ, რომ ზომბირებულნი იყვნენ, მასმედია კი, როგორც ასეთი, გარდაცვალებას ძლივს გადაურჩა.**

— სწორედაც რომ არა, მაშინაც იყვნენ ჭკვიანი ჟურნალისტები, ვინც სიმბოლოებით, ქვეტექსტებით აზროვნებას და სათქმელის სტრიქონებს შორის გაპარების ხელოვნებას დაეუფლა. მკითხველის გემოვნებაც მაშინ გაცილებით დახვეწილი იყო. ის ეძებდა (და პოულობდა კიდეც) გამოცემებს, სადაც საინტერესო, „თავისუფალი აზრი" იქნებოდა „გაპარებული".

# ვცხოვრობთ თუ არა „ეშმაკების, ქაჯებისა და ჭინკების" ქვეყანაში?



— **რატომ ვერ ხვდებოდა ამას ცენზურა?**

— ხვდებოდა, რაღა თქმა უნდა, მაგრამ ამაშიც იდო მასის იდეოლოგიის მართვის საიდუმლო: არ ვიცი, გეხსომებათ თუ არა, ათასში ერთხელ, მაგრამ მაინც, ეწყობოდა საზოგადო განხილვები ამა თუ იმ საკითხზე: შემოაგდებდნენ რაღაც თემას და იყო ერთი ამბავი. ზოგიერთი ასეთი პოლემიკა დილიდან მეორე დილამდეც გრძელდებოდა. მაშინ ვერ ვხვდებოდი, რაში სჭირდებოდათ ეს უსაგნო კამათი. მერე და მერე მივხვდი — კომუნისტებმა იცოდნენ, რომ არ შეიძლებოდა აზრის გაყინვა, ამიტომაც მას მოძრაობის, ამოსუნთქვის საშუალებას აძლევდნენ და კიდევ ერთი, მათ სიტყვას ფასი დაადეს.

— **თუ პოლემიკა აზრის მოძრაობაა, მაშინ ახლა უფრო მოძრავი არ იქნება ჩვენი აზრი, ლამის მთელი ქვეყანა პოლემიკაშია ჩართული?**

— ეს პოლემიკა არ არის, ეს ენის ფხანაა. ჭორაობის დონემდე დავიდა პრესაც და მკითხველიც. აბა, დაუკვირდით, რა ფრაზებია გამოტანილი სათაურებში: „პავლემ 14 ქალი გააუპატიურა", „პეტრემ ცოლს ნაჯახით თავი გაუპო" და ა.შ. რა უბედურებაა ეს? კითხულობს ვინმე, რომ, შეიძლება, ეს „პეტრე" და ის „პავლე" კლინიკური გიჟები არიან? რას მერჩით მე — მკითხველს? რატომ მიშფოთებთ ისედაც არამშვიდ ცხოვრებას? რა პრესის მსჯელობის საგანი უნდა იყოს პათოლოგიური შემთხვევები?

— **პოლიტიკაზეც ხომ ბევრი იწერება, ეკონომიკაზეც, თანაც, საკმაოდ მწვავედ და გაბედულად. დღეს თვით პრეზიდენტის კრიტიკაც კი აღარ არის „დასჯადი", განა, ეს მიღწევა არ არის?**

— წყლის ნაყვით ამ სითხეს ვერაფრად გადააქცევთ. აბა, ერთი რეაგირების ფაქტი დამისახელეთ, იმ თქვენი მოწონებული „კრიტიკული პუბლიკაციების" ერთი კონკრეტული შედეგი მაჩვენეთ.

— **გამოდის, რომ უფრო დიდი უბედურება გვჭირს, ვიდრე მაშინ, როცა კომუნისტების ხელში თავი გვებრალებოდა. დავიჯერო, თქვენ იმ დროს მისტირით?**

— არ შეიძლება, ადამიანი ერთ უბედურებას გაეყაროს, მეორეს შეეყაროს და ამიტომ ისევ ძველი უბედურება ერჩივნოს. ეს არაჯანსაღი ფსიქოლოგიაა. სხვა საქმეა ყველაფრისათვის თავისი სახელის დარქმევა.

— **გული დამწყვიტეთ, მეგონა, საქმეს ვაკეთებდი, ახლა კი თქვენი ლოგიკით გამოდის, რომ წყალი მინაყავს. იქნებ, ჩვენი პოლიტიკური მიღწევებიც არ მოგწონთ?**

— ხელს ნუ ჩაიქნევთ, რაღაც ხომ უნდა აკეთოთ? ბოლოს და ბოლოს, მემატიანე ხომ მაინც ხართ. იქნებ, მოვიდეს თაობა, რომელიც ყველაფერს სწორად შეაფასებს და სწორ გზასაც დაადგება? შეცდომის გამოსწორება უკვე პროგრესული მოვლენაა. რაც შეეხება ჩვენს „პოლიტიკურ მოღვაწეობას", მე ესეც იმ ზღაპრების ფრაგმენტები მგონია, რომელსაც დაუსრულებლად გვიყვებიან.

— **როგორ, მაშ, ტყუილია თუნდაც ის ფაქტი, რომ მაგალითად, საქართველო თანდათან იბრუნებს დაკარგულ ფუნქციას — იყოს კავკასიის რეგიონის პოლიტიკური ცენტრი; რომ დიდი მნიშვნელობა და პერსპექტივა აქვს თუნდაც აბრეშუმის გზას?**

— რა კავკასიის რეგიონის პოლიტიკური ცენტრი და გამაერთიანებელი ძალა შეიძლება იყოს ქვეყანა, რომელსაც მთელი ისტორიის მანძილზე თავის გაერთიანება უჭირდა (თუ არ ჩავთვლით რამდენიმე პერიოდს) ან რა „აბრეშუმის გზაზე" და „დერეფანზეა" ლაპარაკი, როცა ლამისაა, სამგზავრო რაკეტები გამოუშვან: ჩაჯდებით ტოკიოში და გვერდით მჯდომთან გაცნობას ვერ მოასწრებთ, რომ უკვე ვაშინგტონში იქნებით.

— **აბა, რატომ ემტერებიან ჩვენს პრეზიდენტს, რატომ იძაბება ხოლმე სიტუაცია ყოველი არჩევნებისას? განა, ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოში თავიანთი გავლენის გაძლიერებას ცდილობენ პრორუსული და პროდასავლური ძალები? არის ხალხი, ვინც შიშობს კიდეც, არჩევნებზე სისხლი არ დაიღვაროს იმიტომ, რომ, საქართველოს პრეზიდენტზე ამდენი შემდგარი თუ არშემდგარი ტერაქტი დაიგეგმა?**

— აბა, დაუკვირდით, სად გვხვდებიან ჭინკები, ქაჯები და დევები?

— **ზღაპრებში.**

— ჰოდა, ეს გაუთავებელი „საშიში ისტორიებიც" და „საშიში კაცებიც", რომელსაც თავს გვახვევენ, პერსონიფიცირებული ზღაპრული სიუჟეტებია. ადამიანმა რაღაც ხომ უნდა აკეთოს? თუ ვერ აკეთებს, ის ოცნებას იწყებს, ზოგიერთს კი ეს ოცნება „ნამეტანი ხმამაღლა" მოსდის — ეს არის და ეს. ნუ შიშობთ, არავითარი სისხლი არჩევნებზე არ დაიღვრება. საქართველოში არ არსებობს ისეთი ძლიერი პოლიტიკური ძალები, ამდენი შეეძლოთ.

— **ვერ დაგეთანხმებით, იმიტომ, რომ ახლა ბევრს ლაპარაკობენ, თუნდაც, „მასონურ ლოჟებზე" და მათ ზეგავლენაზე პოლიტიკურ პროცესებში. ნუ მიწყენს, ვინც ამ ქვეტექსტში საკუთარ თავს იცნობს, მაგრამ აკი, ამბობენ, რომ საქართველოშიც გვყავს მასონები?**

— რომელი ლოჟები, რა პოლიტიკური ზეგავლენა? (იცინის) სიტყვა „მასონი" იტალიურად კალატოზს ნიშნავს. ეს ყველაფერი კი ძალიან უბრალოდ და ბანალურად დაიწყო: მე-18 საუკუნის იტალიაში ადამიანებს გაუჩნდათ სრულიად ჩვეულებრივი მოთხოვნილება, შეკრებილიყვნენ და ისეთ რამეზე ესაუბრათ, მერე ამ შეხვედრებისა და საუბრის თემების შესახებ არავის გაეგო. ეს ჩვეულებრივი ფსიქოლოგიური მომენტია. ამან მერე მოძრაობის სახე მიიღო (მოდაში შემოვიდა) მთელ ევროპაში, მერე კი — სხვაგანაც. არავითარი „ლოჟები" და მათ შორის კავშირები არ არსებობს, ამიტომ სისულელეა იმაზე ფიქრიც, რომ მასონებს პოლიტიკურ პროცესებზე რაიმე ზეგავლენა ჰქონდეთ, მით უფრო — მისი მართვა შეეძლოთ. რაც შეეხება „ჩვენს მასონებს", ვინმეს, იქნებ, უხარია კიდეც, რომ მათზე ასეთი ჭორები დადის, ვინ იცის, ფიქრობენ, „რა კარგია, რაღაცა ვყოფილვართო" (ისე გულიანად იცინა თავისსავე ნათქვამზე, მეც გულზე მომეშვა, რომ არ ყოფილა ის ხალხი საშიში, ვინც აქამდე „მასონი" მეგონა, შავ-ბნელი ძალების მიერ მართვადი. კიდევ შეღავათი, მადლობა ღმერთს).

— **ასე თავდაყირა რომ დააყენეთ ყველაფერი, რატომ ხმამაღლა არ იტყვით?** — გულმა არ მომითმინა და მაინც ვკითხე მემატიანეს, რომელმაც კიდევ ერთხელ დაუზარებლად განმიმარტა: ამ ყველაფერს სერიოზული ანალიზი სჭირდება, რაც პრესის საშუალებით შეუძლებელია, თანაც, ვინც ზრდასრულია და უკვე ჩამოყალიბებული, მათთვის გინდა გითქვამს და გინდა — არა. არც აინტერესებთ და, შესაძლოა, სწორად ვერც გაიგონ, რასაც ვამბობ.

— **კი, მაგრამ, თქვენ ხომ მაინც ბრძანეთ, რომ საჭიროა სერიოზული ანალიზი? გამოდის, რომ მთლად ხელი არ ჩაგიქნევიათ..**

— ხელს როგორ ჩავიქნევ? ბოლოს და ბოლოს, მეც ხომ რაღაც უნდა ვაკეთო? ვწერ ამ ყველაფერს და ოდესმე, იქნებ, წიგნადაც გამოვცე.

— **თუ მაინც ვერავინ გაგიგებთ, რა აზრი აქვს?**

— 15-16 წლის ახალგაზრდები უფრო გამიგებენ და სწორი დასკვნებიც მათი გამოსატანია. ჩემი პოზიციის შეცნობა ამ თაობის „პოლიტიკოსების" უნარსა და ძალას აღემატება.

— **როდემდე აპირებთ ინკოგნიტოდ დარჩენას?**

—მერწმუნეთ, თუ წიგნს გამოვცემ, ერთ-ერთ პირველ ეგზემპლარს თქვენ გაჩუქებთ და პირველ ინტერვიუსაც იმ გაზეთს მივცემ, სადაც თქვენ იქნებით, სხვა რაღა გითხრათ? — დამპირდა მემატიანე და დამარწმუნა, რომ ის პრესასთან ურთიერთობას ამ ეტაპზე სწორედ იმიტომ გაურბის, რომ აქვს ძალიან დიდი სათქმელი.

*ელზა ჯმუხაძე*

## რას წერენ ჩვენზე

# მოსხოვმა არ უნდა დაუშვას ახალი აგრესია

აფხაზეთის ვიცე-პრემიერი, თავდაცვის მინისტრი ვლადიმერ მიქამბა შიშობს, რომ საქართველო რევანშის აღებას გადაწყვეტს.

— **ბატონო ვლადიმერ, რა აზრის ხართ აფხაზეთის გაჭიანურებულ ეკონომიკურ ბლოკადაზე?**

— მე, ისევე, როგორც ჩვენი რესპუბლიკის ყველა მცხოვრებს, რა თქმა უნდა, უარყოფითი დამოკიდებულება მაქვს რუსეთის მიერ აფხაზეთის ეკონომიკური ბლოკადის მიმართ. აფხაზეთი მეექვსე წელია, ბლოკადაშია, მაგრამ ეკონომიკურმა სანქციებმა სასურველი შედეგი ვერ მისცა მის გამტარებლებს. რესპუბლიკა საკუთარი ძალებით ცდილობს დანგრეული ეკონომიკის აღდგენას, ჩვენი კეთილდღეობა შესამჩნევად დაქვეითდა, მაგრამ სუვერენიტეტი არ დაგვიკარგავს. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ეკონომიკური ბლოკადა, უპირველეს ყოვლისა, რუსეთს არ აძლევს ხელს. მის სუფრას აღარ ამშვენებს სამხრეთული ხილი და ბოსტნეული, ეკოლოგიურად სუფთა ხორცი, რუსეთის მცხოვრებნი ველარ ისვენებენ აფხაზეთის შესანიშნავ კურორტებზე. სამწუხაროდ, აფხაზეთი პატარა ქვეყანაა, ამიტომაც მას რუსეთის დახმარება სჭირდება. მაგრამ ვიდრე რუსეთი საქართველოს ინტერესების გათვალისწინებით, ეკონომიკური თვალსაზრისით ახრჩობს აფხაზეთს, „მესამე ქვეყნები" სულ უფრო აქტიურობენ და შესაძლოა დადგეს დრო, როცა აფხაზი ხალხი იტყვის — დაგვლალა რუსეთის ბლოკადამო და მესამე ქვეყნებს მიმართავს დასახმარებლად.

— **საჭიროდ მიიჩნევს თუ არა აფხაზეთის ხელმძღვანელობა კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ჯარების ყოფნას?**

— 1999 წლის 23 ივნისს ჩვენ აღვნიშნეთ აფხაზეთ-საქართველოს კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციის დაწყების 5 წელი. პოლიტიკურ-სამხედრო სიტუაციის სირთულის მიუხედავად, რუსეთის სამშვიდობო ძალებმა თავიანთი მისია შეასრულეს.

— **აფხაზეთის საქართველოს იურისდიქციაში გადასვლის შემთხვევაში შევა აფხაზეთის ჯარი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში?**

— რა იურისდიქციაზე შეიძლება იყოს საუბარი, როცა ასეთი სასტიკი ომი იყო, დაინგრა ეკონომიკა, განადგურდა აფხაზური კულტურის ძეგლები...

ეს ყოველივე ოფიციალურმა თბილისმა ჩაიდინა, ის დღესაც არ ეძებს კონკრეტულ გზებს ჩვენი ხალხების შესარიგებლად. პირიქით, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ გაამწვავოს მდგომარეობა. თითქმის ყოველდღიურად ხდება დივერსია აფხაზეთის მცხოვრებთა მიმართ და ეს ყველაფერი საქართველოს სპეცსამსახურების დახმარებით, რომლებიც გამოუცხადებელ ომს აწარმოებენ აფხაზეთის წინააღმდეგ.

დადგება დრო, როცა სამართლიანობა გაიმარჯვებს, მსოფლიო საზოგადოებრიობა მას მხარს დაუჭერს, ამიტომაც დღეს არ ღირს ლაპარაკი საქართველოს ჯართან აფხაზეთის შეიარაღებულ ძალთა შერწყმაზე.

*იბეჭდება შემოკლებით*
*ნეზავისიმაია გაზეტა №124*

# „ციცა" დააკავეს

მოსკოველმა კანონდამცავებმა დააკავეს ყველაზე გავლენიანი ქუთაისელი კანონიერი ქურდი, არაერთგზის ნასამართლევი რევაზ ციციშვილი (ციცა). მასზე ფედერალური ძებნა იყო გამოცხადებული.

რევაზ ციციშვილი „ციცა"



შარშან, აპრილში, დამნაშავეთა სამყარო რესტორან „არარატში" აღნიშნავდა კანონიერი ქურდის, ზანდი წულუკიძის განთავისუფლებას. ოპერმუშაკებმა რესტორანში ჩხრეკა მოაწყვეს და ციცას ჯიბეში ნარკოტიკები აღმოუჩინეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ციცამ განაცხადა, — ნარკოტიკები ჩემი არ არის, მობარებულიაო. ამიტომ ის იზოლატორში დიდხანს არ გაუჩერებიათ, ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილი ჩამოართვეს და გაუშვეს...

ოპერატიულ მუშაკთა თქმით, 45 წლის კანონიერმა ქურდმა, რევაზ ციციშვილმა, თავი დაანება კრიმინალურ საქმიანობას, მაგრამ დამნაშავეთა სამყაროში მაინც ტრიალებდა, თვალყურს ადევნებდა „ობშიაკში" ფულის შეგროვება-გაცემას. მის გარეშე არ შემდგარა კრიმინალთა არც ერთი შეკრება. ციცას ახლო მეგობრები იყვნენ კანონიერი ქურდები: დათო ტაშკენტსკი, გიორგი უგულავა, რამაზ ძნელაძე.

...1998 წლის 10 აგვისტოს სემიონოვსკის მუნიციპალურ სასამართლოში დაიწყო ციციშვილის საქმის განხილვა, რომელზედაც ბრალდებული პატიოსნად გამოცხადდა. საბრალდებო დასკვნის წაკითხვის შემდეგ მოსამართლემ შესვენება გამოაცხადა.

„ფეხები მტკივა და პროკურორს ვთხოვე, აფთიაქში გავეშვი წამლის საყიდლად, — თქვა მოგვიანებით ციცამ, — ქუჩაში მეგობრები შემხვდნენ. რა სასამართლო, რის სასამართლოო, — იტკიცეს და, შემომთავაზეს, — ჩვენთან ერთად წამოდიო. რაღას ვიზამდი, წავყევი".

ამგვარად, კანონიერი ქურდი სასამართლო დარბაზიდან გაქრა! გაქრობა გაქცევად ჩაუთვალეს. თუმცა, როგორც თავად მილიციელები აღნიშნავენ, ციცას პირობითი სასჯელი ელოდა, რადგან ნარკოტიკები, მისი თქმით, მიბარებული იყო.

გამოცხადდა ციცას ფედერალური ძებნა. რამდენიმე დღის წინ კანონდამცავებმა ოპერატიული ინფორმაცია მიიღეს, — ციცა ნოვოალექსეევკის ქუჩაზე, №4 სახლში იმალებაო. გაგზავნეს სპეცჯგუფი. კარის შემტვრევა არ დასჭირვებიათ — სამართალდამცავებს ციცა მაშინვე დანებდა.

კანონიერ ქურდს სულ ცოტა, სამ წელს მაინც მიუსჯიან.

*სეგოდნია №121*



**თარაზულად:**

2



(უთანხმოება)

8



ფერად-ფერადი ქაღალდების პატარა წრეები, რომელთაც გასართობად თავზე აყრიან ერთმანეთს მეჯლისსა და მასკარადებზე

9

ფრანგი წვრილბურჟუაზიული სოციალისტი, ანარქიზმის თეორეტიკოსი (1809-65წ)

10



მუსიკალური აპარატი

13



(პერსონაჟი)

17



ფეოდალური სამართლის რელიგიურ და იურიდიულ ნორმათა ერთობლიობა

19 ⇩



(მსახიობი)

20



სურ. სლოვაკეთი (დედაქალაქი)

21



პარკში მოწყობილი გასართობი

24



წყლისკენ დაქანებული მოედანი გემების ასაგებად და წყალში ჩასაშვებად

26



მსოფლიო ომში გამოყენებული პირველი მასობრივი მომწამლავი ნივთიერება

27



წყლის სივრცე კონტინენტებს შორის

30



იტალიელი ფილოსოფოსი, პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე (1568-1639)

33



ძვირფასბეწვიანი ამერიკული ძუძუმწოვარი მღრღნელთა რაზმისა

34



მომსახურე პერსონაჟი

35

სისხლძარღვების კრუნჩხვითი შეკუმშვა

**შვეულად:**

1



ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი და მეცნიერი

2



280 წლის განმავლობაში ყველაზე პოპულარული და ტირაჟირებული წიგნის ავტორი

3



(ჯიში)

4



37-41 კალიგულა, 41-57 კლავდიუსი 57-68 ...?

5



ვერდის ოპერა

6



ბრიტანეთისთვის უჩვეულო ქარიშხალი, რომელიც ახლახან დაატყდა მას თავს

7



ცნობილი კურორტი თურქეთში

11



12



ვარსკვლავთა მთლიანი სისტემა

14

ტაეპები, რომლებიც ლექსში გარკვეული წესით მეორდება

15



ზარბაზნებით აღჭურვილი სამხედრო გემი XVII-XIX საუკუნეებში

16



ზონარი ან ბაფთა, რომელიც მხარზე გადადის

18

ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები (მთავარი გმირის სახელი)

22



ქვეყნის დასასრული

23



სურათზე ქ. ფენიქსი (შტატი)

25



28



კატეგორია სპორტში

29

sugar, $C_6H_{12}O_6$.

ყურძნის შაქარი

31




ВАЗ-2131, „მეგა - ...“

32

თხელი ქსოვილი, რომელიც ერთმანეთისგან ჰყოფს ღრუებს ორგანიზმში

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

„კვირის პალიტრა“ №25 კროსვორდის პასუხები:

**შვეულად:** 7. მოლაშხია; 8. ბილიარდი; 10. რიგი; 11. ოჯალანი; 12. ალოე; 15. პატინა; 16. კოვზი; 18. იანტრა; 19. ალბომი; 20. კარადა; 24. სლენგი; 25. იმამი; 26. ავტორი; 29. კათხა; 31. სეიმური; 32. პიტნა; 33. ალიოხინი; 34. არმატურა.

**თარაზულად:** 1. კომიტეტი; 2. პარი; 3. სინჯი; 4. სიონი; 5. „ნანა“; 6. ადვოკატი; 9. ალკოვი; 13. ანშლაგი; 14. რანდევუ; 21. წერეთელი; 22. ნალამი; 23. მონიტორი; 27. ბერნი; 28. არარა; 30. ათოსი; 32. პეტრე (დიდი).

## იყიდება ბინები

სასწრაფოდ! სუფთა ბინა, მიშენების პერსპექტივით. მის: დ/მ, მე-5 კვ, კორპ. 22, ბ. 16. ტელ: 52-27-94; 899-57-28-94. გოგა

ავჭალაში 1-სართულიანი საკუთარი სახლი მანსარდით (ს/ფ 850 კვმ, საცხ. ფართი – 250 კვმ), ხეხილით, ცხელი წყლით, ბუნებრივი აირით, აბაზანა-ტუალეტით, ცალკე მდგომი 4-ოთახიანი პატარა სახლით. ფასი 12000$. მის: ჩიქვანაიას ქ. №22. ტელ: 62-19-17. ბერიტაშვილი ვახო

საბურთალოს ცენტრში, ცაგარელის ქუჩაზე ახალაშენებული, 4-სართულიანი კერძო სახლის მე-3 სართული (ფართი – 260 კვმ), სარდაფით და ავტოფარეხით. ტელ: 34-14-81 ვაჟა

კასპის რაიონის სოფ. გარიყულაში, სამხატვრო აკადემიის პანსიონატთან, მდინარე თეძამის ხეობაში, იაფად იყიდება 12 მეასედი მიწის ნაკვეთი, ხეხილით, მუდმივი წყლით, დაშენების პერსპექტივით. სახლის 1 სართული აშენებული და დაბეტონებულია. ტელ: 58-09-34

ბორჯომის რაიონის სოფ. წაღვერში (სანატორიუმ „კეჩხობის" ძირას) იყიდება საკუთარი ბინა (15.000$) და ცალკე სამოსახლო მიწის ნაკვეთი. ტელ: 96-89-65

## ქირავდება

2-ოთახიანი, კეთილმოწყობილი ბინა საირმის ქუჩაზე. ტელ: 33-42-46

## მილოცვა



ანდრო ვახტანგის-ძე გოჯიაშვილს! ჩვენს პირველ შვილიშვილს, პირველ სიხარულს, მამით ნაადრევად დაობლებულ პაწაწინა ანდროს ვულოცავთ დაბადების დღეს – ორი წლის შესრულებას. ბებიკო, გისურვებთ ლაღ ბავშვობას, ღირსეულად გეტარებინოს მამაშენისნაირი ქართველი ვაჟკაცის სახელი.

შენი საყვარელი ბებიკო, პაპიკო, ბიძა და მამიდა

ლაგოდეხში ია ლაცაბიძეს – ქართული სუფრის ეშხსა და მშვენებას ვულოცავ დაბადების დღეს – 15 ივლისს! ია, გისურვებ უამრავ სიკეთეს, სიხარულს, სიყვარულსა და სულიერ სიმშვიდეს. ია, დაგლოცავ, გაგიმარჯოს, იხარე და იდღეგრძელე მრავალჟამიერ!

დიდი სიყვარულით ლადო თინიკაშვილი

## გთავაზობთ სამუშაოს

ორგანიზაცია სთავაზობს 17-25 წლამდე გოგონებს გამგზავრებას გერმანიაში, 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, Au-pair პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. სიახლე – ჯიბის ფული 400-600 მარკა თვეში და 4-კვირიანი ანაზღაურებადი შვებულება პროგრამის ბოლოს. ტ: 96-07-81; 95-64-18

გერმანული, კერძო Au-pair ბიუროს თბილისის საკონტაქტო სააგენტო იწვევს 18-დან 24 წლამდე ახალგაზრდებს 1-წლიანი სამუშაო და სასწავლო პროგრამით გერმანიაში. მოწვევა გარანტირებულია, ვიზირება – უპრობლემო. საშუამავლო თანხაა 60$-ის ექვივალენტი (წინასწარ იხდით ამ თანხის ნახევარს). ტელ: 31-69-83 (9-21 სთ, შაბათ-კვირის ჩათვლით)

## მომსახურება

შპს „კინოვიდეორემმონტაჟი". ვაწარმოებთ სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებს, ვამზადებთ ხის კარ-ფანჯარას და სხვა ნაწარმს. ტელ: 96-94-72; 37-00-65; 37-02-24; მობ. 97-11-69

შევაკეთებ და დავამონტაჟებ „ვიატკას" და „ვიატკის" ტიპის უცხოურ, ავტომატურ სარეცხის მანქანებს, შეღავათიან ფასად. გამოძახება უფასოა. ტელ: 30-84-41; 899 40-54-68

ავტომობილებზე მინების დამუქების ცენტრი დაიცავს სალონს სიცხისაგან და მინებს ჩამტვრევისაგან. მის: ბულაჩაურის ქ. №8, სააკაძის ძეგლის უკანა ტერიტორია (ანაგის ქუჩიდან გამსახურდიას გამზირზე გამავალი ქუჩა)

ავზების გამორეცხვა; ავზების, „ატმორის", „ვიატკის", გენერატორის, ელექტროქურის, ელექტროგაყვანილობის, მრიცხველის, სადარბაზო კაბელის, სატელეფონო და ანტენის ხაზის, ჭაღების მონტაჟი-რემონტი. მომსახურების საწყისი ფასი 10 ლარი. ტელ: 96-17-37

თუ გსურთ, უმოკლეს ვადაში აირჩიოთ სანდო და გამოცდილი პერსონალი: საოჯახო – ძიძა, აღმზრდელი, ავადმყოფის მომვლელი, შინამოსამსახურე, მანქანიანი მძღოლი; საოფისე და სავაჭრო – მდივან-რეფერენტი, ოპერატორი, ფარმაცევტი, არქიტექტორი, ბარმენი, მიმტანი, გამყიდველი, – დარეკეთ: 29-06-40. პერსონალის შერჩევა უფასოა

პრეტენზიული ქალებისათვის! ჭარბი თმის მოცილება სახესა და სხეულის ნაწილებზე, დამუშავებული მოსკოვის БИУА-ში, რესპუბლიკის პრემიის ლაურეატის მცენარეების სამეცნიერო კვლევის დარგში, დოცენტის მიერ. მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №113 (შესასვლელი თაღიდან), კაბ. 12. მიღება ყოველდღე, 12-19სთ.

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსითა და ანესთეზიით. განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. მოგემსახურებით ინდივიდუალური ნემსით. შემოგთავაზებთ სახის გამწმენდ საუკეთესო და მკვებავ საშუალებებს. მის: იოსებიძის ქ. №66. მე-2 სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

## მკურნალობა

პროსტატიტის, ქლამიდიოზის, ტრიქომონიაზის, უშვილობისა და სქესობრივი პოტენციის დაქვეითების მკურნალობა უახლესი მეთოდებისა და აპარატურის გამოყენებით. მკურნალობას ატარებს პროფესორი რევაზ სალაყაია. მის: მარჯანიშვილის 23 (მეტროსთან), მე-6 სად. (ეზოდან), ბინა 1. მიღება 18-20 სთ, შაბათს – 12-16 სთ. ტელ: 35-20-06

სიახლე!!! მამაკაცთა საყურადღებოდ! ვისაც აწუხებს ნაადრევი ეაკულაცია (სპერმის ამოფრქვევა), გთავაზობთ მარტივად მოსახმარ, მაღალეფექტურ, აბსოლუტურად უვნებელ გარეგან საშუალებას. შედეგი გარანტირებულია 100%-ით, პირველივე ხმარებაზე. ანონიმურობა დაცულია. ტელ: 61-02-97 (საღამოს); 899 57-16-99. მანანა ექიმი

ხალხური მედიცინა მაქსიმალურად გარანტირებული შედეგებით!!! ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, „დისკის ამოვარდნა", სახსრების დაავადებები (ანთება, მარილების დაგროვება), პოდაგრა, რევმატიზმი. მის: რკინიგზის პოლიკლინიკა (მ. „ნაძალადევთან", ცოტნე დადიანის ქ. №87), ფიტოთერაპიის კაბინეტი №11, 10-14 სთ. ტელ: 61-02-97; 39-39-97 (საღამოს); 899 57-16-99

წინაპართა მეთოდით მცენარეებისა და თეთრი მუმიისგან მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს მალამოებს, მკურნალობს ოსტეოქონდროზს, რევმატიზმს, მარილების დაგროვებას, რადიკულიტს, საშწვერა ნერვის ანთებას, თავის ტკივილს. ჰაიმორიტი ინკურნება 4-5 დღეში. მკურნალობა გარანტირებულია, ლიცენზირებული – ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ. მის. გორის ქ. №3, 1 სად. 1 სართ. მ. „წერეთელთან". მიღება ყოველდღე, გარდა შაბათისა, 13-16სთ. ტ: 34-05-69

**სამედიცინო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## ვასწავლი

თუ გსურთ, მიიღოთ უფასო განათლება და დროის შესაფერისი პროფესია, ეწვიეთ ინდუსტრიულ-პედაგოგიურ კოლეჯს. ტელ: 22-55-86 (ნებისმიერ დროს)

შეგასწავლით პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობას, სწრაფად და ხარისხიანად. სწავლება ინდივიდუალურია. MS DOC, NC, WINDOWS-98, WORD, EXCEL, PAGE MAKER. ტელ: 34-32-79 (დარეკეთ დღის საათებში)

კომპიუტერული ცენტრი „ინტელექტუალური სისტემები" შეგასწავლით: WINDOWS-98, WORD, EXCEL, ACCESS, COREL DRAW, PAGE MAKER, PHOTO SHOP, „ინფო ბუღალტერი". INTERNET-ის საკვირაო სკოლა (INTERNET ერთ დღეში). მის: აკ. წერეთლის 142 („სამთო ქიმიის" შენობა, მეტრო „დიდუბის" პირდაპირ). ტელ: 94-10-74; 34-08-46

შპს „ინტელექტუალური სისტემების" ბუღალტერთა დასაქმების სამსახური გთავაზობთ პრაქტიკული ბუღალტერიის შემსწავლელ კურსებს. წარმატებით დამთავრების შემდეგ დაგეხმარებით შრომით მოწყობაში. მის: აკ. წერეთლის 142 („სამთო ქიმიის" შენობა, მეტრო „დიდუბის" პირდაპირ). ტელ: 94-10-74; 34-08-46

## იყიდება

ახალი ჩამოყვანილი „ოპელ-ომეგა CD", თეთრი ფერის, საუკეთესო მდგომარეობაში, სრული „ნავაროტკით", ავტომატიკით. ფასი 4200$. ტელ: 34-73-33

1996 წლის „ჰუნდაი-ლანტრა". ფასი 5000$. ტელ: 34-56-65

ახალი დახლ-მაცივარი, რუსეთის წარმოების. სიგრძე 2 მეტრი, სიმაღლე 90 სმ, სიგანე 85 სმ. ზემოდან დახურულია პლასტიკატით, იკეტება გასაღებით. ფასი 900 ლარი. ტელ: 66-40-83 ინგა

„ლუიზოლი" – ჭარბთმიანობის საწინააღმდეგო კრემი, ლოსიონი (ნებისმიერი საშუალებით თმის ფესვიანად ამოღების შემდეგ); „ელჯეი" – სახის კრემი, ლოსიონი (ნაოჭები, გამონაყარი, ლაქები). მის: იოსებიძის ქ. 53, კაბ. „ლუიზოლი". ტელ: 37-38-13 (11-18 ყოველდღე)

უნიკალური ტერფსაფენი „ბიომაგი" სპილენძის ფირფიტებით, მაგნიტებით. „ბიომაგი" აცილებს ფეხს ოფლს, სუნს, აძლიერებს სისხლის მიმოქცევას, არეგულირებს წნევას, ნივთიერებათა ცვლას, ამაღლებს პოტენციას, აუმჯობესებს მეხსიერებას, იძლევა გასაოცარ ეფექტს. ფასი ხელმისაწვდომია. მის: ვაჟა-ფშაველას 27. სადღელამისო აფთიაქი „ნინო-დ" (რესპუბლიკური საავადმყოფოს ასახვევთან). ტელ: 38-80-75

უვნებელი, ადვილად მოსახმარი მცენარეული ლოსიონი „ანსალიტი" ბოლომდე და სწრაფად ასუფთავებს თმას ტილებისა და წილებისაგან. წილები ეფექტურად სცილდება, განსხვავებით სხვა სინთეტიკური პრეპარატებისაგან. მის: იოსებიძის ქ. 53, კაბ. „ლუიზოლი". ტელ: 37-38-13 (11-18სთ)

გთავაზობთ სტაბილიზირებულ ჟანგბადს „აქვაგენს" ორსულობისას ტოქსიკოზის მოსახსნელად და ნაყოფის თავის ტვინის განსავითარებლად. შედეგი გარანტირებულია. ტელ: 75-79-65 (19-23 საათი)

სიკტივკარის საგაზეთო ობსეტური ქაღალდი, ზომით 60 სმ, სიმკვრივე – 45-48 გრ კვმ. ტელ: 96-41-58 (დღისით); 68-93-06 (საღამოს)

ავტოსამრეცხაოებისათვის! გერმანული ფირმა „კერხერის" წარმოების მაღალი წნევის წყლით და ორთქლით სამრეცხაო დანადგარები, მტვერსასრუტები, აქსესუარები, ავტომატური სამრეცხაო კომპლექსები – ფირმის გარანტიითა და სერვისული მომსახურებით. ტელ: 98-30-03; 877 41-30-53

სატელეფონო ქსელში მომუშავე მრავალფუნქციური ტელეფონის ნომრის ამომცნობი აპარატები, რომელიც 220 ვ-ის ძაბვას არ საჭიროებს. ფასი 30$, ბინაზე მომსახურებით. ტელ: 60-73-98. გია

## შევიძენ

შევისყიდი ადამიანის გრძელ თმას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, მე-2 სართული. მაღაზია „ესთეტი". 12-17სთ, შაბათ-კვირის გარდა. ტელ: 68-19-80

## სხვადასხვა

ქვემო ქართლის გუბერნატორს

**ბატონ ლევან მამალაძეს**

ბატონო ლევან, ნოდარ დუმბაძის სახ. ბავშვთა საქველმოქმედო ფონდი მადლობას გიხდით იმ თანადგომისა და გულისხმიერებისათვის, რასაც თქვენ იჩენთ ჩვენი ფონდის ობოლი და მიუსაფარი ბავშვებისადმი. ვიმედოვნებთ, თქვენი გულისხმიერება და ზრუნვა მომავალი თაობისადმი, არ მოაკლდებათ მათ. დავრჩებით მარად თქვენი პატივისმცემელნი. ფონდის პრეზიდენტი ნანა გოგავა

ინფორმაცია: ფსორიაზის, ეგზემის, ნეიროდერმიტის, სებორეის, მუნის შესახებ. ტელ: 39-02-98

## ხსოვნა

**მარგო გერასიმეს ასული შენგელია-სიჭინავას გახსენება**



ჩვენო ლამაზო და ტკბილიანო დედიკო! განგებამ ისე გაგვწირა, რომ გაზეთის ფურცლებიდან გეფერებით და უკვე მარადიულ სასუფეველში გადასულს დარდითა და ცრემლებით გილოცავთ დაბადების დღეს – 13 ივლისს.

დაბადების დღემდე ორი კვირით ადრე შეწყდა შენი ლამაზი სიცოცხლე და 57 წლისად დარჩი მარადისობაში. ექვსი თვე შენი შვილები შენთან ერთად ვებრძოდით შენს უკურნებელ სენს, ამჟამად დედაშვილობის ძალამ ვერ სძლია ულმობელ სიკვდილს. გამოგვეცალე ხელიდან და თან წაიყოლე ჩვენი გულის ნაწილი. შენი გულდათუთქული შვილები ვერაფრით ვეგუებით უშენობას, ან რა გაუძლებს ამ უსაშველო მონატრებას, დედიკო, შენი დიდრონი ცისფერი თვალების ხატება რომ ახლავს თან.

დარდიანი და ცრემლიანია ჩვენი ყოველი დღე, შენი სიყვარულითა და მონატრებით გაჟღენთილი. ერთმანეთისა და მარტოდ დარჩენილი მამიკოს გასამხნევებლად გულში ვიხვევთ დარდსა და ნაღველს, დამნაშავესავით ვარიდებთ ერთმანეთს ცრემლიან თვალებს, თორემ... ამხელა დარდსა და ტკივილს გზა რომ მივცეთ, ზეცას შეძრავდა შენი გულდამდუღრული ხუთი ქალიშვილის ზარი და გოდება!

უკვე გვენატრები, ულმობლად გვენატრები, დედა!

**შენი შვილები.**

**კოლია (გიგლა) ვარდანიძის გახსენება**

ექვსი თვე გავიდა, რაც შენმა კეთილმა გულმა გიღალატა, ძმაო! მწარე და მოუშუშებელი ტკივილი დაგვიტოვე, რომ ვერ დაგიხსენით ულმობელი სენისაგან, რომელმაც შენი დარჩენილი სიცოცხლე შიშით მოწამლა. მაპატიე, ძმაო, რომ იმედი ვერ გაგიმართლეთ, ვერ გადაგარჩინეთ – ეს მარტო ჩვენს მოვლა-პატრონობაზე არ იყო დამოკიდებული. ძალიან მენატრები, შენც და შენი ხმის გაგონებაც. გწამდა, არაფერს დავიშურებდით შენს გადასარჩენად, მაგრამ უძლურნი აღმოვჩნდით ულმობელი სიკვდილის წინაშე.

**გულდაწყვეტილი შენი და ოლა**

## ნეკროლოგი

მეუღლე დიტო შალამბერიძე, რძალი მაია ბლუაშვილი, შვილიშვილი თინიკო, მაზლი რეზო შალამბერიძე, ძმისშვილი ნინიკო, მაზლისშვილი თემური, რძლები რიმა პაპავა, ნაღეჟდა შალამბერიძე, ლია თოლაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საპატიო მასწავლებელი **თინათინ მოსეს ასული დავითაშვილი.**

**პანაშვიდი** კვირას და ორშაბათს, დღის 5 საათზე. **გამოსვენება** სამშაბათს, დღის 3 საათზე.




# შოუ-ბიზნესის კრახი საქართველოში?!



— ჯეიმს ბრაუნის ჩამოყვანა საქართველოში მთლიანად წამგებიანი აღმოჩნდა, — განაცხადა კომპანია „ისტერ პრომოუშენის“ რეკლამის მენეჯერმა კახა კანდელაკმა. მთლიანი ბილეთების მხოლოდ 51% გაიყიდა. ბილეთებისა და მაგიდების ძირითადი ნაწილი უფასოდ დაურიგეს სპონსორებსა და მოპატიჟებულ სტუმრებს. შემოსულმა თანხამ ვერ დაფარა „თბილკრედიტბანკიდან“ აღებული სესხიც, რომელიც კომპანიის თანამშრომლებმა მეგობრებისგან ნასესხები თანხით დაფარეს. მომავალში ისინი თავს შეიკავებენ საქართველოში ასეთი გრანდიოზული პროექტის განხორციელებაზე.

როგორც პრესკონფერენციაზე შევიტყვეთ, მომღერალს 15.000 დოლარით უნდა დაეფინანსებინა რომელიმე ერთი ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდის სწავლა-განათლება. ჯერჯერობით, ამ აქციისა და თანხის შესახებ არაფერია ცნობილი. სამაგიეროდ, ჯეიმს ბრაუნმა 500-500 დოლარით დააჯილდოვა ჯგუფის ყველა ის წევრი, ვინც კონცერტის ბოლოს მასთან ერთად წყალში გადაეშვა. საინტერესო რანჟირება შეიმჩნეოდა ჯეიმს ბრაუნის კონცერტზე. ქართული ბიზნესის მფლობელებმა და მენეჯერებმა ტრიბუნებზე 60-ლარიანი ადგილები დაიკავეს, ხოლო მოქმედი და გადამდგარი ჩინოვნიკური ელიტის წარმომადგენლებმა პრესტიჟული 1000-ლარიანი მაგიდები. თითქმის მთლიანად შევსებულ სექტორებზე ხალხს მოწყენილი ითვლიდა ტრიბუნაზე მჯდომი AES-თელასის პრეზიდენტი მაიკლ სქოული და ალბათ, გუნებაში ელექტროენერგიის გადაუხდელი შემოსავლების გამო შოუ-ბიზნესში გადასვლას გეგმავდა.

## დახმარება გაკოტრების მიზნით?

როგორც ცნობილია, ჩვენი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს დაკარგული აქვს ნდობა ბანკების დიდი ნაწილის მიმართ, რისი მაგალითიც ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციაც გახლავთ.

268.678 ათასი ლარის გადახდა მოუწევს კომერციულ ბანკს „მერკური“, თუ სასამართლომ დააკმაყოფილა ევროკავშირის TASIS RARP-1-ის ნამყვანი საბანკო ექსპერტის პიტერ შოუს სარჩელი, რომელიც მან საბურთალოს რაიონის სასამართლოში აღძრა. სასარჩელო განცხადების თანახმად, 1998 წლის 10 თებერვალს „მერკურიმ“ ევროკავშირის საპარტნიორო ფონდიდან მიზნობრივი კრედიტი მიიღო. ვალის დაბრუნების ვადა 1998 წლის ნოემბერში ამოიწურა. ამ ხნის განმავლობაში ბანკმა არ (ან ვერ) შეასრულა ნაკისრი ვალდებულება სესხით სარგებლობის წლიურ პროცენტთან ერთად თანხის დაბრუნების თაობაზე. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ბანკმა მიღებული თანხა ორ ფერმერს მისცა სესხად ხორბლის მოსაყვანად. ამისათვის მათ გირაოში თავიანთი საცხოვრებელი სახლები ჩადეს. მოსავლის დასეტყვის გამო ფერმერებმა სესხი ვერ გადაიხადეს და ბანკმაც, შესაბამისად, ვერ გაუსტუმრა თანხა ევროკავშირის საპარტნიორო ფონდს. როგორც ირკვევა, ანალოგიური სესხები გახდა ერთ-ერთი მიზეზი „ივერთ-ბანკის“ გაკოტრებისა. შეჩერებულია „ვითა ბანკისა“ და „ავირგო ბანკის“ საქმიანობაც. გაგაცნობთ ამონარიდს ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტიდან: „1998 წლის 11 დეკემბერს ნაძალადევის რაიონის სასამართლოს №15 გადაწყვეტილების საფუძველზე, თბილისში, ცოტნე დადიანის გამზ. №34(ა) მდებარე, შპს „ელდორადო-ბანკის“ შენობა — საერთო ღირებულებით 150.000 ლარი, ვალის გაქვითვის მიზნით საკუთრებაში გადაუფორმდა ევროკავშირის საპარტნიორო ფონდის წარმომადგენელს პიტერ შოუს. სადღეისოდ, ბანკს უკანონოდ აქვს დაკავებული ევროკავშირის საპარტნიორო ფონდის კუთვნილი შენობა და არ იხდის საიჯარო ქირას. აქედან გამომდინარე, გთხოვთ, სასამართლოს ძალით გამოასახლოთ აღნიშნული ბანკი ჩვენზე რიცხული შენობიდან (თან ერთვის ქონების გადაფორმების დოკუმენტი)“.

ბანკ „მერკურის“ ადვოკატმა დავით ვადაჭკორიამ სასამართლოში შეიტანა ე.წ. შეგებებული სარჩელი, სადაც იგი ხელშეკრულების უკანონობას ამტკიცებს და მის შეცვლას ითხოვს. მისი აზრით, ბანკ „მერკურისა“ და საპარტნიორო ფონდს შორის გაფორმებული ხელშეკრულება არ შეესაბამება კანონს ბანკების შესახებ. ასეთი ხელშეკრულების დადების უფლება მხოლოდ ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ლიცენზიების მქონე პირებს შეუძლიათ. ევროკავშირის საპარტნიორო ფონდს კი ასეთი ლიცენზია არ გააჩნია, რაც პიტერ შოუმ ჩვენთან საუბარშიც დაადასტურა. ამგვარად გაფორმებული ხელშეკრულება ბანკების კანონის მიხედვით განიხილება როგორც ფიდუციალური ანუ ნდობითი ოპერაცია, რომელსაც ბანკი კლიენტის დავალებით ახორციელებს. ასეთ შემთხვევაში კომპანია თავის თანხებს სამართავად ბანკს ანდობს, ბანკი კომპანიის დავალებით გასცემს თანხას მსესხებელზე, იღებს საკომისიოს, იტოვებს გირაოს, მაგრამ არ არის პასუხისმგებელი თანხის დაბრუნებაზე. რა თქმა უნდა, გირაოს მოთხოვნის უფლება თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, უპირველესად, თანხის პატრონს აქვს. და შესაბამისად, სარჩელი არა ბანკის, არამედ ფერმერების მიმართ უნდა აღძრულიყო, — ამბობს დავით ვადაჭკორია და სასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდება. 1996 წლის 29 თებერვალს საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომლის მიხედვითაც შეიქმნა ტასისის საპარტნიორო ფონდი. ფონდის მიზანია კერძო ფერმერებზე ხორბლის სესხებით გაცემა, რითაც ხელი უნდა შეეწყოს სოფლის მეურნეობის განვითარებას. მემორანდუმის მიხედვით, საბოლოო მსესხებლამდე მისაღწევად სესხმა აუცილებლად კომერციულ ბანკში უნდა გაიაროს. როგორც საპარტნიორო ფონდში განაცხადეს, ხშირ შემთხვევაში სესხის ამღები მიდიოდა ფონდში, რის შემდეგაც მას აგზავნიდნენ ფონდის მიერ წინასწარ შერჩეულ ბანკებში. ყველა სესხის ამღების ვინაობას და გირაოს ბანკები უთანხმებდნენ საპარტნიორო ფონდს.

— სამი წლის განმავლობაში საქართველოს ბანკების მიერ გაცემული თანხების მთლიანმა ბრუნვამ 38 მლნ ლარი შეადგინა (ძირითადი თანხა 10,2 მლნ). ამჟამად ბანკებიდან 3,5 მლნ ლარი უნდა დაბრუნდეს. ხოლო ის თანხა, რომელსაც ბანკები უკვე ველარ აბრუნებენ, 2 მლნ-ს შეადგენს, — აცხადებს პიტერ შოუ და იწყებს „აგრობიზნეს-ბანკის“ ჩამოყალიბებას, რომლის საწესდებო კაპიტალი (5 მილიონი ლარი) 12 ბანკის მიერ დაბრუნებული კრედიტებისგან უნდა შედგეს. როგორ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, პიტერ შოუმ იმავე საუბარში გაგვანდო პროექტის კიდევ ერთი მიზანი — საქართველოს საკანონმდებლო სისტემისა და საბანკო სისტემის გამოცდა, რომელიც, მისი თქმით, წარმატებით მიმდინარეობს(?!).

აქ შეიძლება ერთ ფაქტზე გამახვილდეს ყურადღება: თუ დროებით არ ვიხმართ სიტყვებს — ევრო, განვითარება, დახმარება, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა, — მაშინ ორგანიზაცია (ევროკავშირის ფონდი), რომელიც საქართველოს 12 ბანკის კრედიტორს ანუ მევალეს წარმოადგენს, თვითონ ხდება ახალი ბანკის დამფუძნებელი და ავტომატურად ამ ბანკების სერიოზული კონკურენტიც.

*ზაზა გრიგალაშვილი*

## ეკონომიკის სამინისტრო — რეკეტერი

რუსეთის ეკონომიკის სამინისტრომ შეიმუშავა რუსეთის კაპიტალის რეაბილიტაციის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ლუქსემბურგში საგანგებო საინვესტიციო ფონდის შექმნას, სადაც ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებმაც 1992-93 წლებში უკანონოდ გაიტანეს უზარმაზარი კაპიტალი, იძულებული იქნებიან, ეს თანხა ჩარიცხონ საინვესტიციო ფონდში.

რფ ეკონომიკის სამინისტროს ვარაუდით, 2000 წლის I ნახევრამდე ფონდის ანგარიშზე მოხდება 2-3 მლრდ დოლარამდე თანხის აკუმულირება. ფონდს უხელმძღვანელებს ეკონომიკის სამინისტროს ტრადიციული პარტნიორი „დოიჩე ბანკი“, რომელიც ამ თანხას მოახმარს რუსეთის საინვესტიციო პროგრამებს.

*ვერსია №24*

## კითხვა-პასუხი



***ჩემს ბინაში ჩაწერილია ჩემი შვილი, რომელიც გათხოვილია და ქმარ-შვილთან ერთად ცხოვრობს რაიონში. სახლმმართველობაში წარვადგინე რაიონის კომუნალური მეურნეობის მიერ გაცემული ცნობა, რომ ჩემი შვილი ნამდვილად ცხოვრობს რაიონში, მაგრამ თბილისის სახლმმართველობა ითხოვს კომუნალური გადასახადის თბილისშივე გადახდას. რამდენად სწორია სახლმმართველობის ქმედება?***

*რამაზ ნოზაძე*

სახლმმართველობის ქმედება სწორია, რადგან მოქალაქე ცხოვრებისდა მიუხედავად ვალდებულია იქ გადაიხადოს კომუნალური გადასახადი, სადაც ჩაწერილია. რადგან თქვენი შვილი ცხოვრობს და კომუნალური მომსახურებით სარგებლობს რაიონში, იქ კი ჩაუწერაობის გამო კომუნალურ გადასახადს ვერ გადაახდევინებენ, უმჯობესია, იგი რეგისტრაციაში გატარდეს რაიონშივე და თბილისში აღარ მოგიწევთ კომუნალური გადასახადის გადახდა.

*ს. ბეკურიშვილი, საბურთალოს რაიონის სახლმმართველობა*

***გთხოვთ, მიპასუხოთ, როგორი იყო 1991 წლის I კვარტალში დოლარის კურსი მანეთთან შეფარდებით სახელმწიფო, კომერციულ და შავ ბაზარზე?***

*ზაურ ლელაშვილი*

1991 წ. საქართველოში დოლართან მიმართებით მოქმედებდა სამი კურსი: ოფიციალური, კომერციული და სპეციალური. იმის გამო, რომ არამყარი იყო ეს კურსი, I კვარტალის 20 მარტის მონაცემებით, იგი 100 დოლართან მიმართებით ოფიციალურად განისაზღვრებოდა 57,49 რუსული რუბლით, კომერციული კურსით — 172,47, სპეციალური კურსით — 574,90. შავი ბაზრის კურსი კი ეროვნულ ბანკს არ გააჩნია.

*ეროვნული ბანკის სადილინგო განყოფილება*

***ხაშურის შპს „ჯეჯილი“ იღებს ჩვენგან გაზს და დადგენილ ტარიფზე ნაკლებს გვიხდის, იმ მოტივით, რომ მას შეღავათები ეკუთვნის, როგორც მოსახლეობის პირველადი მოთხოვნილების — პურით უზრუნველმყოფს. გვაინტერესებს, ნამდვილად ეკუთვნის თუ არა რაიმე შეღავათი და ვინ აანაზღაუროს ხაშურგაზის ფასთა სხვაობა?***

*ხაშურგაზის ადმინისტრაცია*

საერთოდ, პურის საცხობი ობიექტები შეღავათს ითხოვენ, რათა არ მოხდეს პურის გაძვირება. ხაშურგაზმა ამ საკითხზე უნდა მიმართოს ადგილობრივ გამგეობას, სადაც ის თავის დროზე რეგისტრაციაში გატარდა და, სადაც დადგინდა გაზის ტარიფი. გამგეობა კი გადაწყვეტს, თუ რომელ ობიექტზე დაწესდეს შეღავათი გაზის ტარიფთან დაკავშირებით.

*გაზის სამმართველოს საგეგმო განყოფილება*

***რომელი ქვეყნები შედის ნატოში?***

*თ. მერმანიშვილი, თბილისი*

ნატოში შემავალი ქვეყნებია: აშშ, კანადა, ისლანდია, დიდი ბრიტანეთი, ნორვეგია, დანია, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი, პორტუგალია, იტალია,, საბერძნეთი, თურქეთი. ამ 16 ქვეყანას შემდგომში მიემატა 3 ქვეყანა: პოლონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი.

*ზურაბ დავითაშვილი,*
*თსუ საერთაშორისო ურთიერთობის კათედრის გამგე*

***რა ბედი ელის კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში შეტანილ თანხებს?***

*კაპალაძე*

კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში შეტანილ თანხებთან დაკავშირებით, პრეზიდენტის ბრძანებით, შექმნილია სამთავრობო კომისია, რომელიც უახლოეს პერიოდში განიხილავს ამ საკითხს და პრესის საშუალებით გააცნობს მოსახლეობას.

*კობა ტაბლიაშვილი, საბინაო მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოადგილე*

***1977წ. დაბადებულ თსუ საბიუჯეტო დღის განყოფილების I კურსის მაგისტრანტს 1997წ. გარდაეცვალა პენსიონერი მამა. სოცუზრუნველყოფისათვის დღემდე არ მიგვიკითხავს. აუნაზღაურდება თუ არა ჩემს შვილს მამის გარდაცვალების დღიდან კუთვნილი პენსია?***

*მარგალიტა ხაჩიძე, თბილისი*

მამის გარდაცვალების შემთხვევაში შვილს კუთვნილი პენსია აუნაზღაურდება მხოლოდ სოცუზრუნველყოფაში მიმართვის დღიდან და არა — გარდაცვალების დღიდან.

*იოსებ ლობჟანიძე, სოცუზრუნველყოფის სამინისტროს საპენსიო უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი*

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1999 წლის 10 ივლისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | | |
|---|---|---|
| აშშ დოლარი | | 1,930 |
| გერმანული მარკა | | 1,008 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | | 3,011 |
| ფრანგული ფრანკი | | 0,300 |
| რუსული რუბლი | | 0,078 |
| თურქული ლირა | (10.000) | 0,045 |
| შვეიცარიული ფრანკი | | 1,228 |

ინდივიდუალური საწარმო
NGA
დაგიმზადებთ:
ფარდა-ჟალუზს; ლითონის კარს — 350 ლარი; „გარმოშკას“, 1კვ.მ — 80 ლარი; ჟალუზებს, 1კვ.მ — 80 ლარი; ფანჯრის უძრავ გისოსებს, 1კვ.მ — 50 ლარი. აგრეთვე, ნებისმიერ სართულზე დაგიმონტაჟებთ აივანს, 1კვ.მ — 250 ლარი; ავტოფარეხს.
მის: ჭავჭავაძის 25. ტოპოგრაფიული ტექნიკუმის შენობა
ტელ: 22-60-03; 877-41-87-75

თბილისის საინჟინრო-ჰუმანიტარული ინსტიტუტი „მთიები“
აცხადებს მიღებას იურიდიულ, ფილოლოგიურ, ჟურნალისტიკის, ეკონომიკურ, პედაგოგიურ და უცხო ენების ფაკულტეტებზე.
წარმოებს სტაჟირება საზღვარგარეთის ქვეყნებში
IX კლასდამთავრებულთათვის გახსნილია ლიცეუმი
საბუთები მიიღება ყოველდღე გარდა კვირისა 10-17 სთ-მდე
მის: თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 178, მე-18 საშ. სკოლა
ტელ: 35-27-00, 18 სთ-მდე; 38-00-83; 52-67-67; 62-05-07, საღ.


ხერხემლის დაავადებათა (ოსტეოქონდროზი, დისკოზი, ართროზი, სპონდილოზი) და მათი ნერვული, კუნთოვანი, მყესოვანი, სახსროვანი და სისხლძარღვოვანი გართულებების კომპლექსური მკურნალობა
ექიმი ვერტებრონევროლოგი, მანუალური თერაპევტი დავით ქურთუბაძე
თბილისი, ივ ჯავახიშვილის 51, I სართ, ოთახი 9
ტელ: 96-95-69; 877-43-31-26

# მემანიშვილის თემა სენსაციური ფონით

სულ ახლახან, მუსიკალური თბილისი სენსაციურმა მოვლენამ აალაპარაკა — კონსერვატორიის სტუდენტების ძალებით განხორციელდა პიერ რინუჩინისა და ჯაკომო პერის „ევრიდიკე". სპექტაკლი გადაწყვეტილი გახლდათ დრამა PER MUSICA-ს სტილში. დამდგმელი რეჟისორი გახლავთ დათო სავარელიძე, დამდგმელი დირიჟორი — კონსერვატორიის მეორე კურსის სტუდენტი, 19 წლის ნიჭიერი შემოქმედი ნიკა მემანიშვილი. მან არა მარტო უდირიჟორა სპექტაკლს, არამედ შეასრულა სინთეზატორისა და კლავესინის პარტიებიც.



**ნიკა მემანიშვილი:** — ჩვენი მიზანია კამერული ოპერის ჟანრის წამოწევა. ვინაიდან არ გაგვაჩნდა არანაირი დოკუმენტური მასალა „ევრიდიკეს" შესახებ, ამდენად, შესრულების ტრადიციული მანერა არ გამოგვადგებოდა.

კომპოზიტორისეულ ჩანაფიქრზე უარის თქმა საკმაოდ თამამი ექსპერიმენტით დაგვირგვინდა: შემცირდა და დაიხვეწა პარტიტურა. [illegible] „დონ-ჟუანის" პრემიერაზე ყველა ბილეთი გაყიდული აღმოჩნდა. თანაც ვენაში ბილეთის ფასი 1000 დოლარის ფარგლებშია! მაგრამ იქ ასეთი წესია, რაც არ უნდა ძვირი ბილეთი გქონდეს, თუ უკან დააბრუნებ 10 დოლარად იბარებენ და აი, სწორედ ერთ-ერთი ასეთი დაბრუნებული ბილეთის მფლობელი გახდა ქართველი მუსიკოსი. [illegible]



ნიკას ვენიდან ჩამოფრენისთანავე შევხვდით, ჩვენი ინტერვიუც სენსაციური კუთხით წარიმართა:

— **როგორც ვიცი, ვენა შენი ოცნების ქალაქია...**

— ვენამ საფუძველი დაუდო ორ საკომპოზიციო სკოლას: პირველი — ჰაიდნი, მოცარტი, ბეთჰოვენი; მეორე — შონბერგი, ბერგი, ვებერნი; ვებერნი ჩემი საყვარელი კომპოზიტორია.

— **შენი ცნობილი კურიოზის შესახებ გვიამბე...**

— ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მიმიწვია თავისთან, ბედობის დღის კონცერტში მონაწილეობის მისაღებად (სხვათა შორის, ნიკა პრეზიდენტის სტიპენდიანტია, ა.ბ.) და... დაპატიჟება! კონცერტი ვეღარ შევედი დარბაზში...

— **საზღვარგარეთული კურიოზის შესახებაც მიამბეთ...**

— ორღანთან მიმართებაში, არა? საქმე ის გახლავთ, რომ 13 წლის ასაკში დაიგეგმა ჩემი საორღანო კონცერტები გერმანიაში. ნავიღე საკმაოდ სოლიდური პროგრამა და აღმოჩნდა, რომ შეკვეთილი იყო 60 პრესტიჟული საორღანო დარბაზი(?!). მანამდე არანაირი შეხება არ მქონდა ამ ინსტრუმენტთან, რა უნდა მექნა? გავმართე 60 საორღანო კონცერტი საკმაოდ წარმატებით, ოღონდ შემდეგ მივიღე სტრესი ნერვიული დაძაბულობის ფონზე...

— **ნიკა, მთელ შენს შემოქმედებით ბიოგრაფიას კურიოზულ-სენსაციურს თუ დავარქმევთ, მგონი, არაფერს გავაზვიადებთ...**

— თითქმის დაბადებიდან ვუკრავ, 10 წლისამ გავიგე უდიდესი წარმატების გემო — თითქმის ერთდროულად მოეწყო ჩემი კომპოზიტორად და დირიჟორად კურთხევა — კომპოზიტორთა კავშირის ეგიდით დაიდგა ჩემი საბავშვო ოპერა „ყვავილების ზღაპარი", გივი ჭიჭინაძის ტექსტებზე. მივიღე მონაწილეობა ლექცია-კონცერტში. იქ გამართულ დისკუსიაში გამოვთქვი ჩემი მოსაზრება, რომელიც ბატონ ჯანსუღ კახიძეს საინტერესოდ მოეჩვენა და სცენაზე მიმიწვია — ხომ არ უდირიჟორებდი, როგორც წარმოგიდგენიაო — სიამოვნებით-მეთქი და ... 10 წლისამ ვუდირიჟორე ბეთჰოვენის №5 სიმფონიას. ბატონმა ჯანომ აღფრთოვანების ნიშნად მაჩუქა სადირიჟორო ჯოხი და პარტიტურა. თქვა, მე გავზრდი ამ მუსიკოსსო, მაგრამ შემდეგ ისე მოხდა, რომ ჩვენი პედაგოგიურ-მოსწავლური ურთიერთობა აღარ შედგა. ჩემი მაესტრო ამჟამად ბ-ნი ბიძინა კვერნაძე გახლავთ. საბოლოო ჯამში მინდა საოპერო დირიჟორი გავხდე!

— **რელიგიასთან რა მიმართებაში ხარ?**

— საკმაოდ ღრმა! ვარ ტბერელის წმინდა ეკლესიის მრევლი. სისტემატურად ვასრულებ სასულიერო რიტუალებს — ზიარება-მარხვა, ღვთის მადლი გადმოდის ჩემზე!

ნიკაზე როცა საუბრობენ, ეპითეტად „მრავალმხრივს" იყენებენ და ეს უთუოდ ასეა. იგი ამჟამად უაღრესად მნიშვნელოვანი საქმითაა დაკავებული — თბილისის პიანისტთა მეორე საერთაშორისო კონკურსისათვის იგი სავალდებულო ნაწარმოებებს ქმნის. ნიკა არაერთი საფორტეპიანო და სავიოლინო ნაწარმოების ავტორია. როგორც პიანისტს, აქვს განსაცვიფრებელი ტექნიკა. მის შემოქმედებაში ხალხური და თანამედროვე სტილის გასაოცარი სინთეზია... ბატონ ნოდარ გაბუნიას კლასის კონცერტზე ნიკა ახალ ამპლუაშიც ვიხილეთ — იგი დასარტყამ ინსტრუმენტზე უკრავდა.

გია ყანჩელმა ნიკა მიიწვია გერმანიაში კომპოზიტორთა ფორუმზე, სადაც მემანიშვილის ნაწარმოები უნდა შესრულდეს.

რაც შეეხება ყოფით დეტალებს — ნიკას ყოველდღიურობის ულამაზესი რიტუალია — ჭამა! დილით მაქსიმალურად იკვებება, რათა ამაზე დღის განმავლობაში, დრო აღარ დაკარგოს, თუ მაინცდამაინც, თეთრ სასენდვიჩეში შეირბენს ხოლმე, რომელსაც ნიკას პრემიერის აღსანიშნავად „ევრიდიკე" დაერქმევა...

*ალექსანდრე ბერიძე*

# ნელში ყვავილის ღირსი იყავი...

მედეა გეგეშიძე იმ რჩეულთაგანი იყო, რომლებიც ცხოვრების გზაზე ისე ფრთხილად დადიან, თითქოს მიწაზე ფეხს არ აკარებენო.

ეს მოკრძალება მის ხმის ტემბრშიც იგრძნობოდა და სხვაზე მოუბარი, უხილავადაც საკუთარ ავტოპორტრეტს ნათლად ძერწავდა.

დაახლოებით ასეთია მისი პორტრეტი — სხვისი თანაგრძნობით გასხივოსნებული, შორს გამზირალი, ძალიან ახლობელი, ალალი, დედა, და, მეგობარი, კოლეგა, უპოვართა შემწე, ღირსეულთა დამფასებელი, მივიწყებულთა გზას ადევნებული, მათთვის საიმედოდ ხელგაწვდილი... ნებისმიერ გაციებულ კერაზე მინავლულ ნაღვერდალს გამოჩხრეკდა, ფერდაკარგული ფოტოებითა და მოგონებებით სიყვარულისა და სიხარულის ისეთ ხანძარს ააბრიალებდა, დიდხანს რომ გათბობდა...

რადიოგადაცემითა თუ რეპორტაჟით ყველასთვის სასურველი სტუმარი, სამაგალითო პროფესიონალი, ჭირისა თუ ლხინის დამამშვენებელი რადიოჟურნალისტების იმ რომანტიკოს თაობას ეკუთვნის, რომელთა შემოქმედებას მომავალში ოქროს ფონდი და მსმენელთა სიყვარული დაიცავს...

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მედეა გეგეშიძემ რადიოგადაცემით „თანაგრძნობა", ჟურნალისტიკა ხელოვნებას გაუთანაბრა.

იგი იყო ესთეტი, შესანიშნავი პიროვნება, სხვის, უცნობის, ღირსეულად განვლილ ცხოვრების გზას დასავიწყებლად ვერ იმეტებდა და ამისთვის იხარჯებოდა უშურველად, გასცემდა საკუთარ ენერგიას, გულის სითბოს, თანადგომას...



ალბათ ბევრი დავაკელით და სათანადოდ ვერ გავუფრთხილდით თითოეული ჩვენგანის თანადგომითა და თანაგრძნობით ჩაფერფლილ გულს...

**პოსტ-კრიპტუმის მაგიერ:**

ამ რამდენიმე წლის წინ ძალიან მინდოდა, ტელევიზიაში დაგვემკვიდრებინა 5-10 წუთიანი გადაცემა ან ჩანახატი — „ყვავილები კოლეგისთვის", რომელიც კვირაში ან თვეში ერთხელ გავიდოდა ეთერში და მიეძღვნებოდა კადრს მიღმა მყოფ პრესისა თუ რადიოს ჟურნალისტებს. უარი მითხრეს...

ამ ფაქტს პირველად და უკანასკნელად იმიტომ ვიხსენებ, რომ გადაცემის პირველი გმირი მედეა გეგეშიძე უნდა ყოფილიყო...

დასანანია, მაგრამ თავადაც კარგად უწყოდა ჩვენი უსახსრობის ამბავი. ის კი არა, ბევრი შენი მეგობარი უყვავილებოდ მოვიდა შენთან გამოსათხოვებლად, ჩვენო მედეა, არადა, რა ბევრი ყვავილის ღირსი იყავი...

*დოდო იორდანიშვილი*

# პატარა და „გულით დიდზე დიდი"

პატარა ნიკას პოეზიის სიყვარული გაცილებით ადრე მიეახლა, სანამ წერა-კითხვას დაიწყებდა.

თბილისის გაგანია ომის დროს, როცა ელექტროშუქი ნანინანატრ ფუფუნებად ითვლებოდა, ხოლო ცელქი ბიჭის სიბნელეში „დაკავება" ყოვლად შეუძლებელი ხდებოდა, დედამ — თამრიკო კაპანაძემ ლიტერატურული ხერხი გამოიყენა: გადაშალა ქართული პოეზიის ანთოლოგია და გამოთქმით დაიწყო ლექსების კითხვა. ნიკა გაყუჩდა, გაილურსა და სუნთქვაშეკრულმა დიდხანს უსმინა აზარტში შესულ დედას. ზამთრის გრძელმა საღამოებმა ბიჭის სულში ჩადებული მარცვალი გაალვივა. ოჯახმა შვებით ამოისუნთქა, რადგან გაიშვიათდა ონავარი ნიკუშას ცელქობა, დენის მოსვლისას კი საერთოდ ავიწყდებოდათ ბავშვის არსებობა, რამეთუ ბიჭი ფირსაკრავზე საათობით უსმენდა ზღაპრებსა და მხატვრულ ნაწარმოებებს... ნელ-ნელა აიხსნა მაგიდასთან მიბმული სკამები (ნიკას ძალიან უყვარდა სკამის გარდერობთან მიდგმა და სიმაღლეზე აცოცება). ასე და ამრიგად, ნიკას ახალი გატაცება გამოუჩნდა ქართული პოეზიისა და პროზის სახით.

კაცურად თავმოყვარე ბიჭია ნიკა მელქაძე. მას უყვარს ის საზოგადოება და აუდიტორია, სადაც უსმენენ, სადაც აფასებენ მის ნიჭსა და გაქანებას, ამიტომაც, როცა სთხოვენ, ყოველგვარი კომპლექსის გარეშე საკმაოდ მაღალმხატვრულ დონეზე კითხულობს ლექსებს, ჩანახატებს (თავისას თუ სხვისას). ნიკას საყვარელი მწერლებია ნოდარ დუმბაძე და რევაზ ინანიშვილი, გამორჩეულად უყვარს გალაკტიონ ტაბიძე. მას საოცარი ინტერესი აქვს ყველაფრისა და არ არსებობს ბარიერი — მისგან დაუძლეველი. „რატომ, საიდან, რისთვის" — არ ელევა ნიკას კითხვები და მისი ახლობლებიც შეძლებისამებრ ცდილობენ უცნაური ბიჭის ცნობიერების დაკმაყოფილებას... ნიკას თავდაჯერებულობაც ახლავს და თქვენ წარმოიდგინეთ, ასაკოვანი კაცის სიდარბაისლეც; სასიამოვნო მოსაუბრეა და განსხვავებულ პოეტურ ხედვას ჩვეულებრივ დიალოგშიც ამჟღავნებს.

— **ნიკა, რა არის შენთვის სამშობლო?**

— სამშობლო იგივე ჩემი დედაა, რომლის გარეშე არც გაღვიძება და არც დაძინება არ მინდა.

— **სამშობლოზე დაწერილი ლექსებიდან ყველაზე მეტად შენ რომელიც მოგწონს, ის წამიკითხე...**

ნიკა პოეტისა და მსახიობი კაცის მანერით დგება ოთახის შუაგულში და შთაგონებით მიკითხავს ლექსებს:

„ანჩის ხატმა გამოისხა
მზე და რწმენა მომავლისა
ქართველი ვარ და არ ვტოვებ
საქართველოს — მე ჩემს მიწას".

„მე პატარა ქართველი ვარ,
როცა დიდი გავიზრდები
ჩემს საყვარელ დედას ვფიცავ
წინ ნურავინ დამიდგებით:
ნურც თათარი, ნურც მონღოლი,
ნურც რუსი და ნურცა თურქი,
მე პატარა ქართველი ვარ,
მაგრამ გულით დიდზე დიდი".

— **ნიკა, სიყვარულზე ძალიან კარგი ლექსები გაქვს დაწერილი, ნუთუ ვინმე გიყვარს?**

— ადრე მიყვარდა... ახლა აღარ მინდა მასზე ფიქრი, რადგან იგი ბევრს მოსწონდა და მან სხვა აირჩია.

„ჩემს გულში გაჩნდა ერთი იმედი
რადგან მიყვარდი, რადგან გიყვარდი,
რომ დამინახე, განითლდი, როგორც
ჯიუტი ვაშლი.
რომ დაგინახე, მივხვდი, რომ გულში
ტყუილად ვგოდებდი.
მივხვდი, რომ ვაშლი —
ჯიუტი ვაშლი
ისევ მიყვარდა".

„...ჩემი გრძნობები იქვე მოვკალი
და ამიტომაც ვწვები საფლავში".

„...ცეცხლი ანთია ჩემს გულში ისევ
ალბათ, არასდროს აღარ ჩაქრება
სამასი წვეთი ჩემი სისხლიდან



ყოველდღე ისევ მას ემატება.
...ლამაზი დღეა, ლამაზი დღეა,
გულში მწუხარედ რეკენ ზარები,
გახსოვს, იმ წვიმიან ღამეს
მე შენ დაგარქვი „დიდი დარდები".

— **ნიკა, როდის მოგდის ხოლმე მუზა და როგორი განწყობით წერ ლექსებს?**

— მუზა ხან თამაშის დროს მომდის, ხან — ძილის წინ.

მე უკვე მეორეკლასელი ვარ, წერა-კითხვა ვიცი, მაგრამ რადგანაც ჯერ კიდევ დიდი ასოებით ვწერ (მე კი ეს არ მომწონს), ამიტომ დედას ვეძახი ხოლმე, — დედა, ჩქარა, მუზა მომივიდა-მეთქი. დედაჩემიც იწერს, რასაც ვკარნახობ.

**მუზა**

„შენ მოდიოდი მწვერვალიდან
და თეთრი თოვლი შენ გზას გითბობდა,
შენ ცივი იცი მხოლოდ ყინული
და შენ გეგონა თოვლიც ცივია
... რადგანაც ცეცხლი გულშიც მინთია,
ყინული თურმე მასზე თბილია
მე ეს არასდროს დამავიწყდება,
ყინული თურმე ძლიერ თბილია".

„ვინა თქვა, მე რომ არ ვიყავ,
ვინა თქვა, რომ არ ვიქნები,
ღმერთი მფარავდა ამქვეყნად
და ცაშიც ღმერთთან ვიქნები".

— **ნიკა, შენს ერთ ლექსში თეთრთმიან ქალებზე ლაპარაკობ, ვინ არიან ისინი?**

— თეთრთმიან ქალებში მე ვგულისხმობ ჩემი ბაღის მასწავლებლებს, სკოლის პედაგოგს — თინა საჩანელს და სასახლის ნორჩშემოქმედთა სტუდიის მასწავლებლებს ფაცია პაიჭაძეს და ანო კასრაძეს. მე ისინი ძალიან მიყვარს, სიყვარული კი ლექსს მაწერინებს:

„თეთრი სახლის კარს შევაღებ
ნეტავ ვისგან ვპოვე კლიტე?
შევალ... შიგნით დამხვდებიან
თეთრთმიანი ქალები,
თეთრი გულით, თეთრი კალთით
თეთრი სულის აფრებით
ნეტავ, კიდევ მეყოლება მოალერსე ქალები?"

7 წლის პატარა პოეტი — ნიკა მელქაძე დღეს 126-ე სკოლის მეორეკლასელია. თინა მასწავლებელს ეამაყება ნიჭიერი მოსწავლე. ნიკათი ამაყობს სკოლის დირექტორი — ნაზი მეტრეველიც, ამიტომაც დაასაჩუქრა იგი ურეკის უფასო საგზურით. ნიკას უამრავი სიგელი და დიპლომი აქვს მიღებული, რომლითაც საქართველოს მწერალთა კავშირმა, ტექნიკურმა უნივერსიტეტმა და მოსწავლეთა სასახლემ დააჯილდოეს. ამას გარდა, ნიკა წარდგენილია პრეზიდენტის სტიპენდიაზე (100ლ).

იშვიათი ნიჭის პატრონი პატარა ნიკა იშვიათი დაავადებით — ქონდროდისტროფიით არის დაავადებული. მას საკმაოდ ძვირადღირებული წამლებით მკურნალობა ესაჭიროება საზღვარგარეთ. ნიკას შემოქმედების გაცნობის შემდეგ გულისხმიერ ადამიანებს იქნებ დახმარების სურვილი გაუჩნდეთ...

**P.S.** ნიკა ჭკვიანი თვალებით მიყურებს და სიამოვნებით მათვალიერებინებს ნაჩუქარ წიგნებს, რომლის წინა ფურცლებზე ჯანსუღ ჩარკვიანი, ლანა ღოღობერიძე, ხუტა ბერულავა, რამაზ ჩხიკვაძე, თამაზ წივწივაძე თბილი სიტყვებით მოიხსენიებენ მას და სხივიან, დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ პატარა თანამემამულეს.

**P.S.S.** ბოლო წუთებში რედაქციისთვის ცნობილი გახდა, რომ ნიკას უკვე მიენიჭა პრეზიდენტის სტიპენდია, ვულოცავთ ჩვენს პატარა ინტერვიუერს.

*მარინა ბაბუნაშვილი*

# კიდევ ერთი ქვეყანა ესკიმოსებისთვის



მაისში კანადის შემადგენლობაში შევიდა ახალი პროვინცია, რომლის კანონები და ადათ-წესები დიდად განსხვავდება კანადის სხვა პროვინციაში მოქმედი კანონებისგან. ამ პროვინციას, ნუნავუტა ჰქვია და კანადის მეხუთედი უჭირავს. 25 ათასი კანადელი ესკიმოსი (ინუიტი) პირველად გაერთიანდა ესკიმოსთა მეორე ავტონომიაში. თვითმმართველობას პირველებმა გრენლანდიელმა ესკიმოსებმა მიაღწიეს. ნუნავუტის დედაქალაქ იკვალუიტში კანადის პრემიერ-მინისტრმა საზეიმო ცერემონიალზე ფრანგულად წარმოთქვა, — გაუმარჯოს ნუნავუტასო. ასე დასრულდა კანადელ ესკიმოსთა მრავალწლიანი ბრძოლა ეროვნული თვითგამორკვევისათვის. რა თქმა უნდა, ნუნავუტა დამოუკიდებელი სახელმწიფო არაა და ვერც ვერასოდეს გახდება გაეროს წევრი, მაგრამ ესკიმოსებმა მიიღეს იმის უფლება, რომ თავის ტერიტორიაზე ისე იცხოვრონ, როგორც სურთ. ესკიმოსებს ყოველგვარი ლიცენზიის გარეშე შეეძლებათ თევზის ჭერა, ირემზე ნადირობა, ბენზეულის დამზადება.

მოლაპარაკებები ავტონომიის თაობაზე 20 წელი მიმდინარეობდა და კომპრომისით დასრულდა. ინუიტების ლიდერებმა უარი თქვეს თავისი კუთვნილი ტერიტორიის ნაწილზე, სამაგიეროდ, თვითმმართველობა მიიღეს იმ ჩარჩოებში, რომელიც კანადის სხვა პროვინციებს აქვთ. ნუნავუტის ბუნებრივ პირობებს კარგს ვერ უწოდებ. აქ მუდმივი ტემპერატურა — 35 გრადუსია, ზოგიერთი კუნძული კი წელიწადის ყველა დროს ყინულითაა დაფარული. ხშირად მიწას მხოლოდ ჰაერის საშუალებით უკავშირდებიან, მაგრამ ეს მკაცრი მხარე ესკიმოსების სამშობლოა.

ავტონომიის შემქმნელები იმედოვნებენ, რომ ამით ძირეულ მცხოვრებთა სოციალური პირობები გაუმჯობესდება.

ახალი ავტონომიის სუსტ წერტილად რჩება ეკონომიკა, რადგან ნუნავუტა ბიუჯეტის 90%-ს ცენტრიდან ღებულობს. დაფინანსება კი ალბათ არ შეიცვლება, კანადა ამბობს, ახლა ალტრუიზმის დრო არ არისო. თუმცა, ნუნავუტელები ჯერ ისევ ნანატრი ავტონომიის მიღებას ზეიმობენ.

*იზვესტია №118*

# ჰაფეზ ასადი იარაღისთვის ჩამოვიდა



საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოსკოვს პირველად ეწვია სირიის პრეზიდენტი ჰაფეზ ასადი. მისი ვიზიტის მთავარი მიზანია დიდი კონტრაქტის დადება რუსული იარაღის შესაძენად. დამასკოში ვარაუდობენ, რომ რუსეთისა და ნატოს ურთიერთობათა გამწვავებამ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ მოსკოვმა ყურად არ იღოს ვაშინგტონის მოწოდება — არ მიჰყიდოს უახლესი იარაღი სირიას.

ასადი აპრილში აპირებდა ჩასვლას, მაგრამ, როგორც ამბობენ, ვიზიტი იმის გამო გადადო, რომ მოსკოვმა მასთან შეუთანხმებლად მოიწვია ისრაელის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ა. შარონი და ასადთან მისი შეხვედრაც დაგეგმაო. მოსკოვი ვარაუდობდა, ამგვარი შეხვედრა სამშვიდობო პროცესს წაადგებოდა და, რაც მთავარია, ამ საქმეში მის როლს განამტკიცებდა, მაგრამ ასადმა არ ისურვა შეხვედრა ისრაელელ პოლიტიკოსთან, რომელსაც ბრალად სდებენ ათასობით პალესტინელის დაღუპვას შაბრასა და შატილეს ბანაკებში, 1982 წელს.

დამასკო თავისი არმიის გადაიარაღებას აპირებს და რუსეთში სურს შეიძინოს საბრძოლო თვითმფრინავები, ჰაერსაწინააღმდეგო უახლესი სისტემები, ტანკები. კონტრაქტის ღირებულება დაახლოებით 2 მლრდ დოლარია, რაც იმას ნიშნავს, რომ სირია 4-ჯერ მეტს დახარჯავს შეიარაღებაზე, ვიდრე აქამდე ხარჯავდა. რუსეთი დასთანხმდა გადაუვადოს სირიას ყოფილი საბჭოთა კავშირისთვის ვალის დაბრუნება (დაახლოებით 12 მლრდ), მაგრამ ახალი კონტრაქტის ღირებულება დათქმულ ვადაში სრულად უნდა მიიღოს. მოსკოვი აცხადებს, რომ სირია არ არის იმ ქვეყნების ნუსხაში, რომლებთანაც აკრძალულია სამხედრო თანამშრომლობა, ამიტომაც არ არსებობს არანაირი შეზღუდვა, მაგრამ, ჯერჯერობით, კონტრაქტზე ხელი არ მოუწერიათ; ამიტომაც მოსკოვს ჯერ კიდევ აქვს დრო, გადაწყვიტოს — ან დამასკოს შეუმციროს იარაღის მიწოდება, ან განაგრძოს ამერიკასთან კონფრონტაცია.

*კომერსანტი №116*

# პარლამენტის აღორძინება 300 წლის შემდეგ

შოტლანდიის პარლამენტის გახსნას მიეძღვნა ედინბურგში გამართული საზეიმო ცერემონიალი. უკანასკნელი 300 წლის მანძილზე პარლამენტი ქვეყნის პირველი საკანონმდებლო ორგანოა. ცერემონიალი გახსნა მისმა უდიდებულესობამ, ელისაბედ II-მ, რომელიც წარადგინეს, როგორც „შოტლანდიის დედოფალი" (ეს არის ყოფილი ბრიტანეთის იმპერიის დაუწერელი კანონი. კანადაში ელისაბედ II-ის ოფიციალური ტიტულია „კანადის დედოფალი"). ათასობით ადამიანი გამოვიდა ედინბურგის ქუჩებში სამეფო კორტეჟის სანახავად. პარლამენტის სასახლის შესასვლელთან დედოფალს შეეგებნენ შოტლანდიის პარლამენტის პირველი მინისტრი დონალდ დიუარი და სპიკერი ლორდი დევიდ სტილი. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი ამ ცერემონიალს ვერ დაესწრო ჩრდილო ირლანდიაში პოლიტიკური სიტუაციის გამძაფრების გამო — იგი საპარლამენტთაშორისო სამშვიდობო მოლაპარაკებებს ესწრება.

სიტყვით გამოსულმა დედოფალმა საკანონმდებლო ორგანოს დაფუძნებას „შოტლანდიელი ერის აღორძინების დღე" უწოდა.

დარბაზში თავი მოიყარა პარლამენტის ყველა დეპუტატმა და საპატიო სტუმარმა. მათ შორის იყო შოტლანდიელი ნაციონალისტი შონ კონერი. შოტლანდიის ეროვნული პარტიის დეპუტატებმა მკერდზე მიიბნიეს რესპუბლიკური სიმბოლო — თეთრი ვარდი. ეს დემარში შოტლანდიის არც ერთმა პარტიამ არ მოიწონა. ბოლოს, დედოფალმა შოტლანდიის დეპუტატებს ბრიტანეთის გვირგვინის ლოიალურობის სიმბოლო — კვერთხი — დაუტოვა.

პარლამენტის სპიკერმა დამსწრეებს შოტლანდიის პარლამენტის აღორძინება მიულოცა.

*ჰერალდ ტრიბუნი*

# ჰილარი სენატორის სავარძელს უმიზნებს



ბოლო ხანს ამერიკელი პოლიტიკოსები მეტად დაძაბული ადევნებდნენ თვალს მისის კლინტონს, — წამოაყენებდა თუ არა იგი თავის კანდიდატურას აშშ კონგრესში სენატორის ადგილზე ნიუ-იორკის შტატიდან (პენსიაზე გადის ვეტერანი სენატორი დენიელ პატრიკ მოინი ჰენი). უმრავლესობის აზრით, ამბიციური ჰილარი „პირველი ლედის" სახელს არ სჯერდება და ახლა, გამარჯვების შემთხვევაში, პირველი ქალი-სენატორი გახდება. ანალიტიკოსები პრეზიდენტის მეუღლის პირველ მეტოქედ ნიუ-იორკის მერს (რესპუბლიკელი) რუდოლფ ჯულიანის მიიჩნევენ (მან უკვე თავისი კამპანიისთვის 3 მლნ დოლარი შეაგროვა). „ტიტანთა ბრძოლაში" გამარჯვებას ჰილარის უწინასწარმეტყველებენ. პირველი ლედი საქმეს შეუდგა — მოგზაურობს ნიუ-იორკის ცენტრალურ და აღმოსავლეთ რაიონებში. როგორც მისმა თანაშემწემ განაცხადა, იგი უბრალო მოქალაქეებს შეხვდება. ნიუ-იორკელებს უყვართ და პატივს სცემენ ჰილარის. მეთვალყურეები ვარაუდობენ, რომ სენატის 2000 წლის არჩევნები იქნება ყველაზე ბინძური და არასამართლიანი შტატების ისტორიაში.

*ნოვიე იზვესტია №120*

# მოკლედ

ნიუ-იორკის შტატის ქალაქ ბეი-შორეში, გულის შეტევით გარდაიცვალა „ნათლიის" ავტორი — **მარიო პიუზო**. მისი სცენარით გადაღებულმა ამავე სახელწოდების ფილმმა „ოსკარი" მიიღო და მსოფლიო კინოს შედევრად იქცა.

საუკუნეა, **რუსეთს** ასეთი სიცხეები არ ახსოვს. იწვის ტყეები მოსკოვის გარშემო. სინოპტიკოსები, ჯერჯერობით, აგრილების იმედს არ იძლევიან.

ოფიციალური **ბაქოს** წარმომადგენლები ეჭვს გამოთქვამენ სომხეთ-აზერბაიჯანს შორის კონფლიქტის მოწესრიგებაში რუსეთის შემდგომი მონაწილეობის მიზანდასახულობაზე.

კატასტროფულ მასშტაბებს იძენს წყალდიდობა **სალვადორში**. რამდენიმე მდინარე ერთდროულად ადიდდა. დატბორა თოთხმეტიდან 6 დეპარტამენტი. ასობით მცხოვრები უსახლკაროდ დარჩა. ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.

დაიხურა **ჩერნობილის** ატომური ელექტროსადგურის მესამე ენერგობლოკი. უკრაინა დასავლეთს დაჰპირდა, რომ ჩერნობილს 2000 წლამდე დახურავდა და დახურა კიდეც.

ბელგიის ქალაქ მონსის სამეფო გოლფ-კლუბის მანქანების სადგომიდან მოიპარეს ნატოს ჯარების მთავარსარდლის, **უესლი კლარკის** დიპლომატიურნომრებიანი ჯავშნიანი მანქანა „მერსედეს-600". იგი ნახევარი მლნ მარკა ღირს.



# სერბეთის პატრიარქი მილოშევიჩს არ სწყალობს

სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქმა მილოშევიჩი გააფრთხილა, რომ არც თავად მისულიყო და არც წარმომადგენლები გაეგზავნა პრიშტინას მახლობლად, გრაჩანიცას მონასტერში წირვაზე. ეკლესიის მეთაური მილოშევიჩს ადანაშაულებს კოსოვოს კონფლიქტში. ეკლესიასა და ათეისტ დიქტატორს შორის კარგა ხანია დაძაბული ურთიერთობაა, მაგრამ სამოქალაქოსა და საეკლესიო ხელისუფლებას შორის არასოდეს ყოფილა ასეთი აშკარა განხეთქილება.

პატრიარქის ამჟამინდელი განცხადება იმის დასტურია, რომ ეკლესია პოლიტიკურ ოპოზიციას უერთდება. თუმცა, თავად ოპოზიცია არაერთსულოვანია, ლიდერთა პირადი ამბიციები მას დარაზმვის საშუალებას არ აძლევს. საზოგადოების გაკვირვებას იწვევს ვუკ დრაშკოვიჩის უპრინციპობა — თითქოს მილოშევიჩის მოწინააღმდეგე იყო, ახლა კი აცხადებს, — მას ქვეყანაში რეფორმების ჩატარების შანსი უნდა მივცეთო. მეორე დისიდენტი, ზორან ჯინჯიჩი ემიგრაციიდან მოუწოდებს სერბებს დაუმორჩილებლობისკენ. ცხადი ხდება, რომ ოპოზიციას ახალი იდეები და ლიდერები სჭირდება.

შეძლებს კი ეკლესია სათავეში ჩაუდგეს ოპოზიციურ მოძრაობას, ამას დრო გვიჩვენებს.

*იტოგი №27*

# სლობოდანს ყირიმში აგარაკს უმზადებენ

რა ბედი ელის იუგოსლავიის 57 წლის პრეზიდენტს, რომელმაც საკუთარი ქვეყანა ნანგრევებად აქცია? დასავლეთის ქვეყნებმა კატეგორიულად განაცხადეს, რომ სანამ მილოშევიჩი ხელისუფლების სათავეშია, ჩვენ არ დავეხმარებით იუგოსლავიასო. ამიტომ ქვეყნის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ითხოვს პრეზიდენტის გადადგომას. სად წავიდეს მილოშევიჩი? ცხადია, რომ დასავლეთის არც ერთი ქვეყანა, რუსეთის გარდა, მას არ შეიკედლებს, თუმცა, მილოშევიჩი ადრიდანვე იმზადებდა სათადარიგო აეროდრომებს, საბერძნეთში უძრავ ქონებას იძენდა, შვეიცარიაში ფულს აბანდებდა, მაგრამ ახლა ვინ გაუღებს კარს სამხედრო დამნაშავეს, რომელსაც ათასობით ადამიანის სისხლი მართებს. ცნობილი გახდა, რომ დასავლელი მოკავშირეები თვალს დახუჭავენ იმაზე, თუ მილოშევიჩი თავის რუს მეგობრებთან გადაბარგდება. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ იუგოსლავიის ლიდერი უკრაინის ხელისუფლებასთან შეთანხმებით, ყირიმის ერთ-ერთ (სკკპ ცკ) აგარაკზე დაიდებს ბინას.

მილოშევიჩი თავად უნდა იყოს დაინტერესებული მშვიდი ცხოვრებით. მას უკვე ათი წელია, შაქრიანი დიაბეტი აწუხებს. მიმომხილველთა მტკიცებით, მას უკანასკნელ ხანებში, დაძაბული ცხოვრების წესის გამო, მდგომარეობა გაუუარესდა.

სლობოდან მილოშევიჩს, სავარაუდოა, რომ რუსეთის გზა მოსკოვში ელჩად მყოფმა ძმამ გაუხსნას.

*ნიუზუიქ, 5 ივლისი*

# ახალი თაობა მშვიდად იცხოვრებს ოლსტერში?



მთელი მსოფლიო ელოდება საბოლოო გადაწყვეტილებას... ჩრდილო ირლანდიის მთავარმა პარტიებმა ხელი მოაწერეს სტორმონტის სამშვიდობო შეთანხმებას (1998), რომელიც ითვალისწინებდა ჩრდილო ირლანდიის კოალიციური მთავრობისა და პარლამენტის შექმნას, თუკი რესპუბლიკელი ტერორისტები იარაღს ჩააბარებდნენ. მკვლელობისთვის ნასამართლევი ირლანდიის არმიის ჯარისკაცები ციხიდან გამოუშვეს, მაგრამ არც ერთს იარაღი არ ჩაუბარებია. მაშინ ოლსტერის პრემიერმა დევიდ ტრიმბლმა უარი თქვა მინისტრთა კაბინეტის ფორმირებაზე რესპუბლიკური პარტიის მონაწილეობით. რესპუბლიკელები, რომლის ლიდერები არიან შონ ფეინი და ჯერი ადამსი, თავის მხრივ, მთავრობაში ადგილებს მოითხოვდნენ. სტორმონტში მოლაპარაკება დაძაბულად მიმდინარეობდა მთელი კვირის განმავლობაში ტონი ბლერს, დევიდ ტრიმბლსა და შინ ფეინ ჯერი ადამსს შორის. ბილ კლინტონმა პროცესის მონაწილეებს მოუწოდა, იფიქრონ ოლსტერის მომავალზე და მიაღწიონ მშვიდობას. ტონი ბლერმა კომპრომისული ვარიანტი წამოაყენა: ტრიმბლი მთავრობის შემადგენლობაში შეიყვანს ადამსსა და მარტინ მაქგინესს (რესპუბლიკელებს), სამაგიეროდ, ექნება „ასპროცენტიანი გარანტია" იმისა, რომ რესპუბლიკელები იარაღს მთლიანად ჩააბარებენ 2000 წლის მაისამდე. ტრიმბლმა და ადამსმა ეს წინადადება არ მიიღეს.

მოლაპარაკების დროს სტორმონტის პარლამენტის შენობის წინ თავი მოიყარეს ოლსტერის კონფლიქტის დროს დაღუპულთა შვილებმა. ისინი სთხოვდნენ პოლიტიკოსებს, უკუეგდოთ ამბიციები და ხელი მოეწერათ სამშვიდობო შეთანხმებისთვის, მაგრამ ჩრდილო ირლანდიის პოლიტიკოსები ყურად არ იღებენ ბავშვების მოთხოვნას.

ნეტავ, რამდენი ობოლი უნდა დაემატოს, კიდევ, რომ დევიდ ტრიმბლმა და ჯერი ადამსმა, ბოლოს და ბოლოს, ხელი გაუწოდონ ერთმანეთს?

*სეგოდნია №147*

# ევროპის ცენტრმა ჩრდილოეთისკენ გადაინაცვლა

ფინეთი ივლისიდან ევროპის კავშირს უხელმძღვანელებს. ფინეთსა და ევროპაში ზეიმისთვის ემზადებოდნენ, რომელიც მოულოდნელი სკანდალის გამო მიიჩქმალა. საქმე ის გახლავთ, რომ ფინელებმა, ევროკავშირში „ენების გამოყენების რაციონალიზაციის" მიზნით, როგორც ეს პრემიერ-მინისტრმა პაალო ლიპონენმა ახსნა, გადაწყვიტეს, შემოეღოთ სამი სამუშაო ენა, ევროკავშირის არაოფიციალური შეხვედრებისთვის. ესენია: ინგლისური, ფრანგული და ფინური ენები (უკანასკნელი, როგორც თავმჯდომარის დედაენა). გერმანულ ენას, რომელიც შარშან ლიდერობდა ევროკავშირში, როდესაც რიგრიგობით თავმჯდომარეობდნენ ავსტრიისა და გერმანიის წარმომადგენლები, მთავარი ენის ფუნქცია როდი ჩამოერთვა. გერმანიამ, რომელიც ევროკავშირის მთავარ ეკონომიკურ ძალას წარმოადგენს, ბოიკოტი გამოუცხადა ფინეთის ტერიტორიაზე დაგეგმილ არაოფიციალურ შეხვედრებს (ევროკავშირის მრეწველობის მინისტრების შეხვედრა ოულეში გერმანიის მინისტრის გარეშე შედგა). ალბათ ფინეთს მაინც მოუხდება სამუშაო ენათა ჯგუფში გერმანული ენის ჩართვა, რადგან გერმანელების ბოიკოტის გაგრძელების შემთხვევაში, ფინეთის ხელმძღვანელობა არასრულფასოვანი აღმოჩნდება. სხვა მხრივ, ევროპის პოლიტიკის ცენტრის გერმანიიდან ფინეთში გადანაცვლებას სირთულე არ გამოუწვევია: ბრიუსელში ჩატარდა ჰელსინკის პოლიციელთა ორკესტრის აღლუმი, ფინეთის საელჩომ ევროპაში თავიანთ მოძმეებს (ფინელებსა და ესტონელებს) დიდი მიღება მოუწყო, სადაც შინაურულად მოილხინეს, ყოველგვარი ევროპული პროტოკოლის გარეშე. ფინეთის ქალაქებს, სადაც ევროკავშირის 100 შეხვედრაა (მინისტრების დონეზე) დაგეგმილი, არემონტებენ, ალამაზებენ ყვავილებით და ბაღებით, ადგილობრივმა მოხელეებმა „კარგი მანერების კურსები" გაიარეს, რათა სათანადოდ მოემსახურონ საპატიო სტუმრებს. გაერთიანებულ ევროპაში ქცევის მკაცრი ნორმები არსებობს. ფინელებს განსაკუთრებით გაუჭირდათ „ევროპულად ხელის ჩამორთმევა", რომელიც არც მეტი, არც ნაკლები — რვა მეათედ წამში უნდა ხდებოდეს და აუცილებლად ღიმილის თანხლებით. არანაკლებ გაუჭირდათ „სუფრული საუბრების" შეთვისება „არასაკმარისად სოციალურ ფენებს". გამოირკვა კიდევ ერთი სამწუხარო დეტალი: ფინელებმა არ იციან „კონტინენტური" მიღებების ორგანიზება. მათთვის არყის შადრევნების „ყლურწვა" დიდ პრობლემას არ წარმოადგენს ისევე, როგორც „დალევის" შემდეგ „კარგი ჩხუბის" გამართვა; სტუმრებისთვის ნატიფი და ფაქიზი დროსტარების ორგანიზება მათთვის უცხოა. ვნახოთ, როგორ გამოიჩენენ თავს მასპინძლები...

ევროკავშირის სტანდარტთან მისაახლოებლად „სასტუმრო" ქალაქებში დამატებითი ტუალეტები გაჩნდა, ქუჩებში დასრიალებენ ახალი ცისფერი ლიმუზინები, რომელიც შვედურმა ფირმამ დიდი ფასდაკლებით მიჰყიდა ფინეთს (140 ცალი) ევროპის ელიტის სატარებლად.

პაალო ლიპონენმა ფინეთის გეგმებიდან შემდეგი გამოჰყო: ევროპის პატარა სახელმწიფოების როლის გაზრდა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში (ამჟამად მიმდინარეობს ხელისუფლების „დიდი სამეულის", გერმანიის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის ხელში გადასვლის ტენდენცია). საგარეო პოლიტიკაში კი ფინეთმა ორი პრიორიტეტი გამოჰყო: კოსოვოს აღდგენა და ბალკანეთის რეგიონის განვითარება, აგრეთვე, ყველა ბარიერის მოხსნა ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოების გზაზე.

*ნოვიე იზვესტია №121*

# ხიდი ორ ნაპირს შორის



ხანდახან სიყვარული ის სუსტი ბეწვის ხიდია, პირველსავე ღელვას თან რომ მიაქვს, მაგრამ ხშირად ისეთი მკვიდრია, რომ სამუდამოდ აერთებს მოყვარულ გულებს.

„ხიდი ორ ნაპირს შორის" — ახალი ფილმია, რომელიც ჟერარ დეპარდიემ ფრედერიკ ობურტენთან ერთად გადაიღო. ჟერარი ამ სურათის პროდიუსერიც არის და მთავარი როლის შემსრულებელიც, კაროლ ბუკე — მისი პარტნიორია.

ჟერარ დეპარდიეს ხელიდან ყველაფერი გამოსდის, მაგრამ მაინც გაუჭირდა გადასაღებ მოედანზე რამდენიმე საქმის ერთდროულად გაძღოლა და მეორე რეჟისორი მოიწვია.

რაც მთავარია, მას, როგორც მსახიობს, დიდი ხანია, აღარ განუცდია ისეთი შემოქმედებითი სიხარული და სიამოვნება, რაც ამ ფილმზე მუშაობამ მოჰგვარა. წაკითხვისთანავე მოეწონა ალენ ლებლანის რომანი და მწერლისგან საავტორო უფლება შეიძინა, რომანს ფინალი შეუცვალეს. თუ წიგნში გმირი ქალი უკურნებელი სენით იღუპება, გადაწყვიტეს, ფილმში სიცოცხლის ძალას გაემარჯვა.

ჟერარისა და კაროლის გმირები 15 წელია, ერთად ცხოვრობენ. ახლა კი დაშორება გადაუწყვეტიათ.. ჟორჟისთვის მინა იმდენად ლამაზი იყო, რომ გრძნობების გამჟღავნებას ვერ უბედავდა და ვერც ხელს აკარებდა. მინას კი ასეთი კაცი აღარ უნდოდა, — არ შეიძლება ხატად აქციო ცოცხალი ადამიანი, ის, ვინც თავდავიწყებით გიყვარს.

ჟერარი და კაროლ ბუკე ხომ ცხოვრებაშიც ერთად არიან. ამის გამო მასმედიამ ჟერარი იმ რეჟისორთა რიცხვს მიაკუთვნა (როსელინი, ტრიუფო, ვუდი ალენი...), რომელთაც წესად ჰქონდათ საყვარელი ქალების გადაღება ფილმებში.

ჟერარი ჟურნალისტებს არ დაეთანხმა, — კაროლი მშვენიერი მსახიობია, მაგრამ სწორედ დიდი სიყვარულის გამო, არასოდეს წარმოვაჩენ ეკრანზე მის იმ საოცარ თვისებებს, რომელიც მარტო მე ვიციო, — და დაუმატა, — კაროლს ეკრანზე ისევე აღვიქვამ, როგორც, მაგალითად, სოფი ლორენს „ჩოჩარაშიო".

საბედნიეროდ, კაროლი მარტო მსახიობი არ არის, არც კინოა მისი სიცოცხლის აწი და ჰოე, იგი მშვენიერი პიროვნებაა, ჭკვიანი, დინჯი, ღირსეული. ასეთი რომ არ ყოფილიყო, ალბათ მასთან ვერ გავძლებდი, — ამბობს დეპარდიე, — ხოლო მე, უკვე 15 წელია, ჩემი ხელობა შთაგონებას აღარ მგვრის. ბევრი ჩემი კოლეგაც ამ დღეშია, მაგრამ ხმამაღლა არ ლაპარაკობს, — პრეტენზიულობად არ ჩამოგვართვანო.

უნდა გითხრათ, რომ ქალს ვაღმერთებ. განა არსებობს ისტორიაში ისეთი მნიშვნელოვანი თუ მცირე ცვლილება, ქალით რომ არ იყოს შთაგონებული ან მისი ხელი არ ერიოს? კაცი მხოლოდ იარაღია მის ხელში. ჭეშმარიტ მამაკაცს პოვნა უნდა, — განაგრძობს მსახიობი, — მაგალითად, ფილმში ჟორჟი სამუშაოს კარგავს თუ არა, მისი საქმე წასულია. მინა კი მაშინვე გადაწყვეტს, მდიდრებს ემსახუროს.

ქალები იმიტომ არიან მშვენივრები, რომ სულ მოძრაობენ, ევოლუციას განიცდიან. მინას ბედი იმ დღეს იცვლება, როცა კინოთეატრში გვერდით მიუჯდება კაცს, რომელიც „ვესტსაიდურ ისტორიას" უყურებს და ტირის.

მოკლედ, მანდილოსნების მიმართ ერთობ მგრძნობიარე ვარ. 50 წელია, ქალებს თვალებში შევციცინებ და ანი ველარაფერი შემცვლის. მე ხომ ქალებმა შემქმნეს, გამომძერწეს, დამხვეწეს.

სიყვარულს საზომი არ გააჩნია. ხანდახან სექსზე მეტად ქალთან ცრემლი და ტანჯვა გვაკავშირებს.

ჩვენი დროის დრამა სწორედ ის არის, რომ ამ გრძნობებს მნიშვნელობას ვუკარგავთ; მაგრამ არ მაშინებს ჩემს ირგვლივ მფრინავი ლახვრები, არც დრამა მაინტერესებს. ტრაგედია სულ სხვაა. თავადაც ტრაგიკული პიროვნება ვარ, თუმცა ვიცინი — ეს ხომ ჩემი ერთადერთი თავისუფლებაა, — გულახდილად ამბობს მსახიობი.

*პარი მატჩი №26/02*

# ჩოჯის მეფის ქალიშვილი ჯექსონს უბრუნდება



ჟურნალ NATIONALE ENGWIRER-ის ცნობით, ელვის პრესლის ერთადერთი ქალიშვილი, მაიქლ ჯექსონის ყოფილი ცოლი ლაიზა-მარია პრესლი მიიჩნევს, რომ მათი გაყრა შეცდომა იყო. ქალი ქმართან დაბრუნებაზე ოცნებობს, ამიტომაც როგორც კი მის და დემი როუს ოჯახს წყალი შეუდგა, მაშინვე მაიქლთან ურთიერთობის აღდგენას შეეცადა.

ჯექსონს, მართალია, ისევ უყვარს მშვენიერი ლაიზა-მარია და ცხადია, ახლანდელი ცოლი გულზე მაინცდამაინც არ ეხატება, განქორწინებისა ეშინია, რადგან ფიქრობს, რომ ამჟამინდელი მისის ჯექსონი საყვარელ შვილებს — პატარა ქალ-ვაჟს — თვალითაც არ დაანახვებს.

ლაიზა-მარიამ კარგად იცის, როგორ უყვარს ჯექსონს შვილები და ყოფილ დედამთილს სატელეფონო საუბარში უთხრა, — პატარებს ღვიძლი შვილებივით მოვექცევიო.

*ტვ პარკი №29*

# მსხვერპლად შეწირული სიყვარული



ელვის პრესლი 28 წლისა იყო, ან მარგარეთი — 22-ისა, როცა პროდიუსერმა ჯორჯ სიდნეიმ ერთმანეთს გააცნო ხმის ჩამწერ სტუდიაში, სადაც მათ ერთად უნდა შეესრულებიათ სიმღერა რომელიღაც ფილმისთვის. ეს მოხდა 1964 წელს.

— ორივემ ვიგრძენით, როგორ დაგვიარა ტანში ელექტროდენმა, — იგონებს ანი, — თან ისე მძლავრად, რომ წინააღმდეგობას ვერ გავუწევდით.

მთელი ჯგუფი ადევნებდა თვალს მათ წრფელ, სუფთა, იდილიურ რომანს... მაგრამ ფილმის დამთავრებისთანავე დამთავრდა მათი რომანიც.

მათ შორის იდგა ელვისის ნორჩი საცოლე პრისცილა.

— მიუხედავად დიდი სიყვარულისა, არ მინდოდა, ამ მიამიტი გოგონასთვის გული მეტკინა, — ამბობს ანი, — ამიტომაც დავცილდით.

ისინი მეგობრებად დარჩნენ. მალე ელვისმა მოსულელო პრისცილა ცოლად შეირთო, ანი მსახიობ როჯერ სმითს გაჰყვა.

— დღემდე ვერ მომინელებია ელვისის სიკვდილი. ის ყოველთვის დარჩება ჩემი სიცოცხლის ნაწილად, ჩემს ჭეშმარიტ ბედნიერებად, რომელიც არასოდეს მტოვებს, — აღიარებს ანი.

*ინტიმი №25*

# საკადრო ცვლილებები ჰოლივუდის რომანებში

არავის უფიქრია, რომ მსახიობი, მოდელი და ბოლოს, მშვენიერი ქალი მილა იოვოვიჩი რეჟისორ ლუკ ბესონთან განშორების შემდეგ მარტოობით გაიტანჯავს თავსო. მაგრამ დანამდვილებით არავინ იცოდა, ვინ იქნებოდა ამჯერად მისი რჩეული. არადა, დაფარული გამომჟღავნდა — ესაა მსახიობი ჯერემი დევიდსი, რომელთანაც ერთად სულ უფრო ხშირად დაიარება ხელიხელჩაკიდებული ჰოლივუდურ წვეულებებსა და ღონისძიებებზე.

აქამდე ჯერემი დევიდსი დრიუ ბერიმორის საყვარელი ყოფილა. ერთმანეთი მათ სტივენ სპილბერგმა, დრიუს ნათლიამ და ჯერემის რეჟისორმა გააცნო. მაგრამ ბერიმორის დარდი მაყურებელს არ უნდა ჰქონდეს — ვინ ვინ და იგი თავს არ დაიჩაგრავს...

*კალეიდოსკოპი №24*

# ვინღა დაამშვენებს მის სამარეს...



ეს წყვილი ამერიკული ოცნების განსახიერება იყო — ქერათმიანი მზეთუნახავი მერილინი და ორი მეტრი სიმაღლის ბეისბოლისტი, ამერიკელთა ეროვნული სიამაყე ჯო დი მაჯიო...

ისინი 1954 წელს დაქორწინდნენ, 9 თვის ბედნიერი ურთიერთობის შემდეგ ერთმანეთს დაშორდნენ და ერთმანეთზე არასოდეს დასცდენიათ ცუდი სიტყვა, სიკვდილამდე მოსიყვარულე, ერთგულ მეგობრებად დარჩნენ.

ერთხელ დი მაჯიოს 50 ათასი დოლარი შესთავაზეს, მისი და მერილინის ურთიერთობის შესახებ გულახდილი ინტერვიუსთვის. ჯო ნამდვილი ჯენტლმენი გახლდათ, იოლად გაუძლო ცდუნებას და ინტერვიუზე უარი თქვა.

დი მაჯიოს თავდავიწყებით უყვარდა მერილინ მონრო, ოცნებობდა მყუდრო ოჯახსა და ბევრ შვილზე... ეს აუხდენელი იყო — მერილინს არ შეეძლო ასე ცხოვრება.

მას შემდეგ, რაც მერილინის ცნობილმა ფოტომ, თავზე აფრიალებული კაბით, მსოფლიოს პრესა მოიარა, მასთან განშორება გადაწყვიტა და ცოლი აღარასოდეს შეურთავს.

მერილინი 1962 წელს გარდაიცვალა, ჯო — ერთი თვის წინ.

სიკვდილის უკანასკნელ დღემდე, კვირაში სამჯერ, ჯო მერილინის საფლავზე საუცხოო ვარდების თაიგულს გზავნიდა.

*ისკუსტვო №12*

# მომხიბლავი „მტაცებლები"



არიან ქალები, რომლებსაც, გუგულის მსგავსად, ხელობად აქვთ სხვისი ბუდეების ნგრევა.

ასეთი „მტაცებლები" ამოირჩევენ ხოლმე კარგი გარეგნობის მამაკაცს (რასაკვირველია, ცნობილსა და შეძლებულს, მზრუნველ მამას, მოსიყვარულე მეუღლეს) და იწყებენ მის „გადაბირებას". მაგალითად, ლეგენდარულ რემბოს — სლაი სტალონესა და ჯენიფერ ფლავინს უსაზღვროდ უყვარდათ ერთმანეთი, ჯვრის დაწერასაც აპირებდნენ, მაგრამ... გამოჩნდა გაქნილი ჯეინს დიკინსონი, ოსტატურად მოხიბლა კაცი და ბოლოს განუცხადა, — ფეხმძიმედ ვარო. ბედნიერების მეცხრე ცა გაეხსნა სლაის — მალე შვილი ეყოლებოდა! დატოვა ჯენიფერი და ის იყო, ჯეინსი ცოლად უნდა შეერთო, რომ ძმამ, ფრანკმა შეაპარა, — ეგ ბავშვი შეიძლება ჩემი იყოსო. შეხტა სტალონე, ჯეინსს ხელი დასტაცა და ტესტირების ჩასატარებლად გააქცია. სასაცილო ის იყო, რომ ორივე ძმა პირში ჩალაგამოვლებული დარჩა.

სტალონემ, როგორც იქნა, დაიბრუნა ჯენიფერის გული და ახლა ისინი ორი მშვენიერი გოგონას მშობლები არიან.

ეს წყვილი ერთმანეთს გადასაღებ მოედანზე შეხვდა. ანტონიო ბანდერასს ბედნიერი ოჯახი ჰქონდა, ძალიან უყვარდა ულამაზესი მეუღლე ანა ანტონია ლიზესი და პატარა ქალიშვილი. მელანი გრიფიტს ორი შვილი ჰყავდა და დონ ჯონსონის ცოლი იყო.

ქალმა შეხვედრისთანავე თვალი დაადგა მომხიბლავ ვაჟკაცს და გულში ჩაითქვა, — ეს ყმაწვილი ჩემი უნდა გახდესო. თქვა და აასრულა. ბანდერასმა მიატოვა ოჯახი, მაგრამ ანას წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობდა. ამიტომ ყველაფერი დაუტოვა და შინიდან ცარიელ-ტარიელი წამოვიდა. მალე მელანისთან ქალიშვილი შეეძინა. გრიფიტს გული საგულეში მაინც არა აქვს და ყველგან უკან დასდევს ქმარს. ახლახან ანტონიოსთან ერთად საპროდიუსერო ფირმა დააარსა — ეს ერთად ყოფნის საუცხოო საშუალებააო, — ამბობს მშვენიერი „მტაცებელი".

მომხიბლავ სიუზი ემისს „ტიტანიკში" მეორეხარისხოვანი როლი ერგო და ძალიანაც გაიბუტა, მაგრამ გული არ გაუტეხია — მთავარი როლი თუ არა, მთავარ კაცს მაინც ჩავიგდებ ხელშიო, — გაიფიქრა და საქმეს შეუდგა. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ რეჟისორი ჯეიმს კამერონი ლამაზ ქალებს ვერ უძლებდა — უკვე ხუთი ცოლი ჰყავდა გამოცვლილი, თანაც ძალიან უყვარდა ინტელექტუალური საუბრები, განსაკუთრებით არქეოლოგიით იყო გატაცებული. სიუზის მეტი რა უნდოდა. სასიამოვნო საუბარიც იცოდა, განათლებულიც იყო და ჭკვიანიც. იმდენი ქნა, იმდენი აჭარა არქეოლოგიურ გათხრებსა და ლექცია-მოხსენებებზე კამერონი, რომ ბოლოს თავის ლოგინში ამოაყოფინა თავი. რეჟისორის მეუღლემ, ლინდა ჰამილტონმა რომ გაიგო ეს ამბავი, მაშინვე გაყრის განცხადება ააფრიალა. სწორედ ეს უნდოდა მშვენიერ „მტაცებელს".

ახლა არ იკითხავთ, რა ჩაიდინა შავმა ვარსკვლავმა ვუპი გოლდბერგმა?

გადასაღებ მოედანზე შეუყვარდა თედ დონოვანი — ცოლ-შვილს გადაგებული კაცი; მაგრამ ვუპიმ იმდენი ათრია უძვირფასეს რესტორნებში, ისეთი საარაკო საჩუქრები მიართვა, რომ გატყდა ერთგული მეოჯახე, მიწა მიაყარა 15 წლის ნაშენებ ოჯახს და „შავ მარგალიტთან" გადაბარგდა. აზარტულ ვუპის მალე მობეზრდა თედი და ახლა ფრენკ დანჯელის ხელში ჩაგდება მოინდომა.

ჩაიგდო კიდეც. ფრენკი ვუპის კანონიერი ქმარია.

*მკ ბულვარი №25*

# ვისი კოცნა სჯობს?



ინგლისელი მზეთუნახავი ქეთრინ ზეტა-ჯონსი, რომლის მხურვალე ხვევნა-კოცნამ ანტონიო ბანდერასთან ფილმში, „ზოროს ნიღაბი", ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე, თურმე, ვერც თავად ივიწყებს გადაღების მომენტებს.

ქეთრინს ინგლისელი ქალების საყვარელ მსახიობთან, შონ კონერთანაც ჰქონდა სასიყვარულო სცენები სურათში „მახე", მაგრამ ბანდერასის ხიბლი ვერაფრით მოიშორა, ამიტომ გულგანსართველად სხვა ვარსკვლავთან დროს გატარება არჩია. მან ხომ კარგად იცის, როგორ დარაჯობს ანტონიო ბანდერასს მისი მომხიბლავი მეუღლე მელანი გრიფიტი.

მსოფლიო პრესის ფურცლები აჭრელებულია ქეთრინისა და მაიქლ დუგლასის ფოტოებით. ისინი ერთად ისვენებდნენ კუნძულ მაიორკაზე.

*კინო №4*

# კლაუდია კარდინალე ლეგიონში მიიღეს



სახელგანთქმული იტალიელი კინოვარსკვლავი კლაუდია კარდინალე საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი გახდა. ეს ორდენი 1802 წელს დააარსა ნაპოლეონ ბონაპარტემ სამოქალაქო და სამხედრო დარგში გაწეული დიდი დამსახურების აღსანიშნავად. ორდენის გადაცემისას საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა კარდინალეს ყველაზე ლამაზი ტუნისელი (კლაუდია ტუნისში დაიბადა, მაშინდელი საფრანგეთის პროტექტორატში), განუმეორებელი მსახიობი და ყველაზე დახვეწილი ქალი უწოდა. შირაკის თქმით, ლუკინო ვისკონტის საყვარელი მსახიობი ქალი განსახიერებაა იმ შესანიშნავი ურთიერთობისა, რომელიც დღეს აკავშირებს იტალიასა და საფრანგეთს.

*იტოგი №26*

## დაკარგული პრიორიტეტები და დავიწყებას მიცემული ადამიანები

8 ივლისს წელიწადი შესრულდა მეცნიერ-ნოვატორის, მუდამ მაძიებელი და ფუტკარივით მოუღლელი კაცის, ყველასათვის ცნობილი „კატრექსის“ ავტორის, ალექსანდრე გაჩეჩილაძის გარდაცვალებიდან. იმ კაცთა სიას, რომლებიც გულნატკენი და დაუფასებელი გავუშვით იმ ქვეყნად ჩვენი უყურადღებობის, ხშირად კი, ზედმეტი ყურადღების გამოც, კიდევ ერთი ულალატო და ყველასთვის თავგადადებული კაცი შეემატა. 1996 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში იგი წუხდა — დასანანი იქნება თუ საქართველო ამ საქმეში პრიორიტეტს დაკარგავსო. ასე ყველაფერი კეთილად აგისრულდეთ! დღეს, მოხმარების ქსელში სხვადასხვა კერძო ფირმების მეშვეობით შემოტანილი ამერიკული პრეპარატი იყიდება, რომელიც ზვიგენის ხრტილისაგან მზადდება. დავინტერესდით „კატრექსის“ ბედით და გაერთიანება „კატრექსის“ გენერალურ დირექტორს, პრეპარატის პატენტმფლობელს, **თემურ ხვანიშვილს** ვესტუმრეთ.

— **რას უნდა მივაწეროთ ამერიკული პრეპარატის გამოჩენა ასპარეზზე, ჩვენს დაუდევრობას, თუ იმ ფაქტს, რომ შარლ აზნავურისთანა პატრონი არ აღმოგვაჩნდა?**

— ერთსაც და მეორესაც. ფაქტი ისაა, რომ ვიდრე ბატონი ალიკა დაფილიყო.

— სწორედ ასეა, მას ავადმყოფი მუდამ ყურადღების ქვეშ ჰყავდა და ყოველი დეკადის ანუ 10 დღის შემდეგ ახალ პრეპარატს აძლევდა, მაგრამ, იმავ დროს, იგი პრეპარატის სტაბილიზაციაზეც მუშაობდა, რადგან მისი შენახვის ვადა 10-12 დღეა, ხოლო ტემპერატურული რეჟიმი 0 პლიუს 5 გრადუსით განისაზღვრებოდა. დღეს მიდის სამუშაოები, რომ მას შენახვის ვადა 6 თვიდან 1 წლამდე გავუზარდოთ და იგი ოთახის ჩვეულებრივ ტემპერატურაზეც ინახებოდეს.

— **თუ გაქვთ რაიმე შედეგები და რა სიახლე შეინიშნება თქვენთან?**

— პრეპარატ კატრექსის ფუძეზე დამზადებულია კატრექსის სუპოზიტორები ანუ „სანთლები“, რომლებიც დადებითად მოქმედებენ როგორც გინეკოლოგიურ, უროლოგიურ, ასევე პროქტოლოგიურ პრაქტიკაში. ვამზადებთ აგრეთვე კატრექსის მალამოებს.

— **მათი შეძენა აფთიაქებში შეიძლება?**

— არა, ეს ყველაფერი ჯერჯერობით ექსპერიმენტულ ხასიათს ატარებს და მისი შეძენა მხოლოდ ჩვენთან, გაერთიანება „კატრექსში“ შეიძლება, ქსელში კი, ალბათ ფარმაკომიტეტში რეგისტრაციის შემდეგ გავუშვებთ.

— **თუ გიცდიათ უცხოელი** კატრექსი არის ნატურალური ადაპტოგენი, მას გააჩნია ძლიერი ბიომასტიმულირებელი ზეგავლენა ორგანიზმში მიმდინარე ანთებით პროცესებზე.

— **ბატონ ალეკოს გულკეთილობაზე ლეგენდები დადის. მე მახსოვს კატრექსის ბუმის დროს იგი უფასოდ ურიგებდა წამალს ყველას, ეს რეკლამა იყო თუ?**

— იმ წლებში ჩვენ რეკლამა არ გვჭირდებოდა, 50 ათასი კაცი იყო ჩამოსული მარტო საბჭოთა ქვეყნებიდან. ის ამბობდა — მე არა მაქვს მორალური უფლება მათგან ფული ავიღოო. დღესაც არსებობს მის მიერ შექმნილი ფონდი, რომელიც ყველა


ალექსანდრე გაჩეჩილაძე

გაჭირვებულ ადამიანს, რომელიც უსახსრობის გამო საავადმყოფოში ვერ მკურნალობს და არც პრეპარატის შესაძენი ფული აქვს, უფასოდ ეხმარება. ან კი როგორ ეტყვი უარს ადამიანს, რომელსაც შვილი უკვდება, მოაქვს შენთან ვერცხლის უკანასკნელი დანა-ჩანგალი ან ბროლის ვაზა და შველას გთხოვს. ამის გამოა, რომ დღესაც, როგორც წინათ, ჩვენს ორგანიზაციას ფინანსური პრობლემები აქვს.

მე ამერიკაში ჩავიდოდით, სადაც ღია საუბრები გვქონდა ონკოლოგიურ ცენტრში პრეპარატის თაობაზე, მსგავსი პრეპარატის არსებობა არსად დაფიქსირებულა. დღეს კი... მაგრამ უფრო იმაზე მწყდება გული, რომ კაცი, რომელმაც ამდენი გააკეთა თავისი ქვეყნისთვის, ფაქტობრივად, დაუფასებელი, და რაც მთავარია, ათასი ინტრიგებისა და თავდასხმებისგან გულგახეთქილი წავიდა ამ ქვეყნიდან — დანარჩენი ყველაფერი აბსურდია და ჩვენს სინდისზე რჩება.

— **ახლა რა მდგომარეობაშია ორგანიზაცია, შეჩერდა „კატრექსის“ წარმოება თუ აგრძელებთ მის დაწყებულ საქმეს?**

— დღესდღეობით, კატრექსის წარმოება იმავე ტემპებით მიმდინარეობს, რაც შეეხება სამეცნიერო სამუშაოებს, მთელი ექვსი თვის განმავლობაში შეჩერებული იყო, მაგრამ ამ ღვთისნიერი კაცის დაწყებულ მართლაც ღვთისნიერ საქმეს, სწორედ იმგვარი პიროვნება გამოუჩნდა, რომელიც სათანადო პატივს მიაგებს მის ხსოვნას და ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე განაგრძობს საქმიანობას პრეპარატის დასახვეწად და მისი შენახვის ვადის გასახანგრძლივებლად — ეს გახლავთ აკადემიკოსი ვაჟა ერიაშვილი. იგი კაცურად მიდგას გვერდით და თავის ცოდნას და გამოცდილებას არ იშურებს, რათა პრეპარატმა და ალიკა გაჩეჩილაძის დაწყებულმა საქმემ სიცოცხლე განაგრძოს.

— **ვადის გახანგრძლივება მის ეფექტიანობას ხომ არ შეამცირებს, რამდენადაც მახსოვს ბატონი ალექსანდრე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმ ფაქტორს, რომ პრეპარატი ახალი დამზადებული უნდა ყოინვესტორების დაინტერესება?**

— ამჟამად, გვაქვს მოლაპარაკებები, რომელიც საშუალებას მისცემს „კატრექსს“ გავიდეს ევროპაში.

— **ისე როგორც ამერიკაში?**

— არა, რა თქმა უნდა. მე პროფესიით ეკონომისტი ვარ, მაგრამ ამ სფეროში 14 წლის მანძილზე მოღვაწეობამ საკმაო პრაქტიკული გამოცდილება დამიგროვა. შეცდომების დრო, რომელიც მხოლოდ ჩვენ კი არა მთელ ქართულ ეკონომიკურ აზროვნებას ახასიათებდა, როცა ყველაფერს გულახდილად და ღიად ვანდობდით პარტნიორებს, უკან დარჩა. ჩვენ საკმაოდ ვიწვნიეთ... ბიზნესს თავისი კანონები აქვს.

— **თქვენ ბატონი ალექსანდრეს მესაიდუმლე იყავით, როგორ დაიბადა მას ამ პრეპარატის შექმნის იდეა?**

— როგორც თავად ყვებოდა, 1967 წელს ამერიკელებმა წყნარ ოკეანეში ატომური ბომბი გამოცადეს, აღმოჩნდა, რომ ერთადერთი ცოცხალი არსება, რომელიც რადიაციას გადაურჩა, ზვიგენი იყო. ამის შემდეგ იგი ფოთში, თავის ლაბორატორიაში, რომელიც ე. წ. ნიკო ნიკოლაძის კუნძულზე მდებარეობდა, იწყებს შავი ზღვის ზვიგენის, კატრანის ღვიძლისგან პრეპარატის დამზადებას და ერთ წელიწადში ღებულობს კიდეც მას.

— **რა სამკურნალო თვისებები აქვს პრეპარატს?**

— იგი გამოიყენება ყველა სახის ანთებითი პროცესების დროს, წარმოადგენს ბუნებრივი წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ჯამს, გამოიყენება სიმსივნეების, ძნელად შეხორცებადი ჭრილობების, წყლულების და სხვა დაავადებების სამკურნალოდ. მოკლედ რომ გითხრათ,

— **რა ღირს პრეპარატი კატრექსი?**

— ერთი ამპულა დოლარი და 5 ცენტი. ჩვენ კი ვყიდით ლარნახევრად, თავად განსაჯეთ! რაც შეეხება სამეცნიერო სამუშაოებს, ამაში სახელმწიფო გვეხმარება და მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტი გვაფინანსებს.

— **როგორ მოიპოვებთ მასალას?**

— სოფელ ჩაქვში შექმნილი გვაქვს მებადურთა ექვსკაციანი ბრიგადა, რომელიც თვეში ორჯერ გვაწვდის ზვიგენის ღვიძლს, მაგრამ მოგეხსენებათ შავი ზღვის ზნე, ის ხშირად ღელავს, ამიტომ ეს პროცესი უწყვეტი არ არის — სწორედ ამიტომ ვერ დავდეთ ხელშეკრულება ამერიკასთან 1988 წელს, რათა ჩატარებულიყო პრეპარატის აპრობაცია.

„მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ლაბორატორიებსა და კლინიკებში გულმოდგინედ ეძებენ კიბოს მკურნალობის საშუალებებს და თუ გამოჩნდა შანსი, რომ ტანჯვა შევუმსუბუქოთ მძიმედ დაავადებულ ადამიანებს, მაშასადამე კვლევა არ უნდა შეწყდეს, არამედ ფართო ფრონტით, მაქსიმალური საჯაროობითა და შედეგების შეჯერების ვითარებაში უნდა გაგრძელდეს. ჩვენ ვვარაუდობთ, კვლავ დავუბრუნდეთ „კატრექსის“ ბედს, წერდა გაზეთი „იზვესტია“ 1988 წელს. თქვენ როგორ ფიქრობთ, ბატონებო?

*ქეთევან ჯაყელი*

## ჯარა-ექიმის რჩევანი

**თუ გული გტკივათ:**

— 100 გ მწიფე, ხმელი კუნელი ადუღეთ 3 ლ წყალში, ვიდრე 1 ლ არ გახდება და დღეში სამჯერ, 100-100 გრ სვით.



— ყოველ დილით, უზმოზე და ღამით, ძილის წინ მიირთვით 1 სუფრის კოვზი ვარდის მურაბა.

— 5-6 ც ლელვი ჩაყარეთ 1 ჩაის ჭიქა რძეში და გააჩერეთ, სანამ დალბებოდეს და უზმოზე მიირთვით.

— ყოველ დილით სვით თვალზომით აღებული ქიშმიშისა და ლეღვის ნახარში.

— 10 დღის განმავლობაში ყოველ დილით, უზმოზე, მიირთვით 1 ჩაის ჭიქა ანადუღარ ცივ წყალში გაქნილი 50 გრ სუფთა თაფლი და 1 ლიმონის წვენი.

— 1 კგ ქაცვი გაატარეთ ხორცსაკეპში, შეათქვიფეთ 2 კგ შაქარი, 5 დღე-ღამე დადგით ბნელ, გრილ ადგილას, დღეში ერთხელ მოურიეთ ხის კოვზით და დილა-საღამოს თითო კოვზი მიირთვით.

— გაატარეთ ხორცსაკეპში 200-200 გრ თეთრი ქიშმიში, ნიგოზი, თესლგამოღებული ლიმონი, ალჯანაბადი (გარგარის ჩირი), დაუმატეთ ამდენივე ნატურალური ცაცხვის თაფლი, კარგად აურიეთ და ყოველ დილით, უზმოზე მიირთვით.

— 1/3 ჩაის კოვზ ამდენივე დანაყილ შავბალახას, კატაბალახას ფესვებს და კუნელს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, გააციეთ, გაწურეთ და დღეში სამჯერ დალიეთ თვეში ერთხელ. ასე მოიქეცით სამი თვე.

— მაგარკანიან გოგრას მოაჭერით თავი, ამოწმინდეთ, აავსეთ შაქრის ფხვნილით, ჩადგით მომინანქრებულ ქვაბში და შეინახეთ ბნელ, გრილ ადგილას 8 დღე. შემდეგ დღეში სამჯერ თითო სუფრის კოვზი მიირთვით ჭამამდე 15 წთ-ით ადრე (ეს კეთდება წელიწადში ერთხელ).

## მიირთვით ხილის წვენი

ზაფხულში წყურვილის მოსაკლავად გირჩევთ, მიირთვათ ხილის, კენკრისა თუ ბოსტნეულის ნატურალური წვენები. ხილის წვენები წყალთან (მისი რაოდენობა 80%-დან 95%-მდეა) ერთად შეიცავს მინერალურ მარილებს, ვიტამინებს, ორგანულ მჟავებს, მიკროელემენტებს და ა.შ. მათში დიდი რაოდენობითაა ნახშირწყლები, საქაროზა, ფრუქტოზა, გლუკოზა. საქაროზათი მდიდარია ატმის, ქლიავის, გარგარის, ბროწეულისა და კომშის წვენები. ნესვი — მხოლოდ საქაროზას შეიცავს, ფორთოხალში იგი 50%-ია, გლუკოზა — 20%, ყურძნის წვენში ფრუქტოზა 30%-ია, გლუკოზა — 50%. მარწყვში ფრუქტოზა გლუკოზაზე 2-ჯერ მეტია, ხოლო ვაშლის წვენში 4-ჯერ მეტი.



ფრუქტოზა ორგანიზმში შეთვისებისას არ საჭიროებს კუჭუკანა ჯირკვლის ჰორმონის, ინსულინის მონაწილეობას, ამიტომ ვისაც ამ ჯირკვლის ფუნქციონირება დასუსტებული აქვს, უპირატესობა უნდა მიანიჭოს ფრუქტოზით მდიდარი წვენების მიღებას. ასეთებია ვაშლი და მარწყვი. წვენები მიიღება როგორც გაფილტრული, ასევე რბილობით. ეს უკანასკნელი მდიდარია პექტინით, რომელიც ბლოკირებას უკეთებს ორგანიზმში საკვებთან ერთად მოხვედრილ მავნე თუ მომწამლავ ნივთიერებებს და დროულად გამოდევნის მათ სხეულიდან, ასევე ხელს უწყობს ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის მოქმედებას, ამცირებს ქოლესტერინის რაოდენობას.

ვისაც ნაღვლის ბუშტი აქვს დაავადებული უნდა მიიღოს გახეხილი ან მოშუშული ვაშლი. პექტინები დიდი რაოდენობითაა ქლიავის, ატმის, გარგარისა და ვაშლის რბილობებში.

საჭმლის მონელების პროცესს დიდად უწყობს ხელს ორგანული მჟავები. იგი უხვადაა შავი მოცხარის, ბროწეულის, ალუბლის, ქლიავის წვენებში. უფრო ნაკლებად გვხვდება ატმის, გარგარისა და ვაშლის წვენებში, თითქმის არ არის სტაფილოსა და ყურძენში. მაშასადამე, ვისაც აწუხებს მაღალი მჟავიანობა ან თორმეტგოჯა ნაწლავის თუ კუჭის წყლული, დაავადებული აქვს ღვიძლი და ნაღვლის ბუშტი, უპირატესობა სტაფილოსა და ვაშლის წვენს უნდა მიანიჭოს.

ორგანიზმს, ნორმალური ფუნქციონირებისათვის, სჭირდება მინერალური ნივთიერებანი: ნატრიუმი, კალიუმი, სილიციუმი, მაგნიუმი და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია კალიუმის მარილების როლი, რომლებიც ხელს უწყობს ორგანიზმიდან ზედმეტი სითხისა და გადაუმუშავებელი ნარჩენი პროდუქტების გამოდევნას.

თირკმლების დაავადებისას თუ სისხლის მიმოქცევის დარღვევების დროს უნიშნავენ კალიუმით მდიდარ წვენებს, ასეთებია: ატმის, ყურძნის, ალუბლის, შავი მოცხარისა. ყოველგვარი ანთების, გრიპისა თუ ანგინის დროს იმუნიტეტის ასამაღლებლად ორგანიზმის მიერ სხვადასხვა დაავადებათა მიმართ წინააღმდეგობის გასაძლიერებლად ყველაზე მეტად გვჭირდება ვიტამინი C, რომლითაც საკმაოდ მდიდარია შავი მოცხარი, ფორთოხალი, მანდარინი, ლიმონი, ასკილი, ატამი. შედარებით ნაკლებად არის პომიდვრის, კომშის, ალუბლის წვენებში.

ვიტამინი A (ზრდის ვიტამინი) — კაროტინი — დიდი რაოდენობითაა გარგარის, სტაფილოს, ატმის, ქლიავის წვენებში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გაფილტრული წვენები გაუფილტრავთან შედარებით ვიტამინებს ნაკლები რაოდენობით შეიცავს. ვიტამინ P-ს დიდი რაოდენობით შეიცავს ბროწეულის წვენი.

*ჰროროდა ი ზდოროვიე*

## კომპიუტერული თამაში გაციებისგან გვიცავს

ბოლოს და ბოლოს, მეცნიერებმა დაამტკიცეს ის, რაც კომპიუტერული თამაშების მოყვარულებმა უკვე იცოდნენ. ათწლიანი გამოკვლევების შედეგად ვესტმინსტერის უნივერსიტეტის პროფესორმა ფილ ევანსმა დაამტკიცა, რომ კომპიუტერული თამაშები დადებითად მოქმედებს ადამიანის იმუნურ სისტემაზე და ზრდის მის წინააღმდეგობის უნარიანობას ინფექციების მიმართ.

საქმე ის გახლავთ, რომ სტრესის დროს, რომელსაც აუცილებლად განიცდიან აზარტული მოთამაშეები, ორგანიზმი გამოიმუშავებს ანტისხეულების იმუნოგლობულინ A-ს განსაზღვრულ დოზებს, რაც მათ ინფექციებისგან იცავს. ოღონდ, მთავარია, ზომიერება. კომპიუტერული თამაშებით ზომაზე მეტად გატაცებას უარყოფითი ზეგავლენა აქვს ორგანიზმზე.



*ლიზა №25*

## ღამის ქოთანი სასარგებლოა



ბავშვთა აღზრდის ასოციაციის ხელმძღვანელი ჯონ როზემონდი აღშფოთებულია ყოველი ახალი გამოგონებითა და მიღწევით, რომელიც ჩვილის მოვლის გასაიოლებლადაა გამიზნული.

მეცნიერი უპირატესობას ანიჭებს წინაპართა გამოცდილებას.

— განზე უნდა გადავდოთ ყოველგვარი საფენი, პატარა დროდადრო ღამის ქოთანზე დავსვათ, ჩასველებული ტანსაცმელი გამოვუცვალოთ, ჩავბანოთ. ამ პროცესის რეგულარული განმეორებით ბავშვის ფსიქოლოგიაში დამკვიდრდება აზრი, რომ საჭიროა ქოთნის მოხმარება და იგი უკვე თავად მიმართავს მშობელს დასახმარებლად, — ამბობს როზემონდი, — ამჟამად ორწლინახევრის ბავშვების 80% პამპერსს ხმარობს, ყოველივე ეს დროთა განმავლობაში იწვევს სხვადასხვა სახის ფსიქიკურ და ფიზიკურ ნაკლოვანებებს, ბავშვის განვითარების შეფერხებას.

*ფოკუსი №22*

ხალხური მედიცინა — მაქსიმალური გარანტია!!!

* „ნერვის ანთება“;
* რადიკულიტი;
* ოსტეოქონდროზი;
* „დისკის ამოვარდნა“
* სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები).

მის: რკინიგზის პოლიკლინიკა, კაბ. №11 (მ. „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის 87)
☎ 61-02-97; 39-39-97 (სად.)

SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმ-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების სრული გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

ექიმ-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.

1. სქესობრივი აქტის ნატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლენკომბინატი“).
მე-3 სართ. კაბ. 40-41-42-43. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე

# ვარსკვლავების საყვარელი „სათამაშო“

80-იან წლებში სპორტული სუპერვარსკვლავის ცხოვრება თითქმის წარმოუდგენელი იყო წითელი „ფერარის“ გარეშე. ათი წლის შემდეგ ყველაზე პრესტიჟულად მონაკოში ვილის შეძენა ითვლებოდა, XXI საუკუნის დამდეგს წარმატების სიმბოლოდ კი სუპერათლეტებისათვის საკუთარი თვითმფრინავები იქცა. ბიზნეს-ავიაციის ამერიკული ასოციაციის მონაცემებით სადღეისოდ მსოფლიოს საჰაერო სივრცეს ცნობილ სპორტსმენთა ორმოცდაათამდე ავიალაინერი „ამშვენებს“.



თვითმფრინავების შეძენა სუპერვარსკვლავებმა მას შემდეგ დაიწყეს, რაც მათი შემოსავალ-გასავალი შვიდნიშნა რიცხვებში აისახა. ლეგენდარული გოლფისტი ჯეკ ნიკლაუსი გახლდათ პირველი სპორტსმენი, რომელმაც თვითმფრინავი სამ მილიონ დოლარად შეიძინა. მას შემდეგ ათი წელი გავიდა და ბევრი რამ შეიცვალა. ვარსკვლავები ათეულობით მილიონ დოლარს „შოულობენ“, თვითმფრინავი კი თუ ადრე ფუფუნების საგანი იყო, დღეს აუცილებლობადაც კი იქცა. თანამედროვე ვარსკვლავთა საჰაერო ტრანსპორტი აღჭურვილია სპორტული დარბაზებით, საუნით, ბარითა და მასაჟის ოთახებით. ასე რომ, მგზავრობის პრობლემა საერთოდ არ არსებობს, პირიქით — ზოგიერთი სპორტსმენი საკუთარ თვითმფრინავს გართობის საუკეთესო საშუალებად მიიჩნევს.

გაგაცნობთ ყველაზე ძვირადღირებული თვითმფრინავების მფლობელთა ვინაობას:

**პიტ სამპრასი (ჩოგბურთი)**
**„სესნა“—26.000.000$.**

გასული წლის ნოემბერში, საჩოგბურთო სეზონის დასრულების შემდეგ სამპრასმა საკუთარ თავს მართლაც რომ მეფური საჩუქარი უძღვნა — საკუთარ თვითმფრინავში 26.000.000$ გადაიხადა. თვითმფრინავის შეძენის სურვილი ჩოგბურთელს მაშინ გაუჩნდა, როცა შეიტყო, რომ ავიალაინერი რუსმა ევგენი კაფელნიკოვმა შეიძინა: თუკი რუსმა ჩოგბურთელმა მისცა თავს ამის უფლება, მაშინ მე რამდენიმე წლით ადრე უნდა მეყიდაო, — განაცხადა მან, სუპერლაინერიც შეიძინა და არა მარტო სპორტის, ჰოლივუდის ვარსკვლავებიც კი უკან ჩამოიტოვა. მას ახლა სპორტსმენთა შორის ყველაზე პრესტიჟული თვითმფრინავი ჰყავს.

**ტაიგერ ვუდსი (გოლფი)**
**„გოლფსტრიმი“ — 19.000.000$**

პლანეტის ყველაზე პოპულარული გოლფისტი სულ რაღაც 23 წლისაა და წელიწადში დაახლოებით 200.000.000$-ს გამოიმუშავებს. „გოლფსტრიმის“ სალონი ადვილად შეიძლება გადაკეთდეს კინოთეატრად, ფილმის ყურება კი ვუდსის ჰობი ყოფილა და ავიასალონში ათეულობით ფილმი ჰქონია ნანახი.

**მიხაელ შუმახერი (ფორმულა-1)**
**„ჩელენჯერი“ — 14.000.000$**



ფორმულა-1-ის დღევანდელმა ლიდერმა ათადგილიანი „ჩელენჯერი“ ორი წლის წინ შეიძინა. ლაინერის მთავარი ღირსება ის გახლავთ, რომ 5000$კმ-ს ისე დაფარავს, საწვავის დამატება არ სჭირდება. შუმახერს თვითმფრინავი სასიყვარულო ურთიერთობებისთვის საუკეთესო ადგილად მიაჩნია. მისივე თქმით, მისი მეორე შვილი სწორედ მის საჰაერო ტრანსპორტში ჩასახულა.

**მაიკლ ჯორდანი (კალათბურთი)**
**„ფელკონი“ — 12.000.000$**

„კალათბურთის ღმერთს“ თურმე მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული თვითმფრინავის — 72 მილიონიანი ლაინერის შეძენა სურს. ჯერჯერობით, ეს



თვითმფრინავი მსოფლიოში ერთადერთ ადამიანს — ცნობილ ფინანსისტ უორენ ბაფეტს ჰყავს. არ გეგონოთ, ჯორდანს ფული ან არ ჰყოფნიდეს ან ენანებოდეს — მისი მეუღლე ხუანიტა გახლავთ კატეგორიული წინააღმდეგი. მის ჯორდანი დარწმუნებულია, რომ ახალ შენაძენს მაიკლი უმალ „მფრინავ ბორდელად“ გადააქცევს. კალათბურთელი ცოლთან კამათს არ აპირებს და თორმეტმილიონიანი თვითმფრინავით კმაყოფილდება, რომელსაც გასულ წელს კაპიტალური რემონტი ჩაუტარა, შემდეგ კი ჩიკაგოს ყველაზე ცნობილ მოდელიორებს პილოტებისა და სტიუარდებისათვის სპეციალური ფორმები შეუკვეთა.

**ჯეკ ნიკლაუსი (გოლფი)**
**„გოლფსტრიმი“ IV — 16.000.000$**

როდესაც ყველა დროის საუკეთესო გოლფისტმა 11 წლის წინ პირველმა შეიძინა თვითმფრინავი, სპეციალური დაცვაც კი დაიქირავა საყვარელი „სათამაშოს“ სამეთვალყუროდ. ხუთი წლის შემდეგ ნიკლაუსმა ტრანსპორტი გამოიცვალა, — ახალი ავიალაინერის სანაცვლოდ, ორმაგი თანხა გადაიხადა, რომელშიც საუნა და გოლფის პატარა მინდორიც(!) კი გახლდათ განთავსებული.

**ევანდერ ჰოლიფილდი (კრივი)**
**„ფელკონი“ — 10.000.000$**

„თუკი გოგონა მომეწონა, მაშინვე საკუთარ თვითმფრინავში ვეპატიჟები და საქმეც აწყობილია“ — სიამაყით აღნიშნავს მსოფლიოს უძლიერესი მოკრივე. იგი ხუთწლიანი „სასიყვარულო ფრენების“ შემდეგ ოთხი შვილით „დაჯილდოვდა“, კანონიერი კი მათ შორის მხოლოდ ერთია.



ჰოლიფოლდს მობეზრდა ათმილიონიანი „ფელკონი“ და ახალი 37 მილიონიანი „ბომბარდირ ჯეტის“ შეძენა სურს, საამისო თანხა კი ამჟამად არ გააჩნია, თანაც ცოლს ეყრება, რომელიც ჩემპიონს უამრავი ღალატის სანაცვლოდ 100.000.000$-ის კომპენსაციას სთხოვს და ალბათ მიაღწევს კიდეც საწადელს.

**ჟაკ ვილნევი (ფორმულა-1)**
**„გოლფსტრიმი“ — 9.000.000$**

„საკუთარი თვითმფრინავი კაცობრიობის საუკეთესო გამოგონებაა პრეზერვატივის შემდეგ“ — ხუმრობს ჟაკ ვილნევი. „გოლფსტრიმი“ მან 1997 წელს შეიძინა, როცა მსოფლიოს უძლიერეს პილოტად ითვლებოდა. ვილნევის ახალ საყვარელს — მევიოლინე ვანესა მეის თვითმფრინავში გართობა არ მოსწონს და ჟაკს ავიალაინერის მხოლოდ დანიშნულებისამებრ გამოყენება უწევს.




**ანდრე აგასი (ჩოგბურთი)**
**„აეროჯეტი“ — 8.000.000$**

„აეროჯეტის“ პრეზენტაცია 1996 წელს შედგა მელბურნის აეროპორტში, სადაც ანდრე აგასიმ ნამდვილი ფურორი მოახდინა, ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო და საკუთარ თავს დიდებული საჩუქარიც უძღვნა. როცა თვითმფრინავს ყიდულობდნენ, აგასის და მის მენეჯერს მხოლოდ ერთი რამ დარჩათ გაუთვალისწინებელი, — კვალიფიცირებული პილოტი ვერ გამოძებნეს, რაც კინაღამ ტრაგედიით დასრულდა: 1997 წელს მაიამის აეროპორტში დაშვებისას აგასის თვითმფრინავი ტრასიდან გადავიდა და კინაღამ ბეტონის დიდ კედელს შეასკდა. აგასიმ პროფესიონალი პილოტის პოვნის განკარგულება გასცა და ორიოდე თვის შემდეგ მის საჰაერო ტრანსპორტს უკვე ბილ ქლინთონის პირადი პილოტი მართავდა, რომელსაც აგასი ოთხჯერ მეტს (წელიწადში 300.000$-ს) უხდიდა, ვიდრე ამერიკის პრეზიდენტი. ქლინთონის ყოფილი პილოტი ამჯერადაც ჩოგბურთელის განკარგულებაშია.

**შაკილ ონილი (კალათბურთი)**
**„ასტრა“ — 7.000.000$**

შაკილ ონილის თვითმფრინავს ამერიკელები „მფრინავ ლას ვეგასსაც“ უწოდებენ. შაკის საჰაერო ხომალდში თვითმფრინავის მფლობელთან ერთად დრო გაუტარებიათ უცნობილეს მანდილოსნებს, მომღერლებს — მერაია ქერის, ვანესა უილიამსსა და ჯანეტ ჯექსონს, სუპერმოდელ ტაისა ბენქსს და თავად ნაომი ქემფბელსაც კი.




# ელ გურუჯიმ მსოფლიო რეკორდი დაამყარა

რომში, „გოლდენ გალას“ ტრადიციულ მძლეოსანთა ტურნირზე მაროკოელმა ჰიშამ ელ გურუჯიმ ფენომენალური მსოფლიო რეკორდი დაამყარა ერთ მილზე რბენაში და დისტანცია 3-წუთში, 43-წამსა და 13 მეასედ წამში დაფარა, რითაც ალჟირელი ნურედინ მორსელის ძველი რეკორდი 1,26 წამით გააუმჯობესა. ელ გურუჯისაგან მოსალოდნელიც იყო მსგავსი შედეგი. უკანასკნელ წლებში მაროკოელმა თითქმის ყველა გარბენი მოიგო და 1500მ დისტანციაზე მსოფლიო რეკორდიც დაამყარა. საინტერესოა, რომ 24 წლის სპორტსმენმა წინა რეკორდიც რომში დაამყარა, თანაც ზუსტად ერთი წლის წინ და მაშინაც ალჟირელი ნურედინ მორსელის რეკორდი მოხსნა.

# ტაისონი 2 ოქტომბერს იჩხუბებს



მსოფლიოს ექს-ჩემპიონის მაიკ ტაისონის მენეჯერმა შელი ფინკელმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ „რკინის მაიკი“ მიმდინარე წლის ბოლომდე ორ ბრძოლას გამართავს: პირველ მათგანს — 2 ოქტომბერს ლას ვეგასში, წარმატების შემთხვევაში კი — 11 დეკემბერსაც იჩხუბებს. ტაისონის მეტოქის ვინაობა ჯერ კიდევ დასადგენია, თუმცა ცნობილია, რომ ოქტომბრის ბრძოლას ყოფილი ჩემპიონი ან ხორვატ მავროვიჩთან გამართავს ან გერმანელ აქსელ შულცთან, დეკემბერში კი ალბათ ამერიკელ შენონ ბრიგზს შეხვდება.

ამჟამად 33 წლის ტაისონი, რომელმაც რამდენიმე დღის წინ დატოვა მერილენდის ციხე, ქალაქ ფინიქსში ვარჯიშობს. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის იანვარში ტაისონის წონამ 100კგ-ს მიაღწია, ამჟამად კი უსაქმურობისგან კიდევ 24კგ-ით მოუმატია და წონის დაგდებას ცდილობს.

# სფორცამ ბუნდესლიგის რეკორდი მოხსნა

ბუნდესლიგისათვის სარეკორდო თანხა — 13,5 მლნ დოლარი გადაიხადა დორტმუნდის „ბორუსიამ“ „კაიზერსლაუტერნის“ შვეიცარელი ნახევარმცველის — ჩირიაკო სფორცას საფასურად, რითაც ბუნდესლიგის სატრანსფერო რეკორდი დაამხო, რომელიც მიუნხენის „ბაიერნს“ ეკუთვნოდა, — მან ათ მილიონად შეიძინა ბრაზილიელი პაულუ სერჟიო. მომავალ სეზონში „ბაიერნს“ ალბათ მხოლოდ დორტმუნდის კლუბი თუ გაუწევს სერიოზულ კონკურენციას. შეგახსენებთ, რომ სფორცას გარდა „ბორუსიამ“ კიდევ რამდენიმე ახალი ფეხბურთელი შეიძინა: პსჟ-დან კრისტიან ვიორნსი, „შტუტგარტიდან“ ფრედი ბობიჩი, „მონაკოდან“ კი — ვიქტორ იკპება.

# აზია ევროპის ხარჯზე?

2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე აზიას ერთი დამატებითი ადგილის მოპოვების შანსი ექნება — ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ფიფამ უკანასკნელ სხდომაზე. მოგეხსენებათ, რომ შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე ევროპიდან 15 ნაკრები მოხვდა ფინალურ სტადიაზე, ახლა კი ეს რიცხვი 14-მდე შემცირდება, მეთხუთმეტეს კი გადათამაშებაში აზიურ ნაკრებთან მოუწევს მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მფლობელის ვინაობის გარკვევა. აზიიდან 4 გუნდი პირდაპირ დაიშვება ტურნირზე, მათ შორის, მასპინძლები — კორეა და იაპონია. აზიელებმა დამატებითი ადგილის გამოყოფა კარგა ხნის წინ მოითხოვეს, დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ბოიკოტითაც კი იმუქრებოდნენ. როგორც ხედავთ, მუქარამ შედეგი გამოიღო,



თუმცა თუ გადათამაშებაში ევროპულმა გუნდმა იმარჯვა, აზიელთა მთელი შრომა წყალში ჩაიყრება და კვლავ ოთხი გუნდით მოუწევთ კონტინენტის პრესტიჟის დაცვა უპირველეს საფეხბურთო ტურნირზე.

# „ინტერმა“ „იუვეს“ მეკარე შეიძინა

მილანის „ინტერი“ აგრძელებს ვარსკვლავების შეძენას. ამჯერად, მილანელებმა „იუვენტუსის“ მეკარეს, ანჯელო პერუცის დაადგეს თვალი და არც მისი გადმობირება გაძნელებიათ. „ინტერმა“ ტურინული კლუბის გოლკიპერის სანაცვლოდ მეკარისათვის ფანტასტიკური თანხა — 14,8 მილიონი დოლარი გადაიხადა. ასე რომ, რონალდოსა და ვიერის კლუბს მეკარეც უმაღლესი კლასისა ჰყავთ. ეჭვგარეშეა, „ინტერი“ მომავალ სეზონში მხოლოდ ჩემპიონობისათვის იბრძოლებს.

# ქუჩას გრეცკის სახელი დაერქმევა

კანადის ქალაქ ედმონტონში მდებარე ერთ-ერთ 3 კილომეტრიან ქუჩას შემოდგომაზე ლეგენდარული ჰოკეისტის — უეინ გრეცკის სახელი ეწოდება. ამგვარად დააფასა ქალაქის ადმინისტრაციამ დიდი ჰოკეისტის ღვაწლი ედმონტონელთა წინაშე. ამ ქუჩაზე მდებარეობს „ედმონტონ ოილერზის“ ჰოკეისტთა დარბაზი. შეგახსენებთ, რომ გრეცკიმ ამ კლუბის შემადგენლობაში ოთხჯერ მოიპოვა ჰოკეისტთა ყველაზე ძვირფასი ტიტული — სტენლის თასი.

# ქალი – კაცების მწვრთნელი

ქალი-მსაჯები ფეხბურთში უკვე მოღვაწეობენ, ისევე როგორც აგენტები და მენეჯერები, მაგრამ იტალიის პროფესიულ ლიგაში მოასპარეზე კლუბის მწვრთნელად ქალის დანიშვნა ნამდვილი სენსაციაა. იტალიის სერია C-ს კლუბ „ვიტერბეზეს“ მწვრთნელად დაინიშნა 35 წლის კაროლინა მორაჩე. კლუბის პრეზიდენტს ლუჩანო გაუჩის ახალი მწვრთნელის დიდი იმედი აქვს და იმედოვნებს, რომ მორაჩე გუნდს სერია A-ში გადაიყვანს. კაროლინა 14 წლის იყო, იტალიის ქალთა ეროვნულ ნაკრებში პირველად რომ ითამაშა, მას შემდეგ 150-ჯერ დაიცვა „სკუადრა აძურას“ ღირსება, კარიერის მანძილზე 8 კლუბი გამოიცვალა, გაიტანა 554 გოლი და 12-ჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი. „ვიტერბეზეს“ მწვრთნელად დანიშვნამდე მორაჩე „ლაციოს“ ქალთა გუნდს ავარჯიშებდა.



*გვერდი მოამზადა მათე კბილაძემ*

## საჭადრაკო კლუბი

„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.

შავების დამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).

წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ეd1!

თეთრები იწყებენ და აცხადებენ შამათს ორ სვლაში.

კ. გავრილოვი



# სისხლი და ხასიათი



იაპონელი მეცნიერები ირწმუნებიან, რომ სისხლის ჯგუფით ირკვევა, თუ რამდენად უხდებიან ერთმანეთს წყვილები. მათ აგრეთვე დაადგინეს კავშირი სისხლის ჯგუფსა და ადამიანის ხასიათს შორის.

I ჯგუფის სისხლის მქონე მამაკაცი ლიდერობისკენ ილტვის, ემოციურია, ოპტიმისტი, მაგრამ ამავე დროს, ეჭვიანიც, ჭირვეულიცა და ამბიციურიც. შეუძლია ქალის ერთი ნახვით შეყვარება, მაგრამ მისი აღფრთოვანება დიდხანს არ გასტანს ხოლმე, მალევე უცივდება გული.

ამ ჯგუფის სისხლის მქონე ქალი ემოციურია, ჭირვეული, პირდაპირი და გულმართალი, კარგი დედა და დიასახლისია.

II ჯგუფი აქვს მომთმენ, მეტად მგრძნობიარე, კეთილ, მაგრამ ჯიუტ და მოუსვენარ მამაკაცს; იგი კარგი მეოჯახეა, მაგრამ დამრიგებლური ტონით ბევრს აღიზიანებს.

ქალი — თავდაჭერილია, მომჭირნე, ერთგული, მისთვის მთავარია ოჯახი, მეუღლის მორჩილია.

III ჯგუფი აქვს ინდივიდუალისტს. იგი ადვილად რეაგირებს მოვლენათა ცვალებადობაზე, ყველას აღიზიანებს მისი უზომო ლტოლვა დამოუკიდებლობისკენ, მეუღლისადმი ნაზია, თუმცა თავნებაცაა და ღალატზეც თვალი უჭირავს.

ქალი — ცვალებადი ხასიათისაა, ვერ იტანს მეუღლის უყურადღებობას და როგორც კი მოახერხებს, უმალ ტოვებს მას.

IV ჯგუფს ახასიათებს გულცივობა, გაწონასწორებული ხასიათი, განსაკუთრებული ტაქტიანობა, სამართლიანობა, მაგრამ ფიცხიცაა და უჭირს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, მომავალ მეუღლეს სხვისი დახმარებით გაიცნობს და დიდი პატივისცემით ეპყრობა მთელი სიცოცხლე.

ქალი — უპირველესად ეკონომიკურ სტაბილურობას ეძებს, გონივრულად გეგმავს ბიუჯეტს, ავადმყოფურად განიცდის ოჯახურ კონფლიქტს, არასოდეს უთმობს ქმარს და განქორწინებისას არაფერს კარგავს.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ხშირია განქორწინება III ჯგუფის მქონე მამაკაცსა და II ან III ჯგუფის სისხლის მქონე ქალს შორის.

მაინცდამაინც ბედნიერი არც I ჯგუფის სისხლის მქონე წყვილია.

II ჯგუფის სისხლის მქონე მამაკაცი, როგორც წესი, შორდება IV ჯგუფის მქონე ქალს.

ყველაზე მყარია II ჯგუფის მამაკაცისა და I ჯგუფის ქალის (ანდა პირიქით) ქორწინება.

სხვათა შორის, ყველაზე ტემპერამენტიან სისხლის ჯგუფად ორივე სქესში მიჩნეულია I ჯგუფი; ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ქალების ცეცხლოვანება გათხოვების შემდეგ გონებას ემორჩილება.

*ჩასტნაია ჟიზნ №17*

# ლაბირინთის ხიბლი

საქვეყნოდ არის ცნობილი მითი საშინელი მინოტავრის — ხარისთავიანი კაცის შესახებ, რომელიც კუნძულ კრეტაზე, მეფე მინოსის მიერ აგებულ ლაბირინთში ბინადრობდა.



ლაბირინთი მართლაც საოცარი არქიტექტურული ნაგებობაა. მისი სათავე შორეულ წარსულშია საძებნელი. ამ უჩვეულო ხვეულებში, რომელიც მიწისქვეშეთში იყო მოთავსებული, გამოიცდებოდა ადამიანის გამძლეობა, სულიერი და ფიზიკური სიმტკიცე, გონიერება...

კუნძულ კრეტის II საუკუნის (ქრისტემდე) ერთ-ერთ მონეტაზე გამოსახულია ლაბირინთი. ამ უჩვეულო კატაკომბებს სხვადასხვა სახით აგებდნენ. ზოგ მათგანს რამდენიმე შესასვლელ-გამოსასვლელი აქვს, ზოგს — მხოლოდ ერთი, რომელიც მის ცენტრში მიემართება. ამბობენ, იგი საოცრად ამშვიდებს ადამიანსო. საფრანგეთის ქალაქ შარტრის საკათედრო ტაძრის ქვეშ აგებული ლაბირინთის (XIII ს.) შუაგულში ლითონის მინოტავრი დგას. მონანიე ცოდვილნი 140 მ გზას ჩოქვით, ლოცვით მიუყვებოდნენ და შვებას პოულობდნენ.

საოცრად საინტერესოა აღორძინების ხანის ე.წ. ჰერცოგ გონზაგოს ლაბირინთი, ინგლისში — უოლდენის საგრაფოს ლაბირინთი (XVII ს). იგი ასეულ მეტრზეა გადაჭიმული და მიხვეულ-მოხვეულ გზებზე არსებული ორმოები აგურის ნამტვრევებითაა ამოვსებული.

ჩვენს დროში იზრდება ლაბირინთებისადმი ინტერესი, რაც იმით აიხსნება, რომ იგი თურმე, სასიკეთოდ მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, აღვიძებს შინაგანი რიტმის გრძნობასა და ჰარმონიას.

მლოცველთა თხოვნით, მრავალ ამერიკულ ტაძარში შენდება ლაბირინთი, სადაც გათვალისწინებულია ინვალიდის სავარძლით მოძრაობაც. ძალიან საინტერესოა ლა მანშის სრუტეში კუნძულ ჯერსის ლაბირინთი, რომელსაც ქმნის 200 შადრევნის მიწისქვეშა ნაკადი. მსოფლიოშია ცნობილი ედინბურგის (შოტლანდია) ჩარლზ დარვინის ლაბირინთი. ლაბირინთის აღორძინებას დიდი გულმოდგინებით შეუდგა 47 წლის ინგლისელი მეცნიერი ეიდრიენ ფიშერი. მან უკანასკნელი 20 წლის მანძილზე მთელ მსოფლიოში ააგო სხვადასხვა დანიშნულების 130 ლაბირინთი. მათგან გამოირჩევა მეფე არტურისა და უსინათლოთა ორიენტაციის გასაადვილებლად ნაგულისხმევი ნიუ-კოლეჯის ლაბირინთები.

*ფეიტი №21*

# ესაუბრეთ აინშტაინს!

საუკუნის კიდევ ერთი ცნობილი პიროვნება წარმოგვიდგა ვირტუალური სახით — ივლისის ბოლოს, გერმანიის მაღაზიებში გამოჩნდება ალბერტ აინშტაინის „ცოცხალი“ ორეული.




გენიოსთან საუბარი მსურველებს 50 დოლარი დაუჯდებათ. რობოტი შექმნა ბოსტონის კომპანია „ხელოვნურმა ცხოვრებამ“. კომპანიის ტექნოლოგიური განყოფილების უფროსის, კლაუს კეტერის თქმით, სოციოლოგიური გამოკითხვით დადგინდა, რომ საზოგადოებას სურდა, უფრო მეტი სცოდნოდა აინშტაინის შესახებ და ამიტომაც გადაწყდა მისი ვირტუალური ორეულის შექმნა.

მეცნიერებმა ეპოქის ამსახველი უამრავი მასალა შეისწავლეს, არ დარჩენიათ წაუკითხავი დიდ სწავლულზე დაწერილი არც ერთი წიგნი, მოგონება, მისი კერძო წერილები, ყველაფერი მოაწესრიგეს, დაალაგეს და კომპიუტერში შეიყვანეს; ფოტოებისა და კინომასალების მიხედვით შექმნეს აინშტაინის ვიზუალური ორეული, რომელიც იმეორებდა ორიგინალის მიმიკასა და მანერებს.

„აინშტაინთან“ საუბრისას შეიძლება შეაფასოთ მისი დონე: ის ჭკვიანს ჭკვიანურად ებაასება, სულელს — მისთვის გასაგებად.

საუბარი წარიმართება კლავიატურის ან მიკროფონის მეშვეობით.

ვირტუალური ორეული ნებისმიერ მსურველს სიამოვნებით მოუყვება ფარდობითობის თეორიის შესახებ, უპასუხებს პრაქტიკულად ყველა შეკითხვაზე.

თუ საუბარი რობოტისთვის რაიმე უცხო თემას შეეხო, ის, როგორც წესიერ კაცს შეეფერება, მოკრძალებით და ბოდიშით იტყვის: „სამწუხაროდ, ეს საკითხი რატომღაც, არ ვიცი“.

ვირტუალური აინშტაინი ნამდვილივით დაიმორცხვებს ხოლმე პირადი ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდის გახსენებაზე.

თუ ამ ცდამ გაამართლა, კომპანიას განზრახული აქვს, საუკუნის სხვა ცნობილი პიროვნებებიც „გააცოცხლოს“.

*ნიუზუიქ, 28 ივნისი*

# რატომ დაიღუპა ატლანტიდა?



ცნობილი ინგლისელი მოგზაური პერსი ფოსეტი, რომელიც სამხრეთ ამერიკის ჯუნგლებში ატლანტიდის აღმოჩენას ლამობდა და იქ 20-იან წლებში დაიღუპა, წერდა, — მე მაქვს შავი ბაზალტის პატარა ადამიანის ქანდაკება. მას მკერდთან იეროგლიფებიანი დაფა უჭირავს. დარწმუნებული ვარ, იგი ერთ-ერთ დაკარგულ ქალაქშია ნაპოვნიო.

ფოსეტს სჯეროდა საგნების მეშვეობით წარსულის ხილვის ხელოვნებისა. მან ერთხელ ნაცნობ ნათელმხილველს სთხოვა, ეცადა, ამ პატარა ქანდაკის საშუალებით აღედგინა ატლანტიდის ისტორია. ნათელმხილველმა ფიგურა ხელში რომ აიღო, თქვა, — ვხედავ დიდ, უსწორმასწორო კონტინენტს, რომელიც აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროდან სამხრეთ ამერიკამდეა გადაჭიმული. ჩანს უამრავი მთა და ვულკანი. კონტინენტის აფრიკის მხარეს ცხოვრობენ მშვენიერი აღნაგობის მუქკანიანი ადამიანები, მაგრამ ისინი ზანგები არ არიან. წინ წამოწეული ყბები და ელვარე თვალები აქვთ. ვხედავ ცივილიზაციის უმაღლეს დონეზე განვითარებულ სოფლებსა და ქალაქებს... კონტინენტის დასავლეთ ნაწილში მჭიდროდ დასახლებული ქალაქებია. მცხოვრებნი სამ ჯგუფად არიან დაყოფილნი — მმართველ ელიტად, საშუალო კლასად და ღარიბებად (მონებად).

როგორც ჩანს, ნათელმხილველი ლეგენდარულ ატლანტიდას აღწერდა. ახსენა კატასტროფაც, რომელსაც ემსხვერპლა ეს კონტინენტი: „ყალყზე შედგა, აზვირთდა ზღვა. დასავლეთისა და აღმოსავლეთის ნაწილები წყალში უჩინარდება. წყლითვე იფარება მატერიკის ცენტრალური ნაწილიც. მცხოვრებთა უმეტესობა მიწისძვრის დროს დაიღუპა ან დაიხრჩო. მე მესმის ხმა: „ატლანტიდის ბედს გაიზიარებს ყველა, ვინც ძალაუფლების გაღმერთებას შეეცდება.“.

*ნლო №24*

# ციური ცვარი



ცვარს, ანუ „ცოცხალ წყალს“, ხშირად იყენებდნენ მედიცინაში, კოსმეტოლოგები, ალქიმიკოსები — ცდებისთვის და სხვ... ცვარი ძალიან სასარგებლოა. იგი აჯანსაღებს სულსა და სხეულს. უნდა ვიცოდეთ, რომელი მცენარის ციური ცვარი როდის უნდა შევაგროვოთ და რომელი რას უხდება.

მინდვრის ყვავილების ცვარს სვამენ მელანქოლიის დროს. იგი უნდა შეგროვდეს მზის ამოსვლისთანავე.

ცისკრისას შეგროვილი ჭინჭრის ცვრით თმას ინამავდნენ; იგი საიმედო საშუალებაა თვალის, წყვლისა და ჯადოს გასაქარწყლებლად.

სავსემთვარეობისას, მზის ამოსვლამდე შეკრებილ სვიის ცვარს სიყვარულის გასაძლიერებლად ხმარობდნენ (რჩეულს ასმევდნენ ან ტანსაცმელს უნამავდნენ).

ცისკრისას შეგროვილი აბზინდის ცვარი ბოროტ სულებს განაშორებს ადამიანს.

ქალები, სილამაზის შესანარჩუნებლად, სურნელოვანი ყვავილების ცვრით იბანდნენ პირს.

ბამბის ნაჭრით შეგროვილი ვარდის ცვრით პირდაბანილნი ღვთაებრივად მშვენიერდებიან.

ახალმთვარეობისას, ალიონზე ახალგაზრდა ქალები მინდორში გადიოდნენ და ცვარში „ბანაობდნენ“. ასეთი „აბაზანები“ ძალიან კარგია ფეხმძიმეთათვის.

საერთოდ, ცვარი ალამაზებს არა მარტო ადამიანს, არამედ ქვეყნიერებასაც. ხომ გახსოვთ, ჩვენი დიდი მწერლის ალტაცება,

— რა კარგი რამ ხარ, დილის ცვრით პირდაბანილო ქვეყანავ!

ანდა გალაკტიონის:

— ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველამ არ გაიარე, რაა მამული!...

# რას გვეტყვით, ვარსკვლავებო!

**12 — 18 ივლისის ასტროლოგიური პროგნოზი**

**ვერძი**




გამოიყენეთ მჭევრმეტყველება და საქმე შეგიმსუბუქდებათ. მეტი ყურადღება გმართებთ, რომ რაიმეში არ შეცდეთ და ავტორიტეტი არ შეგელახოთ.

**კურო**




გონივრული საქციელი წარმატებას მოგიტანთ. მეტი ყურადღება მიაქციეთ ოჯახის წევრებს. კვირას ქალაქგარეთ დაისვენეთ.

**მარჩბივი**




ნიჭი და უნარი სამსახურებრივ კარიერას მოახმარეთ. გთავაზობენ წინადადებას, რომელიც დიდ სიხარულს მოგიტანთ. მიეფერეთ მშობლებს.

**კირჩხიბი**




გაჭირვება წარსულს ჩაბარდა. სულიერი წონასწორობის შესანარჩუნებლად ნუ გადადგამთ სარისკო ნაბიჯს. მეტი დრო ოჯახში გაატარეთ.

**ლომი**




რომანტიკული პერიოდი დასასრულს მიუახლოვდა. არ შეშინდეთ. დაბრკოლებას ყველგან დაძლევთ. მეტი ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას.

**ქალწული**




სიბეჯითის წყალობით მიზანს მიაღწევთ. კოლეგები გაფასებენ. ოჯახური ცხოვრება მშვიდად მიდის. ისიამოვნეთ საყვარელ ადამიანთან ერთად.

**სასწორი**




დაიცხრეთ ამბიცია. ყველაფერი გამოიყენეთ მიზნის მისაღწევად. თუ გონივრულად იმოქმედებთ, სანუკვარ ოცნებას აისრულებთ.

**ღრიანკალი**




სიყვარული ყველაფერს დაგავიწყებთ. ჩამოდით მიწაზე. თქვენს საქმეს არავინ გააკეთებს. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს. სურვილები გისრულდებათ.

**მშვილდოსანი**




მიზნის მისაღწევად ნუ მოგერიდებათ ძველი ნაცნობების შეწუხება. რასაც ხელს მოკიდებთ, ყველაფერი გამოგივათ. საყვარელ ადამიანთან კარგ დროს გაატარებთ.

**თხის რქა**




უაღრესად პრინციპული ხართ. ამიტომ მხოლოდ სერიოზულ საქმეებს მიხედეთ, შაბათს ოჯახის საქმე განზე გადადეთ და დაისვენეთ.

**მერწყული**



თქვენთვის ოჯახი უპირველესი და სალოცავია. გაითვალისწინეთ მეგობრების რჩევა, დაეხმარეთ გაჭირვებულებს. სამშაბათი წარმატებას გიქადით.

**თევზები**




გაგეხარდებათ და გეწყინებათ კიდეც. მოთმინება იქონიეთ. ხუთშაბათი იღბლიანი დღეა. წარმატების შანსი გეძლევათ და თუ გონივრულად მოიქცევით, მიაღწევთ.

**გისურვებთ წარმატებებს!**

ლითონნაკეთობათა სახელოსნო
ლითონის კარი — 350 ლარი; ავეჯის ლარი „ბარმოშკა“, 1კვ.მ — 80 ლარი;
ფანჯრის ცალუზი, 1კვ.მ — 80 ლარი;
ფანჯრის უძრავი გისოსი, 1კვ.მ — 50 ლარი.
ნებისმიერ სართულზე დამონტაჟებთ აივანს, 1კვ.მ — 250 ლარი;
მის: ბარნოვის 84, საბურთალოს 37/კუტუზოვის 4
29-39-81 (9-19 სთ-მდე); 38-42-34 877-41-87-75

და შტამპების ფირმების რეგისტრაცია აუდიტი
რუსთაველის 22
☎ 99-86-09; 38-37-89 (საღამოს)

რკინის კარების დამზადება და საკეტების შეცვლა შეღავათიან ფასად.
ტელ: 66-26-50 ნოდარი

ქაღალდი
საჯაზეთო
კონდოპოგა, 60სმ
ოფსეტური
რუსეთის, თურქეთის, ფინეთის
ცარცის. მუყაო
სხვადასხვა ფორმატისა და სიმკვრივის
☎: 33-78-07; 877403866

# ინტერნეტში სასაფლაოც შევიდა





მოგეხსენებათ, როგორ განვითარდა ტექნიკა. ზღაპარი სინამდვილედ იქცა. მზეთუნახავი სარკეში ჩაიხედავდა და ქვეყნიერებას ხედავდა, ჯოხს აიქნევდა ჯადოქარი და მკვდარს გააცოცხლებდა, ცოცხალს გააქვავებდა, ზღვას დააშრობდა, უდაბნოში სამოთხეს გააჩენდა.

დღეს კომპიუტერმა ისეთი შესაძლებლობები მოგვცა, ჯადოსნური ლამპარი და ოქროს ბეჭედი რა მოსატანია!

რისი და ვისი მოყვარული და კოლექციონერი არ დადის დედამიწის ზურგზე. ცხადია, ცნობილ ადამიანთა ცხოვრების ამსახველი ფოტოები და მასთან დაკავშირებული ადგილებიც აინტერესებთ.

ინგლისელმა ჟურნალისტმა ჯიმ ტიფთონმა თავი მოუყარა მსოფლიოში ცნობილ ადამიანთა რამდენიმე ათას ფოტოს და ინტერნეტში ჩაუშვა. ესენი არიან: მწერლები, მსახიობები, ბიზნეს-მაგნატები, პოლიტიკოსები და სხვ.

კატალოგში შეტანილია ლენინის მავზოლეუმი, სტალინის ძეგლი წითელ მოედანზე. მათი ჩვენების წინ გვაფრთხილებს ისეთი წარწერა, როგორიც საშინელებათა ფილმებს უძღვის. „სუსტი ფსიქიკის მქონეთ არ ვურჩევთ ნახვას". შემდეგ მოდის კრემლის კედელში დაკრძალული ჯონ რიდის, კალინინგრადში — იმანუელ კანტის, დიმიტრი დონელის საფლავთა ფოტოები. ალექსანდრეს ბაღში — უცნობი ჯარისკაცის საძვალე.

ჯონ ტიფთონი ამერიკის პრეზიდენტთა საფლავების გვერდით აჩვენებს ჯერაც ცოცხალი რონალდ რეიგანისა და ჯერალდ ფორდის მომავალ სამარხებსაც. ავტორს არ დაზარებია ცნობების შეკრება ცნობილ ადამიანთა უცნობი საფლავების შესახებ. მათ შორისაა: ადოლფ ჰიტლერი, ევა ბრაუნი, მარტინ ბორმანი, უგზო-უკვლოდ დაკარგული მწერალი ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი, მეკობრე და ადმირალი ფრენსის დრეიკი, რომელმაც ზღვაში ჰპოვა სამარე, სადლაც ყინულებში ჩარჩენილი პოლარული მკვლევარი რობერტ სკოტი...

ტიფთონი წარმოადგენს მასალას ანდერძის თანახმად დაფერფლილ ცნობილ პიროვნებებზე. კენტერბერის მთავარეპისკოპოსის, თომას ბეკეტის ფერფლი 1170 წელს გაისროლეს ზარბაზნით, რონ ჰაბრიდის და ჯენის ჯოპლინის ფერფლი, ანდერძის მიხედვით, წყნარ ოკეანეში ჩაყარეს, მსახიობ რივერს ფენიქსისა — მშობლიურ რანჩოში მოაბნიეს, ინგრიდ ბერგმანის ფერფლი — მშობლიური შვედეთის სანაპიროს შეუერთდა, მარია კალასისა — ეგეოსის ზღვის ბერძნულ სანაპიროს, ალბერტ აინშტაინისა — ნიუჯერსის უცნობი მდინარის ტალღებს გაჰყვა, მომღერალ ფრედი მერკურის ფერფლი ჟენევის ტბას მოაფრქვიეს, კამბოჯელი დიქტატორის პოლ პოტის ფერფლი მის სამშობლოში სამ ადგილას ჩაფლეს.

არანაკლებ ყურადღებას აქცევს ტიფთონი საყვარელი ცხოველების სამარეებს. მის კოლექციაში არის ჯონ კენედის დაკრძალვის ცერემონიალში მონაწილე ცხენის, „ბლექჯეკის" საფლავის სურათი, რიჩარდ ნიქსონის ძაღლის, „ჩექერის" ფოტო, ბრიტანეთის დედოფლის რამდენიმე ფინიისა და პირველი კოსმონავტი მაიმუნის, შიმპანზე ჰემის საფლავის ხედები; მერილენდის შტატში ყოფილა სამეცნიერო ცდების დროს დაღუპული თაგვებისა და ვირთხების საძმო საფლავი; ტიფთონს არ გამორჩენია კოლექციაში შეეტანა ნაპოლეონის იმ აქლემის ჩონჩხის ფოტო, რომლითაც იმპერატორი ეგვიპტეში შევიდა. აქვე ნახავთ მისი ორი ცხენის სურათებს; ერთ-ერთზე, „მარენგოზე" ამხედრებული იბრძოდა ნაპოლეონი მოსკოვის მისადგომებთან და აუსტერლიცში, მერე იგი ვატერლოოს ბრძოლაში ინგლისელებმა ჩაიგდეს ხელში. ცხენმა 1832 წლამდე იცოცხლა. მისი ფიტული ამჟამადაც ლონდონის მუზეუმშია დაცული.

*ვერსია №25*

# ვან დამმა მეექვსე ცოლი შეირთო



ახალგაზრდა ქალების რისხვა, ულამაზესი მამაკაცი, ჰოლივუდის ვარსკვლავი — აი, მოკლე დახასიათება პატარა ბელგიურ სოფელში დაბადებული 38 წლის ვან დამისა, რომელმაც მეექვსედ იქორწინა. მისი რჩეულიც ბელგიელია — გლედის პორტუგეისი. საინტერესოა, რომ ეს მათი მეორე ქორწინებაა. გლედისი თავის დროზე უკვე იყო ვან დამის მეორე ცოლი. 6 წლის წინ ისინი დაშორდნენ. მას შემდეგ ჟან-კლოდმა კიდევ ორი ცოლის შერთვა და განქორწინებაც მოასწრო. ვან დამი კარგა ხანია, აღარ გადაუღიათ კინოში, მაგრამ არც თავად მალავს — ამის მიზეზი ჩემი ნარკოტიკებით გატაცება იყოო. ახლა ვან დამი ახალ ცოლთან ერთად ახალი ცხოვრების დაწყებას აპირებს. ქორწილს ჰოლივუდის ასზე მეტი მსახიობი დაესწრო. სილვესტერ სტალონემ ახლად დაქორწინებულებს უსურვა — მთელი ცხოვრება ერთად გაგეტარებინოთო.

*ნოვიე იზვესტია №117*

# მერდოკი ახლად დაქორწინდა



ერთი თვეც არ გასულა ამერიკელი მაგნატის, რუპერტ მერდოკისა და მისი მეორე ცოლის, ანას (ისინი 32 წელიწადს ცხოვრობდნენ ერთად) გაყრის პროცესის დამთავრებიდან და მასობრივ ინფორმაციათა საშუალებების ტრანსნაციონალური იმპერიის 68 წლის მფლობელმა კვლავ იქორწინა. მისი რჩეულია 32 წლის ვენდი დენი, რომელიც წელიწადზე მეტია, მისი საყვარელია.

საქორწინო ცერემონია გაიმართა მერდოკის დიდებულ იახტაზე „გარიურაჲის ნათება". ნეფე-პატარძალმა არ ისურვა ხალხმრავალი წვეულება და მხოლოდ ძალიან ახლობლები — სულ 82 სტუმარი — დაპატიჟა. მათ შორის იყო რუპერტის 4 შვილი პირველი ქორწინებიდან, მსოფლიო ბანკის თავმჯდომარე ჯეიმს ვულფერსონი და ბორის ბერეზოვსკი. ახალდაქორწინებულების პატივსაცემად 12 წუთიანი ფეიერვერკი მოეწყო. მთელი საღამო სრულდებოდა პუჩინისა და მოცარტის ნაწარმოებები. წვეულნი ერთხმად აღნიშნავდნენ წარმოშობით ჩინელი პატარძლის ეგზოტიკურ სილამაზეს. მას ავსტრალიელი დიზაინერის — რიჩარდ ტაილერის მიერ შეკერილი პირისფერი სატინის საპატარძლო კაბა ემოსა.

ვენდი დენი და რუპერტი 1997 წელს ერთმანეთს პირველად ჰონგკონგში შეხვდნენ, სადაც მაგნატი საქმეებმა ჩაიყვანა. 150 გაზეთისა და ჟურნალის, ტელეარხების, კინოკომპანიების მფლობელის რჩეულმა ჩინეთში ბრწყინვალე განათლება მიიღო. შემდეგ სწავლა იელის უნივერსიტეტში გააგრძელა. დენი მანეკენადაც მუშაობდა, რათა საარსებო საშუალება ჰქონოდა. მერდოკთან შეხვედრამდე ჰონგკონგის კომპანიის მენეჯერი იყო, მაგრამ ახლა მუშაობას თავი დაანება. ამის საჭიროება სულაც არა აქვს, მისი ქმრის ქონება 5,6 მილიარდს აჭარბებს.

*ნოვოსტი მირა*

# პრეზიდენტი არ ფიქრობს...

— რაც პრეზიდენტი გავხდი, ელვის სისწრაფით გამიმრავლდა დისწულ-ძმისწული, ბიძაშვილ-მამიდაშვილი, ეს კი არა, პირდაპირი მემკვიდრეც ბლომად გამომიჩნდა, — გული გაუხსნა ჟურნალისტებს ფილიპინების პრეზიდენტმა, 61 წლის ჯოზეფ ესტრადამ.

რამდენიმე ხნის წინ ფილიპინების სილამაზის დედოფლის, 19 წლის კალოკაანის დედამ საჯაროდ განაცხადა, — გოგონა 1980 წელს ესტრადასგან შემეძინა, მაშინ იგი კინოვარსკვლავი იყოო. თავად ჯოზეფ ესტრადა ძალზე ფილოსოფიურად მიუდგა „მრავალშვილიანობის" საკითხს: „თუ რომელიმე გოგონა ამტკიცებს, რომ ჩემი ქალიშვილია, მერე რა მოხდა, ალბათ ასეცაა, რადგან ახალგაზრდობაში ბევრ ქალს სურდა ჩემგან შვილის გაჩენა", — ღირსეულად ბრძანებს პრეზიდენტი.

*ფოკუსი*

# უჩვეულო სილამაზის კონკურსი



ჩვენი უმცროსი ძმები რატომ უნდა ჩამოგვრჩნენო, — აღშფოთდნენ ადამიანები და ქუვეითში გამართეს უჩვეულო სანახაობა — ქათმების სილამაზის კონკურსი. ოღონდ პოდიუმზე მხოლოდ დედლები კი არ გამოდიოდნენ, არამედ დეზებიანმა მამლებმაც ამაყად ჩაიარეს — 120 შინაური ფრინველი გამოიყვანეს თვალის სასეიროდ. რომელილაც თავქეიფა ფერმერმა მამალთა „სექს-სიმბოლოს" პრიზად 18 ათასი დოლარი დააწესა.

ფინალში ერთმანეთს ექიშპებოდნენ ჭრელი, ფიცხი მამალი „ოჯალანი" და „პიასტრი", რომელმაც ჟიური მოხიბლა ღირსეული თავის დაჭერით, დიდებული ბიბილოთი, გაწკეპილი წვერ-ულვაშით. სწორედ ამ უკანასკნელს ერგო „ოქროს მამლის" პრიზი, ხოლო დედლებში ყველას თვალი დაუყენა მშვენიერმა „მოლვამ", თუმცა ოქროს კვერცხებს არ დებს, მაგრამ ქათმების დედოფლად ნამდვილად ღირდა.

კონკურსის დასასრულს გაიმართა ვაჭრობა. ყველა ცდილობდა, ხელში ჩაეგდო მსოფლიოში სახელგანთქმული წყვილი. ქათამთა „თოფ-მოდელი" დაწესებულ პრიზზე 4-ჯერ იაფად გაიყიდა, მაგრამ თავის უსახელო დობილებზე ძვირი მაინც იყო! ოქროსბიბილოვანი „პიასტრის" მყიდველმაც ბლომად ფული გადაიხადა მეფე-მამალში.

*ეხო პლანეტი №12*

# ნაგვენზე ნაპოვნი შედევრი



აჟენის მუზეუმის სხვენის დალაგებისას რესტავრატორმა ელენ გლანვილმა ყურადღება მიაქცია ათწლეულობით დაგროვილ ნაგავში ნაპოვნ ჭუჭყიან, დაძენძილ, საკმაოდ დიდი ზომის (124X100) ტილოს. იგი ჯერ ვერონეზეს სკოლის მიმდევართა ყოვლად უინტერესო და უმნიშვნელო ასლად მიიჩნიეს, მაგრამ გამოკვლევებით დადგინდა, რომ ნახატი XVI-XVII სს ეკუთვნოდა; მერე ტილო მიამსგავსეს ცნობილი ვენეციელი მხატვრის, იაკოპო ტინტორეტოს (1560-1635) ვაჟის, დომენიკო ტინტორეტოს ჩიკაგოს მუზეუმში გამოფენილ სურათს „ვენერა და მარსი". რესტავრაციის შემდეგ ყველა ეჭვი გაიფანტა — ნაპოვნი სწორედ ტინტორეტოს ფუნჯის კუთვნილება გამოდგა. ამჟამად გულმოდგინედ აღდგენილი „ვენერა და მარსი" მუზეუმის ყველაზე საჩინო ადგილზეა გამოფენილი.

*პარი მატჩი №6/14*

# გვირგვინის ბედს სასამართლო გადაწყვეტს







ფრანგ ტელემაყურებელთა ჯგუფი არ ეთანხმება გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად, საფრანგეთის სილამაზის დედოფლად წლეულს კუნძულ ტაიტის მცხოვრები მარევა გალიანტერი აირჩიეს. სასამართლოში შეტანილია განჩინება მოთხოვნით — გადაისინჯოს კონკურსის შედეგები ამელი რუდლერის სასარგებლოდ, რომელიც ფინალში მეორე აღმოჩნდა. მომჩივანთა აზრით, გალიანტერს გამარჯვება ჟიურის არაობიექტურობის გამო ხვდა წილად. ისიც კი ითქვა, გამარჯვებულის ბებია კონკურსის ორგანიზატორს უკერავს ქუდებსო. ორგანიზატორებმა, ჯერჯერობით, მხოლოდ ერთი არგუმენტის წაყენება შეძლეს — ჟიური, რა თქმა უნდა, ითვალისწინებს ტელემაყურებელთა აზრს, მაგრამ გადამწყვეტი ხმა არა აქვსო. პარიზის სასამართლო ორივე მხარის არგუმენტს გაითვალისწინებს.

*იტოგი №26*

ასოციაცია



**თარაზულად:** 7. რიო-დე-ჟანეირო, ნიღაბი; 8. ფლეიტა, სტვირი; 10. პიპინია, აკიმი; 11. ისრაელი, არაბი; 12. ფლოტი, ჯარი; 17. სამსახური, არიზონა; 18. რანდევუ, შეყვარებული; 19. დიოგენე, ქვევრი; 20. მეფე, რეგალია; 21. ვარსკვლავი, სხეული; 25. ძაღლი, ნუტრია; 26. ალექსანდრე დიუმა, „პარაზიტი"; 27. ცხვარი, ლეკვი; 32. სპილენძი, ვერცხლი; 33. უნგრეთი, პოლკა; 34. რიცხვი, რიგი; 35. ლიტერატორი, ენა; 36. ოჰაიო, ინდიანა.

**შვეულად:** 1. მოლუსკი, ბრილიანტი; 2. კაკაბი, მწყერი; 3. დამნაშავე, გამართლება; 4. ცხენი, ბოსელი; 5. ბურთი, მზე; 6. სიძველე, კოლექცია; 9. ბოლოკი, ჭარხალი; 13. წარწერა, პროდუქტი; 14. სერჟანტი, ევროპა; 15. ალბიონი, მონარქია; 16. რეიგანი, ლინკოლნი; 22. სევილია, იმერეთი; 23. არისტოკრატია, „კვირის პალიტრა"; 24. ბათუმი, პალმა; 28. ძაღლი, ტახი; 29. აპრილი, მაისი; 30. სოხუმი, ვარძია; 31. ბემოლი, მაჟორი.

**წინა ასოციაციის პასუხები:**

**თარაზულად:** 7. თეოლოგია; 8. საფერავი; 10. ლიმა; 11. მელოდია; 12. იარა; 17. ინდი; 18. ნეილონი; 19. ნოტა; 20. ბერეტი; 21. არტალა; 25. აკრი; 26. ანაკლია; 27. სენა; 28. რემა; 30. არადანი; 33. მალა; 34. სიგარეტი; 35. ავგაროზი.

**შვეულად:** 1. ბერიკონი; 2. ელვა; 3. ნიკე; 4. ხანი; 5. ორბი; 6. ევერესტი; 9. გოდოლი; 13. ნიგერია; 14. ნეპტუნი; 15. ინერცია; 16. ინგლისი; 22. აკადემია; 23. აკორდი; 24. ანგელოზი; 29. აკაი; 31. რეტი; 32. ნევა; 33. მორი.

# უფლის გზაზე სიხარული ნუ მოგვიშალოს ღმერთმა...

ვჯდები დასკვნითი ნაწილის დასაწერად... სათქმელს თავს ვერ ვუყრი, ასე არასოდეს გამძნელებია საწყისი ფრაზების მიგნება... ძალზე ძნელია ამ თემაზე საუბრის გასრულება, ეს ხომ ქვეყნად ადამიანის სახით მოვლენილი ღმერთის, აღთქმული მესიის თემაა, რომელსაც არ შეიძლება ჩვეულებრივი დასაწყისი და დასასრული ჰქონდეს... ამიტომ კვლავ შიშველი ემოციებით და სიღრმეთა შრეების წვდომის ცდის გარეშე, მხოლოდ ჩვენი მოგზაურობის თემას გავაგრძელებ.

## აღდგომის ტაძარი

წინა ნაწილში უფლის წმინდა საფლავთან გავჩერდით... დარბაზი, რომელიც გოლგოთას, გარდამოხსნასა და საფლავს აერთიანებს, ტალანებად იშლება... ყველაფერს რომ ერთი დიდი გუმბათი აფარია, უკვე მოგახსენეთ... ყველაზე დიდი, სარიტუალო ტაძრიდან, რომლიდანაც მთელ საქრისტიანოს ულოცავენ უფლის აღდგომას, ქრისტეს საფლავისკენ რამდენიმე კიბე ეშვება და შემდეგ ათიოდმეტრიანი გზა მოზაიკით მოუფარავთ... ამ ტაძარში ჩვენ დიდ ლოცვას დავესწრებით, ოღონდ ამაზე ცოტა მოგვიანებით...

იესოს გვამი ტილოში გაახვიეს. ბაღში, ახალ სამარხში შეასვენეს და კარი დიდი ლოდით დაგმანეს... (ასე წერია სახარებაში)... ახლა ამ სამარხს უფლის საფლავი ჰქვია და დედამიწაზე ყველაზე დიდი სასწაულის, აღდგომის მისტერიის დამტევეli ყოველ მის წინაშე მდგომს უდიდეს ტვირთს ჰკიდებს, ღვთის რწმენის და საკუთარი ცოდვების აღმქმელი ტვირთია ეს, ღრმად მორწმუნეთა და მცირედ მორწმუნეთათვის, ნიჰილისტისა თუ განდგომილისათვის ერთიანად საყოველთაო და ჭეშმარიტი. ამის წვდომა არ შეიძლება, ეს უნდა ირწმუნო და მორჩა...

## ანგელოზის სამლოცველო

დგახარ უფლის საფლავის ღიობის წინ, იცი, ახლა დახრი თავს და შეხვალ... და სად შეხვალ? იქ, სადაც უფალი შეასვენეს და, სადაც „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“ აღსდგა? იმდენი ემოცია გიპყრობს, ერთი საერთო განმარტება ვერც აზრისთვის მიგიცია და ვერც განცდისათვის... უბრალოდ აბსოლუტური დუმილით, მხოლოდ ფეხების გაუკონტროლებელი გადაადგილებით შეაბიჯებ პირველ, ზომით უფრო დიდ ოთახ-საკანში, რომელსაც ანგელოზის სამლოცველო ჰქვია...



...ჯერ ისევ ბნელოდა, როდესაც მარიამ მაგდალელი სხვა დედებთან ერთად მაცხოვრის სამარხს მიუახლოვდა... ქალებს ნელსაცხებლებით სურდათ საყვარელი ქრისტეს ცხედრის გაპატიოსნება... გზაში იმას წუხდნენ, იმხელა ლოდს ვინ გადაგვიგორებსო... ლოდი გადაგორებული დახვდათ... გაოცებულებმა შეაბიჯეს სამარხში და თეთრსამოსიანი ჭაბუკი იხილეს ქვაზე მჯდომი... შემკრთალ დიაცებს შეეხმიანა: ვიცი, ჯვარცმულ ნაზარეველს ეძებთ, — „არა არს აქა, რამეთუ აღდგა, ვითარცა თქუა“ და ბოლოს ისიც დასძინა, — ისწრაფეთ გალილეისკენ, იქ იხილავთ მასო...

ზემოთ კი ვთქვით, შედარებით დიდ ოთახში შევდივართო, მაგრამ არც ამას ჰქვია დიდი... შუაგულ ოთახში კანდელები დაჰნათის უცნაური ფერის (ზეციური თუა) მაღალ ქვას... დიახ, სწორედ იმ მახარებელი ანგელოზის ქვაა წინა ოთახში, უფლის აღდგომა რომ ახარა ქალებს... ამ ქვას სიფრთხილით, კრძალვით, გაუბედავი შეხებითა და თაყვანისცემით ვუვლით გარშემო და სულ ორიოდ მეტრშია უფლის საფლავის ბაზილიკისა და მთელი საქრისტიანოს (ოდესლაც დანარჩენი სამყაროც მიხვდება, რომ — მათიც) უწმინდესი ადგილი, სადაც გასრულდა ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ისტორია — ღრმა ემოციური ზემოქმედების სრული სიმბოლიკის აღქმა თქვენთვის მომინდვია, რამეთუ მე უძლურ ვარ...

## აღდგომის ცისკრის სანთელი

გადავდივარ მშრალ თხრობაზე, ვიდრე კვლავ არ წამლეკავს მოძალებული პათეტიკა, ოღონდ პათეტიკა, მართალი...

თავდახრილი შედიხარ პატარა სამლოცველოში... მარმარილოს ფილის ქვეშ უფლის საფლავის ქვა დევს. საფლავის თავზე, ნახევარი მეტრის სიმაღლეზე, მდიდრულ სასანთლეებსა და კანდელებს უპყრიათ სივრცე, საფლავისგან მარცხნივ მწუხარე ღვთისმშობლის საოცარი ძალის ხატი ჰკიდია, ენით უთქმელ დედობრივ დარდს შეუპყრია მარიამი, დედათა შორის უპირველესი... მარმარილოს ფილის შუაგულში, ღრმა სასანთლეში ის სანთელი ანთია, ყოველ აღდგომის ცისკარზე რომ ინთება ღვთიური ნებით ზეციდან დაშვებული ნათელი შუქით... სანთელი მარადიულია ვიდრე მეორედ მოსვლამდე... ჩვენს უკან მომლოცველების რიგი დგას... ისევ ვტრიალებთ, ისევ ვბრუნდებით, ისევ ვეამბორებით, ისევ ვლოცულობთ, გულით და ბაგეებით ვლოცულობთ მხოლოდ. ამას ჰქვია ალბათ გულმხურვალე ლოცვა. ერთ-ერთმა ჩვენგანმა, — მგონი, სიცხემ ამინიაო, თქვა...

სამარხიდან გამოსულები დაბნეული ცხვრის ფარასავით ვართ, ვინ საით იწევს და ვინ საით... გოლგოთის კიბეზე, გარდამოხსნის ვარდისფერ ფილასთან, უფლის საფლავის კართან, ზოგი კვლავ შიგნით შედის, არც აქვს აზრი ახლა ჩვენს მოხმობას, „ამან“ უნდა გაგვიაროს, ახლა სიტყვას ძალა დაკარგული აქვს...

მოთმინებით ელის დედა ანასტასია ჩვენს გონზე მოსვლას, შემდეგ აღარც მახსოვს, გვითხრა თუ მხოლოდ მიმიკით გვიხმო, გავყოლოდით... ტაძრიდან ქვევით ჩავინაცვლეთ, კიბით სხვა ტალანში მოვხვდით, კიდევ უფრო ქვემოთ და, შეგვაჩერეს. ჩვენ წინ ახალი სამლოცველოა...

## ჯვართამაღლება

ის უკვე ვთქვით, რომ გოლგოთა მაშინ დასჯის ადგილი იყო, ქალაქის კარიბჭის გარეთ, მაღლობზე ჯვარგაკრული საბრალო მსჯავრდებულების ხილვა მთელ ქალაქს შეეძლო შინიდან გაუსვლელადაც კი... ეს მათთვის გაფრთხილება იყო — თვალწინ ჰქონდათ მოსალოდნელი სასჯელი... უფლისა და ორი ავაზაკის ჯვარიც ასე ჩანდა მაშინ ქალაქიდან...

ეს თხემი ახალი კაპიტოლიუმის ასაგებად თვალში მოსვლია იმპერატორ ადრიანეს (1356) და აქ დიდი სამუშაოები ჩაუტარებია... ალბათ უფალი იფარავდა კლდეში გაკვეთილ წმინდა სამარეებს, მათ არავინ შეხებია... ჰოდა, ის თხემი ნელ-ნელა ჩამოუშლიათ და მიწის უზარმაზარ გროვად უქცევიათ... აღარსად ჩანდა უფლის საფლავი და ჯვარი, ყველაფერი მიწამ დაფარა... ალბათ ესეც იმისთვის ხდებოდა, რომ წმ. დედოფალ ელენესა და მის ვაჟს მონომახ კონსტანტინე დიდს თავიანთი წმინდა ვალი აღესრულებინათ — დიდი გათხრები ეწარმოებინათ და მიწის ნაყარიდან ეხსნათ უდიდესი სიწმინდეები... შემდეგ მათ ადგილზე სალოცავები აღემართათ... ჰოდა, ეს ჩანართი იმისთვის დამჭირდა, მეთქვა, რა სალოცავის წინ ვიდექით ქვედა ტალანებში ჩაშვებულები — დედოფალმა ელენემ და კონსტანტინემ აქ იპოვეს ის სამი ჯვარი, რომელთაგან ერთი-ერთი უფლის დამტევი იყო და როცა დედოფალმა იმის გასარკვევად, მაინც რომელი იქნებოდა მაცხოვრისა, ჯვრები მიცვალებულებს შეახო — უფლის ჯვარმა თავისი სიტყვა თქვა — მიცვალებული აღსდგა... მაშინ ხელთ აღებული ჯვარი სიკვდილის ძლევის ნიშნად და უფლის მარადიული სუფევის ნიშნად მთელი იერუსალიმის თავზე ამაღლდა. ამ დღეს ჯვართამაღლება ეწოდა... ახლა ის წარმოიდგინეთ, რა მადლი და მირონი დუღს ამ ადგილას, რამდენ ქართველს ულოცია მთელი საქრისტიანოსათვის... ბოლო ფრაზა ნუ გაგაკვირვებთ, იმან გაგაკვირვოთ მხოლოდ — რა გვჭირდა, სად შეგვეშალა, რატომ დაგვიკარგავს ეს საოცარი ძალის სალოცავი, რომელიც თურმე ქართველთა სადგომი ყოფილა საუკუნეთა მიღმა?!

დღესდღეობით მთელი უფლის საფლავი (და მისი აქაური სალოცავები) სამი — კათოლიკური, ბერძნული და სომხური ეკლესიის გამგებლობაშია. მათგან თითოეულს თავი რჩეულად კი მიაჩნია, მაგრამ საუკუნეების წინ დადებულ შეთანხმებას არ არღვევენ... რა მოხდება ხვალ, ანუ 2000 წელს?! ისრაელი 4 მლნ-მდე მომლოცველს ელოდება, ამიტომ უსაფრთხოების მიზნით ტაძარში სათადარიგო შესასვლელის გაკეთებას აპირებენ, მაგრამ ვის ჩააბარებენ ამ ჭიშკრის გასაღებს? დღევანდელი შესასვლელის გასაღები, ქრისტიანულმა ეკლესიებმა პირველობისთვის რომ არ იქიშპონ, მუსულმანების ხელთაა და ყოველ სისხამ დილით და გვიან ღამით ისინი აღებ-კეტავენ უწმინდეს სანახებს... მეორეც მათ დაუთმონ? ვნახოთ, ეს საკითხი აფორიაქებს წმინდა ქალაქს...

## ღვთისმშობლის ხატი

ჩვენ კვლავ აღდგომის ტაძარში ვართ... კვლავ ამ სიმყუდროვესა და იდუმალებას მინდობილები დავფათურობთ, გასასვლელისკენ არავის გაგვირბის თვალი... თითქოს ყველამ გავიკვლიეთ ამ ლაბირინთებში გზა და გავიფანტეთ... ერთად ღვთისმშობელმა შეგვყარა... უფლის საფლავის მარცხნივ ფართო სივრცის ბოლოს ვიწრო შესასვლელი ჩანს, იქით მივყავართ დედაოს... კიდევ შეხვევა, კიდევ გეზის ცვლა და ხატი მარიამ ღვთისმშობლისა, რომელიც სრულ სიბნელეში, სიღრმეში მიკიდულა, მნახველისაგან რკინის სალტეებიანი ცხაურით გამიჯნულა და დიდ, უმძიმეს დედურ ვნებას მისცემია... მისი დახრილი თვალები ხან ოდნავ იღება, კვლავ საწყის მდგომარეობას უბრუნდება და შენ სანთელმიახლოებითა და სანთელმონაცვლეობით თუ შეძლებ მისი სახის დალანდვას (ზოგი ისე გამოდის იქიდან, ვერ ამჩნევს დედის სახეს) ეს თვალები აღარასოდეს მიგატოვებენ... თან დაგყვებათ და თითქოს გვედრებენ — ნუ მიატოვებთ ჩემს ტანჯულ შვილს, განმტკიცდით რწმენაში, — ეს ყველაფერი მართლა აღსრულდაო...



## ამაღლების ცისკარი

ვერავინ გადამარწმუნებს, რომ დიდ გრძნობას და განცდას ლაპარაკი უხდებოდეს — ჩვენ, ყველანი, დიდხანს ვდუმდით, ვდუმდით ავტობუსში, ვდუმდით სასტუმროში, ვდუმდით და ვფიქრობდით, ოღონდ საფიქრალი გვქონდა საერთო...

ბედნიერება ბევრ რამეს ჰქვია, მაგრამ ეს ბედნიერებაზე მეტია, მოხვდე დედამიწის დედაქალაქში და მოხვდე დიდი საუფლო დღესასწაულის დღეებში... შუა კვირაში, ხუთშაბათს ამაღლების დილა თენდებოდა ... (ამაღლების ადგილი მკითხველთან ერთად უკვე მოვინახულეთ — გეთსამანიის ბაღში ის ბოლო ფეხდაბჯენილი ანაბეჭდიც გვახსოვს)...

ოთხშაბათს, შუაღამისას ამაღლების ცისკარი სრულდება ქრისტიანების უპირველეს, აღდგომის ტაძარში... ჩვენ უნდა დავესწროთ... მამა ილია წინდაწინ იღებს კურთხევას იქაური მამამთავრისაგან... ჩვენი სასტუმრო ოციოდე წუთის სავალზეა... ფეხით მივუყვებით ღამის ქუჩებს... ჯერ ახალ ქალაქში ვართ. იმდროინდელი იერუსალიმი დანარჩენი ახალშენიდან კარიბჭეებითა და კედლით არის გამიჯნული... სხვათა შორის, ერთ-ერთი კარიბჭე, ოქროს ჭიშკრად წოდებული, დაგმანულია, პირიპირზე მისული ჭიშკრის ორი ფრთა მართლაც ოქროსფერია და გალავანს ძალიან უხდება... ის თურმე, შეიძლება კიდეც გითხარით, უფლის მეორედ მოსვლის დროს თავისით განიხვნება... გზაში ანაფორიანი რამდენიმე მღვდელი წამოგვეწია, ისინიც სალოცავად იჩქარიან. მივადექით სწორედ იმ მოედანს, რომელზეც უფლის ტაძარი დგას... ველოდებით შესასვლელის გახსნას — არ დაუგვიანიათ. ის განცდაც არ არის ჩვეულებრივი, რომ დგახარ და შენ თვალწინ გასაღებების მთელი ასხმულიდან ერთ-ერთით ჯერ ურდულს ხსნიან, შემდეგ ჩხაკ და იღება ისიც, მთავარი სიწმინდე...

უფლის საფლავთან ვართ... დღეს აქაურობა სინათლედ იღვრება, ანთია სანთელ-კანდელი, კელაპტრები. ტაძარში იმდენი ჭაღი ბრდღვიალებს, გამჭვირვალეა ყველაფერი... ხალხი არ ავსებს აქაურობას, მოკრძალებით დგანან ჯგუფ-ჯგუფად, სხვადასხვა მრევლისა და ერის ქრისტიანები... მამა ილია საკურთხეველში შედის!..

იწყება ამაღლების ცისკრის ლიტურგია. ბერძნული ლოცვა ისმის საკურთხევლიდან, მაგრამ ისეთი ნაცნობია ყოველივე, შენს ენაზე ჩაგესმის... ლამაზი აღნაგობის, კარგი ტემბრხმიანი დიაკვნები ფსალმუნებს გვიკითხავენ... წინამძღვარმა სახარებაც წაიკითხა და შემდეგ რაღაც უჩვეულო მომენტი დადგა — უფლის საფლავის შესასვლელი ჩახჩახებს, წინ დიდი კელაპტარი ანთია, იმ მარადიული ალით ანთებული, ყოველ აღდგომას რომ ეშვება ზეციდან... აღდგომის ტაძრის კიბეზე ეშვება წინამძღვარი, ლოცვით შედის სამარხში, ლიტურგია გრძელდება, გარკვეული დროის შემდეგ კიბეს სხვა მოძღვარი ჩამოუყვება და სწრაფი ნაბიჯით შედის საფლავის კარებში... შესამოსი კი ყველას სპეტაკი თეთრი აცვია, საზეიმო ოქროსფერი ჯვრით ამოტვიფრული ანაფორები... ნელ-ნელა ივსება საკმევლის სუნით მთელი სივრცე... იმატებს მრევლი, იმატებს უფლის საფლავში მლოცველ მამათა რიცხვიც... ვდგავართ, გულში ჩვენს სანუკვარ ლოცვას ვამბობთ და ბედნიერნი ვართ, რომ ახლა ამ დიდ საკურთხეველში ჩვენგან უხილავად ქართულად ლოცულობს ჩვენი მამაო... კარგა ხანია საკურთხევლიდან აღარავინ დაშვებულა საფლავისკენ მიმავალ კიბეზე...



უცებ ტაძრის კარებში გამოჩნდა უფლისწულივით ახოვანი და აღნაგი ჩვენი მამაო, თეთრსამოსიანი და გასხივოსნებული, საკმევლითა და ქართული ლოცვანით ხელში შეუერთდა მოძღვრებს უფლის სამარხში მამა ილია. სული აგვევსო სიამაყით... ახლა უფრო გავმხნევდით, უფრო მივუახლოვდით უფალს და მაშინ, როდესაც სხვა ენებზე ნათქვამს მამა ილიას — დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდეო, უერთდებოდა, აპოგეა ერქვა ამ წუთებს...

დადგა ის ჟამი, უფალთან თანაზიარება რომ ჰქვია... უფლის საფლავიდან სეფისკვერით თავმობმული ლანგარი გამოიტანეს... მაზიარებელთა რიგში ჩავდექით და წმიდა ზიარების ღირსნი ქვეყნიერების უპირველეს წმიდა ადგილზე, წმიდა ზიარების ღირსნი გავხდით... ამ ფრაზებს დუმილი უხდება...

უფლის საფლავთან მდგარ მარადიული ცეცხლით ანთებულ კელაპტარზე წამოვანთეთ 33 სანთელი თითოეულმა და იმის ნიშნად, რომ ქართველთა ოჯახებში გადავიდეს სიწმინდედ და რწმენად, ჩანთებში ფრთხილად და საიმედოდ შევინახეთ...

დავტოვებთ იერუსალიმს, რომლის კარიბჭესთან მისული ერთი ჩვენი დიდი ღირსი მამა, შეცბა, შეყოვნდა, მეხივით დაატყდა იმის განცდა, რასთანაც ელოდა შეხვედრა და — არა, ღმერთო, მე ამის ღირსი არ ვარო და შორეული საქართველოდან ფეხით ჩასულმა წმინდა ქალაქშიც კი არ შეაბიჯა... (ჩვენ კი როგორ შემოგვეთამამეთ, უფალო!..)

მხოლოდ ის გაბედა, მადლს გავიყოლებ აქედანო და ქალაქის მისასვლელიდან სამი ქვა აიღო...

გადმოცემით ვიცი, იერუსალიმის პატრიარქს ეზმანა შორეული ქვეყნისკენ გზადამდგარი ბერი, რომელსაც ქალაქიდან მთელი ჩვენი მადლი მიაქვსო და მსტოვრები დაადევნა, ერთი ქვა გამოატანეს მხოლოდ... დღეს ეს მადლიანი ქვა ჩვენს პატრიარქთან ყოფილა... მადლი არ მოაკლოს ღმერთმა... ის წმინდა მამა დავით გარეჯელი გახლდათ...

ამაღლების ცისკარი ჩათავდა... იერუსალიმის ქუჩები ისევ მყუდრო იყო და ჩუმი. ჩვენი ფიქრი იყო ხმაურიანი, ოღონდ ჩუმად, ჩვენდა გულებში ხმაურობდა — შემოქმედო ღმერთო, დაუსაბამოო, არ დაგვამორჩილო მაცდურებას და ბოროტებას, გვიმრთელე სინდისი, იხსენ დიდი განსაცდელის წინ მდგარი ჩვენი ერი და ქვეყანა, მკრეხელობისგან დაგვიცევ! განგვამტკიცენ რწმენაში და მოგვმადლე მოტევება ცოდვათა... წინ ხომ შენი განკითხვის ჟამი გვიდგას...

ყოველივესთვის გმადლობთ, უფალო!..

*დასასრული*

*ლალი გუნთაიშვილი*


ფირმა „ბერმუხა“

შეგისრულებთ ბრტყელი სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს, როგორც ადგილობრივი, ასევე ბელგიური, გერმანული და იტალიური უმაღლესი ხარისხის მასალებით, ყველაზე იაფად. საგარანტიო სერტიფიკატით. გარანტია 10 წელი. სამუშაოს ვასრულებთ რესპუბლიკის ყველა რაიონში.

მის: წერეთლის გამზ. 55, ბინა 53

☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

სარეალიზაციოდ გვაქვს უცხოური უმაღლესი ხარისხის საიზოლაციო მასალები



ფირმა «გარანტი-97»

აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, საცურაო აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით. გარანტია — 10 წელი.

ანგარიშსწორება ნებისმიერი ფორმით.

სამუშაოები სრულდება რესპუბლიკის ფარგლებში.

მის: წერეთლის გამზ. №142, „სამთო ქიმიის“ შენობა, მე-3 სართ, ოთახი 78

სარეალიზაციოდ გვაქვს იმპორტული ჰიდროსაიზოლაციო მასალები

☎ 34-05-52; 63-05-26; 77-43-85-69



„მესამე ტაიმის" ბილეთების შეძენა შეგიძლიათ საგაზეთო ჯიხურებში თბილისსა და საქართველოს რაიონებში *(გათამაშება იმართება კვირაში ერთხელ. ბილეთები გაყიდვაში გამოდის ყოველ ორშაბათს. მათი მოთავსება „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში შეგიძლიათ იმავე კვირის კვირადღის 13 საათამდე).*

„მესამე ტაიმის" ბილეთის შესავსებად აუცილებელი არ გახლავთ, ფეხბურთში კარგად ერკვეოდეთ. თქვენს მიერ გაკეთებული, თუნდაც შემთხვევითი, მაგრამ ზუსტი პროგნოზი მოგებისათვის სრულიად საკმარისა.

თამაშის წესები იხილეთ ბილეთის უკანა მხარეს

## №13 გათამაშება. ჯეკ-პოტი საპრიზო ფონდი 10.000 ლარი

სპორტპროგნოზი **მესამე ტაიმი**

33 თეთრი

გათამაშება: № 13 000000 ა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 21.07.99 | რუს. | შინიკი | | სპარტაკი |
| 2 | 21.07.99 | რუს. | ჩერნომორეცი | | ზენიტი |
| 3 | 21.07.99 | რუს. | ურალანი | | ცსკა |
| 4 | 21.07.99 | რუს. | ალანია | | როტორი |
| 5 | 21.07.99 | რუს. | კრილია სოვეტოვი | | როსტსელმაში |
| 6 | 21.07.99 | რუს. | დინამო(მ) | | ტორპედო |
| 7 | 21.07.99 | რუს. | ლოკომოტივი(მ) | | ლოკომოტივი(ნ.ნ.) |
| 8 | 21.07.99 | რუს. | ჟემჩუჟინა | | სატურნი |
| 9 | 21.07.99 | ჩ.ლიგა ქვალიფ. | ფლორა(ესტონ.) | | პარტიზანი(იუგ.) |
| 10 | 21.07.99 | ჩ.ლიგა ქვალიფ. | არარატი(სომხ.) | | ჟალგირისი(ლიტ) |
| 11 | 21.07.99 | ჩ.ლიგა ქვალიფ. | ზიმბრუ(მოლდ.) | | სენტ პატრიკი(ირლ |

№13 გათამაშების ბილეთები „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში მოათავსეთ კვირადღის (18 ივლისის) 13 საათამდე. ყურადღება: „კვირის პალიტრაში" დაბეჭდილი ბილეთის ნიმუში გათამაშებაში არ მონაწილეობს.

## №11 გათამაშების შედეგები

გათამაშება: № 11 000000 ბ

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1) | 1:0 | 1 | 5.07.99 | კოპა ამერიკა | პარაგვაი | 1 | პერუ |
| 2) | 1:1 | 2 | 5.07.99 | კოპა ამერიკა | იაპონია | X | ბოლივია |
| 3) | 1:0 | 3 | 6.07.99 | კოპა ამერიკა | ბრაზილია | 1 | ჩილე |
| 4) | 2:1 | 4 | 7.07.99 | კოპა ამერიკა | კოლუმბია | 1 | ეკვადორი |
| 5) | 2:0 | 5 | 7.07.99 | კოპა ამერიკა | არგენტინა | 1 | ურუგვაი |
| 6) | 2:2 | 6 | 7.07.99 | რუს. | ალანია | X | ზენიტი |
| 7) | 2:2 | 7 | 7.07.99 | რუს. | სატურნი | X | ტორპედო |
| 8) | 1:1 | 8 | 7.07.99 | რუს. | ჟემჩუჟინა | X | როსტსელმაში |
| 9) | 1:0 | 9 | 7.07.99 | რუს. | დინამო(მ) | 1 | ცსკა |
| 10) | 3:1 | 10 | 7.07.99 | რუს. | კრილია სოვეტოვი | 1 | სპარტაკი |
| 11) | 5:1 | 11 | 7.07.99 | რუს. | ლოკომოტივი(მ) | 1 | როტორი |

„მესამე ტაიმის" №11 გათამაშებაში მონაწილეობა მიიღო 20.678-მა ბილეთმა. შეგახსენებთ, რომ საპრიზო ფონდი შეადგენდა 12.000 ლარს. დასახელებული 11 წყვილიდან ყველა მატჩის შედეგი ვერავინ ვერ გამოიცნო, ხოლო 10 შედეგი გამოცნობილია 3 ბილეთში. „მესამე ტაიმის" წესების თანახმად გაუთამაშებელი საპრიზო ფონდის ნახევარი (6.000 ლარი) დაემატა №13 გათამაშბის საპრიზო ფონდს და შეადგინა 10.000 ლარი, ხოლო დარჩენილი 6.000 ლარი თანაბრად განაწილდა 3 გამარჯვებულ ბილეთზე. თითოეულ მათგანზე მოგებამ შეადგინა 2.000 ლარი.

გამარჯვებულებს მოგებული თანხის მიღება შეუძლიათ გაერთიანებული ქართული ბანკის დიდუბის ფილიალში (მის. აღმაშენებლის №154.) 19 ივლისიდან.

„მესამე ტაიმის" №11 გათამაშების ბილეთში აღნიშნულ 11 მატჩში რამდენიმე მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა: სენსაციური გახლდათ „კრილია სოვეტოვის" მიერ მოსკოვის „სპარტაკის" დამარცხება. მოსალოდნელი იყო „ალანიას" მოგება შინ „ზენიტთან", ისევე როგორც „ტორპედოსი" „სატურნთან" და ბოლივიის ნაკრებისა იაპონიასთან, მოგეხსენებათ სამივე ეს შეხვედრა ფრედ დასრულდა. ძნელად პროგნოზირებადი იყო მოსკოვის დინამოელების მიერ ცსკა-ს დამარცხება, აგრეთვე ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივის" მოგება ნოვოროსიისკში. საინტერესოა, რომ დასახელებული 11 მატჩიდან ვერც ერთმა მეორედ დასახელებულმა გუნდმა ვერ მოიგო.

## №10 გათამაშების საბოლოო შედეგები

გათამაშება: №10 000000 ბ

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1) | 0:0 | 1 | 29.06.99 | კოპა ამერიკა | პარაგვაი | X | ბოლივია |
| 2) | 0:1 | 2 | 30.06.99 | კოპა ამერიკა | ჩილე | 2 | მექსიკა |
| 3) | 7:0 | 3 | 30.06.99 | კოპა ამერიკა | ბრაზილია | 1 | ვენესუელა |
| 4) | 0:1 | 4 | 01.07.99 | კოპა ამერიკა | ურუგვაი | 2 | კოლუმბია |
| 5) | 3:1 | 5 | 01.07.99 | კოპა ამერიკა | არგენტინა | 1 | ეკვადორი |
| 6) | 1:0 | 6 | 02.07.99 | კოპა ამერიკა | პერუ | 1 | ბოლივია |
| 7) | 2:1 | 7 | 03.07.99 | კოპა ამერიკა | ბრაზილია | 1 | მექსიკა |
| 8) | 0:3 | 8 | 04.07.99 | კოპა ამერიკა | არგენტინა | 2 | კოლუმბია |
| 9) | 2:2 | 9 | 03.07.99 | რუს. | სპარტაკი | X | დინამო(მ) |
| 10) | 1:0 | 10 | 03.07.99 | რუს. | ცსკა | 1 | ლოკომოტივი(მ) |
| 11) | 1:1 | 11 | 03.07.99 | რუს. | შინიკი | X | ალანია |

„მესამე ტაიმის" №10 გათამაშებაში მონაწილეობა მიიღო 14.378-მა ბილეთმა. შეგახსენებთ, რომ საპრიზო ფონდი შეადგენდა 7.875 ლარს. დასახელებული 11 მატჩიდან ყველა შედეგი ვერავინ ვერ გამოიცნო, ხოლო 10 შედეგი გამოცნობილია 12 ბილეთში. „მესამე ტაიმის" წესების თანახმად ყველა შედეგის გამოცნობისათვის დაწესებული საპრიზო ფონდის ნახევარი (3937,5 ლარი) დაემატა №12 გათამაშების საპრიზო ფონდს და შეადგინა 7937,5 ლარი, ხოლო დარჩენილი 3937,5 ლარი თანაბრად განაწილდა 12 გამარჯვებულ ბილეთზე. თითოეულ მათგანზე მოგებამ შეადგინა 328 ლარი.

გამარჯვებულებს პრიზის მიღება შეუძლიათ გაერთიანებული ქართული ბანკის დიდუბის ფილიალში 15 ივლისიდან.

## „კვირის პალიტრა" დაგეხმარებათ სწორი პროგნოზის გაკეთებაში

### 1. შინიკი – სპარტაკი

რუსეთის ჩემპიონატის ლიდერი მოსკოვის „სპარტაკი" წინა ტურში სენსაციურად დამარცხდა სამარის „კრილია სოვეტოვთან" და საეჭვოა იაროსლავლის „შინიკთანაც" იგივე გაიმეოროს. მით უმეტეს, რომ „შინიკს" 15 მატჩში ორად ორი მოგება აქვს და ბოლოსწინა ადგილზეა. მოსკოველები კი მარცხის მიუხედავად, პირველობას კვლავ არავის უთმობენ და 8 ქულით ასწრებენ უახლოეს მდევარს — „ლოკომოტივს", თუმცა სამი მატჩით მეტი აქვთ ჩატარებული.

15% — 20% — 65%

### 2. ჩერნომორეცი – ზენიტი

ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცი" მე-13 ადგილზეა და 15 მატჩში მხოლოდ 13 ქულა აქვს დაგროვილი. წინა ტურში „ჩერნომორეცი" შინ დამარცხდა ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივთან" 0:1. გუნდი გავარდნის ერთ-ერთი კანდიდატია „სატურნთან", „შინიკთან" და „ჟემჩუჟინასთან" ერთად. რაც შეეხება „ზენიტს", გუნდი ტურიდან ტურამდე აუმჯობესებს თამაშს. ამჟამად 15 მატჩში 21 ქულით მე-8 ადგილზეა და ლიდერებისაკენ სულ უფრო ახლოს მიიწევს. წინა ტურში ნევისპირელებმა სტუმრად ფრედ ითამაშეს „ალანიასთან" 2:2. მცირე უპირატესობა ალბათ „ზენიტს" უნდა მიენიჭოს.

30% — 30% — 40%

### 3. ურალანი – ცსკა

ელისტის „ურალანი" ამჟამად მისთვის მეტად საპატიო მე-10 ადგილზეა. გუნდმა წინა ტურში 1:0 მოუგო შინ მის უშუალო მეტოქეს „შინიკს" და მდგომარეობა ბევრად გაიუმჯობესა. მოსკოველმა არმიელებმა კი „ლოკომოტივის" ძლევის შემდეგ ბევრისათვის მოულოდნელად დათმეს მატჩი „დინამოსთან". ცსკა ამჟამად მესამე ადგილზეა 29 ქულით და სამი ქულით ჩამორჩება მეორეზე მყოფ „ლოკომოტივს". არმიელები წყვილის აშკარა ფავორიტები არიან.

20% — 30% — 50%

### 4. ალანია – როტორი

ვლადიკავკაზის „ალანიამ" წინა ტურში ბოლო წუთზე გაუშვა გოლი „ზენიტისაგან" და ორი ქულა დაკარგა. „ალანია" წელს საკმაოდ არასტაბილურად თამაშობს და რომ არა გიორგი დემეტრაძე, რომელიც უგოლოდ თითქმის არ ტოვებს მინდორს, შესაძლოა სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარშიც კი იმყოფებოდეს. ოსურ გუნდს 15 თამაშში 25 ქულა აქვს და მეხუთე ადგილზეა. რაც შეეხება „როტორს", ამ გუნდს მხოლოდ სახელიღა შემორჩა წინა წლების გუნდისაგან, რაც წინა ტურშიც დამტკიცდა, როცა ვოლგოგრადელები „ლოკომოტივმა" გაანადგურა და 5 გოლი გაუტანა. „როტორი" მე-11 ადგილზეა და სამად სამი ქულით უსწრებს ბოლოსწინა ადგილზე მყოფ „შინიკს".

80% — 10% — 10%

### 5. კრილია სოვეტოვი – როსტსელმაში

სამარელებმა წინა ტურში „სპარტაკს" მოუგეს და გამორიცხული არ გახლავთ „როსტსელმაშიც" ზედ რომ მიაყოლონ, მიუხედავად იმისა, რომ როსტოვის კლუბი წელს საკმაოდ კარგად თამაშობს და მთლიანობაში ერთი თავით მაღლა დგას მეტოქეზე. „როსტსელმაშმა" წინა ტურში მაჩანჩალა „ჟემჩუჟინას" ვერ მოუგო, თუმცა მე-6 ადგილი მაინც შეინარჩუნა 25 ქულით. „კრილიას" მეტოქეზე ერთი თამაშით მეტი და 10 ქულით ნაკლები აქვს.

40% — 20% — 40%

### 6. დინამო – ტორპედო

ეს თამაში უდავოდ ტურის ცენტრალური მატჩია. დინამოელებმა წინა ტურში ცსკა-ს სძლიეს, მანამდე კი ფრედ ითამაშეს „სპარტაკთან", რაც იმას ნიშნავს, რომ გუნდი ნელ-ნელა სძლევს კრიზისს და აღმავლობის გზაზეა. „დინამო" მე-7 ადგილზეა 24 ქულით და 5 ქულით ჩამორჩება „ტორპედოს", რომელსაც ერთი მატჩით მეტი აქვს ჩატარებული. ტორპედოელებმა წინა ტურში „სატურნს" ვერ აჯობეს და ორი ქულა დაკარგეს. სავარაუდოა, რომ ორივე გუნდი მოსაგებად იბრძოლებს, შანსები კი დაახლოებით თანაბრად უნდა შეფასდეს.

35% — 30% — 35%

### 7. ლოკომოტივი(მ) – ლოკომოტივი (ნ.ნ)

ეს მატჩი ალბათ ყველაზე ადვილად პროგნოზირებადია ამ გათამაშების მატჩებში. მოსკოველი რკინიგზელები შინ თითქმის უდანაკარგოდ თამაშობენ და მეტად საეჭვოა ნიჟნი ნოვგოროდელ თანაკლუბელებს რომ ვერ მოუგონ, მით უმეტეს, რომ ზაზა ჯანაშიას გუნდი ჩემპიონატის პოტენციური ლიდერია და მისთვის ყოველ ქულას ოქროს ფასი აქვს. არც ნიჟნი-ნოვგოროდის „ლოკომოტივი" თამაშობს ურიგოდ და 19 ქულით მე-9 ადგილზეა. წინა ტურში მოსკოველებმა „როტორი" გაანადგურეს — 5:1, ნოვგოროდელებმა კი სტუმრად სძლიეს „ჩერნომორეცს" 1:0.

85% — 10% — 5%

### 8. ჟემჩუჟინა – სატურნი

სოჭის „ჟემჩუჟინას" ჯერ მოგება არა აქვს და ბოლო ადგილზეა, არც „სატურნს" აქვს საქმე კარგად. ორივენი გავარდნის კანდიდატები არიან და მათ შორის მატჩს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. „ჟემჩუჟინას" ამ თამაშის შემდეგ ორი ურთულესი მატჩი აქვს ჯერ მოსკოვის „ლოკომოტივთან", შემდეგ კი „დინამოსთან", ასე რომ, მაქსიმალურად შეეცდება პირველი მოგება მიითვალოს, „სატურნს" 13 ქულა აქვს და მე-14 ადგილზეა. წინა ტურში ორივე ამ გუნდმა ფრედ ითამაშა, „ჟემჩუჟინამ" — „როსტსელმაშთან", „სატურნმა" კი —„ტორპედოსთან".

40% — 30% — 30%

## ჩემპიონთა ლიგა

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებითი შეხვედრები (პირველი შეხვედრები გაიმართება 14 ივლისს)

### 9. ფლორა (ესტონეთი) – პარტიზანი (იუგოსლავია)

ამ მატჩის მსვლელობა ბევრად იქნება დამოკიდებული პირველი შეხვედრის შედეგზე. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ „პარტიზანმა" პირველივე შეხვედრაში გაინაღდოს ორი მატჩის ჯამში გამარჯვება და განმეორებითმა თამაშმა ფორმალური ხასიათი მიიღოს. იუგოსლავიის ჩემპიონი ბევრად ძლიერია ესტონურ გუნდთან შედარებით და სასწაული უნდა მოხდეს, „ფლორამ" რომ გამოაგდოს ჩემპიონთა ლიგიდან.

20% — 30% — 50%

### 10. არარატი (სომხეთი) – ჟალგირისი (ლიტვა)

თუ, გავითვალისწინებთ, რომ ლიტვისა და სომხეთის ჩემპიონატები დაახლოებით თანაბარი დონისაა, არც ჩემპიონთა შორის უნდა იყოს დიდი სხვაობა. ამ თამაშის პროგნოზიც ბევრად ადვილი გასაკეთებელი იქნება პირველი შეხვედრის შემდეგ, რომელიც 14 ივლისს ლიტვაში გაიმართება.

40% — 30% — 30%

### 11. ზიმბრუ (მოლდოვა) – სენტ პატრიკი (ირლანდია)

ეს მატჩი ჩვენთვის იმით არის საინტერესო, რომ წყვილის გამარჯვებულს მომდევნო ეტაპზე თბილისის „დინამო" ელის. ვერც მოლდოვისა და ვერც ირლანდიის ჩემპიონი ვერ დაიკვეხნის ძლიერი გუნდის სახელით და წესით, თანაბარი ბრძოლა უნდა შედგეს. ირლანდიაში გამართული პირველი შეხვედრის შემდეგ უფრო გაგიადვილდებათ გუნდების შანსებზე მსჯელობა.

40% — 30% — 30%

## №27 (144) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 504 მკითხველი გამოეხმაურა. 4 ბარათი არასწორად იყო შევსებული. საკონკურსო იყო 145 ქალისა და 355 მამაკაცის მიერ შევსებული ბარათები. კითხვა ასე გამოიყურებოდა: **„რა გაგაოცებთ ყველაზე მეტად დღეს?"**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ჩვენს მკითხველებს დღესდღეობით აფხაზეთის დაბრუნებაზე მეტად ვერაფერი გააოცებთ. მკითხველთა 44%-მა დაუწერა მას მაქსიმალური — 8 ქულა, მინიმალური — 1%-მა. **6,73** საშუალო ქულით „აფხაზეთის დაბრუნება" პირველ ადგილზეა. რესპონდენტთა 35%-ს ყველაზე წარმოუდგენლად მიაჩნია ის ფაქტი, რომ ჩინოვნიკები ქრთამს აღარ აიღებენ, მხოლოდ 4 მკითხველს არ გააოცებდა ეს, მათ მინიმალური — 1 ქულა დაუწერეს ამ ფაქტს. „გათბობა და ცხელი წყალი" 5,00 საშუალო ქულით მესამე ადგილზეა.

ჩვენს მკითხველებს ნაკლებად გააოცებდათ ასლან აბაშიძის ვიზიტი თბილისში, სიმშვიდე პარლამენტის სხდომებზე და ჯაბა იოსელიანის გათავისუფლება. ყველაზე მეტი მინიმალური ქულა, სწორედ ამ უკანასკნელმა დაიმსახურა. ჩვენი პრეზიდენტის ჰუმანურობაში ისეა დარწმუნებული მკითხველთა (45%), რომ მათ სრულიად შესაძლებლად მიაჩნიათ ჯაბა იოსელიანის გათავისუფლება და ამიტომაც ეს ფაქტი მინიმალური ქულით შეაფასეს.

ქალებს „გათბობა და ცხელი წყალი" უფრო გააოცებდათ, ვიდრე „მინიმალური პენსია — 50 ლარი". მამაკაცებს კი — პირიქით.




საპრიზოს ზუსტად დაემთხვა ოთხი ბარათი-რეიტინგი. ჩვენი გამარჯვებულები არიან: 21 წლის **ნინო ჩაჩავა,** 39 წლის **თამაზ ოზბეთელაშვილი,** 57 წლის **ომარ მიქაძე** და 39 წლის **გელა ნადირაშვილი** (ოთხივე თბილისიდან).

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 13 ივლისს, 17 საათზე.

### მკითხველის რეიტინგის შედეგები *

„მკითხველის რეიტინგში" 400-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა. **„ვის სადღეგრძელოს შესვამდით ლუდით?"** — ასეთი იყო კითხვა. მეტად მრავალფეროვანი აღმოჩნდა იმ პირთა სია, ვისაც ჩვენი მკითხველები ლუდით ადღეგრძელებდნენ. გთავაზობთ პირველ ათეულს:

### ვის სადღეგრძელოს შესვამდით ლუდით?

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვლადისლავ არძინბა | 31,50% | 6 | სმკ | 3,75% |
| 2 | საქართველოს მთავრობა | 10,25% | 7 | მტერი | 2,50% |
| 3 | პრეზიდენტი | 7,25% | 8 | ერის მოღალატე | 2,25% |
| 4 | პარლამენტი | 5,25% | 9 | ბორის ელცინი | 1,50% |
| 5 | გოგი თოფაძე | 4,50% | 10 | ზურაბ ჟვანია | 1,25% |

ჩვენი მკითხველების აზრით, აფხაზებსა და ოსებს, იელოველებს, მევალეებს, კომუნისტებს, „ახალ ქართველებს", სიდედრ-სიმამრებს, ავტოინსპექტორებს, თბილი ლუდის გამყიდველებს, ჩინოვნიკებს, მეზობლებსა და ფალსიფიკატორებსაც არ აწყენდათ ლუდით დღეგრძელობა. ლენინის გახსენებაც შეიძლება ლუდის სმისას, — ასე ფიქრობს რამდენიმე მკითხველი. რესპონდენტთა მხოლოდ 3% დალევდა ლუდს ისე, რომ არავის ადღეგრძელებდა.

ჩვენს ერთ-ერთ მკითხველს კი, რომელიც ლუდით ადღეგრძელებდა არძინბას, ჩიბიროვსა და კიდევ ერთს, რომლის დაწერაც ვერ გაბედა შიშით, „მეშინია, შანდლის ქურდობისათვის პანღური არ ამომკრანო," შევახსენებთ: „ირიბი" პანღურები „ძლიერთა ამა ქვეყნისათა" პრეროგატივაა, ჩვენი მიზანი სულაც არ არის ვინმეს გაპანღურება, ჩვენთვის, უბრალოდ, მკითხველთა აზრია საინტერესო.

## №28 (145) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა" თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა.შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენს მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ მონაწილეობა მიიღოთ „მკითხველის რეიტინგში"

№28 (145) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ სამშაბათის, 13 ივლისის 17 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 15 ივლისის 13 საათამდე.

© თბილისი, 1997

### თემა №28 (145)
### პოლიტიკოსთა მიზნები

თქვენი აზრით, ყველაზე მეტად რა ამოძრავებთ ქართველ პოლიტიკურ ლიდერებს? (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს 7 და ა.შ. 1-მდე.

| №28(145) | საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი | |
|---|---|---|
| № | | ქულა |
| 1 | ქართლის ბედი | |
| 2 | ამბიციები | |
| 3 | საკუთარი ჯიბე | |
| 4 | ძალაუფლების წყურვილი | |
| 5 | მოწინააღმდეგეთა სიძულვილი | |
| 6 | ხალხის კეთილდღეობა | |
| 7 | სიმართლე | |
| 8 | არსებული მდგომარეობის დაკარგვის შიში | |

**დამატებითი კითხვა ***

**თქვენი აზრით, უნდა აიკრძალოს თუ არა იელოველთა სექტა საქართველოში?**

| დიახ | არა | არ ვიცი |
|---|---|---|
| | | |

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

ჩვენს მკითხველს — ხელვაჩაურელ ჯემალ დიასამიძეს! ბატონო ჯემალ! თქვენს მიერ შევსებული ბარათი რედაქციაში დაგვიანებით მოვიდა, დაგვიანებული ბარათები კი, კონკურსში არ მონაწილეობენ. საფოსტო ყუთები იხსნება 17 საათიდან, ამიტომ, ამ დრომდე უნდა მოათავსოთ ბარათი შიგ. ჩვენ წინა ნომერში გვეწერა თქვენზე — ის დაზარალებული მკითხველი ხელვაჩაურიდან თქვენ ბრძანდებით. იმედია, გაითვალისწინებთ და გამარჯვების შემთხვევაში სიამოვნებით მოგიხსენიებთ პრიზიორთა შორის.

«კვირის პალიტრის» ყუთებში მითითებულ დროზე გვიან ჩაგდებული საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათები კონკურსში არ მონაწილეობენ

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

რას დაარქმევდით?

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)



ბ. აბდალაძის ფოტო (საქ. კორ.)

თამაზ ნადარეიშვილი და ავთანდილ ჯორბენაძე

**ჯ.ჩ.** — გივიჯან, ეს რა ხუმრობა გყვარებია, გუშინვე ვერ მითხარი თუ ლუდზე მეპატიჟებოდი, მთელი ღამე ვირის აბანოები მესიზმრებოდა.

*ზ. იმედაშვილი, თბილისი*

**ჯ.ჩ.** — ღვინოს არა გთხოვთ „გრაფინკით"...

**გ.ყ.** — ითხოვე მერე, მაინც არ მოაქვთ და...

*მათე სულწაძე, წყალტუბო*

**ჯ.ჩ.** — ჯერ იყო სილამაზის კონკურსიო, მერე თეატრიო, ახლაა და ზონის ჰიმნი დაწერეო...

*ჯანჯუყა*

**გ.ყ.** — „კამერული" მიყვარს პოეზია, „გალიაში ბულბულები ზიან".

**ჯ.ჩ.** — ოღონდ გარეთ გამოუშვით ჯაბა, იმის ნაცვლად მე ჩავჯდები, ბაბა!

*პაპალა, თბილისი*

კაცო, ეს რა აკადემიაა ასეთი შენი ციხე, რომ რომანი რომანზე იწერება. ერთიორი თვე მეც შემიშვი, იქნებ პოემა დავწერო.

*მარი, თბილისი*

**ჯ.ჩ.** — ამით იმ ხალხს გაუმარჯოს, ვისაც „ოთარაანთ ქვრივი" არ უნახავს და „ბლანკოს ქვრივზე" ტიროდა.

*გ. აბდალაძე*



გივი ყვარელაშვილი და ჯანსუღ ჩარკვიანი

*წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას" 193 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.*

გაზაფხულია, ყვავის მაისი,
... ხომ არა გაქვს, ხელი მაისვი.
(ლექსი ჯ. ჩარკვიანისა).

*ნიკა ჭურჭელაური, თბილისი*

იქმნება ახალი პარტია „ვჩპ"
(ვაი ჩვენს პატრონს).
ელექტორატი — ტუსაღები.

*შოთა მესაბლიშვილი, თელავი*

**ჯ.ჩ.** მოდი, იმ ხალხის სადღეგრძელო იყოს, ვის გარეშეც არსებობა არ შეგვიძლია, ვის გარეშეც ჩვენს სიცოცხლეს ფასი არ ექნებოდა... ვის გარეშეც...

**გ.ყ.** — პატიმრებს გაუმარჯოს?

*გია, თბილისი*

**ჯ.ჩ.** — გათენდა, პახმელიაზე ისე ვერ გამოვალ, „ყაზბეგი" ჩქარა, დღეს, ლუდის დალევა მე ისე მომწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა, „ყაზბეგი" ჩქარა...

**გ.ყ.** — ამ ბოლო დროს, თითქმის გამოგდის, ხომ იცი, ჩემო ჯანსუღ, გალაქტიონივით.

*შალვა, ოზურგეთი*

**ჯ.ჩ.** — მე მაქვს პოეტის გვირგვინი ლომის,
შენ დაგამშვენებს ვარსკვლავი ოთხი,
შენ რეჟისორის ფიქრები მოგდის,
მე და ელდარს კი პოლიტიკოსის.

*ყოფილი პატიმარი „ლირა", თბილისი*

**ჯ.ჩ.** — ძმაო, გივი, რამე რომ იყვეს, არჩევნების შემდეგ „თეთრ ბაირაღებში" ტიგრანას როლს ხომ მომცემ?

**გ.ყ.** — ვერა, ძმაო, ზურაბ ჟვანიამ კაი ხანია იყიდა.

*გიორგი კასპელი*

**ჯ.ჩ.** — საპატიმრო თეატრ-სტუდიად აქციე, შენი მარიფათი რომ ვიცი, მწერალთა კავშირსაც შექმნი და ჰა, ვაჭერინებ ამ ბედოვლათებს თავს, იქნებ მაძ მაინც ველირსო თავმჯდომარეობას.

*გივი კაციტაძე, თბილისი*

## პრინცს კომპიუტერული ღიმილი ამშვენებს



პრინცი უილიამი თავისი ქორწილის ცერემონიალზე იმდენად მოწყენილი იყო, რომ გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებში კომპიუტერული გრაფიკის საშუალებით გაალიმეს.

***

ქალებო, თუ ფიქრობთ, რომ ყველაზე ხშირად მამაკაცები თქვენზე საუბრობენ, ძალიანაც ცდებით. ისინი ყველაზე დიდ დროს (75%) ანდომებენ სამსახურზე ლაპარაკს, შემდეგ მოდის ავტომანქანა (67%), დასვენება-გართობა (55%), სპორტი (52%) და სადღაც მეხუთე ადგილზე ხართ თქვენ (39%)! თქვენ კი გგონიათ, რომ მათთვის პირველი საფიქრალი ხართ...

## ჯინას დეპუტატობა მოუნდა



ადამიანის პატივმოყვარეობას არა აქვს საზღვარი. რაიმე საქმეში წარმატებას რომ მიაღწევს, არ მშვიდდება და ახალი მწვერვალის დაპყრობაზე ოცნებობს. 71 წლის ჯინა ლოლობრიჯიდამ გადაწყვიტა კენჭი იყაროს ევროპის პარლამენტში. მის კანდიდატურას მხარს უჭერენ დემოკრატები, მოძრაობა, რომელიც თებერვალში ჩამოაყალიბა იტალიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა რომანო პროდამ.




## ფოტო განწყობისთვის



–ძაან ვუცხელა „მოსკოველებს“

ამერიკის ყველაზე მდიდარ მემკვიდრედ აღიარეს „მაიკროსოფტის“ მფლობელის, ბილ გეითსის ვაჟი რორი ჯონი, რომელიც ერთი თვის წინ დაიბადა. ამ პაწიას წილად ერგება მამილოს ქონება, რომელიც 80 მილიარდ დოლარად არის შეფასებული.

**ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტი**

**(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპეც. ფაკულტეტი)**

აცხადებს მიღებას 1999/2000 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. სამართალმცოდნეობა; 2) მთარგმნელობა: ა) ინგლისური ენა; ბ) გერმანული ენა; გ) ფრანგული ენა; 3. ჟურნალისტიკა; 4. ეკონომიკური: ა) საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები; ბ) საბანკო საქმე; გ) საბაჟო საქმე; დ) საგადასახადო საქმე; 5. საგამომცემლო საქმე.

აბიტურიენტების ჩარიცხვა წარმოებს გასაუბრება-ტესტირების საფუძველზე. ვაჟი აბიტურიენტები ვალდებულნი არიან, წარმოადგინონ მიწერის მოწმობა.

სწავლა ფასიანია

საბუთების მიღება 10 ივლისიდან. 10-15 სთ-მდე (გარდა შაბათ-კვირისა). დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 36-69-19; 36-60-78

მის: ტექნიკური უნივერსიტეტის მე-8 კორპ. მე-2 სართ.



**თარაზულად:** 7. ქართული ზღაპრების პერსონაჟი; 9. აზრის გადმოცემის საშუალება; 10. სარტყმელი საკრავი; 11. მცირე რამ (ორიოდე ლუკმა) საჭმელი; 12. ამერიკელი, სპეციალური ანბანის გამომგონებელი; 13. მეორადი გამოყენებისათვის ვარგისი ლითონი; 14. დამარილებულ-გამხმარი ხორცი; 15. პაკისტანის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე ქალი; 16. ერთბაში შეძვრა, შერყევა (მაგ. მიწისძვრისას); 18. რაც მოხნეს; 20. გაერთიანება, კავშირი; 21. პოპულარული ტელესერიალის გმირი; 24. ძველი ეგვიპტის ხელმწიფეთა ტიტული; 25. საფეიქრო ნაწარმი (ქსოვილები); 27. უნგრული კედელი; 28. ძველი ბერძნული ქალაქ-სახელმწიფო (პოლისი); 29. სათათბირო ორგანო კათალიკოს-პატრიარქთან; 30. სასტუმროს მოსამსახურე; 32. სასადილო-სასტუმრო (მოძველებული ტერმინი); 34. გამოტოვებული სიტყვა აკაკისეულ სტრიქონებში: „მთაწმინდა გულში იხუტებს საშვილიშვილო სამარეს, მამადავითსა... აბარებს ქვეყნის მოყვარეს“; 36. მოცულობისა და ტევადობის საზომი ინგლისსა და აშშ-ში; 37. ერთი სარდლის არმიათა ჯგუფის სამოქმედო რაიონი; 38. დაბალი ჩინის პოლიციელი რევოლუციამდელ რუსეთის სოფელში; 39. ნიკიტა ხრუშჩოვის სიძე — ცნობილი ჟურნალისტი.

**შვეულად:** 1. წრის ნაწილი; 2. საველე რეაქტიული არტილერიის ულულო სისტემების არაოფიციალური სახელწოდება სსრკ-ში; 3. მავზოლეუმი — ინდური ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უმშვენიერესი ძეგლი (მესამე ასოს შემდეგ — დეფისი); 4. ჭურჭელი; 5. ნაყინის სახეობა; 6. ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი; 8. ადგილი ეკლესიაში, საიდანაც წარმოთქვამენ ლოცვებს, ქადაგებებს; 9. სამხედრო წოდებულება; 17. უფროსი ოსტატი სახელოსნოში (ძველად); 19. გარიყრაჟი, აისი; 22. შხამით მოწამვლისას ხმარებული შხამსაწინააღმდეგო ნივთიერება; 23. საცხოვრებელი სადგომი; 24. ბოჭკოვანი შემაერთებელი ქსოვილის კეთილთვისებიანი სიმსივნე; 26. ცნობილი ქართველი მევიოლინე ქალი; 29. კბილანა, რომელიც გადაბმულია მეორე წამყვან კბილანაზე; 31. არარსებული ქვეყანა, ოქროთი სავსე, რომელსაც სამხრეთ ამერიკაში ეძებდნენ პირველი ესპანელი დამპყრობლები; 33. ტელესერიალი იტალიელი მსახიობის, პლაჩიდოს მონაწილეობით; 35. დაბალი ხმით გაურკვეველი ლაპარაკი.

*გიორგი გასიტაშვილი*

## წინა კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 3. აბჯარი; 5. საბედო; 7. მოტელი; 11. ზურაბი; 13. აპარტამენტი; 16. ავტომატი; 17. კალიგულა; 18. ანთება; 19. ჭორომი; 26. ხევი; 27. კოხი; 29. ფორი; 32. სურო; 33. მწყერჩიტა; 34. ამირეჯიბი; 35. ელიტა; 40. ჩიჩვირი; 42. ალუბალი; 44. წნორი; 45. ფლორა; 46. ბაჩანა; 47. არისტო.

**შვეულად:** 1. აჯა; 2. გეო; 4. ბაია; 6. დეზი; 8. ტარანი; 9. კრატერი; 10. წერაქვი; 12. ანჯამა; 14. შტეფსელი; 15. მურყვამი; 20. „ძლიერ“; 21. გონჩაროვი; 22. სწორფრობა; 23. დასჯა; 24. პენი; 25. ორბი; 27. კალუგინა; 28. ხეჭეჭური; 30. „ორთაჭალა“; 31. „იანიჩარი“; 36. შჩი; 37. ოჩოკოჩი; 38. პანკისი; 39. თია; 41. რწყვა; 43. ლანჩა.

კვირის პალიტრის უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე“ (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია).

„კვირის პალიტრაში“ კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება ყოველ სამშაბათს 17 საათზე, ხუთშაბათსა და კვირას, 13 საათზე. მათი განთავსების ადგილებია — თბილისში: მეტროების — „მარჯანიშვილი“; „ვაგზლის მოედანი“; „თავისუფლების მოედანი“; „რუსთაველი“; „ღრმაღელე“; „ნაძალადევი“; „ახმეტელი“; „ვარაბარი“, „300 არაგველი“, „ვარკეთილი“; „სამედიცინო ინსტიტუტი“, „პოლიტექნიკური“, „ისანი“; „სამგორი“; „გოცირიძე“; — მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; გამსახურდიას და ვაჟა-ფშაველას პროსპექტების გადაკვეთაზე, საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ქავთარაძის ქუჩაძე – იზოტოპების ინსტიტუტთან და ბოლო გაჩერებაზე, ორთაჭალაში – გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან); დიღუბის ავტოსადგურთან; დიღმის მასივში პოლიკლინიკის წინ, დიდ დიღომში, იოანე პეტრიწის ქ. №3 – სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ – ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან; დიღუბის მეტროს წინ, „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში – მეგობრობის გამზ. მილიციასთან; უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; ვაკეში – კავსაძის ქუჩაზე; ბაგებში – გაჩერებასთან. წყნეთის ქუჩა; ქექელიძის ქუჩა.*

***ქუთაისში:** 1) თამარ მეფის ქ. უნივერსიტეტი; 2) კინო „საქართველო“ წერეთლის ქ.; 3) ჯაჭვის ხიდის ავტოსადგური; 4) ბაზრის წინ; 5) კულტურის სახლის წინ; 6) ნინოშვილის ქ. ბაღში; 7) ნიკეას ქ. ბირჟა; 8) ავტოსადგური, კეჩის ბაზარი; 9) ავტოქარხანა; 10) ავტოქარხნის ბაზარი; 11) უნივერსამი; 12) რკინიგზის სადგური. (განცხადებები მიიღება ტელეფონითაც 4-34-36)*

***რუსთავში:** 1) ქაშაკაშვილის ქუჩა; 2) შარტავას გამზ. 14/2; 3) მე-16 მ/რ ე.წ. სტამბულის ბაზრის წინ.*

*ქალაქებში: რუსთავი, მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, თერჯოლა, სამტრედია, აბაშა, ლანჩხუთი, სენაკი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, საგარეჯო, სიღნაღი (სტამბასთან), წნორი (ბაზრის შესასვლელთან) ლაგოდეხი (წიგნების მაღაზიასთან), ყვარელი, გურჯაანი (კინოთეატრთან), თელავი (სამხატვრო სკოლასთან) — არსებული „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთები იცლება სამშაბათობით, 17 საათიდან.*

**ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

**(28) უფასო განცხადების ქვითარი**

**სიტყვა და საქმე**

განცხადების ტექსტი ______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

***გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება***

№28 ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 15 ივლისის (ხუთშაბათი), 13.00 სთ-მდე.

***



მორგში ტელეფონი რეკავს:

— ჩემი მეუღლე უკვე სამი დღეა, არ ჩანს. ხომ ვერ შეამოწმებდით, თქვენთან ხომ არ არის?

— განსაკუთრებული ნიშნები აქვს?

— ენა ეჩლიფება.

***



წაგების შემდეგ მწვრთნელი ეუბნება მოთამაშეებს:

— მე გთხოვეთ, ისე გეთამაშათ, როგორც არასდროს და არა ისე, თითქოს არასდროს გითამაშიათ!

***



სტიუარდესა თვითმფრინავის სალონში აცხადებს:

— ბატონებო! გაიკეთეთ ქამრები, თორემ მოხდება ის, რაც წინა ფრენისას მოხდა!

— რა მოხდა წინა ფრენისას?

— ვინც ქამრები არ გაიკეთა, საშინლად დასახიჩრდა, ვინც გაიკეთა — ცოცხალივით გამოიყურებოდა.

**არ გამოგრჩეთ!**

ყოველ ოთხშაბათს ახალი გასართობი გაზეთი

**კარუსელი**

**KARUSELI**

**კროსვორდებით,** კურიოზებით, ტესტებით, გამოცანებით, **რებუსებით,** და სხვა მრავალი გასართობით.

**ყოველ ნომერში თამაშდება 200 ლარი**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოტანილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

სარედაქციო კოლეგია

მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ რედაქცია: 33-39-54

რეკლამა: 98-74-44

palitra@access.sanet.ge

სარეგისტრაციო № 1518

„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.